

<https://www.facebook.com/groups/ELLIB/>

თეოლოგიის ინსტიტუტი

ამონახიშნები

თბილისი

2012

UDC (უაკ) 821.161.1 – 32
დ - 785

"მსოფლიოს რჩეული მოთხრობები"

ტომი №4

მთარგმნელები: რუსუდან ქებულაძე
პაპუნა წერეთელი
პაატა გეგელაშვილი

რედაქტორი: მანანა ლოლობერიძე

**სტილისტ-
კორექტორები:** ლიკა თავართქილაძე
ნატალია ჩიმაკაძე

გარეკანის დიზაინი: ეთო გზირიშვილი

**კომპიუტერული
უზრუნველყოფა:** თემურ სიხარულიძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2012
მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49

გამოცემის უფლება მიღებულია საქართველოს
ავტორთა საზოგადოებისგან
www.sas.ge



ISSN 1987-9911
ISBN 978-9941-19-705-5

თჳინიერი

ფანტასტიკური მოთხრობა

ავტორისაგან

დე, მომიტყევეს მკითხველმა, რომ ჩვეულებრივი „დღიურის“ ნაცვლად მოთხრობას ვთავაზობ, თუმცა ამ მოთხრობას ლამის ერთი თვე შევალიე. და მაინც მინდა მკითხველებს შენდობა ვთხოვო.

ახლა თვითონ მოთხრობაზე მოგახსენებთ, რომელსაც „ფანტასტიკური“ დავარქვი. თუმც ნამდვილ ამბად მიმაჩნია, ფანტასტიკური მაინც აქვს რაღაც და ეს მოთხრობის ფორმა გახლავთ. სწორედ ამისი ახსნა მივიჩნეე წინდაწინვე საჭიროდ.

საქმე ისაა, რომ ეს არც მოთხრობაა და არც ჩანაწერები. წარმოდგინეთ კაცი, რომელსაც ამ რამდენიმე წუთის წინ ფანჯრიდან გადავარდნილი ცოლი უსვენია მაგიდაზე. იგი შეძრწუნებულია, აზრი ვერ მოუკრიბავს. დადის წინ და უკან ოთახებში და ცდილობს მომხდარი ამბაეი გაიაზროს, ფიქრებს „თავი მოუყაროს“. თანაც, მოურჯულებელი იპოქონდრიკია, საკუთარ თავთან ლაპარაკს მიჩვეული. ჰოდა, დადის და ლაპარაკობს, ჰყვება მთელ ამბაეს, უნდა გაერკვიოს ყველაფერში. ვითომ დალაგებით ლაპარაკობს და მაინც ხშირად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, ხან ამართლებს თავის საქციელს და ამტყუნებს ცოლს, ხან სულ სხვა რაღაცებზე იწყებს მსჯელობასა და ბჭობას: იგრძნობა დაუგეშაეი ფიქრი და ღრმა განცდა, იგრძნობა დიდი სიყვარულიც. ნელ-ნელა მართლა არკვევს ყველაფერს და „თავს უყრის ფიქრებს“. მთელი რიგი მოგონებებისა ნათელს ჰტენს სიმართლეს. სიმართლე კი მის გონებას და გულს ამაღლებს. მოთხრობის დასასრული შედარებით უფრო დალაგებულია, ვიდრე დასაწყისი. სიმართლე საკმაოდ ნათელი და ცხადი ხდება უბედურისთვის, ყოველ შემთხვევაში, მას ასე მიაჩნია.

აი, ეს გახლავთ თემა. რა თქმა უნდა, თხრობა რამდენიმე საათს გრძელდება, ნაწყვეტ-ნაწყვეტ და არეულად: იგი ხან საკუთარ თავს ესაუბრება, ხან თითქოს უხილავ მსმენელს, თითქოს ვიღაც მსაჯულს მიმართავს. სინამდვილეშიც ხომ ასე ხდება. სტენოგრაფს რომ მალულად მოესმინა და ჩაეწერა მისი ნალაპარაკები, ეგებ ჩემს ნაწერზე უფრო გაუმართავი და გაუშალაშინებელი ყოფილიყო, ოღონდაც ფსიქოლოგიური თანამიმდევრობა, რამდენადაც მგონია, მაინც იგივე დარჩებოდა. სწორედ ეს ვარაუდი სტენოგრაფს რომ ჩაეწერა, მე კი გამეშალაშინებინა-მეთქი, გახლავთ იმის მიზეზი, მოთხრობას რომ ფანტასტიკური ვუწოდებ. მაგრამ ამგვარი შემთხვევები ხელოვნებაში ხომ რამდენიმე გახლავთ. ერთ-ერთ მაგალითს ვიქტორ ჰიუგოს შედეგრი „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღე“ წარმოადგენს, სადაც ავტორმა იგივე ხერხი იხმარა. მართალია, სტენოგრაფიისთვის არ მიუმართავს, მაგრამ განა უფრო დაუჯერებელი არ გახლავთ იმის წარმოდგენა, თითქოსდა სიკვდილმისჯილს შეუძლია (ან დრო აქვს) უკანასკნელ დღეს კი არადა, ლამის უკანასკნელ საათსა და წუთს დღიური წეროს. თუმცა ეს მისი ფანტაზია რომ არა, არც ეს ნაწარმოები გვეჩვენებოდა — ყველაზე ნამდვილი და მართალი ყველა მის თხზულებათა შორის.

თავი პირველი

I

ვინ ვიყავი მე და ვინ იყო იგი

...სანამ აქ მყავს, კიდევ რა მიშავს: მაღიმალ მივალ და დავხედავ მაინც. მაგრამ ხვალ რომ წაიყვანენ, რაღა ვქნა მერე, მარტო რომ დავრჩები? ახლა დარბაზში ასვენია, ბანქოს ორ მაგიდაზე. კუბოს ხვალ მოიტანენ, თეთრს, თეთრი აბრეშუმით

გადაკრულს, თუძცა რას ვბოდავ... აგერ, დაედივარ, დაედივარ, სულ მინდა გავარკვიო ყველაფერი. ექვსი საათია, ვცდილობ გავარკვიო, აზრებს თავი მოვუყარო... მე კი დაედივარ წინ და უკან... არა, ავღებები და დალაგებით მოვყვები ყველაფერს (ჰმ, დალაგებით!). როგორც ხედავთ, ლიტერატორი არ გახლავართ. მერე რა ვუყვით, მეც ისე მოვყვები, როგორც მესმის. ვაიმე, ნეტავ არ მესმოდეს.

თუ გნებავთ იცოდეთ, ანუ თავიდან რომ მოვყვე ყველაფერს, პირველად რაღაც-რაღაცები მომიტანა დასაგირავებლად. მაშინ ფული სჭირდებოდა, „გოლოსში“ უნდოდა განცხადება დაე-ბეჭდა, ასე და ასეო, აღშრდელი ქალის ადგილს დავეძებო, გინდაც ქალაქიდან შორს იყოსო, გინდაც შინ მეცადინეობა იყოსო, თუ სხვა და სხვა. ასე დაიწყო თავიდან. რა თქმა უნდა, სხვებისგან არ გამირჩევია. ისე მოვიდა, როგორც სხვები, მორჩა და გათავდა, მერე კი გავარჩიე. ტანწვრილი, გამხდარი, ქერა, საშუალო ტანის ქალი იყო. თითქოს ერიდებოდა, რცხვენოდა ჩემი (მგონი, უცხოებთან სჩვეოდა ასე, მეც უცხო ვიყავი მისთვის, უცხო, როგორც ადამიანი და არა როგორც მევახშე). მივცემდი ფულს და გატრიალდებოდა, წავიდოდა. მისი ხმა არ გამიგია. სხვა გედავება, გეხვეწება, გევაჭრება, ის ყველაფერზე ყაბულს იყო... მგონი, აზრი მერევა... ჰო, ყველაზე მეტად მისმა მოტანილმა გირაომ გამაოცა: მოოქრულმა ვერცხლის საყურეებმა, უვარგისმა მედალიონმა. მაურის ფასი რომ ჰქონდა, თვითონაც იცოდა, მაგრამ შევატყვევ, ძვირად უღირდა. მერე გაეიგე, დედ-მამისგან სხვა არაფერი დარჩენია. მხოლოდ ერთხელ გამეღიმა მის გირაოზე. არა, არ იფიქროთ, ჩემს თავს ამის ნებას ვაძლევდე, მუშტრებთან მუდამ ჯენთლმენი ვარ. მოკლედ მოვუჭერი, ოღონდაც ზრდილობიანად და გოროზად. დიახ, დიახ, გოროზად. გოგონამ გაქუცული კურდღლის ქურქის რაღაც ნაკუწები (მართლა ნაკუწები) მომიტანა. თავი ვერ შევიკავე და რაღაც ვუთხარი, ასე ვთქვათ, გავემასხრე. ღმერთო, როგორ აელანდა

პირისახე! როგორ დამიბრიალა დიდრონი ცისფერი თვალები! მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, „ნაკუწები“ აიღო და გაეიდა. მაშინ მივაქციე ყურადღება და რაღაცამ გამიელვა თავში, იმწამს რაღაც მომაფიქრდა. კი, მახსოვს მაშინდელი, საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება: რომ მეტისმეტად ახალგაზრდა, ლამის თოთხმეტი წლის გეგონებოდა, ისე კი თურმე თექვსმეტი წლის სამ თვეში ხდებოდა. თუმცა ეს არ გახლავთ მთავარი. მეორე დღეს ისევ მომადგა. მერე გავიგე, დობრონრაუოთან და მოზერთანაც მიუტანია ის ბეწვი, მაგრამ ისინი ოქროს იღებენ მხოლოდ, არც დაალაპარაკეს თურმე. მე კი ერთხელ კამეა გამოვართვი (დიდი არაფერი იყო) — მერე თვითონვე გამიკვირდა. მეც ხომ ოქროვერცხლის გარდა გირაოდ არაფერს ვიღებ, იმას კი კამეა გამოვართვი. მახსოვს, მაშინ მეორედ ვიფიქრე მასზე.

იმჯერად, მოზერისგან წამოსულმა, ქარვის მუნდშტუკი მომიტანა. ვინც მსგავსი ნივთების მოყვარულია, მისთვის რა უშავს, მაგრამ ჩვენთვის კაპიკად არ ღირს, ჩვენთვის ფასი მხოლოდ ოქროს აქვს. ჰოდა, რახან გუშინ ნაწყენი წავიდა ჩემგან, გოროზად, ცოვად, მაგრამ ორი მანეთი მაინც მივეცი. ეს კია, თავი ვერ შევიკავე, ცოტა არ იყოს ბრაზით ვუთხარი: „თქვენი ხათრით, თორემ ამას არც მოზერი დაიგირაუებდა“. დიახ, გულმოსული გახლდით. თქვენი ხათრითო, რომ გაიგონა, ისევ წამოენთო სახე, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს, არც ფული მოუყრია უკან — გაჭირვება, ბატონო! მაგრამ ჰოი, რა ცეცხლი წაეკიდა პირზე! მივხვდი, გულში ისარივით მოხვდა ჩემი ნათქვამი. ხოლო მისი წასვლის შემდეგ ჩემს თავს ვკითხე: ნეტა ღირს-მეთქი ეს გამარჯვება ორი მანეთი? ჰე, ჰე! დიახ, სწორედ ორჯერ ვკითხე ჩემს თავს: ნეტაუ ღირს-მეთქი? ნეტაუ ღირს-მეთქი? და ღიმილითვე დაუუკარი კვერი. ძალიან გამამხიარულა მაშინ ამ ამბავმა. მაგრამ სიბოროტით არ მითქვამს, არა, განგებ ვუთხარი ასე, გამოცდა მინდოდა მისი. რაღაც ფიქრმა გამკრა მაშინ მის თაობაზე. ეს მესამედ ვიფიქრე მასზე.

... ჰოდა, მას აქეთ დაიწყო ყველაფერი. რა თქმა უნდა, მაშინვე გამოვიკითხე მისი ამბები. მოუთმენლად ველოდი მის მოსვლას. გული მიგრძნობდა, მალე მომაკითხავს-მეთქი. მოსულს ფრიად ზრდილად ვებასე. მე, ბატონო, ვერც აღზრდას და ვერც თავდაჭერას ვერავინ დამიწუნებს. მაშინ მივხვდი, რა უწყინარი, რა თვინიერი ვიღაც იყო. სწორედ მისთანა უწყინართ და თვინიერთ არ ძალუძთ გაძალიანება. თუძცა გულს მთლიანად არ გაგიხსნის, შენთან საუბრისგან თავს ვერ დაიძვრენს, ძუნწად გაგცემს პასუხს, მაგრამ ხომ გაგცემს. ხოლო თუ ღმერთს შენთვის მოთმინებაც მოუცია, მეტსა და მეტს დასცინცლავ... საკვირველია, თვითონ მას ჩემთვის არაფერი უთქვამს მაშინ. „გოლოსში“ დაბეჭდილ განცხადებებსა თუ სხვა ამბებზე მერე შევიტყვე. მაშინ განცხადებას განცხადებაზე ათავსებდა, თავდაპირველად, რა თქმა უნდა, გოროზად: ასე და ასეო, აღშრდელი ქალის ადგილს დავეძებო, თანახმა ვარ, თუნდაც სხვა ქალაქში იყოსო. პირობები წერილით გამომიგზავნეთო; მერე: თანახმა ვარ ყველაფერზე, სწავლება, ოჯახის მიხედვა თუ ავადყოფის მოვლა იქნება, ჭრა-კერვაც მხერხებაო. როცა ყველა იმედი გადაეწურა, ბოლოს ასეც დაბეჭდა: ჯამაგირს არ მოვითხოვ, სასმელ-საჭმლით უზრუნველყოფაზეც თანახმა ვიქნებიო. ადგილი კი მაინც ვერ იშოვა! მაშინ გადავწყვიტე უკანასკნელად გამომეცადა. ავიღე იმდღევანდელი „გოლოსი“ და წავუკითხე განცხადება: „ახალგაზრდა, დედ-მამით ობოლი ქალი პატარა ბავშვების აღშრდელის ადგილს დაეძებს ხნიერი ქვრივის ოჯახში. შინაურ საქმეებშიც დაეხმარება“.

— აბა ნახეთ, ამ დილას დაბეჭდა, საღამოს კი ალბათ უკვე იშოვა ადგილი, განცხადება ასეთი უნდა.

ისევე წაკვიდა აღმური პირზე, დამიბრიალა თვალები, ზურგი მაქცია და წავიდა. ძალიან მომეწონა, თუძცა მაშინ აღარც ვეჭვობდი. განა მუნდმტუკებს გირაოდ ყველა მიიღებს, იმას კი აღარც მუნდმტუკები შერჩა. მართლაც მესამე დღეს მომადგა, გაცრე-

ცილი, აღელვებული. მივხვდი, ოჯახში აყალმაყალი მოუხდამეთქი. მართლაც ასე ყოფილიყო. ახლავე აგიხსნით, რაც იყო, ოღონდაც ის მინდა გაგიხსენო, როგორ გამოვიჩინე მაშინ თავი და როგორ აუმაღლდი მის თვალში. ასე ვინდომე მაშინ. საქმე ისაა, რომ ხატი მომიტანა (როგორც იყო, გადაწვევითა მოტანა)... ოჰ, ყური მიგდეთ! ყური მიგდეთ! ახლა იწყება თავიდათავი, აქამდე მხოლოდ ბოღა იყო... ვაჰმე, რომ ყველაფერი მინდა მოვიგონო, ყოველი წვრილმანი, სულ პაწაწინა წვრილმანიც კი. მინდა აზრებს მოუყარო თავი და ვერ მომიყრია. ოჰ, ეს წვრილმანები, ეს წვრილმანები...

ღვთისმშობლის ხატი იყო. ღვთისმშობლისა და ყრმა იესოსი, საოჯახო, ძველებური, ოქროში ნაფერი ვერცხლით ნაჭედი. დიდი-დიდი, ექვსი მანეთი ღირდა. შევატყვევ, რარიგ ეძვირფასება, მთლიანად უნდა დააგირაოს, ნაჭედობის მოხსნა არ უნდა. ვუთხარი, ვერცხლი ახსენით, ხატი კი უკან წაიღეთ, რაც უნდა იყოს, ხატია-მეთქი.

— განა აკრძალულია?

— არა, ვინ აგვიკრძალავს, მე თქვენთვის ვამბობ...

— მაშინ ახსენით.

დაუფიქრდი და მერე ვუთხარი:

— არა, არ ავხსნი, აგერ იქ, სახატეში დავდგამ, სხვა ხატებთან, კანდელის ქვეშ (რაწამს სალაროს გაუხსნი, კანდელს მაშინვე ვანთებ ხოლმე). თქვენ კი ათ მანეთს მოგართმევთ.

— ათი არა, ხუთი იყოს, მერე უთუოდ გამოვიხსნი.

— მაშასადამე, ათი არ გნებავთ? ისე კი ღირს, — დავუმატე ესეც, რახან შევატყვევ, ისევე აუბრიალდა თვალები, თუმიცა აღარაფერი უთქვამს. გამოუტანე ხუთი მანეთი და მივეცი.

— ამრეზით ნურავის შეხედავთ, მეც გამომიცდია გაჭირვება, თქვენზე უარესი. თუკი ამ საქმეს მივლევ... ეს იმის შედეგია, რაც ვიწვნიე...

— და ახლა საზოგადოებაზე შურს იძიებთ? — გამაწყვეტი-

ნა ანაზღად საკმაო გესლით, თუმცა უწყინრად (მაშინ სხვები- სგან არ მარჩევდა და იმიტომაც უწყინრად გამოუვიდა).

„ოჰო! — ვიფიქრე. — ხასიათს აჩენს, ახალ იდეებს ეზიარე- ბა“.

— ხომ იცით, — ჩავუქარაგმე მაშინვე ვითომ ხუმრობით, — „მე ვარ ნაწილი მთელი იმ ნაწილისა, ვისაც სწადია ქმნას ბორო- ტი, მაგრამ იქმს კეთილს“.

სწრაფად მტყორცნა ცნობისმოყვარე, თუმცა საკმაოდ ბავშ- ვური მზერა და მკითხა:

— დაიცადეთ... ეგ ვისი აზრია? საიდანაა? თითქოს სადღაც წამიკითხავს.

— თავს ტყუილად ნუ შეიწუხებთ. ამ სიტყვებით გაეცნო მეფისტოფელი ფაუსტს. „ფაუსტი“ თუ წაიკითხეთ?

— არც... მაინცდამაინც დაკვირვებით.

— მაშასადამე, არ წაგიკითხავთ. უნდა წაიკითხოთ კი. მგო- ნი, ისევე გაგელიმათ. ოღონდ ისეთი მდარე გემოვნების მქონედ არ ჩამთვალთ, ჩემი ხელობის გასალამაზებლად მეფისტოფელის ცოდნით თავს გაწონებდეთ. გირაოს დუქნის პატრონი მაინც გი- რაოს დუქნის პატრონად რჩება. დიახ.

— უცნაური კაცი ყოფილხართ... სულაც არ მიფიქრია...

ანუ განათლებული კაცი თუ იყავით, არ მეგონაო, ეს უნდა ეთქვა, ოღონდ არ თქვა. მაგრამ ხომ ვიცი, რომ გაიფიქრა. ძალიან მოაწონე მაშინ თავი.

— ადამიანს ყველგან შეუძლია სიკეთე თესოს. ჩემზე არ ვამბობ, იქნებ ცუდის მეტს არას ვაკეთებ, თუმცა...

— ჰო, ადამიანს ყველგან შეუძლია სიკეთე თესოს, — მითხრა და ეჭვიანად შემხედა, — დიახ, ყველგან, — გაიმეორა ისევე. ჰოი, რარიგ მახსოვს ყველა ის წამი! ისიც მინდა დავამატო, როცა ეს ჩვენი ახალგაზრდები, ეს ჩვენი კაი ახალგაზრდები რაიმე ჭკვი- ანურიისა და გულში ჩამწვდომის თქმას დააპირებენ, მეტიისმეტად აშკარად და გულწრფელად დაეტყობათ სახეზე: „აი, რა ჭკვიან-

ნურს და გულში ჩამწვდომს ვამბობთ“. განა ეს ყოყლოჩინობით მოსდით, არა, თვითონაც სულითა და გულით სწამთ ეს ამბები, დიდად აფასებენ და ჰგონიათ, შენტვისაც დიდად ფასობს. ჰოი, სიწრფელე გულისა! იგია, რომ გამარცხებს კაცს! მერედა, რა კარგი იყო მისი სიწრფელე!

კი, მახსოვს, მახსოვს, არაფერი დამევიწყნია! რაწამს წავიდა, მაშინვე გადავწყვიტე. იმავე დღეს წავედი საბოლოოდ ყველაფრის გამოსარკვევად და ყველაფერი გავიგე, რაც მის თავზე ხდებოდა. წინა ამბები ლუკერასგან ვიცოდი უკვე, მაშინ იმათთან რომ მსახურობდა და ეს რამდენიმე თვეა მოსყიდული მყავდა. ამბები კი ისე საშინელი იყო, ვერ გამიგია, კიდევ როგორ შეეძლო წელანდელივით გაეცინა და მეფისტოფელის ნათქვამით დაინტერესებულყო, როცა მის თავს ასეთი რამ ტრიალებდა. მაგრამ სიყმაწვილის ამბავი მოგეხსენებათ! სწორედ მაშინ გავიფიქრე სიამაყითა და სიხარულით მასზე, რამეთუ აქ სულგრძელობა იგრძნობოდა, სულგრძელობა და დიდსულოვნება: მე ვიღუპები, მაგრამ გოეთეს დიდებულ სიტყვებს გაუმარჯოსო. სულგრძელობა, გინდაც ძრუდედ გაგებული, სიყმაწვილეს მუდამ სჩვევია. თუმცა მასზე, მხოლოდ მასზე ვამბობ. რაც მთავარია, მაშინ უკვე ჩემს საკუთრებად, ჩემად მიმაჩნდა, ჩემს ძალაში ეჭვი არ მეპარებოდა. ჰოი, რა ტკბილია თურმე, როცა საკუთარი ძალის გწამს.

თუმცა ეს რა მოძღვის, ასე თუ გავაგრძელებ, როდის მოუყვარო აზრებს თავი? უნდა ვიჩქარო — დმერთო ჩემო, განა ესაა ახლა მთავარი?

II

მე ცოლობა ვინაოვ

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ, რა ამბებიც მასზე შევიტყვე. დედ-მამა სამი წლის წინ გარდაცვლია. დარჩა თურმე ყოვ-

ლად წუპაკი მამიდების ამარა. თუმცა წუპაკის თქმა იმათზე ცოტაც კია. ერთი მამიდა ქვრივი იყო, ერთმანეთზე მიყოლებული ექვსი შვილი ჰყავდა, მეორე — შინაბერა, დიდი წუნკალი ვილაც. თუმცა წუნკლები ორივენი ბრძანდებოდნენ. მამა მოხელე ჰყოლია, მწერალი, უბრალო აზნაური. ამიტომაც მე მისთვის დიდი კაცი გახლდით. აბა არა, ბრწყინვალე პოლკში შტაბსკაპიტნად ნამსახური, ტახტის აზნაური, დამოუკიდებელი კაცი. ხოლო ჩემი სესხის სალარო მამიდებს მოწიწებითაც აღავსებდა. სამი წელია მამიდების ყურმოჭრილი მონა იყო, და მაინც იმდენი მოახერხა, იმდენი ქნა — გამოცდა ჩააბარა, თუმცა დღედაღამ უმოწყალოდ ამუშავებდნენ. მაშასადამე, ასე უნდოდა, ასე ილტვოდა უკეთესისკენ. მე განა რად მინდოდა მისი ცოლად თხოვა? თუმცა ჯანდაბას ჩემი თავი... განა ესაა აქ მთავარი! მამიდაშვილებს ის ასწავლიდა, საცვლებს ის უკემსავდა, ასეთი სუსტი ჯანის პატრონი იატაკებსაც თვითონ რეცხავდა, ისინი კი სცემდნენ და ყოველ ლუკმას აყვედრიდნენ. ბოლოს გაყიდვაც დაუპირეს. ფუჰ! არ მინდა ამ სიბინძურის მოყოლა, თვითონ მიაბზო მერე დაწვრილებით. მისი ამ ტანჯვა-წამების მოწმე მათი მეზობელი ღიპიანი მედუქნე იყო. უბრალო მედუქნე კი არა, ორი საბაყლოს პატრონი. ორი ცოლი უკვე გაესტუმრებინა საიქიოს და მესამეს დაეძებდა. ჰოდა, ამას დაადგა თვალი: „წყნარია, უსიტყვო, გაჭირვებაში გაზრდილი, მე კი ობლები მყავს, ცოლი მათი გულისთვის მინდა“. ობლები მართლა ჰყავდა. მოელაპარაკა თურმე მამიდებს, მოურიგდა. ორმოცდაათი წლის ყოფილა. საწყალ გოგოს თავზარი დაეცა. აი, მაშინ იყო მოუხშირა ჩემთან სიარულს, „გოლოსში“ განცხადებების გამოქვეყნებას ფული უნდოდა. ბოლოს შევედრა მამიდებს, ცოტა მაინც მაცალეთ, მოვიფიქრო. ცოტა აცალეს, მერე კი სული ამოხადეს: „ჩვენ თვითონ ჩასახეთქი რა გვაქვს, შენ რომ გაჭამოთ“. მე ეს ამბავი უკვე ვიცოდი და იმ დილას კიდევ გადავწყვიტე ყველაფერი. ბაყალი საღამოს მობრძანდა, ერთი გირვანქა კანფეტი მორათ-

ვა, ათი შაურის საფასური. სანამ ბაყალთან იჯდა, ლუკერია გამოვიხმე სამზარეულოდან და დაუბარე, წადი, ჩუმიდ უთხარი, ჭიშკართან ველოდები, გადაუდებელი საქმე მაქვს და უნდა ვუთხრა-თქო. ჩემი თავის კმაყოფილი დავრჩი. იმ დღეს საერთოდ ძალიან კმაყოფილი გახლდით ყველაფრით.

იქვე, ჭიშკართან, ამ ჩემი გამოძახებით გაოცებულს, ლუკერიას თანდასწრებით ვუთხარი, ასე და ასე, დიდ პატივს დამდებთ, ძალიან გამაბედნიერებთ-მეთქი... ჩემი ქცევა რომ არ გაკვირვებოდა, ესეც დაუყოლე: „პირდაპირი კაცი ვარ და საქმის ვითარებაში გარკვეული“. არც მომიტყუებია, პირდაპირი ვარ-მეთქი. თუცა ჯანდაბას. ველაპარაკე ზრდილი კაცის პირობაზე, რაც მთავარია, ორიგინალურად. განა რა ისეთი ცოდვა ესაა? მე მინდა ვიყო ჩემი თავის მსაჯული და ვიქნები კიდევ. უნდა **pro** და **contra**-ც ვთქვა და ვიტყვი კიდევ. შემდეგში სიამოვნებით ვიგონებდი ყველაფერს, გინდაც სიბრიყვედ ჩამითვალთ. პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადე მაშინ, ჯერ ერთი, არც დიდად ნიჭიერი ვარ, არც დიდად ჭკვიანი, იქნებ არც მაინცდამაინც კეთილი, საკმაოდ იაფფასიანი თავკერძაც (ეს სიტყვები გზაში მოვიგონე და მომეწონა), შესაძლოა, ბევრი სხვა უსიამოვნო რაღაც მჩვევია-მეთქი. ვთქვი ამაყად, მოგეხსენებათ, როგორც ამბობენ. რა თქმა უნდა, იმდენი ჭკუა კი მეყო, ნაკლის შემდეგ ღირსებანი აღარ ჩამომეთვალა: „სამაგიეროდ ასეთი და ასეთი ვარ-მეთქი“. შევატყვე, რომ დაფრთხა და მაინც არ შევარბილე, პირიქით, გუამამაფრე. პირდაპირ მოუტყერი, საჭმელი არ მოგაკლდება, ოღონდ მორთვა-მოკანზუვა, თუატრები თუ მეჯლისები ოცნებაშიც არ გაივლო, როცა ჩემს მიზანს მივალწევ, მაშინ ვნახოთ-მეთქი. ეს ჩემი გოროზი კილო კიდევ მომეწონა. ისიც დაუემატე, თუცა გაკვრით, როცა ეს ხელობა ავირჩიე, ანუ სესხის სალარო გავხსენი, მხოლოდ ერთი მიზანი მამოძრავებდა, გარემოება შემექმნა-მეთქი მაშინ ისეთი... განა არ მქონდა ამის თქმის უფლება? განა მართლა არ მქონდა ასეთი მიზანი და

არ შემექმნა ასეთი გარემოება? დიახ, დიახ, ბატონებო, თავად მთელი სიცოცხლე ჭირივით მძულდა ეს სალარო, მაგრამ რაგინდ სასაცილოც უნდა იყოს შენს თავს ქარაგმულად ელაპარაკო, სინამდვილეში ხომ მართლა „შურს ვიძიებდი საზოგადოებაზე“. დიახ, მართლა, მართლა! ისე რომ, იმდილანდელი მისი დაცინვა — შურს იძიებთო, უსამართლო იყო. მე რომ პირდაპირ მეთქვა: „კი, შურს ვიძიებ საზოგადოებაზე“, დილანდელივით გადაიკისკისებდა და მართლაც სასაცილო იქნებოდა. მაგრამ ქარაგმულად თურმე შეიძლება ადამიანის ოცნება მოისყიდო. თანაც გული საგულეს მქონდა. დიპიანი ბაყალი რომ ჩეშზე მეტად სძულდა და ჭიშკართან მართლაც მხსნელ ანგელოზად მოვევლინე, დიახაც ვიცოდი. ვაი რომ, სულმდაბლობისა ყველაზე უკეთ გაგვეგება! თუმცა ეს განა სულმდაბლობა იყო? განა მაშინ უკვე არ მიყვარდა იგი?

მოიცათ, მოიცათ, მე მაშინ წყალობაზე კრინტი არ დამიდრავს. პირიქით: „ეს ჩემთვის განლაუთ-მეთქი წყალობა, თქვენთვის კი არა“, კიდევ ვუთხარი, თავი ვერ შევიკავე. ჭკვიანურად რომ არ მომივიდა, იქვე შევატყვე, ვინაიდან პირზე ღმილმა გადაურბინა, მაგრამ ისე კი მოვიგე საქმე. მოიცათ, თუ მთელ სიბინძურეს მოვიგონებ, ბარემ უკანასკნელ ღორობაზეც ვიტყვი: ვდგავარ, ელაპარაკობ, თავში კი მიტრიალებს: შენ ტანადი ხარ, მოყვანილი, კარგად გაზრდილი და — ტრაბახი რად გინდა — კარგი შეხედულიც-თქო. ცხადია, იქვე ჭიშკართან მითხრა თანხმობა, თუმცა... თუმცა ისიც უნდა დავუმატო: ჰოს თქმამდე დიდხანს, დიდხანს იდგა ჩაფიქრებული. დიახ, იმდენ ხანს იდგა, კიდევ ვკითხე: „აბა რას მიბრძანებთ?“ დიახ, ასე ვუთხარი, რას მიბრძანებთ-მეთქი.

— დამაცათ, მოვიფიქრო.

სწორედ მაშინ უნდა მივმხვდარიყავი ყველაფერს! მე კი გულში მწყინდა: „ნუთუ არჩევანსაც აკეთებს, მე თუ ბაყალი?“ თურმე არაფერი მესმოდა! არაფერი გამეგებოდა! დღემდე არ გამეგებო-

და! მახსოვს, წამოსვლისას ლუკერია დამედევნა, გამაჩერა და პაიპარად მითხრა: „ღმერთი გადაგიხდის სიკეთეს, ჩემო ბატონო, ამ ჩვენს პატარა ქალბატონს რომ თხოულობთ, ოღონდ იმას კი ნუ ეტყევით, ამაყი გახლავთ“.

ჰმ, ამაყიო! განა მე არ მიყვარს ამაყი ხალხი. ამაყ ხალხს რა სჯობია. მეტადრე თუ... ეჭვი არ გეპარება, რომ იმათზე მეტი ძალა გაქვს, ჰა? ჰოი, სულმდაბალო, ტლანქო ადამიანო! ჰოი, რა კმაყოფილი ვიყავი მაშინ! იცით კი, როცა ჭიშკართან იდგა ჩაფიქრებული, ჰო ეთქვა თუ არა ჩემთვის, ვინ იცის, ესეც იფიქრა მაშინ: „თუ ისიც და ესეც ჭირია, ეგებ უარესი ჭირი, მაშასადამე, ღიპიანი ბაყალი სჯობდეს, რომ არყით გახეთქილმა ცემა-ტყეებით ბოლო ძალე მომიდოს!“ ჰა? როგორ გგონიათ, იფიქრებდა ვითომ ამასაც?

თუმცა ვერც ახლა გამიგია, ვერც ახლა გამიგია ვერაფერი! ეს წუთია ვთქვი, ვინ იცის, ესეც იფიქრა: ორი ჭირიდან უარესი ჭირი, ანუ ბაყალი იქნებ სჯობდესო? მაგრამ რომელი იყო უარესი ჭირი, მე თუ ბაყალი? ბაყალი თუ სესხის სალაროს მეპატრონე, გოეთეს ციტატებით მოლაპარაკე? საკითხავი აი რა არის! თუმცა საკითხავი რაღა არის? პასუხი აგერ მაგიდაზე დევს, შენ კი საკითხავიო, გაიძახი. მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი... მე არა ვარ აქ მთავარი... ან რა აზრი აქვს — ვარ თუ არა აქ მთავარი? იცის კი ვინმემ! არა, სჯობს დაეწვე ისე და დავიძინო. ლამისაა თავი გამისკდეს.

III

პარ კაცთა შორის უკეთილშოგილესი, თუხცა მევნ არ მჯერა

ვერ დავიძინე. ან კი რა დამაძინებს, ისე მიფეთქავს ტვინში რომელიღაც ძარღვი. მინდა კარგად გავერკვე ან სიბინძურეში. ჰოი, ეს წუმპე! ჰოი, რა ბინძური წუმპიდან ამოვართიე მაშინ! ნუთუ არ უნდა გაეგო, არ უნდა დაეფასებინა ჩემი სიკეთე! ბევრი

რამ მანიჭებდა მაშინ სიამოვნებას, ისიც, რომ ორმოცდაერთის ვიყავი, ის კი თექვსმეტის. ეს ერთობ მომწონდა, მატკობდა იმის შერძინება, რომ განსხვავება ასე დიდი იყო.

მაგალითად, მინდოდა ქორწილი ინგლისურ ყაიდაზე მომეწყო, მაშასადამე, მართო ჩვენ ვყოფილიყავით, მოწმე კი მხოლოდ ორი, იქიდან ერთი ლუკერია. მერე კი, ჰაიდა! მატარებლით გავემზავრებოდი თუნდაც მოსკოვს (სწორედ იქ საქმეც მქონდა), ერთი-ორი კვირა სასტუმროში დავყოფდი. მაგრამ არა და არ ქნა, ვერა და ვერ დავითანხმე. იძულებული გავხდი, მამიდებს ვხლებოდი, ვითარცა ნათესავებს, და პატივი მიმიგო მათთვის, ვაჩუქე კიდევ ას-ასი მანეთი იმ წუნკლებს და კიდევ აღვუთქვი დახმარება. მისთვის კი აღარ მითქვამს, გული არ ატკინოს-მეთქი ამ სიბინძურემ. მამიდებიც ხელად დამიტკბნენ. ლაპარაკი გვქონდა მზითვზეც. არაფერი გააჩნდა და არც არაფერს ითხოვდა. მაგრამ დავუმტკიცე, არც ვერე ცარიელტარიელი შეიძლება-მეთქი, და მევე გაუაშხითვე, სხვა აბა ვინ დაეხმარებოდა? თუცა ჯანდაბას ჩემი თავი. ეს კია, მოვასწარი და ჩემს აზრებს ვაზიარე, იქნებ არ უნდა მეჩქარა. სულით და გულით მომენლო მაშინ, აღტაცებით მხვდებოდა სადამოობით, მეტიტინებოდა თავის პატარაობაზე, ოჯახზე, დედ-მამაზე. ჰოი, რა მომხიბლავია უმანკო ტიტინი. მაგრამ მის აღტაცებას უმაღლცივი წყალი გადაუსხი. მის აღტაცებას სიჩუმე მივაგებე, თუცა მოწყალე სიჩუმე კი... ისიც მაშინვე მიხვდა, რომ ჩვენ სხვადასხვანი ვართ, რომ კაცი ადვილად ვერ გამომიცნობს. მეც სწორედ ეს მეწადა, სწორედ ეს იყო ჩემი მიზანი! გამოცანად რომ მივეჩნიე, ალბათ იმიტომ მოვიქეცი ასე ბრიყვულად. ერთი რომ თავიდანვე, შინ მოყვანისთანავე გამოვიჩინე სიმკაცრე, ერთი სიტყვით, მთელი სისტემა შევქმენი, კმაყოფილი კი ვიყავი. თავისთავად მოხდა ასე. სხვანაირად არც იქნებოდა. უნდა შეემქმნა ეს სისტემა, საქმის ვითარება იყო ისეთი. მართლა და მართლა რა ცილს ვწამებ ჩემს თავს! სისტემა ხომ უტყუარი იყო. არა, არა, უნდა

მომისმინოთ. როცა ადამიანს ასამართლებ, უნდა იცოდეს კიდევ, რა იყო და როგორ იყო... მაშ, მომისმინეთ!

აღარ ვიცი, საიდან ან როგორ დავიწყო, ძალიან მიჭირს. ძნელი ყოფილა თავის მართლება. ყმაწვილკაცობას, მაგალითად, ფული სძაგს, — მეც მაშინვე ფულს მივეძაღე. მივეძაღე ისერიგად, რომ მისმენდა, მისმენდა ხოლმე თვალგაფართოებული და მერე ხმას გაიკმენდა, დადუმდებოდა. ახალგაზრდობა სულგრძელია, მე კარგ ახალგაზრდობაზე მოგახსენებთ, სულგრძელია და ამასთან ფიცხი, მოუთმენელი. ცოტა თუ შეგეძალა — უძალ ზიზღით შემოგაქცევს ზურგს. მე კი სხვა რამ მქნადა, დიდი გრძობით და გულთ მსურდა შეეხედა, ჩასწვდომოდა ყველაფერს. განა ვტყუორდი? აი, თუნდაც ეს პატარა მაგალითი ავიღოთ აბა როგორ ამეხსნა მისნაირი ხასიათის პატრონისთვის ეს უხამსი სესხის საღარო? პირდაპირ მეთქვა, ხომ გამოვიდოდა, თითქოს მრცხვენია მევახშეობის. მე კი, ასე ვთქვათ, სიამაყე მოვიშველიე, თითქოს ძღუემარედ ველაპარაკე. ძღუემარე ლაპარაკში კი ბადალი არ მყავს, ჩემი სიცოცხლე ძღუემარე ლაპარაკში გაგლიე და მთელი ბედნავსობა ძღუემარედ გადავიტანე. მეც ხომ უბედური ვიყავი! მეც ხომ ყველამ გამრიყა, გამრიყა და დამივიწყა, კაციშვილმა არაფერი იცის! ხოლო ამ თექვსმეტი წლის გოგომ უნამუსო ხალხისგან გაიგო და ეგონა, ყველაფერი ვიცო, მაშინ როცა ჭეშმარიტება ჩემს გულში იყო ჩამარხული! მე კი ვღუძდი, მეტადრე მასთან ვღუძდი, წუხანდლამდე ვღუძდი. მაგრამ რად ვღუძდი? ვინაიდან ამაყი ვიყავი, მინდოდა თვითონ გაეგო, უჩემოდ, მაგრამ არა უნამუსო ხალხისგან, თავისით მიმხვდარიყო მართალს ჩემზე და თავისით ჩასწვდომოდა ჩემს გულს! ჩემს ოჯახში რომ შემოვიყვანე, მსურდა სულითა და გულთ პატივი ეცა ჩემთვის. მსურდა დაჩოქილი ძღვარიყო ჩემ წინ იმ ტანჯვის გამო, რაც გამოვიარე, — მე ღირსი ვიყავი ამის, დიახ, მუდამ ამაყი ვიყავი, მქნადა ან ყველაფერი, ან არაფერი. არ მინდოდა წყალნარევი ბედნიერება და სწორედ ამიტომ მოვიქეცი მაშინ ასე: „აქაოდა, თვითონ მიხვდი, თვითონ დააფასე-მეთქი!“ აბა მე

თვითონ რომ ამეხსნა და მეკარნახა, კუდი მექნია და დაფასება მეთხოვა — ეს ხომ იგივე მოწყალების თხოვნა იქნებოდა... თუმცა... თუმცა რას ვლაპარაკობ!

სიბრიყვე, სიბრიყვე, ჩემი სიბრიყვე! პირდაპირ და დაუნდობლად (დიახ, დაუნდობლად-მეთქი, ხაზს ვუსვამ) აუუხსენი მაშინ ორიოდე სიტყვით, რომ ახალგაზრდობის სულგრძელობა კაი რამაა — მაგრამ კაპიკად ფასობს. რატომ? იმიტომ, რომ მუქთად მოსდის, იმიტომ, რომ უშრომლად მოსდის, ასე ვთქვათ, „ყოფიერების ეს პირველი შთაბეჭდილებანი“. აბა ერთი იშრომონ და მერე ნახონ! იაფფასიანი სულგრძელობა მუდამ იოლია, სიცოცხლის განწირვაც კი არაფრად გიღირს, როცა სისხლი გიდულს და ძალა მოგჭარბებია. სილამაზეს დახარბებიხარ! თუ ბიჭი ხარ, ისეთ სულგრძელობაზე გამოიდე თავი, ძნელი რომაა, არაუინ რომ არ გაიგებს, არავის რომ არ ეცოდინება, არავის თვალში არ მოხვდება, მსხვერპლსაც ბლომად გაიღებ, მაგრამ ცილს იქით დაგწამებენ, დიდების ნატამალს კი ვერ იგემებ. როცა კაცს, სპეტაკს და უხადოს, არამზადად მოგნათლავენ, თუმცა პატიოსნებით ყველას სჯობიხარ — აბა მაშინ გამოიდე თავი. არა, ბატონო, უარს იტყვი! მე კი ჩემი სიცოცხლე სხვა არაფერი მიკეთებია. ჯერ მეკამათებოდა, ჰოი, როგორ მეკამათებოდა, მერე ხმა გაიკმინდა, კრინტსაც აღარ სძრავდა, ოღონდაც თვალეზგაფართოებული მისმენდა, თვალეზში კი დაკვირვება ეხატებოდა. უცებ... უცებ კი ღიმილი დაუიჭირე მისი, უნდო, უსიამო ღიმილი. აი, ამ ღიმილით შემოვიყვანე სახლში. ესეც კია, სხვა გზა არ ჰქონდა...

IV

გეგმები და გეგმები

ვინ დაიწყო ჩვენში პირველმა? არაუინ. თავისთავად დაიწყო პირველივე დღეებში. აკი ვთქვი, იმთავითვე სიმკაცრე გამოვი-

ჩინე-მეთქი, მაგრამ მალე მოვლბი. ქორწინებამდე ვუთხარი, გირაო შენ უნდა ჩაიბარო და ფულიც შენ უნდა გასცე-მეთქი. მაშინ სიტყვა არ დასძრა (ესეც ინიშნეთ). პირიქით, მუყაითადაც შეუდგა საქმეს. ბინა, ავეჯი, ცხადია, ძველებურად დარჩა. ორიდან ერთი ოთახი გადაღობილი იყო და სესხის სალარო იქ მქონდა, მეორე კი, ისიც დიდი ოთახი, საძინებელი იყო. ავეჯის რა მოგახსენოთ, მაძიდებსაც კი, მგონი, უკეთესი ედგათ. სახატე და კანდელი დარბაზში იყო, ჩემს ოთახში ჩემი კარადა, წიგნები და სკიფრი იდგა, მისი გასაღები მე მქონდა. ლოგინიც იქვე იყო, კიდევ მაგიდა და სკამები. ქორწინებამდე ვუთხარი, რომ საჭმელზე სამივეს ე.ი. მე, მას და ლუკერიას, რომელიც ჩვენთან გადმოვიყვანე, დღეში მანეთი უნდა გვეყოს, მეტი არა: „იმიტომ რომ სამ წელიწადში ოცდაათი ათასი უნდა დაგაგროვო, სხვანაირად კი არ დაგროვდება-მეთქი“. წინააღმდეგი არ წასულა, ექვსი შაური მერე მე თვითონ წაუშატე, ასევე იყო თეატრზეც. ხომ ვუთხარი, თეატრებში სიარულის იმედი არ გქონდეს-მეთქი, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც მიმყავდა, კარგად გილესაც ვყიდულობდი, წინა რიგების საჯარძლებში. სამჯერ ვიყავით კიდევ, ვნახეთ „ბედნიერების ძიებაში“ და, მგონი, „ჩიტნი მგალობელი“. უბრად მივდიოდით და უბრადვე ვბრუნდებოდით. რად ვლუმდით იმთავითვე? მაშინ ხომ არ გვიჩხუბია, მხოლოდ ვლუმდით. მახსოვს, ხშირად შემომხედავდა ქურდულად. ეს რომ შევამჩნიე, უფრო სიტყვაძუნწი გავხდი. მართალია, პირველმა მე ვარჩიე დუმილი. თვითონ ერთი ორჯერ აჰყვა გულისთქმას, მომვარდა და გადამეხვია, მაგრამ ეს ისტერიული გულისთქმა იყო, მე კი მყარი ბედნიერება, პატივისცემა მსურდა, ამიტომაც გულცივად დახვდით, არ ავეყვი. მართალიც ვიყავი, ყოველი ასეთი ამბის მეორე დღეს ჩხუბი მოგვდიოდა.

თუმცა არა, არ გვიჩხუბია, ვლუმდით. იგი უფრო და უფრო თავხედურად, გამომწვევად იყურებოდა. „ურჩობა და დამოუკიდებლობა“ — აი, რა ეწერა სახეზე, მაგრამ არ გამოსდიოდა. დიახ,

ამ თვინიერ, ამ სათნო სახეს სითავზედ სულ უფრო და უფრო ეძალებოდა. დამიჯერებთ, თანდათან კიდევ მიზიზღებდა, ამის ნიშნები შესწავლილი მქონდა. ეჭვგარეშეა, წონასწორობას ჰკარგავდა. განა შეიძლებოდა, მაგალითად, ისეთ სიბინძურესა და სილატაკეში ნაცხოვრებს ცხვირი აებზუებინა ჩვენს სიღარიბეზე! ეს ხომ მომჭირნეობა იყო და არა სიღარიბე. თუთრეულსა და სისუფთავეს რაც შეეხება, იმაზე ხომ ფულს არ ვიშურებდი. ადრეც ოცნებად მქონდა, ქმრის სიფაქიზე ცოლს უთუოდ მოხიბლავს-მეთქი. თუმცა მას ხომ სიღარიბეზე უფრო მეტად ჩემი ვითომდა სიძუნწე არ მოსწონდა: „აქაოდა, მიზანი აქვსო, ხასიათის სიმტკიცეს იჩენს“. თუატრზე თვითონვე გამომიცხადა უარი. დამცი-ნავი ღიმილიც უფრო და უფრო მაღიმაღ გადაურბენდა სახეზე... მეც უფრო ხშირად ვდუმიდი, დიახ, დიახ, დუმილი უფრო გავახშირე.

მაშ, თავი უნდა ვიმართლო? განა ყველაფრის მიზეზი აქ სესხის საღარო არ იყო! სად გაგონილა, ქალი, და ისიც თუ-ქვსმეტი წლის, მამაკაცს არ დაემორჩილოს. ქალს ხომ ორიგინალობის ნატამალი არ გააჩნია, ეს ხომ აქსიომა გახლავთ, ეს ხომ ჩემთვის დღესაც აქსიომაა! მერე რა, რომ დარბაზში ასვენია: ჭეშმარიტება მუდამ ჭეშმარიტებად რჩება, ხოლო მოსიყვარულე ქალი საყვარელი კაცის ნაკლსაც, საყვარელი კაცის სიაკაცესაც გააღმერთებს. თვითონ ვერ მოუნახავს თავის სიაკაცეს ისეთ გამართლებას, როგორსაც ქალი გამოუძებნის. მაგრამ ეს სულგრძელობაა და არა ორიგინალობა. ამ არაორიგინალობამ დაღუპა კიდევ ქალი. მაშ, რაღად მითითებთ მაგიდაზე? განა ეს ორიგინალობაა, რაც იქ დევს? ვაიმე, ვაიმე!

გამიგონეთ: მის სიყვარულში მაშინ არც კი დაუეჭვებულ-ვარ. ხომ მეხვეოდა მაშინაც კისერზე, მაშასადამე, ვუყვარდი — უნდოდა ვყვარებოდი. დიახ, ასე იყო: უნდოდა სიყვარული, ეძებდა სიყვარულს. თან რა ისეთი აკაკი ვიყავი, გამართლება ეძია ჩემთვის. ამბობთ, გირაოზე აძლევდიო სესხს, ყველა ასე ამბობს.

მერე რა, რომ ვაძლევდი? ალბათ იყო მიზეზი, თუკი უკეთილშობილესმა კაცმა სესხის სალარო გაუხსენი. იცით, ბატონებო, ზოგი იდეა ხმადაღწეული იქნა, სიტყვად თუ იქცა, ისეთ სისულელედ მოგეჩვენება, შენვე შეგერცხვება. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ ყველანი საძაგლები ვართ და სიმართლე ვერ აგვიტანია. სხვა მიზეზი მე არ ვიცი. „უკეთილშობილესი კაცი-მეთქი“, ვთქვი ეს წუთია. ხომ სასაცილოა, მაგრამ მართლა ასე იყო, მეტი მართლა რომ არ შეიძლება! დიახ, უფლება მქონდა ჩემი თავი უზრუნველმყოფო და სესხის სალაროც გამეხსნა! “თქვენ მე გამრიყვით, ადამიანებო, უხმოდ, ზიზღით გამაგდეთ, ჩემს სიფიცხეს შეურაცხყოფა მიაგებეთ. მაშასადამე, უფლება მაქვს კედელი აღვმართო ჩემ და თქვენ შორის, შევაგროვო ეს ოცდაათი ათასი მანეთი, სადმე ყირიმში, სამხრეთ ზღვის პირას, მთებისა და ვენახების მხარეში ვიყიდო მამული ამ ფულით, იქ გავლიო ჩემი დღენი თქვენგან მოშორებით, თუმცა ღვარძლის გარეშე, საყვარელი ქალის გვერდით, თუ მომცა ღმერთმა, და დავხმარო ახლომახლო მცხოვრებთ“.

ახლა რომ ვამბობ ამას, რა თქმა უნდა, ყურისთვის ლამაზად ჟღერს, მაგრამ აბა ერთი მისთვის მეთქვა და დამეხატა მაშინ ეს სურათი, განა სულელი არ ვიქნებოდი. აი, ამიტომ ვდუმდი ამაყად, ამიტომ ვიყავით მღუპარედ. განა გამიგებდა? თექვსმეტი წლის ქალს, სულ ბავშვს, აბა რა უნდა გაეგო ჩემი ტანჯვის და თავის მართლების? თანაც მისი პირდაპირობა, მისი გამოუცდელობა, სიყმაწვილის იაფფასიანი შეხედულებანი, „სპეტაკი სულის“ სიბრძავე, თავიდათავი სესხის სალარო (განა მე ყაჩაღი ვიყავი, განა თვითონ არ იყო მოწმე, ზედმეტი რომ არაუვისთვის წამირთმევია?! ვაჰმე, რომ სიმართლეზე საშინელი ამქვეყნად არაფერი ყოფილა! ეს თვინიერი, ეს ციური ქმნილება — მტარვალი და მწამებელი გახდა ჩემი სულისთვის! თუ ეს არ ვთქვი, ხომ ცილი დავწამე ჩემს თავს! იქნებ გგონიათ, არ მიყვარდა? არა, ეს მხოლოდ დაცინვა, მხოლოდ და მხოლოდ ბედის

და ბუნების ავი დაცინვა გახლავთ. ჩვენ დაწყველილები ვართ, ადამიანის ცხოვრება დაწყველილია აწ და მარადის! ხომ ვიცი ახლა, რომ რაღაც შექმეშალა! რაღაც ისე ვერ გავაკეთე! მაგრამ ყველაფერი ხომ ცხადი იყო, ჩემი გეგმა ხომ სარკესავით ნათელი იყო: „გოროზი, ამაყი, ნუგეშსა და ნამუსის მოწმენდას არავის სთხოვს, უსიტყვოდ იტანჯება“. ასე იყო მართლა, არა ვტყუოდი, არა ვტყუოდი! „მერე დარწმუნდება, რომ ეს სულგრძელობა იყო, ოღონდ თვითონ ვერ შეამჩნია — მერე მიხვდება, ათჯერ მეტად დამაფასებს და ფეხებში ჩამივარდება მუდართით“. აი, ბატონო, ჩემი გეგმა. მაგრამ, ეტყობა, რაღაც გამოძრჩა, რაღაც დამავიწყდა და ვერ გავაკეთე. თუმცა კმარა. ან ვის ვთხოვო პატიება, მორჩა, ყველაფერი მორჩა. ნუ შეშინდება, ადამიანო, იყავი ამაყი! შენ არ ხარ დამნაშავე!..

დიახ, მე ვიტყვი სიმართლეს, არ მეშინია სიმართლეს თვალი გავუსწორო. დამნაშავე თვითონ იგია!

V

აპროსი

რა იყო ჩხუბის მიზეზი? ის, რომ უცბად თავის ჭკუაზე მოინდომა ფულის გაცემა და გირაოს ღირებულზე მეტად შეფასება. ერთი-ორჯერ შემეკამათა კიდევ ამის გამო. მე არ დავუთმე. სწორედ მაშინ გამოტყვერა კაპიტნის ქეროვიც. მედალიონი მომიტანა, ცხონებული ქმრის ნაჩუქარი, ცხადია, მისთვის ძვირფასი. ოცდაათი მანეთი მივეცი. შემევედრა და შემეხვეწა, არ დამიკარგოთ მედალიონიო. რა თქმა უნდა, არც დაგკარგავდი. ვნახოთ, ხუთი დღის შემდეგ სამაჯური მოიტანა, ამაში გამიცვალეო. სამაჯური კი რვა მანეთიც არ ღირდა. ცხადია, უარი ვუთხარი, ეტყობა, ჩემს ცოლს რაღაც შეატყო თვალებზე, ვინაიდან ჩემს არყოფნაში მოსულიყო და ცოლს მედალიონში გაეცვალა.

ეს რომ გავიგე, მშვიდად, მაგრამ მტკიცედ ვუთხარი, რასაც ვეუქრობდი. ლოგინზე იჯდა, იატაკს ჩასჩერებოდა, მარჯვენა ფეხის წვერს ნოხზე ათამაშებდა (ასე იცოდა ხოლმე); პირზე ამრეხილი ღიმილი უკრთოდა. ხმის აუმაღლებლად განუცხადე, რომ ფული ჩემია, რომ ნება მაქვს ჩემებურად ვუყურო ცხოვრებას და არც მისთვის დამიძალავს რამე, როცა ოჯახში შემოვიყვანე.

წამომიხტა უცებ, აცახცახდა და, წარმოიდგინეთ, ფეხები დამიბაკუნა. ეს იყო ქალი აფთარი, ქალი, მხეცად ქცეული. გოცებისგან გავშემდი კაცი. ასეთ საქციელს არ მოგელოდი. მაგრამ არ შევკრთი, არც დავიბენი. ასევე ღინჯად მოუახსენე, ამიერიდან ჩემს საქმეში ჩარევას გიკრძალავ-მეთქი. პირში შემომხარხარა და შინიდან წავიდა.

ამის უფლება კი არ ჰქონდა. ჯერ კიდევ ჯვრისწერამდე დავდეთ პირობა, რომ უჩემოდ ფეხს არსად გადგამდა. საღამო ხანს დაბრუნდა მხოლოდ, კრინტი არ დამიძრავს.

მეორე დღეს ისევ წავიდა დილიდანვე. მესამე დღესაც. დაგკეტე საღარო და მაშიდებს მივაკითხე. ქორწინების დღიდან მათთან საქმე არა მქონია — არც ჩემთან მომიყვანია და არც მათ ვწვევივარ. თურმე არც იმათთან მისულა. ცნობისმოყვარედ მოისმინეს ყველაფერი და დამცინეს კიდევ: „ახია თქვენზე“. ეგრეც ვიცოდი, რომ დამცინებდნენ. იქვე შევპირდი ასი მანეთი გაუთხოვარ უმცროს მაშიდას და ოცდახუთი წინდაწინ მივეცი. ორი დღის შემდეგ მომადგა შინ: „აქ თქვენი ყოფილი პოლკის ოფიცერი ეფიმოვიჩია ჩარეული“. სახტად დაერჩი. ყველაზე მეტი ბოროტება იმ ეფიმოვიჩმა მიყო პოლკში. ამ ერთი თვის წინ უნამუსოდ მომაკითხა ერთი-ორჯერ, ვითომც რაღაცის დაგირავება უნდოდა. მახსოვს, ის და ჩემი ცოლი ლაპარაკობდნენ და რაღაცაზე იცინოდნენ. ავდექი და მაშინვე მივახალე, ჩემთან მოსვლა ადარ გაბედო, ჩვენი დამოკიდებულება არ დაივიწყო-მეთქი. სხვა რამ თაგში არც გამივლია, მხოლოდ ეს ვიფიქრე, რა თაგხედი ყოფი-

ლა-მეთქი. ახლა კი მისი მამიდა მეუბნება, პაემანი აქვთ დანიშნულიო. ყველაფრის მომწყობი კი თურმე მამიდების ყოფილი ნაცნობი იულია სამსონოვნა ბრძანებულა, პოლკოვნიკის ქვრივი — თქვენი მეუღლე ახლა იმასთან დაბრძანდებაო.

ამ ამბავს აღარ გაეგარძელებ. მთელი საქმე სულ ოცდაათი თემანი დაჯდა, მაგრამ ორ დღეში კი მოვაგვარე. მე მეზობელ ოთახში დამძალავდნენ, კარს უკან და ჩემი ცოლის პაემანს ეფი-მოვიჩთან ჩემი ყურით მოვისმენდი. ერთი დღით ადრე კი ჩემთვის ფრიალ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა.

შინ საღამოს დაბრუნდა და ლოგინზე ჩამოჯდა, დაცინვით შემომაცქერდა, ფეხს ხალიჩაზე ათამაშებდა. შეეხვე და ანაზღად თავში გამიელვა: ეს ბოლო თვე, უფრო სწორად, უკანასკნელი ორი კვირა თავის ჭკუაზე არ უნდა იყოს, ასე ვთქვათ, თავისივე ბუნების წინააღმდეგ იქცევა-მეთქი. ეს გახლდათ ქალი გაანჩხლებული, შეტყევაზე გადმოსული, ვერ ვიტყვი, ურცხვი, მაგრამ ზომიერებადაკარგული და მოჩხუბარი. ეს კია, მისივე თვინიერება უშლიდა ხელს. ამისთანა რომ გაანჩხლდება, გინდაც წონასწორობა დაკარგოს, მაინც შეატყობ, რომ თავისივე ბუნების წინააღმდეგ მიდის, თვითონ იღიზიანებს თავს, მაგრამ სირცხვილ-ნამუსისთვის ვერ გადაუბიჯებია. ამიტომაც, როცა ზომიერებას კარგავს, შენს თვალს აღარ უჯერებ. გათახსირებული ბუნება კი, პირიქით, შეეცდება შეარბილოს ყველაფერი, წესიერება დაიცვას და იქით მოგდოს მარი, თუმცა უფრო საზიზღარს კი ჩაიდენს.

— მართალია, რომ დუელის შეგეშინდათ და იმიტომ გამოგადგეს პოლკიდან? — მკითხა ჯიქურ და თვალები გაკვესა.

— მართალია, ოფიცრების განაჩენით მთხოვეს პოლკიდან წასვლა, თუმცა მანამდე თვითონვე შევიტანე განცხადება, პოლკს თავს ვანებებ-მეთქი.

— გამოგადგეს, როგორც ლაჩარი?

— დიახ, განაჩენი ლაჩრობისთვის გამომიტანეს. მაგრამ

დუელზე ლაჩრობამ არ მათქმევინა უარი, თვითონ არ დაფაბ-
ულდი მათ სასტიკ განაჩენს და დუელზე უარი ვთქვი, ვინაიდან
შეურაცხყოფილად არ მიმაჩნდა თავი. ისიც შენიშნეთ, — წამომ-
ცდა ანაზღად, — მათი განაჩენის წინააღმდეგ ამხედრება და ამის
შედეგად ყველა უბედურების გადატანა უფრო მეტი ვაჟკაცობა
იყო, ვიდრე დუელში გასვლა. — ვერ მოვითმინე, თითქოს თავი
ვიმართლე, იმას კი სწორედ ჩემი ხელაზლა დამცირება უნდოდა.

— ისიც მართალია, — ჩაიცინა ღვარძლიანად, — რომ მერე
სამი წელი თურმე პეტერბურგის ქუჩებში მათხოვრობდით, სამოწ-
ყალოდ შაურიანს იხვეწებოდით და ბილიარდის მაგიდებქვეშ
გეძინათ?

— დიახ, მართალი გახლავთ, პოლკიდან წამოსვლის შემ-
დეგ ბევრი სამარცხვინო ამბავი გადამხდა, მაგრამ სულიერად
არ დავეცემულვარ, რამეთუ თვითონ მძაგდა ჩემი საქციელი. მა-
შინ ძალამ და ჭკუამ მიღალატა, რამეთუ სხვა გამოსავალი არ
მქონდა, საბედნიეროდ ამ ყველაფერმა ჩაიარა...

— ჰო, ახლა ფინანსისტი ბრძანდებით!

ანუ სესხის სალაროზე ჩამიკაკუნა. მაგრამ მე უკვე მოვერ-
იე ჩემს გულს. შევატყვე, სურდა თავის მართლება დამეწყო და
დავემცირებინე, მე კი არ ავეყვი. ამ დროს ზარი დარეკეს, გირაო
მოიტანა ვიღაცამ, და დარბაზში გავედი. ერთი საათის შემდეგ,
როცა ჩაიცვა და წასვლა დააპირა, ასე მითხრა:

— ქორწინებამდე რად არ მითხარით ეს ყველაფერი?

ხმა არ ამომიღია, ისე წავიდა.

მაშასადამე, მეორე დღეს კართან ვიდექი და ვუსმენდი,
როგორ წყდებოდა ჩემი ბედი. ჯიბეში რევოლვერი მელა. გამოწ-
ყობილი მაგიდას უჯდა, ეფიმოვიჩი კი წინ ედგა და თავს აწონებ-
და, ყოყლოწინობდა. ჰოდა, ისეც მოხდა, როგორც ველოდი (ჩემ-
და საქებრად ვამბობ), სწორედ ისე, როგორც მეგონა და გული
მიგრძნობდა, თუცა ვერ ვაცნობიერებდი, გული რას მითქვამდა
და მეუბნებოდა. არ ვიცვი, გამიგებთ თუ არა.

ღიან, მთელი ერთი საათი კონტაპრუწა, გათანსირებულ, უჭკუო ნადირალასთან სპეტაკი და კეთილშობილი სულის პაექრობის მოწმე გახლდით. გაცეხას ვიყავი, ამ გამოუცდელმა, ამ თვინიერმა და უტყვემა ქმნილებამ საიდან იცის-მეთქი ეს ყველაფერი? ჭკუამახვილი ავტორიც კი მაღალი წრის კომედებისა ვერ შექმნიდა მისთანა სცენას, დაცინვით, გულუბრყვილო სიცილითა და ბიწიერებისადმი უბიწო ზიზლით აღსაესეს. რა მოსწრებული სიტყვა-პასუხი, როგორი განქიქება, ამავე დროს კი სიწრფელე და კდემამოსილებაა. იგი დანცინოდა მის საარშიყო სიტყვეებს, მის მიმოხრას, მის ყოველ ნათქვამს. იმ ზრახვით მოსულს, რომ ხელდახელ ტლანქად მიეტანა იერიში, აზრად როგორ მოუვიდოდა, თუ წინააღმდეგობას გაუწევდნენ და ამიტომაც გაშრა, დაიწუტა კაცი. პირველად შეიძლება გეფიქრა, მხოლოდ კეკლუცობს და იპრანჭება, „როგორც გარყვნილ, მაგრამ ჭკუამახვილ ქმნილებას მოსდგამს, რომელსაც უნდა თავი უფრო დაიფასოს“. მაგრამ სიმართლე მზისებრ გამობრწყინდა, ეჭვს ვედარ შეიტანდი. მხოლოდ ჩემდამი სიძულვილმა, ნაძალადევა და ნაჩქარევა გადაწყვეტილებამ, აიძულა მისთანა გამოუცდელი ამ პაემანზე მოსულიყო. ოღონდ საქმე საქმეზე რომ მიდგა, — უმაღ აეხილა თვალი. იმას უნდოდა ჩემი შერცხვენა, თავის მოჭრა, მაგრამ სიბინძურე ვერ აიტანა, ჭუჭყს ვერ გაუძლო. მისებრ უბიწოსა და სპეტაკი იდეალების პატრონს განა ეფიძოვიჩი თუ მისნაირი ნადირალა ვაჟ-ბატონები აცდუნებდნენ? პირიქით, მხოლოდ სიცილი აღუძრა, მთელი სიმართლე ამოუდულა გულის სიღრმიდან და აღშფოთებამ მხოლოდ სარკაზმი დააფრქვევინა. ვიმეორებ, ეს ტუტუცი ბოლოს ისე გამოთავყანდა, ისე მოქუშული იჯდა და პასუხებს ისე ძალისძალად ღერღავდა, კიდევ შემეშინდა, აქ სულმდაბლობით არ შეურაცხყო-მეთქი. ისევ ვიმეორებ, ჩემდა სასახელოდ ამ სცენამ თითქმის არც გამაოცა. თითქოს ჩემთვის ნაცნობი რამ ვიხილე, თითქოს იმიტომ მოვდიოდი, რომ ეს მენახა. მოვდიოდი და არ მჯეროდა, არ

მჯეროდა, არა ცილისწამება, თუმცა რევოლვერი მელო ჯიბეში — აი, თუ გნებავთ მთელი სიმართლე! განა სხვას კი წარმოიდგენდი? განა რატომ მიყვარდა, რად ვაფასებდი, რისთვის ვითხოვე ცოლად? თუ როგორ ვძულდი, მაშინ დაურწმუნდი, მაგრამ ისიც ვიწამე, რამდენად სპეტაკი იყო. კარი უცბად შევალე და ეს სცენა შევწყვიტე. ეფიმოვიჩი წამოხტა, მე კი მოკვიდე იმას ხელი და, წამოდი-მეთქი, ვუთხარი. ეფიმოვიჩი გონს მოგო და უცებ ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ოჰო, ცოლქმრობის წმიდათაწმიდა მოვალეობასთან რა ხელი მაქვს! კი, ბატონო, წაიყვანეთ, წაიყვანეთ! მაგრამ ამას კი გეტყვით, — მომადახა უკან, — თუმცა რიგიანი კაცი თქვენთან დუელში არ გამოვა, მაგრამ თქვენი ცოლის ხათრით მიმსახურეთ... თუ, რასაკვირველია, გაბედავთ და...

— ხომ გესმით! — შევაჩერე წამით იგი ზღურბლზე.

სახლამდე ხმა არ ამოგვიღია. ხელკავით მიმყავდა და არც ის გამძალიანებია, პირიქით, მეტისმეტად იყო შემკრთალი, ოღონდაც მხოლოდ შინ მისვლამდე. შინ მოვედით თუ არა, სკამზე დაჯდა და თვალები მომაშტერა. ადამიანის ფერი არ ედო. მართალია, ტუჩები დაცინვით მოეკუმა, მაგრამ გოროზად კი მიეყრებდა და თვითონაც სჯერდა, მგონი, იმ წუთს, ტყვიას მახლისო. მაგრამ რევოლვერი უხმოდ ამოვიდე ჯიბიდან და მაგიდაზე დავდე. ის ხან მე შემომხედავდა და ხან რევოლვერს (არ დაივიწყოთ, ეს რევოლვერი ბევრჯერ ენახა. სალარო რომ გავხსენი, მაშინ ვიყიდე და დავტენე. გადავწყვიტე, არც ქოფაკები მყოლოდა დარაჯად და არც ზორბა ლაქია მოხერის დარად. ჩემს მუშტრებს მზარეული ქალი უღებს ხოლმე კარს. მაგრამ ჩვენი ხელობის ხალხი თავის დაცვაზე მთლად ვერ იტყვის უარს, რა იცი, რა მოხდება. ამიტომ ისევ რევოლვერი ვარჩიე. ჰოდა, შინ როცა მოვიყვანე, პირველ დღეებში სულ მეკითხებოდა ამ რევოლვერზე და მეც აუუხსენი, როგორ უნდა ეხმარა იგი, ერთხელ კიდევ ვასროლინე მიზანში (ესეც დაიმ-

ახსოვრეთ). ყურადღება არ მივაქციე მის შემინებულ იერს და თითქმის ჩაცმული მივწექი ლოგინზე. ქანცი აღარ მქონდა, თერთმეტს აღარაფერი უკლდა, მგონი. დიდხანს, თითქმის ერთი საათი იჯდა ასე უძრავად, მერე ჩააქრო სინათლე და ჩაცმული მიწვა დივანზე. პირველი შემთხვევა იყო, გვერდით რომ არ დამიწვა!..

VI

საზარელი მოგონება

ახლაც კი მზარავს იმ ამბის მოგონება...

რვა საათი იქნებოდა, რომ გამეღვიძა. ოთახში თითქმის დღის სინათლე იყო. გამეღვიძა სრულ გონებაზე და უცებ გავახილე თვალი. იგი მაგიდასთან იდგა და რევოლვერი ეკავა. არ შეუშინევი, რომ მეღვიძა და ვუთვალთვალე. ერთიც ვნახოთ, ჩემკენ დაიდრა რევოლვერით. მყისვე დაგხუჭე თვალი, ვითომ ისევ მეძინა.

მოვიდა და თავზე დამადგა. ყველაფერი მესმოდა. სამარისებური სიჩუმე იდგა და მაინც თითქოს ყველაფერი მესმოდა. უცებ რაღაცამ მომიარა, ჩემდა უნებურად გავახილე თვალი. იგი ჯიქურ მიეყურებდა, რევოლვერი კი უკვე ჩემს საფეთქელთან მოეტანა. ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. წამიც და თავს ძალა დაგატანე, ისევ დაგხუჭე თვალები. გადავწყვიტე, რაც უნდა მომხდარიყო, არ გავნძრეულიყავი და თვალი არ გამეხილა.

ხომ მომხდარა, ღრმად მძინარეს რომ უეცრად გაუხელია თვალი, თავიც კი წამოუწვევია და მოუთვალეირებია ოთახი. მერე კი უაზროდ ისევ მიგდებულა ბალიშზე და დასძინებია. აღარც ახსოვს, რას შეხედა და რა დაინახა.

როცა მის მზერას წავაწყდი და რევოლვერი ვიგრძენი

საფეთქელთან, მერე კი თვალები დაეხუჭე და თავი მოვიძინარე, დიანაც უნდა ჰკონებოდა, რომ მართლა მეძინა და არაფერი დამინახავს. განა ვინ დაიჯერებდა, რომ ამის დამნახველს იმავე წამს შეიძლება დამეხუჭა თვალები.

დიახ, არაფერს დაიჯერებდა. მაგრამ თვითონ კი უნდა მიმხვდარიყო სიმართლეს — აი, რამ გამიელვა იმ წამს თავში. ჰოი, ფიქრების რა კორიანტელი დამიტრიალდა იმ წამზე უმცირეს დროში! დაილოცოს ადამიანის ფიქრის სისწრაფე! თუ იგი მიხვდა, რომ არ მძინავს (გაუფიქრე), მაშასადამე, გავნადგურე, მოუსპე იგი, რაკი სიკვდილს ასე შზადყოფნით შევეგებე, მაშასადამე, ხელი უნდა აუკანკალდე, მისი სიმტკიცე უნდა გასტეხოს ამ დიდმა შთაბეჭდილებამ. ამბობენ, მწვერვალზე მდგართ ძალიან იზიდავთ უფსკრულიო. მე თუ მკითხავთ, ბევრი მკვლელობა თუ თვითმკვლელობა არ მოხდებოდა, რევოლვერი რომ არ ყოფილიყო მომარჯვებული. ესეც უფსკრული გახლავთ, ესეც დაქანებაა, რაზეც არ შეგიძლია არ დაცურდე, რაღაც უძლეველმა ძალამ არ შეიძლება არ გიბიძგოს, რომ ჩახმასხს გამოჰკრა თითი. მაგრამ თუ იგრძნო, რომ ყველაფერი დავინახე, ყველაფერი ვიცი და უხმოდ ველი მისგან სიკვდილს, იქნებ შეიკავოს თავი და არ დაცურდეს.

სიჩუმემ დიდხანს გასტანა. უცებ საფეთქელზე ცივად მომედო რკინა. იქნებ მკითხოთ: განა მართლა გჯეროდა, არ მოგკლაუდაო? ღვთის წინაშე გეტყვით: გადარჩენის იმედი არ მქონდა. მაშ რისთვის ვთანხმდებოდი სიკვდილზე? აბა მეც გკითხავთ, რა ოხრად მინდოდა სიცოცხლე, როცა სათაყვანო არსებამ მოსაკლავად რევოლვერი მომიღერა? გარდა ამისა, ვგრძნობდი, რომ იმწამს ჩვენ შორის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, ბრძოლა იმ გუშინდელი ლაჩრისა, ამხანაგებმა ლაჩრობისთვის რომ გამოაგდეს. ეს მეც ვიცოდი და მანაც იცოდა, რამეთუ მიხვდა, რომ არ მეძინა.

იქნებ არ იყო ასე, იქნებ ასე არც მიფიქრია, მაგრამ მაინც

ასე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შემდეგში ყოველ წუთსა და წამს ამაზე ვფიქრობდი.

მაგრამ თქვენ ალბათ ამასაც მკითხავთ: დანაშაულის ჩადენაში რატომ არ შევეშავე ხელი? რამდენჯერ მიკითხავს ეს საკუთარი თავისთვის, როცა ის ამბავი გამსხენებია და ჟრუანტელს დაუვლია ტანში, მაგრამ მაშინ სასოწარკვეთილი ვიყავი: კაცი თვითონ ვიღუპებოდი, სხვა აბა როგორ გადამერჩინა? ან რა იცით, მინდოდა კი სხვისი გადარჩენა? ან იცის ვინმემ, რას ვგრძნობდი მაშინ?

ტვინი მიდუღდა, გამალებით მიმუშავებდა. წამი წამს მისდევდა, სამარისებურ სიჩუმეს ჩქამიც არ არღვევდა; ის თავზე მადგა. — და უცებ გული იმედით ამიფართქალდა! სწრაფად გავახილე თვალი. ის ოთახში აღარ იყო. წამოვდექი ლოგინიდან: მე გავიმარჯვე — მე სამუდამოდ დავამარცხე და დავძლიე იგი!

ჩაის დასალევად გავვდი. სამოვარი მუდამ პირველ ოთახში იდგა და ჩაისაც იგი ასხამდა. უხმოდ მიეუჯექი მაგიდას და ფინჯანი ჩამოვართვი. ხუთიოდე წუთის შემდეგ შევხედე. მიტკლისფერი ეღო — გუშინდელზე მეტად გამტკნარებული უჩანდა სახე. რომ დამინახა, ვუყურებდი, უფერულმა ღიმილმა შეუტოკა უფერული ტუჩები და გაუბედავი შხერა მომაპყრო. „მაშასადამე, კიდევ ეჭვობს, თუ ვიცი და დავინახე?“ გულგრილად ავარიდე თვალი. ჩაის შემდეგ სალარო დავკეტე და ბაზარში წავედი, რკინის საწოლი და თეჯირი ვიყიდე. ის საწოლი დარბაზში გავაშლევინე და თეჯირი ჩამოვაფარე. საწოლი მისთვის იყო, თუმცა სიტყვა არ მითქვამს. უსიტყვოდაც მიხვდა, რომ „ყველაფერი ვნახე და ვიცი“. რომ საეჭვო არაფერია. როგორც ყოველთვის, რევოლვერი ახლაც მაგიდაზე დავდე ღამით. იგი უხმოდ დაწვა იმ თავის ახალ საწოლზე: ცოლქმრობის ძაფი გაწყდა, ის კი „ძლეული, ოღონდ არა მიტყეებული“. ღამით ბოდვა დაიწყო, დილას უკვე სიცხით იწვოდა. ექვსი კვირა ციებ-ცხელებამ ლოგინს მიაჯაჭვა.

თავი მეორე

I

სიამაყის სიზმარი

ეს წუთია ლუკერიამ მითხრა, აქ აღარ დავრჩები, ქალბატონის დასაფლავებისთანავე წავალო. ხუთი წუთი ვლოცულობდი, თუმცა ერთ საათს კი ვაპირებდი. ფიქრები აღარ მასვენებს, გამტანჯა ფიქრებმა, თავიც მტკივა — ლოცვა რას მიშველის! საოცარია, რატომ არ მეძინება, დიდი, ძალიან დიდი მწუხარების შემდეგ ადამიანს სულ ეძინება. ამბობენ, სიკვდილმისჯილებს უკანასკნელ ღამეს მკვდარებით სძინავთო. ასეც უნდა იყოს ბუნებითაც, თორემ ვინ გაუძლებს მაშინ... მივწევი ღოუნზე, მაგრამ ვერ დავიძინე...

...მთელი ექვსი კვირა მე, ლუკერია და გამოცდილი მოძველები ქალი დღედაღამ ვადექით თავზე. ფული არ დამიზოგაგს, კიდევ მიხაროდა, ამდენს რომ ვხარჯავდი. ექიმი შრედერი მოვუყვანე. ყოველ მოსვლაზე თუმანს ვუჯიბავდი. გონს რომ მოვიდა, მაშინ კი გავარიდე თავი. თუმცა რაებს ვწერ. ფეხზე რომ წამოდგა, უხმოდ მიუჯდა ჩემს ოთახში ცალკე მაგიდას. ისიც მისთვის ვიყიდე იმ დღეებში... ჩვენ ვლუმდით, ჰო, გამუდმებით ვლუმდით. არა, მერე კი ვლაპარაკობდით, მაგრამ სულ ჩვეულებრივ რადაცებზე. რასაკვირველია, განზრახ არ ველაპარაკებოდი ბევრს, თუმცა შევატყვევ, არც თვითონ ეხალისებოდა მაინცდამაინც ხედმეტის თქმა, რაც ბუნებრივად მიამჩნდა მისი მხრიდან. „მეტისმეტად დიდი მეზი იყო მისთვის, მეტისმეტად დიდი მარცხი მოუვიდა, — ვფიქრობდი გულში, — თქმა არ უნდა, დრო სჭირდება, რომ დაივიწყოს და მიეჩვიოს“. ამიტომაც ვლუმდით, მაგრამ გულში კი ვემზადებოდი მომავალი საუბრისთვის. მეგონა, ისიც ასე იყო. საოცრად მაინტერესებდა გამეგო, რას ფიქრობდა გულში.

იმასაც ვიტყვი: კაცმა არ იცის, თუ რა ტანჯვა გამოვიარე მისი ავადმყოფობის ჟამს. თუმცა გულში ვიტანჯებოდი, ლუკერეასთანაც კი არ დამიკენესია ერთხელაც. ჩემს გულს ვასკდებოდი, ისე როგორ უნდა მოკვდეს, მთელი სიმართლე ვერ გაიგოს-მეთქი. როცა საფრთხემ გაიარა და გამომჯობინება დაიწყო, მახსოვს, რა უცბად დაგწყნარდი. კიდევ მეტი, გადაწყვიტე ჯერჯერობით ყველაფერი ისე დამეტოვებინა და ჩვენი მოძაგალი საუბარი რაც შეიძლება დიდი ხნით გადამედო. დიახ, რაღაც საოცარი და უჩვეულო რამ დამემართა, სხვანაირად ვერც ვიტყვი: მე გავიმარჯვე და ამ გამარჯვების გრძნობამ სრულიად დამაკმაყოფილა. ასე განვლო იმ ზამთარმა. ჩემი თავით ასეთი კმაყოფილი არასოდეს ვყოფილვარ.

იცით, ცხოვრებაში რა საშინელი ამბავი დამემართა, ჩემი ცოლის ამბებამდე ყოველ ცისმარე ღღესა თუ საათს მაჯლაჯუნასავით მაწვა გულზე. ეს გახლდათ ჩემი თავსლაფისა და პოლკიდან წამოსვლის ამბავი. ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ: მე საოცრად უსამართლოდ მომექცნენ. კი, მძიმე ხასიათი მქონდა და ამხანაგებს არ ვუყვარდი. იქნებ მძიმე კი არა და სასაცილოც იყო ჩემი ხასიათი. მერე რა, განა არ მომხდარა, რასაც შენ თაყვანს სცემ, რაც სანუკვარია შენთვის და ხატად ქცეული, ის შენს ამხანაგებს სიცილს ჰგერის. სკოლაშიც არავის ვუყვარდი. მე არასოდეს არავის ვუყვარდი. ლუკერეასაც კი არ ვუყვარვარ. თუმცა პოლკში მომხდარი ამბავი შემთხვევითობა გახლდათ. ჰოდა, იმაზე საწყენი და აუტანელი განა რა არის, როცა შემთხვევა დაგლუპავს, რომელიც შეიძლება არც მომხდარიყო, როცა, საუბედუროდ, ყველაფერი შენს დასაღუპავად დაემთხვევა ერთმანეთს, თუმცა შეიძლება ავდრის ღრუბელივით ჩაველო. ინტელიგენტი ადამიანისთვის ამაზე დამამცირებელი არაფერია. აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

თეატრში ვიყავი და შესვენებაზე ბუფეტში გავედი. უცებ ჰუსარი ა-ვი შემოვიდა და იქ მყოფ ოფიცერთა თუ სხვა დამ-

სწრეთა გასაგონად თავის ორ ამხანაგს უთხრა, რომ დერეფანში ჩვენი პოლკის კაპიტანმა ბეზუმიცვემა ერთი ალიაქოთი ატყნა, „მგონი, მთვრალიც ბრძანდება“. საუბარი აღარ გაგრძელდა. თანაც შეცდომა იყო, კაპიტანი ბეზუმიცვევი არც მთვრალი ყოფილა და არც ალიაქოთი აუტყნია. ჰუსარებმა სხვაზე გადაიტანეს სიტყვა და ამით დამთავრდა ყველაფერი. მაგრამ მეორე დღეს ჩვენს პოლკში შეიტყვეს ეს ამბავი. ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, გამოარკვიეს, რომ ბუფეტში ჩვენი პოლკიდან მარტო მე შევესწარი ამ ამბავს და, როცა ჰუსარმა ა-ვმა თავხედურად მოიხსენია ჩვენი კაპიტანი, არ ვეტაკე და არ გავაჩერე. ან რატომ უნდა გამეჩერებინა? თუ ის კაპიტან ბეზუმიცვეს ემტერებოდა, ეს მათი საქმე იყო, მე რა შუაში ვიყავი? მაგრამ ოფიცრებმა გადაწყვიტეს, რომ ეს მთელი პოლკის საქმე იყო და, რაკი ოფიცრებიდან მარტო მე შევესწარი ამ ამბავს, მაშასადამე, იქ მყოფ ოფიცრებსა და დამსწრეებს დაუშტკიცე, რომ ჩვენს პოლკში ზოგიერთ ოფიცერს საკუთარი თუ პოლკის პატივი არაფრად უდირს. მე არ დავეთანხმე ამ მოსაზრებას. მაშინ მაგრძნობინეს, საქმის გამოსწორება კიდევ შეიძლებაო, თუკი ახლა მაინც მოუთხოვდი ა-ვს ფორმალურ ახსნა-განმარტებას. გაბრაზებულმა ამაყად ვტკიცე უარი ამაზე და მაშინვე თხოვნაც შევიტანე, გამათავისუფლეთ-მეთქი. ასე გახლდათ საქმე. ამაყად კი წამოვედი, მაგრამ სულიერად გავნადგურდი კაცი, მიმტყუნა ძალამ და გონებამ. სწორედ ამ დროს ის პატარა ქონება, საიდანაც ჩემს წილად ისე მცირე რჩებოდა, ჩემი დის ქმარმა მოსკოვში გაანიავა. ასე რომ, ქუჩაში დაერჩი უკაპიკოდ და უსახსროდ. სხვა სამსახურში შესვლა არ ვიკადრე: ბრწყინვალე მუნდირის შემდეგ რკინიგზაში აბა რა მინდოდა! რახან ასე შევრცხვი, რახან ასე მომეჭრა თავი, ბარემ სულ შევრცხვე და ლაფი დამესხას-მეთქი, რახან მიწასთან გავსწორდი, ბარემ სულ გავსწორდე. რაც უარესი მომივა, მით უკეთესი-მეთქი. სამი წელი შავ-ბნელ მოგონებებში გავატარე. წლინახევრის წინ მოსკოვში გარდაიცვალა ჩემი მოხუცი მდიდარი

ნათლია, ვისაც სრულიად მოულოდნელად ჩემთვისაც დაეტოვე-
ბინა ანდერძით სამი ათასი. ვიფიქრე, ვიფიქრე მაშინ და გადაეწე-
ვიტე სესხის სალარო გამეხსნა, ადამიანებისთვის კი პატიება
არ მეთხოვა. დავაგროვებ ფულს, გავიჩენ კუთხეს, ძველ ამბებს
დავივიწყებ და ცხოვრებას ხელახლა დავიწყებ-მეთქი, — აი, რა
მქონდა განზრახული. მაგრამ ჩემი შავბნელი წარსული და შერ-
ცხვენილი სახელი მაინც არ მასვენებდა, ყოველ წუთსა და საათს
მტანჯავდა. ამასობაში ცოლიც ვითხოვე, არ ვიცო, შემთხვევით
იყო თუ არა. ეს კია, როცა ვითხოვე, მეგონა, მეგობარი მომყა-
და, რამეთუ მეგობარი მართლაც ძალიან მჭირდებოდა. იმასაც
ვეგრძნობდი, რომ მეგობარი შენვე უნდა გამოზარდო, შენვე მოაქ-
ციო შენს ჭკუაზე. მაგრამ თექვსმეტი წლის გოგოსთვის ერთ-
ბაშად როგორ ამეხსნა ყველაფერი, მაშინ როცა ასე იყო განწყ-
ობილი? განა შეუძლებდი მის დარწმუნებას, ლაჩარი არ ვარ და
პოლკში უსამართლოდ მომნათლეს-მეთქი ლაჩრად? იმ რვეოლ-
ვერის ამბავმა სწორედ სულზე მომიხსრო, მისი წყალობით შური
ვიძიე იმ ჩემს შავბნელ წარსულზე. მერე რა, რომ სხვებმა ვერ
გაიგეს, მან ხომ გაიგო, ის იყო ჩემთვის ყველაფერი, ის იყო ჩემი
ოცნებების, ჩემი მომავლის იმედი! ის იყო ერთადერთი ადამიანი,
ვისაც საჩემოდ ვამზადებდი, სხვა მე არაეინ მინდოდა. ჰოდა,
იმან ხომ გაიგო ყველაფერი, ის ხომ მაინც გაიგო, რარიგ იჩ-
ქარა ჩემი მტრების მხარეზე გადასვლა. ეს ფიქრი ალტაცებით
მავსებდა. მაშასადამე, მის თვალში მხოლოდ უცნაური კაცი
ვიქნები და არა ნაძირალა, მომხდარი ამბების შემდეგ კი ეს
არცთუ უსიამოდ მიმაჩნდა. უცნაურობა ნაკლი როდია, პირი-
ქით, ქალს ხიბლავს კიდევ ზოგჯერ უცნაურობა. მოკლედ, გან-
ზრახ არ დავეშურე საქმის გარკვევას. რაც მოხდა, ჩემი სიმშვი-
დისთვის საკმარისზე მეტიც იყო, საკმარისზე მეტ სურათებს
მიხატავდა საოცნებოდ. სწორედ ამ ოცნებებმა დამლუპა. ჩემთვის
ეს ოცნებანიც კმაროდა, ის კი მოიცდის-მეთქი, მეგონა.

ასე მიიწურა ზამთარი. ჰოი, როგორ მიყვარდა ქურდულად

ცქერა, როცა თავის მაგიდას უჯდა, ხან საქმით, ხან საკერავით გართული. საღამოობით კი ჩემი კარადიდან გამოტანილ წიგნს კითხულობდა. ამ წიგნებსაც ჩემს სასარგებლოდ უნდა ელაღადა, რამეთუ მე შევარჩიე. თითქმის სულ შინ იჯდა. ნასადილევს, ბინდისას, ყოველდღე გამყავდა სასეირნოდ, ოღონდაც წინანდელივით უბრად აღარ ვიყავით. ვცდილობდი, ისე მომეჩვენებინა თავი, ვითომც არ ვღუშვართ, პირიქით, ტკბილადაც ვსაუბრობთ. მაგრამ, ხომ მოგახსენეთ, ჩვენ არც მაინცდამაინც ვცდილობდით-მეთქი საუბრის გაგრძელებას. ამას განზრახ ჩავდიოდი, უნდა „მეცლია“, დრო უნდა მიმეცა მისთვის. არა, ზამთრის მიწურულამდე ერთხელ როგორ არ გავივლე გუნებაში, მე თუ ქურდულად შევცქერი, თვითონ ერთხელ რატომ არ შემომხედავს-მეთქი. მაგრამ ამას გაუბედობას ვაწერდი. მერედა რა გაუბედავი, რა უძლური გახდა ავადმყოფობის შემდეგ. არა, სჯობია დაიცადო, ვუბნებოდი ჩემს თავს, ვიდრე, „ვიდრე თავისით არ მოვა-მეთქი შენთან...“

ეს ფიქრი ფრთას მასხამდა, აღმაფრთოვანებდა. რა დაგიძალოთ, და შიგადაშიგ განზრახ ვიღიზიანებდი თავს, იქამდე მიმყავდა თავი, დიდხანს მართლა ნაწყენი ვიყავი მასზე. მაგრამ არასოდეს მძულებია. თითქოს მევე ვგრძნობდი, ყოველივე რომ მხოლოდ თამაში იყო. მაშინაც კი, როდესაც გავწყვიტე ჩვენი ცოლქმრობა, ვუყიდე საწოლი და თუჯირი, მაშინაც კი მოლალატედ არ ჩამითვლია. განა იმიტომ, მის დანაშაულს ზერელედ ვუყურებდი, არა, იმიტომ რომ მაშინვე, პირველივე დღეს, საწოლის ყიდვამდე ჩემს გულში ვაპატიე და ყველაფერი შევუნდე. უცნაურად მოვიქეცი, რადგან ნამუსზე მკაცრი გახლავართ. მაგრამ ძალიან მოტყეილი, დამცირებული და განადგურებული მეჩვენა, ხანდახან კიდევ მეცოდებოდა, თუმცა მისი დამცირება სადღაც მაინც მსიამოვნებდა. ღიახ, ღიახ, ეს ჩვენი უთანასწორობა სიამეს მგვრიდა...

იმ ზამთარს რამდენიმე კაცს სიკეთე გავუკეთე. ორს ვალი

ვაპატიე, ერთ ღარიბ ქალს სულაც გირაოს გარეშე მივეცი სესხი. ცოლისთვის კი არაფერი მითქვამს და არც იმიტომ მოქცეულვარ ასე, იმას გაეგო. მაგრამ ის ღარიბი ქალი ლამის დაჩოქილი მოვიდა მადლობის სათქმელად და მაშინ გამჟღავნდა ყველაფერი. მომეჩვენა, თითქოს მართლა ესია მოვნა ეს ამბავი.

ამასობაში გაზაფხულიც დადგა. შუა აპრილი იყო, როცა ჩამოხსნეს ორმაგი ჩარჩოები და ჩვენს მღუმარე სამყოფელში მზემ შემოიჭყიტა. მაგრამ ჩემს თვალებს მაშინ ბინდი ეფინა, ბედისწერის საშინელი ბინდი! და ჭკუა-გონებას მიბნელებდა. რამ ჩამომაშორა უცებ ის ბინდი და რამ ამიხილა თვალი, თავად არ ვიცი! შემთხვევით მოხდა თუ საამისო ჟამმა დაჰკრა ან მზის სხივმა გამინათა მე უტვინოს აზრი და ჭკუა? არა, აქ არაფერ შუაში იყო აზრი და ჭკუა. არა, აქ ერთი ძარღვი, თითქოს უკვე მკვდარი, ათამაშდა, გაცოცხლდა და გამინათა დაჩლუნგებული სული და ჯოჯოხეთური სიამაყე. თითქოს ფენზე წამოვიჭერი, ისე მოულოდნელი და უეცარი იყო იგი. ეს მოხდა ნასადილევის ხუთ საათზე.

II

თვალის ახელა

მანამდე ორ სიტყვას ვიტყვი. ჯერ ერთი, მას ადრე შევამჩნიე უცნაური გარინდება. განა მხოლოდ ჩუმად იყო და ხმას არ იღებდა, არა, გარინდებული იყო რაღაცნაირად. დიახ, დიახ, უეცრად შევამჩნიე. მახსოვს, თავდახრილი რაღაცას კერავდა, არ იცოდა, რომ ვუყურებდი. ჰოდა, ისეთი გამხდარი მეჩვენა, ისეთი გაცრეცილი სახე, ჩათეთქვილი ტუჩები ჰქონდა, ლამის თავზარი დამეცა. წინათაც ერთი-ორჯერ, განსაკუთრებით საღამოობით, ხველება მომესმა მისი. არაფერი მითქვამს, ისე ავდე-

ქი და მაშინვე შრედერთან წავედი. ვთხოვე, ჩვენთან მობრძანებულყო.

შრედერი მეორე დღეს მოვიდა. გაუკვირდა ექიმის მოსვლა. ხან მე შემხედავდა გაოცებით, ხან შრედერს.

— რა იყო, მე კარგად ვარ, — თქვა და უცნაურად გაიღმა.

შრედერმა არცთუ გულდასმით გასინჯა (ჰოი, რა ყოყოჩები, რა დაუღვევარნი არიან ზოგჯერ ეს ექიმები), ოღონდაც მეორე ოთახში მითხრა, ავადმყოფობის შედეგია, ურიგო არ იქნება სადმე ზღვაზე თუ წაბრძანდებით ან აგარაკზე მაინც გაიყვანთო. ერთი სიტყვით, მარტო ის ბრძანა, დასუსტებულია, სხვა არაფერიო. შრედერი რომ გავისტუმრე, საოცრად დინჯად შემომხედა და ისევ გამიმეორა, ძალიან, ძალიან კარგად ვარო.

მაგრამ აღმურმა კი გადაჰკრა მაშინვე, ალბათ შერცხვა და იმიტომ. ახლა მესმის, რატომაც შერცხვა. შერცხვა იმიტომ, რომ ისევ ქმარი ვიყავი მისი და მასზე ვზრუნავდი, როგორც ქმარი. მაშინ კი ვერ მივხვდი, ეს აღმური მის მორჩილებას მივაწერე (სიბრძავე ჩემი!).

ერთი თვის შემდეგ, აპრილის ერთ კაშკაშა მზიან დღეს, ხუთი საათი იქნებოდა, ჩემს სალაროსთან ვიჯექი და ვანგარიშობდი. უცებ იმ ოთახიდან, სადაც თავის მაგიდას უჯდა და საქმიანობდა, ჩუმი... ჩუმი ღიღინი მომესმა. ამ ღიღინმა სულის სიღრმემდე შემძრა, დღემდე არ ვიცი, რატომ. აქამდე მისი ღიღინი თითქმის არ მსმენია, მხოლოდ ჩვენი ცოლქმრობის პირველ დღეებში თუ წაიძღვრებდა ხანდახან. როცა ვერთობოდით და რეკოლგერს ნიშანში ვისროდით: მაშინ საკმაოდ ძლიერი ხმა ჰქონდა, საოცრად წკრიალა და სასიამოვნო. ახლა კი რაღაც უძალოდ ჟღერდა მისი ხმა. განა იმიტომ, ჰანგი იყო სვედიანი (რაღაც რომანსს მღეროდა), არა, ხმა გაბზარვოდა, თითქოს ვერ დაეძლია ჰანგი, თითქოს თვითონ სიმღერას შეჰპარვოდა სენი. ხმადაბლა ღიღინებდა და ცოტა რომ აუმაღლა, საბრალისად ჩაუწყდა ხმა, ჩაახველა და ისევ ჩუმად განაგრძო ღიღინი...

დამცინოთ იქნებ, მაგრამ ვერა, ვერ გამიგებთ, რამ ამა-
ღელვა ასე! არა, ეს ჯერაც არ იყო სიბრაღული, ეს რაღაც
სხვა გრძნობა იყო. პირველ წუთებში უეცრად სახტად დაერჩი,
საშინლად გამიკვირდა და ლამის ბოლმამ ამიტანა, „რა ამღე-
რებს! დააფიწყდა განა, რომ მე აქ ვარ?“

ერთხანს გაოგნებული ვიჯექი, მერე სასწრაფოდ ავდექი,
ქუდი ავიღე და ლამის აზრდაკარგული გამოვედი გარეთ. მეც არ
ვიცოდი, სად მივდიოდი ან რად მივდიოდი. ლუკერია მპალტო
მომაწოდა.

— მღერის-მეთქი? — ვკითხე უნებლიეთ. ვერ გამიგო და
გაკვირვებით შემომჩერდა. ან კი რას გაიგებდა.

— პირველად მღერის დღეს?

— არა, თქვენ რომ არ ხართ, მაშინ მღერის ხოლმე, —
მითხრა ლუკერია.

კარგად მახსოვს, როგორ ჩავიარე კიბე, გავედი ქუჩაში და
გზას დავადექი. მივედი მოსახვევამდე და გავიხედ-გამოვიხედე.
ხალხი მიდი-მოდიოდა, მეჯახებოდა, მე კი ვერაფერს ვგრძნობ-
დი. მეეტლე გაუჩერე და ვუთხარი, საპოლიციო ხილამდე მიმიყ-
ვანე-მეთქი, რატომ, არ ვიცი. მოულოდნელად გადავიფიქრე და
აბაზიანი მივეცი.

— აჰა, აიღე, ტყუილად რომ გაგსარჯე, — ვუთხარი და
უაზროდ შევცინე. გულში უეცრად საოცარი აღტაცება დამის-
ადგურდა.

გამაღებული გამოვტრიალდი შინისკენ.

საბრალო, გაბზარული ხმა კვლავ ამიჟღერდა სულში.
სუნთქვა შემეკრა. ბინდი ნელ-ნელა ჩამომეცალა თვალთაგან!
რაკი ჩემს იქ ყოფნისას იმდერა, მაშ დააფიწყდა ჩემი არსებობა
— აი, რა იყო საშინელი და თავზარდამცემი, აი, რას მიგრძნობ-
და გული. მაგრამ აღტაცება მაინც მივსებდა სულს და შიშს
სჯაბნინდა.

ჰოი, ბედის მწარე დაცინვა! მთელი ზამთარი სხვა რა უნდა

მეგრძნო, თუ არა ასეთი აღტაცება, მაგრამ სად ვიყავი მთელი ის ზამთარი? რა ვუყავი ჩემს სულს? კიბე საჩქაროდ ავირბინე. არ ვიცი, როგორ შევედი, გაუბედავად თუ გაბედულად, ის კი მახსოვს, თითქოს ტორტმანებდა იატაკი და თითქოს მდინარე მიმაცურებდა. ისევ თავის ადგილზე იჯდა, თავდახრილი, რაღაცას კერავდა, მაგრამ აღარ მღეროდა. გულგრილად შემავლო თვალი, ისე, ოთახში ვილაც რომ შემოვა.

ახლოს დაუჯექი. გიჟს ვგავდი. სწრაფად შემავლო თვალი და თითქოს შეერთა. ხელი დაუჭირე და აღარ მახსოვს, რა ვუთხარი, ანუ რისი თქმა მინდოდა, ვინაიდან აღტაცებულს ენა არ მემორჩილებოდა, ხმა მიწყდებოდა. ისიც არ ვიცოდი, რა მეტქვა, სული მეგუბებოდა.

— ვილაპარაკოთ.. მითხარი რამე! — ამოღერდე სულელივით, თუძცა რა მეჭკვიანებოდა? შეერთა ისევ და შეშინებული სკამს აეკრა, ჯიქურ შემომხედა. უცებ გაკვირვებამ გაუელვა თვალებში, დიახ, გაკვირვებამ, გოროზმა გაკვირვებამ. თვალები გაუფართოვდა. ამ გოროზმა, დიახ, დიახ, გოროზმა გაკვირვებამ ლამის იქვე გამსრისა კაცი: „შენ სიყვარულიც გინდა, სიყვარულიც?“ — მკითხა თითქოს ამ გამოხედვით, თუძცაღა უხმოდ. მაგრამ მე კი ყველაფერი ამოვიკითხე, ყველაფერს მივხვდი. შეძრწუნდი და მყისვე ფეხებში ჩაუვარდი. დიახ, დიახ, ფეხებში ჩაუვარდი. უმაღლ წამოხტა, მაგრამ ხელებში ჩავეჭიდე და არ გავუშვი.

მესმოდა, ვაი, რომ კარგად მესმოდა ჩემი უსასოობა! მაგრამ, დამიჯერებთ, აღტაცება ისე მიდღუდა სულში, ასე მეგონა, ამ წუთში მოვკვდები-მეთქი. თავდავიწყებით ვუკოცნიდი ფეხებს, თავდავიწყებითა და უსაზღვრო ნეტარებით, თუძცა ვიცოდი, აღარაფერი მიშველიდა! ვტიროდი და ვლულულუდებდი რაღაცას, ლაპარაკი აღარ შემეძლო. შიში და გოცება ჩაფიქრებამ შეცვალა, დიდი გოცება და კითხვა გამოეხატა სახეზე. შემომხედა უცნაურად, ლამის გიჟივით, თითქოს უნდა გაარკვიოს, რა ხდება ჩემს თავს, და გაიღიმა. საშინლად შერცხვა, ფეხებს რომ

ვუკოცნიდი და ფეხები გამომაცალა. მე კი იმ ადგილს ვკოცნი-
დი, სადაც ეს წუთია ფეხი ედგა. ამის დანახვაზე სიცილი აუტყ-
და. არ გინახავთ განა, კაცი რომ სირცხვილით გაიცინებს. ვამ-
ჩნევდი, სადაცაა ისტერიკა დაემართებოდა, ხელები უკანკალებ-
და, მაგრამ ამაზე აღარ ვფიქრობდი, ვლულლულელებდი მხოლოდ,
მიყვარხარ-მეთქი, აქედან არ ავდგები. „ნება მომეცი, კაბა
დაგიკოცნო... მთელი სიცოცხლე შენზე ვილოცო...“ არ ვიცი,
არ მახსოვს არაფერი. უცებ აცახცახდა და ქვითინი წასკდა.
ისე შევაშინე, ისტერიკამ მოუარა.

ავიყვანე და ლოგინზე დავაწვინე.

დაწყნარდა, წამოჯდა, საოცრად შეწუხებულმა დამიჭირა
ხელები და შემეხვეწა: „გეყოფათ, თავს ნუ იტანჯავთ, დამშვიდ-
დით!“ ცრემლები კი ღვარად ჩამოსდმოდა. მთელი საღამო არ
მოვცილებივარ. ვეუბნებოდი, რომ ბულონში წავიყვან, ზღვაზე,
ახლავე, ორიოდე კვირის შემდეგ წავიყვან, რომ წელან მომესმა
მისი სიმღერა, მისი საცოდავი, გაბზარული ხმა, რომ საღაროს
დაუკეტავ, დობრონრაიოს მიყვადი, ცხოვრებას ახლიდან დავი-
წყებთ, რაც მთავარია, ბულონში წავალთ! მისმენდა და კანკალებ-
და. შიში უფრო და უფრო ეძალებოდა. მაგრამ ამას არად ვაგდებ-
დი, ოღონდაც მის ფეხებთან ვწოლილიყავი, მეკოცნა ის მიწა,
სადაც ფეხი ედგა, და მელოცა მასზე. „სხვა არაფერს გთხოვ და
არც მოგთხოვ, — ვუპეოვრებდი წარამარა, — თუ გინდა ხმასაც
ნუ გამცემ, ნუ შემამჩნევ, ოღონდ ნუ დამიშლი სადმე კუთხეში
მიკუნჭულმა გიცქირო, გავხდე შენი ნივთი, შენი ფინია...“ ის კი
ტიროდა და ტიროდა.

— მე კი მეგონა, ასე დამტოვებდით, — წამოსცდა უნებლიეთ,
ისე უნებლიეთ, თვითონაც ვერ მიხვდა, რა თქვა. ეს იყო საბედის-
წერო სიტყვები, ჩემთვის ყველაზე გასაგები იმ საღამოს. თითქოს
დანა დამისვეს გულზე! ამან ცხადი გახდა ყველაფერი. მაგრამ
სანამდე გვერდით, თვალწინ მყავდა, მაინც იმედი მქონდა, მაინც
საშინლად ბედნიერი ვიყავი! ჰოი, როგორ დაეჭანცე იმ საღამოს.

მეგონა, ყველაფერს უცებ შვეცვლი-მეთქი! საღამო ხანს სულ გამომეცალა არაქათი. დაფიქვლიე, დაწევი-მეთქი და დაიძინე. მაშინვე ჩაეძინა. მეგონა, ბოდვას დაიწყო. მართლაც წამობოდა, მაგრამ მხოლოდ ერთი-ორჯერ. წარამარა ვაკითხავდი, შვედიოდი და დავეურები. ამ სწული არსების, იმ უბადრუკ რკინის საწოლზე მწოლიარის, მე რომ სამ მანეთად ვუყიდე, შემხედვარე, ხელებს ვიბტვრევი... ხან დაჩოქილი ვიდექი, თუმცა ფეხებს აღარ ვუკოცნიდი (ვერ გამოვხედა მის უნებართვოდ!), ხან ვლოცულობდი და ხან გიჟვით წამოუხტებოდი. ლუკერია ხშირ-ხშირად შემოდოდა და გაკვირვებით მიცქეროდა. გავედი და ვუთხარი, წადი, დაწევი, ხვალდან „სულ სხვა ამბები“ დაიწყება-მეთქი.

ჰოი, რა ბრმად, რა უგუნურად მჯეროდა, რომ დაიწყებოდა. აღტაცება მახრჩობდა! გათენების მოლოდინში ვიყავი მხოლოდ. უბედურებას მაინც არ ველოდი, თუმცა ამის ნიშნები კი იყო. თვალებიდან ბინდი მომცილდა, მაგრამ დღემდე ჭკუაზე მაინც ვერ მოვედი! ან როგორ უნდა მოვსულიყავი, როცა მაშინ ცოცხალი იყო და თვალწინ მყავდა. მის გვერდით ვიყავი: „რა წამსაც გაიღვიძებს, მაშინვე ვეტყვი ყველაფერს, თავისი თვალთნახავს-მეთქი ყველაფერს!“ აი, რას ვფიქრობდი მაშინ, რა მართლად ვუდგებოდი, აღტაცება მახრჩობდა! თავიდათავი ბულონში წასვლა იყო, რატომღაც მეგონა, ბულონი გადაწყვეტდა ყველაფერს. „კი, ბულონში, ბულონში წავალთ!..“ გიჟვით ველოდი გათენებას.

III

მანი, რა პარზად მესმის ახლა

ეს იყო რამდენიმე დღის წინ, მხოლოდ ხუთი დღის წინ, წინა სამშაბათს! არა, რა იქნებოდა, ცოტა მაინც ეცლია ჩემთვის — ბნელი რომ გამეფანტა! თუმცა ხომ დამშვიდდა! მეორე დღეს

ხომ ღიმილით მისმენდა, მერე რა, რომ შემცბარი ჩანდა... კი, მთელი ეს ხუთი დღე სირცხვილი თუ შეცბუნება ეტყობოდა. შეშინებულიც იყო, ძალზე შეშინებული: არ ვდავობ, გიჟი ხომ არა ვარ, სხვა ვამტკიცო: განა არ უნდა ყოფილიყო შეშინებული? რა ხანია უცხონი გაეხდით, გადავეჩვიეთ ერთმანეთს, ერთბაშად კი... მაგრამ ამ შიშს არად ვაგდებდი! უთუოდ, უთუოდ შევცდი. იქნებ სხვა ბევრშიც შევცდი. მეორე დღესვე (ოთხშაბათ დილას) დავუშვი შეცდომა: ერთბაშად მოვინდომე მისი დამეგობრება. ვიჩქარე, მეტისმეტად ვიჩქარე, მაგრამ აღსარება უნდა მეთქვა, აღსარება აუცილებელი იყო — აღსარებაზე მეტიც! ისიც არ დავუმაღლე, რასაც ჩემს თავს მთელი სიცოცხლე ვუმაღავდი. ვუთხარი, რომ მთელი ზამთარი ეჭვი არ შემპარვია მის სიყვარულში. აუუხსენი, რომ სესხის სალარო ჩემი გონებისა და ნებისყოფის სისუსტე იყო, ჩემი იდეა თვითსაკვემად და განსაღიდებლად. აუუხსენი, რომ მაშინ, ბუფეტში, მართლა შევეშინდი ჩემი ეჭვიანი ხასიათის გამო: დამაბნია ვითარებამ, დამაბნია ბუფეტმა. შევცბუნდი კაცია: რომ ავდგე და მივიდე, ბრიყვულად ხომ არ გამომივა-მეთქი? განა ღუელს შევუშინდი, იმან დამაფრთხო, ბრიყვულად არ გამოვიდეს-მეთქი... მერე კი აღარ გაეტყდი, მეც ვწამე და სხვებიც ვაწამე. ვაწამე ისიც. ადგნებული ვლაპარაკობდი. თვითონვე მიჭერდა ხელებს, მჭევეწებოდა: „ნუ აჭარბებთ. თავს ნუ იტანჯავთ“. აუტყდებოდა ისევ ტირილი და ლამის კვლავ ისტერიკა მოერეოდა, მჭევეწებოდა, ნულარ ჰყვებით და ნურც იხსენებთო.

მე კი ამ მუდარას არ მივაქციე ყურადღება: გაზაფხული, ბულონი მედგა თვალწინ! იქ მზეა, იქ ჩვენთვის ახალი მზე ამოვა-მეთქი, გავიძახოდი! სალარო დაეკეტე, საქმეები დობრონრა-ვოს გადავულოცე. ავდექი და ესეც მივახალე, ყველაფერი დარიბებს დავურიგოთ-მეთქი, მართო ჩემი ნათლისგან მიღებული სამი ათასი დავიტოვოთ და იმით წავიდეთ ბულონში, იქიდან დაბრუნებულებმა კი ვიშრომით, ახალი ცხოვრება დავი-

წყოთ-მეთქი. ასეც გადაწყდა, ვინაიდან თვითონ არაფერი თქვა... ეს კია, გაიღიმა. უფრო იმიტომ, მგონი, გული არ დამწყვეტოდა. განა არ ვხედავდი, ჩემთან ყოფნა რომ უმძიმდა. განა ისეთი ბრიყვი და თავკერძა გგონივართ, ეს არ დამენახა. კი, ვხედავდი, ყოველ წვრილმანს ვხედავდი და ყველაზე უკეთ ვიცოდი; ჩემი უსასოობა ჩემზე უკეთ ვინ იცოდა!

ვუამბე ჩემზეც, მასზეც. ვუამბე ლუკერიაზეც, ვუთხარი, როგორ ვტიროდი... განა არ შევეცადე, სხვა რამეზეც მელაპარაკა, განა არ შევეცადე, სულაც არ მეხსენებინა ზოგი ამბები. ერთი-ორჯერ გამოცოცხლდა კიდეც. მასხოვს, განა არ მასხოვს! მაშ, რაღად მეუბნებით, ვერაფერიც ვერ დაინახეო? არ მომხდარიყო ეს ამბავი, ხომ აღსდგებოდა ყველაფერი. ხომ მიაბო ამ სამი დღის წინ, რა წაიკითხა ამ ზამთარს. მომიყვა ჟილ ბლანზის სცენა გრენადის არქივისკოპოსთან. რამდენი იკისკისა. მერე რა საყვარლად, რა ბავშვურად, როგორც გათხოვებამდე იცოდა ხოლმე. ოჰ, რარიგ გამინარდა! თუმცა არქივისკოპოსის ამბავმა საოცრად შემაცბუნა. მაშასადამე, ამ ზამთარს იმდენი სიშშიდე და სიხალისე ჰქონია, დიდებულმა წიგნმა სიცილი მოჰგვარა. მაშასადამე, უკვე დაიმშვიდა გული, უკვე დააჯერა თავი, რომ ასე დაუტოვებდი. მე კი მეგონა, ასე დამტოვებდითო — ხომ მითხრა სამშაბათს! მხოლოდ ათი წლის გოგო თუ იტყოდა ამას! მაგრამ აკი სჯეროდა, სჯეროდა, რომ ყველაფერი ასე დარჩებოდა: რომ სამოც წლამდეც ასე ვიქნებოდით, ის თავისთვის, მე ჩემთვის. ერთბაშად კი ქმრობა მოვიწოდო, არადა, ქმარს სიყვარული უნდა! ჰოი, გაუგებრობავ, ჰოი, სიბრძავე ჩემო!

ისიც შეცდომა იყო, აღფრთოვანებით რომ შევცქეროდი. თავი უნდა შემეკავებინა, ამ აღტაცებამ დააფრთხო ასე. მაგრამ ხომ შევიკავე თავი, აღარ ვუკოცნიდი ფეხებს. ხომ ერთხელაც არ ვაგრძნობინე, რომ... რომ მისი ქმარი ვიყავი. არა, ეს თავშიც არ მომსვლია, მხოლოდ ვლოცულობდი მასზე! მაგრამ სულ ხომ

არ დაედუმდებოდი, რაღაც უნდა მეთქვა! მეც განვუცხადე, რომ ვტკბები მისი საუბრით, რომ ჩემზე გაცილებით ნაკითხი და განათლებულია. გაწითლდა, დარცხვენით მითხრა, აზვიადებთო. მაგრამ მე ბრეივმა ვერ მოვითმინე, მაინც ვუაძბე, რა აღტაცებულის დავრჩი მაშინ, როცა კარს უკან ვიდექი და იმ ნაძირალასთან მის პაექრობას ვუსმენდი, რა ნეტარება მომანიჭა მისმა ჭკუამ, მახვილმა ენამ და ბაღურმა სიწმინდემ. შეკრთა ამ სიტყვებზე, წაილულლულა, ოჰ, ნუ აჭარბებთო, ნუ, მერე მოიღრუბლა, ხელები მიიფარა პირზე და ატირდა... მაშინ ვეღარც მე შევიკავე თავი: ისევ დავემხე მის წინ, ისევ დაუეკოცნე ფეხები. იმ სამშაბათით ისევ მოუარა ისტერიკამ. ეს წუხელ იყო, მეორე დილას კი...

მეორე დილას? უგუნურო, ეს ხომ ამ დილას, ხომ წელან იყო!

აბა, კარგად ჩაუკვირდით: წელან რომ სამოვართან შევიყარეთ (ღიახ, გუშინდელი ისტერიკის შემდეგ), მისმა სიმშვიდემ მევე გამოცა! ღიახ, ღიახ, მე კი მთელი ის ღამე შიშის კანკალში გავატარე. მოვიდა ჩემთან, წინ დამიდგა, გულზე ხელები დაიკრიფა (წელან, ჰო, წელან!) და მითხრა, მესმის ჩემი დანაშაულიო, მთელი ზამთარი ეს დანაშაული მტანჯავდა და ახლაც მტანჯავსო... ღიახაც ვაფასებ თქვენს სულგრძელობასო... „მე თქვენი ერთგული ცოლი, ყოველთვის თქვენი დამფასებელი ვიქნები“. წამოხვტი და გიჟვით გადაუხვიე! იმდენი ხნის შემდეგ პირველად დაუეკოცნე სახე, ტუჩები, როგორც ქმარმა. ვაიმე, რა ჯანდაბად წვედი წელან, მხოლოდ ორი საათით წვედი... ჩვენი საზღვარგარეთული პასპორტებისთვის... რა იქნებოდა, ხუთი წუთით, მხოლოდ ხუთი წუთით ადრე დაებრუნებულყავი?... ჰოი, ჭიშკართან შეგროვილი ხალხი, მათი თვალები... ვაიმე, ღმერთო!

ლუკერია (ლუკერიას ახლა არამც და არამც არ გავუშვებ, იმან ყველაფერი იცის, მთელი ზამთარი აქ იყო, ის მიამბობს ყველაფერს), ლუკერია მითხრა, რომ ჩემს დაბრუნებამდე ოციოდე

წუთით ადრე შესულა ქალბატონთან ჩვენს ოთახში რაღაცის საკითხავად, არ მახსოვს, რისი. თურმე ხატი ედგა წინ მაგიდაზე (მისი ღვთისმშობლის ხატი), თითქოს ლოცულობდაო. „რა იყო, ქალბატონო?“ — უკითხავს. „არაფერია, ლუკერია, წადი... თუმცა, არა, მოიცა...“ — მისულა და უკოცნია. “მაშ, ბედნიერი ბრძანდებით, ქალბატონო?” — „ჰო, ლუკერია“. — „აქამდეც უნდა ეთხოვა ბატონს პატიება... მაღლობა ღმერთს, რომ შერიგდით“. — „ჰო, ლუკერია. ოღონდ წადი“, — ისე უცნაურად შეჰლიმა თურმე, ათი წუთის შემდეგ ლუკერია ისევ შებრუნებულა. „ეხედავ, ფანჯარასთან დგას, ხელი კედელზე აქვს მიდებული, ზედ თავი ჩამოუდევს და ისე ჩაფიქრებულია, ვერ დამინახა, რომ მეორე ოთახიდან ვუყურებ. თან თითქოს იღიბება თავისთვის. ვუცქირე, ვუცქირე და ფეხაკრეფით გამოვბრუნდი უკან. უცებ მომესმა, ფანჯარა გაიღო. იმწუთშივე მივბრუნდი სათქმელად: „გრილა, არ გაცვიდეთ-მეთქი“. ვნახოთ, ფანჯარაზე შემდგარა, გამართული, ჩემკენ ზურგით, ხელში ხატი უჭირავს. გული გადამიქანდა, მივაკივლე: „ქალბატონო, ქალბატონო!“ გაიგონა ჩემი კივილი, დააპირა მობრუნება, მაგრამ აღარ მობრუნდა, გადადგა ფეხი, ხატი გულზე მიიხუტა და ფანჯრიდან გადაეშვა!“

ისღა მახსოვს, ეზოში რომ შევედი, ჯერაც თბილი იყო. ყველანი მე მიყურებდნენ. მანამდე ყვიროდნენ და ვიშვიშებდნენ, მერე გაჩუმდნენ და გზა დამითმეს... ის კი, ის კი ხატიანად იწვა. სინმარივით მახსოვს, უხმოდ რომ მივედი და დავაცქერდი. სხვები შემომხვევიან, რაღაცას მეუბნებიან. ლუკერიაც იქ იყო თურმე, ოღონდ არ დამინახავს. მითხრა, დაგელაპარაკეო. მხოლოდ ერთი მდაბიო, მახსოვს, ჩამძახოდა: „პეშვი სისხლი წამოუვიდა პირიდან, მხოლოდ პეშვი!“ თითით მაჩვენებდა ფილაქანზე სისხლს. მეონი, თითიც ვატაკე სისხლში, დამესვარა, დავყურებ ამ თითს (მე მახსოვს), ის კი ჩამძახის: „პეშვი, მხოლოდ პეშვი!“

— მერე რა, რომ პეშვი? — ვიბღავლე თურმე მთელი ხმით, ავწიე ხელები და ვეძგერე...

ჰოი, სიგიჟე, სიგიჟე და გაუგებრობა! ჰოი, დაუჯერებელი, შეუძლებელი ამბავი!

IV

სუთი ჭუთი ღამაგვიანდა

განა არა? განა დაიჯერება ეს ამბავი? განა იტყვის ვინმე, შეიძლება ეს მომხდარიყო? რად, რისთვის მოიკლა თავი?

ოჰ, მერწმუნეთ, რომ მესმის, მაგრამ რად მოიკლა, მაინც საკითხავია. შეეშინდა ჩემი სიყვარულის, თავს ჰკითხა: შეეძლება თუ არაო, ვერ შეძლო და სიკვდილი არჩია. ვიცი, ვიცი, ტვინის ჭყლეტა რა საჭიროა: მეტისმეტად ბევრს შეძპირდა, მაგრამ შემინდა, დაპირებულს ვერ ავასრულებო. კი, მესმის. აქ რამდენიმე საშინელი ამბავი დაემთხვა ერთმანეთს.

მაშ რად მოიკლა თავი? იკითხავთ მაინც. ჩაქუჩივით მიკაკუნებს თავში ეს კითხვა. განა არ დაეტოვებდი, როგორც უნდოდა, მაგრამ არ დაიჯერა, აი, რაა თავიდათავი. არა, ვტყუი, სულაც ასე არ იყო საქმე. უბრალოდ ჩემთან პატიოსნება სჭირდებოდა. თუ შემეყვარებდა, სულით, გულით უნდა ვეყვარებოდი, არა ისე, როგორც მედუქნე. მაგრამ მეტისმეტად სპეტაკი, მეტისმეტად წმინდა იყო, არ მომატყუა, ვერ გაასაღა სიყვარულის ნახევარი თუ მეოთხედი ნაღდ სიყვარულად. მეტისმეტმა პატიოსნებამ გვიყო, ბატონო! მე კი, გახსოვთ, დიდი გრძნობები მინდოდა შთამენერგა მისთვის! საოცრებაა.

ნეტავ მაცოდინა, მცემდა კი პატივს? თუ ვეზიზღებოდი? არა მგონია, ვეზიზღებოდე. საოცარია: მთელი ზამთარი ერთხელ როგორ არ ვიფიქრე, ვეზიზღები-მეთქი? აკი პირიქით მეგონა იმ წუთამდე, სანამ გოროზი განცვიფრება არ შევამჩნიე. სწორედ გოროზი. აი, მაშინ დამკრა უცბად თავში, რომ ვეზიზღებოდი. ჩაუხვდი ამას, ბოლოს და ბოლოს! ოჰ, არ ვეყვარებოდი, ოღონდაც კი იმას ეცოცხლა! წელან არ იყო, დადიოდა, ლაპარაკობ-

და. ვერ გამიგია რატომ, რისთვის, რად გადავარდა ფანჯრიდან! ხუთი წუთითაც ადრე ამას რას ვიფიქრებდი? ლუკერიას დავუძახე. ახლა ლუკერიას არამც და არამც არ მოვიშორებ, არამც და არამც!

ხომ შეგვეძლო ერთმანეთში მორიგება. მერე რა, რომ მეტი სმეტად გადავჩვიეთ ამ ზამთარს, ხომ შეგვეძლო ისევ შეჩვევა? ერთი-ორი სიტყვა, ერთი-ორი დღე და ყველაფერს თვითონ მიხვდებოდა.

ყველაზე უფრო ის მიკლავს გულს, რომ ყველაფერი შემთხვევა იყო, უბრალო, ბარბაროსული, სულელური შემთხვევა. აი, რაა დასანანი! ხუთი წუთი, ის ოხერი ხუთი წუთი დამავკიანდა! ხუთი წუთით ადრე რომ მომესწრო — ჩაივლიდა ეს წუთი და აღარასოდეს ამას აღარ გაიფიქრებდა. ბოლოს და ბოლოს, მიხვდებოდა ყველაფერს. ახლა კი დავრჩი ამ ცარიელ ოთახებში, დავრჩი ისევ მარტოდმარტო, დავრჩი ობლად. აგერ წიკწიკებს და წიკწიკებს საათი, რა ენაღვლება, ან რა აწუხებს. მე კი არავინ დამრჩა, არავინ მყავს მე უბედურს!

წინ და უკან დავდივარ. ვიცი, ვიცი, კარნახი არ მჭირდება. გეცინებათ ალბათ, რომ შემთხვევასა და იმ ხუთ წუთს ვაწერ ყველაფერს? მაგრამ განა ცხადი არაა. აბა განსაჯეთ: წერილიც კი არ დატოვა, აქაოდა, ჩემს სიკვდილს ნურავის დააბრალებთო, ნუთუ არ იფიქრა, რომ შეიძლება ლუკერიასთვის ეთქვათ: „მარტო შენ იყავი მასთან, იქნებ სულაც შენ ჰკარი ხელი“. ყოველ შემთხვევაში, ტყუილუბრალოდ ამოხდიდნენ სულს დაკითხვებით, ოთხ კაცს შემთხვევით ფლიგელის ფანჯრებიდან რომ არ დაენახა, ხატით ხელში თვითონვე გადმოემვაო. მაგრამ ესეც ხომ შემთხვევითობაა, ხალხმა რომ ნახა. არა, არა, ყველაფერი წამის ბრალია, მხოლოდ და მხოლოდ დაუფიქრებელი წამის. მოულოდნელობა და ფანტაზია! მერე რა რომ ილოცა? განა ეს იმას მოწმობს, რომ სიკვდილს აპირებდა. ეს წამი დიდი-დიდი რაღაც ათიოდე წუთი გაგრძელდა, როცა კედელთან იდგა,

მკლავზე თავჩამოდებული, და ილიმებოდა; უეცრად აზრად მოუვიდა ეს ამბავი, თავბრუ დაესხა და ველარ სძლია ცდუნებას.

როგორც გენებოთ, ისე იფიქრეთ და გაუგებრობა გახლავთ, სხვა არაფერი. ჩემთან მაინც შექმლო ცხოვრება. ან იქნებ სისხლნაკლულობის ბრალია, სისხლნაკლული რომ იყო და სიცოცხლის წყარო დაეშრიტა? არა, დაღალა ამ ზამთარმა, აი, რაა მიზეზი...

დავაგვიანე!!!

რა გამხდარი წვეს კუბოში, როგორ გასთხელებია ცხვირი! ისრებივით დაჰფენია წამწამები. ისე დაეცა, არც დამტკრეულა და არც არაფერი დაშავებია. „პეშივი სისხლი“, მხოლოდ პეშივი. შინაგანი ჩაქცევა იყო ალბათ. რა უცნაური ფიქრი მომივიდა: ნეტავ თუ შეიძლება არ დაემარხო? ვინაიდან, თუ წაიყვანეს... არა, არა, არ შეიძლება წაიყვანონ! მე ხომ ვიცი, რომ წაიღებენ, გიჟი ხომ არ ვარ, პირიქით, ასე საღად არასოდეს მიაზროვნია — მაგრამ როგორ დავრჩე ისევ ობლად ამ ორ ოთახში, ამ გირაოების ამარა. ბოდვაა! ბოდვაა! დავტანჯე, სული ამოვხადე, აი, რაა მიზეზი!

რა ჭირად ვიხლი ახლა მაგ თქვენს კანონებს? რაში მჭირდება თქვენი წესები, თქვენი ადათი, თქვენი ცხოვრება, სახელმწიფო, თქვენი მრწამსი? მოვიდეს და გამასამართლოს თქვენმა მსაჯულმა, თუნდაც საჯაროდ, მე ვეტყვი, არაფერი არა მწამს-მეთქი. „ხმა-კრინტი, ოფიცერო!“ ის დამიყვირებს. მეც მივახლი: „შენ რა ძალა გაქვს, რომ დაგმორჩილდე? რად დამიმსხვრია უმეცრებამ, გაუგებრობამ ის, რაც ყველაზე მეტად მიღირდა? რა თავში ვიხლი ახლა თქვენს კანონებს? განზე გავდგები ყველაფრისგან.“ ჩემთვის ახლა ყველაფერი სულერთი გახლავთ!

ბრმა იყავი, ბრმა! მაგრამ მკვდარი ხარ, არ გეყურება! შენ რა იცი, რა სამოთხეში გამყოფებდი. ჩემს გულში იყო ეს სამოთხე და იმ სამოთხეს მე შენ ირგვლივ ავაყვავებდი! ნუ გყვარებოდი, რა მოხდა მერე? ყველაფერი მაინც ისე იქნებოდა, მაინც ისე

დარჩებოდა. ოღონდაც ყველაფერს მომიყვებოდი, როგორც მეგობარს — გაუიხარებდით და გაუიცინებდით ერთიმეორის შემყურე. გინდაც სხვა ვინმე შეგყვარებოდა! იმას კისკისით რომ გაჰყვებოდი, მე ქუჩის მეორე მხრიდან შემოგხედავდი... ოჰ, იყოს ასე, იყოს ასე, ოღონდ კი თვალი გაახილე თუნდაც ერთი წამით, მარტო წამით! შემომხედე წედანდელივით, როცა წინ დამიდექი და შემომფიცე, შენი ერთგული ვიქნებო! ჩემს თვალებში ყველაფერს წაიკითხავდი.

ჰოი, უმეცრებაე! ჰოი, ბუნებაე! მარტოდმარტო ვართ ყველანი ამ ქვეყანაზე — ესაა ჩვენი უბედურება! „არის კი ველად კაცი ცოცხალი?“ ყიჟინებს რუსი დევგმირი. დევგმირი არ ვარ და მეც ვყიჟინებ, მაგრამ არაუინ მენშიანება. ამბობენ, მზით უდგას სული ამ სამყაროსო. მაგრამ შეხედეთ მზეს, განა ისიც მკვდარი არაა? ყველა მკვდარია, ყველგან მხოლოდ მკვდრები არიან, მხოლოდ ადამიანები და ირგვლივ დუმილი — ესაა თქვენი დედამიწა.

„ერთმანეთი გიყვარდეთ, ხალხნო“, — ვინ თქვა ეს? ვინ გვიანდერძა? რა უგრძობლად, რა საზიზღრად წიკწიკებს საათი. დამის ორი საათია. მის ლოგინთან ფეხსაცმელი აწყვია მისი, თითქოს თავის პატრონს ელისო...

ხვალ რომ მართლა წაიყვანონ, მე რაღა ვქნა, რა მეშველება?

უგვანო ანეკდოტი

ეს უგვანო ანეკდოტი სწორედ იმ ხანებში მოხდა, როცა შეუკავებელი ძალითა და ასე გულის ამაჩუყებელი, მიამიტი აღმაფრენით დაიწყო ჩვენი საყვარელი მამულის აღორძინება, როცა მის სქელ და სახელოვან ვაჟიშვილებს ახალი მომავლისადმი დიდი მისწრაფებანი და იმედები აღეძრათ. იმხანად, ზამთრის ერთ უღრუბლო სუსხიან საღამოს, თუმცა თორმეტი უკვე დაწყებული იყო, სამი ფრიად დარბაისელი კაცი პეტერბურგის მხარეზე მდებარე ერთი მშვენიერი ორსართულიანი სახლის კეთილმოწყობილ კი არადა, დიახაც მდიდრულად მორთულ ოთახში დარბაისლურად საგულისხმო საგანზე საუბრობდა. სამთავეს გენერლის ეპოლეტები ამშვენებდა, სამივენი პატარა, მრგვალ მაგიდას უსხდნენ მშვენიერ რბილ საკარძლებში და შიგადაშიგ დინჯად, ნება-ნება ყლურწავდნენ შამპანურს. შამპანურის ბოთლიც იქვე, მაგიდაზე იდგა, ვერცხლის ლარნაკში ჩაცივებული. საქმე ის გახლდათ, რომ მასპინძელი, საიდუმლო მრჩეველი სტეფან ნიკიფოროვიჩი ნიკიფოროვი, სამოცდახუთი წლის უცოლო კაცი, ახალნაყიდ სახლში ახალმოსახლეობასა და ამ ზეიმს დამთხვეულ თავის დაბადების დღეს იხდიდა, რაც აქამდე არასოდეს გადაუხდია. თუმცა ზეიმის დარქმევა ცოტა მეტისმეტი იქნება; როგორც ვნახეთ, ორად ორი სტუმარი ჰყავდა, ორივე ბატონი ნიკიფოროვის ყოფილი თანამშრომელი და მისივე ყოფილი ხელქვეითი. სახელდობრ: ერთი ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი სემიონ ივანოვიჩ შიპულენკო და მეორე ივან ილიჩ პრალინსკი, ისიც ასევე ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი. სტუმრები დაახლოებით ცხრა საათზე მობრძანდნენ, ჩაი მიირთვეს და ახლა ღვინოს შეექცეოდნენ. ორივემ იცოდა, რომ ზუსტად თორმეტის ნახევარზე მასპინძელს უნდა დაემშვიდობონ, რამეთუ მასპინძელი მისი დღე და მოსწრება სიზუსტის მიმდევარი ბრძანდებოდა. ბარემ ორ სიტყვას მასზეც მოგახ-

სენებთ: კარიერის დასაწყისში იგი ერთი წვრილფეხა, ხელმოკლე მოხელე გახლდათ, მთელი ორმოცდახუთი წელი უშფოთველად ეწეოდა ერთფეროვანი სამსახურის ჭაპანს, მშვენიერად უწყოდა, რა ჩინსაც მიაღწევდა, ჭირივით სძულდა, როცა ვინმე ვარსკვლავებს ეპოტინებოდა ცაში, თუმცა ორი ვარსკვლავი თვითონ უკვე მოეწევიტა. არ უყვარდა, რა საქმეც უნდა ყოფილიყო, საკუთარი აზრი გამოეთქვა. ბუნებითაც პატიოსანი იყო, ანუ დიდად საძრახისი საქმე არასოდეს ჩაედინა; უცოლოდაც საკუთარმა თავკერძობამ დააბერა, ჭკუა კარგად უჭრიდა, მაგრამ ჭკუის გამოჩენა კი ძალზე ეჯავრებოდა. მეტადრე არ წყალობდა ფეთხუმსა და აღტაცებული ბუნების ხალხს. სიცოცხლის მიწურულს საბოლოოდ ჩაითრია კეთილმოწყობილი ცხოვრების ტკბილმა, მომადუნებელმა ტალღებმა და მართლობა შეიფარა. მერე რა, რომ დროდადრო თვითონ დაბრძანდებოდა თავისზე უკეთეს ოჯახებში სტუმრად, საკუთარ სახლში სხვების მოწვევა ახალგაზრდობიდანვე სძულდა. ამ უკანასკნელ ხანს თუ გრანპასიანსს არ უჯდა, საესებით კმაცოფილი იყო თავისი სასადილო საათის საზოგადოებით და, სავარძელში მთვლემარე, უშფოთველად უსმენდა სადამოობით ბუხრის თავზე შუქის ხუფის ქვეშ მდგარ ამ საათის წიკწიკს. შესახედლობა ფრიად რიგიანი ჰქონდა, სახე მუდამ გაპარსული, კარგად შენახული კაცის პირობაზე ასაკთან შედარებით ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, იმედი იყო, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. ჯენტლმენურ წესებსაც ზედმიწევნით იცავდა. სადღაც საკმაოდ თბილ ადგილზე იჯდა და რაღაცას ხელს აწერდა. ერთი სიტყვით, ყველა ჩინებულზე ჩინებულ ადამიანად მიიჩნეოდა. თავისი წუთისოფელი მხოლოდ ერთი ოცნება — ანუ სანუკვარი სურვილი ჰქონდა: ბატონკაცური და არა ფულიანი კაცის გემოვნებით ნაგები სახლი ეყიდა. ბოლოს ეს სურვილიც აისრულა: პეტერბურგის მხარეზე ერთი სახლი შეარჩია და იყიდა კიდევ. მართალია, ცოტა მოშორებით იყო, სამაგიეროდ

კოსტა გახლდათ და თავისი ბალიც ჰქონდა. ახალი სახლის პატრონის აზრით, ეს სიმორე უკეთესიც იყო: სტუმრები მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა, ხოლო სადმე წასასვლელად მშვენიერი ორადგილიანი შოკოლადისფერი ეტლი ჰქონდა, კიდევ ორი ტანმორჩილი, მაგრამ ფეხმარდი ლამაზი ცხენი და მეეტლე მიხეი ჰყავდა. ორმოცი წლის განმავლობაში მომჭირნეობით შექენილი ქონება ძალიან ახარებდა. ამიტომაც, როცა ახალი სახლი იყიდა და იქ გადავიდა, მისმა უშფოთველმა გულმა ისეთი სიამოვნება იგრძნო, სტუმრებიც კი დაპატიჟა თავის დაბადების დღეზე, თუმცა ამ დღეს აქამდე გულდაგულ უძალავდა ახლო ნაცნობებს. ერთი სტუმრის დაპატიჟებისას თავისი ანგარიშიც ჰქონდა. ახალ სახლში მან ზემო სართული დაიკავა, ხოლო ქვემოთ, ზუსტად ისეთივე წყობით განლაგებული ბინის გაქირავება განიზრახა. ბატონ ნიკიფოროვს სწორედ სემიონ ივანოვიჩ შიპულენკოს იმედი ჰქონდა, მდგმურად დამიდგებო, და იმ საღამოს ერთი-ორჯერ კიდევ ჩამოუგდო ამ საკითხზე საუბარი. მაგრამ ბატონ შიპულენკოს გარკვევით ვერაფერი წამოაცდენინა. ამ უკანასკნელსაც დიდი ჭაპანწყვეტით მოუხდა ცხოვრებაში გზის გაკაფვა. ეს იყო შავთმიანი და შავქილვაშიანი კაცი, მუდამ ჩაყვითლებული ნაღვლის შეტევის გამო. ჰქონდა ოჯახი, ბუსავით სულ შინ იჯდა და მთელ სახლს მისი შიშით აკანკალებდა. სამსახურშიც თავდაჯერებული იყო, მშვენიერად იცოდა, რისი მიღწევა შეეძლო, კიდევ უკეთ — რასაც ვერასოდეს მიაღწევდა. კარგი ადგილი ჰქონდა და სკამზე მაგრად იჯდა. ახალ წესებს, მართალია, ბოლმიანი თვალით უცქერდა, მაგრამ არც მაინცდამაინც აშფოთებდა ეს ამბავი: ფრიად დიდი რწმენა ჰქონდა საკუთარი თავისა და ცოტა არ იყოს, დამცინავი ღვარძლით უსმენდა ახალ თემებზე ივან ილიჩ პრალინსკის ლაქლაქს. თუმცა მეტ-ნაკლებად ყველანი იყვნენ შეჭიკჭიკებული, ისე რომ, თვით ბატონმა ნიკიფოროვმაც იკადრა ბატონ პრალინსკის ახალ წესებზე შედავებოდა. აქ

მის აღმატებულება პრალინსკიზეც მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ, მეტადრე, რომ სწორედ ის გახლავთ ჩემი მოთხოვნის მთავარი გმირი.

ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ივან ილიჩ პრალინსკი ეს ოთხი თვეა, რაც მისი აღმატებულება, ანუ ახალგაზრდა გენერალი გახდა. ასაკითაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო, ასე ორმოცდასამი წლის. შესახედავად უფრო ახალგაზრდა ჩანდა და უყვარდა კიდევ ახალგაზრდად თავის მოჩვენება. იცვამდა კოხტად და დარბაისლურად, ტანად მალალი, ლამაზი კაცი გახლდათ, ფრიად ღირსებით ატარებდა საკმაოდ დიდ ორდენს ყელზე, პატარაობიდანვე ჰქონდა შეთვისებული რამდენიმე დიდაკაციანი ქცევა, ცოლი არ ჰყავდა და მდიდარი, დიდგვაროვანი ოჯახიშვილის შერთვაზე ოცნებობდა. საოცნებო ჯერაც ბევრი ჰქონდა, თუმცა ჭკუა არ აკლდა. შიგადაშიგ ლაპარაკი უყვარდა და სახელმწიფო მოღვაწის პოზებსაც იღებდა. თავად კარგი ოჯახიშვილი იყო, მამა გენერალი ჰყავდა, ყრმობის ნაზი ასაკიდანვე ხავერდ-ბატისტებში იზრდებოდა, სწავლობდა დიდაკაციურ სასწავლებელში. და თუმცა იქიდან ბევრი ვერაფერი ცოდნა გამოიტანა, მაინც იმარჯვა და გენერლობას მიაღწია. უფროსებს ნიჭიერ კაცად მიაჩნდათ და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ. ბატონ ნიკიფოროვს, ვისი ხელმძღვანელობთაც დაიწყო და თითქმის გენერლობის მიღებამდე განაგრძობდა სამსახურს, თავის დღეში საქმიან კაცად არ ჩაუთვლია და არც იმედი დაუმყარებია მასზე. მაგრამ ის კი მოსწონდა, რომ პრალინსკი კარგი ოჯახიშვილი და შეძლებული კაცი იყო, ანუ დიდი სახლი ჰქონდა, მკვიდრად ნაგები, ჰყავდა მმართველი, ენათესავებოდა არცთუ პატარა ხალხს და გარდა ამისა ჩინებული თავდაჭერა იცოდა. ოღონდაც გულში ზედმეტად დიდი წარმოდგენისა და ქერქეტობისთვის ძრახავდა. თავად პრალინსკიც გრძნობდა ხოლმე ხანდახან, რომ თავმოყვარე იყო და ბევრ ისეთ რამეს თაკილობდა, რაც არ უნდა ეთაკილა. საკვირველია და, ზოგჯერ საოცარი

სინდისის ქენჯნა და რაღაც სინანული აიტანდა. გულში მწარედ გაჰკრაავდა ფიქრი, რომ არც ისე მადლა-მადლა დაფრენს, როგორც თვითონ ჰგონია. ამისთანა წუთებში, ასე განსაჯეთ და, რაღაც ჭმუნვა აიტანდა, მეტადრე თუ ბუასილი შემოუტყვედა. თავის ცხოვრებას უიმედოდ მიიჩნევდა, აღარც თავისი სახელმწიფო მოღვაწის ნიჭი სწამდა, ცხადია, მხოლოდ გულში, საკუთარ თავს პარლერს, ანუ ყბედს ეძახდა, რაც ფრიად სასახელო იყო მისთვის, მაგრამ ხელს სულაც არ უშლიდა ნახევარი საათის შემდეგ კვლავ ამაყად აქწია თავი და ჯიუტად და მედიდურად ერწმუნა, რომ კიდევ მოასწრებდა საკუთარი ნიჭის გამოვლენას და არათუ წარჩინებული მოხელე, სახელმწიფო მოღვაწეც გახდებოდა, ვის სახელს დიდხანს არ დაივიწყებდა რუსეთი. შიგადაშიგ დიდების კვარცხლბეკებიც ელანდებოდა. აქედან ჩანს, რაოდენ შეუძლებელს ეპოტინებოდა, თუმცაღა გულში ღრმად და ცოტა არ იყოს, შიშითაც მაღაჟდა ამ გაურკვეველ ოცნებებსა და იმედებს. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ეს გახლდათ პატიოსანი და, ასე განსაჯეთ, პოეტური სულის კაციც. უკანასკნელ წლებში უფრო და უფრო გაუხშირდა იმედგაცრუების მტკივნეული წუთები, მეტისმეტი გაღიზიანება და ეჭვიანობა დასჩემდა და ყოველი შეკამათება სწყინდა. მაგრამ განახლებულმა რუსეთმა უეცრად დიდი იმედი აღუძრა, ხოლო გენერლობამ ყველაფერი დააგვირგვინა. კაცს სიმხნევე მოემატა, წელში გაიძართა, თავი ასწია. ერთბაშად ენამჭვერობის ტრფიალმა აიტანა, გასაოცარი სისწრაფითა და გზნებით ათვისებულ ახალ იდეებზე გაუთავებლად ლაპარაკობდა. მთელ ქალაქს შემოუვლიდა, ოღონდ კი ლაპარაკის საშუალება მისცემოდა და ბევრ ოჯახშიც თავზე ხელაღებული ლიბერალის სახელი გაითქვა, რაც ძალიან სიამოვნებდა. ამ საღამოს ოთხმა ჭიქა შამპანურმა მეტისმეტად აუშალა ლაპარაკის საღერღელი. გადაწყვიტა თავის რწმენაზე მოექცია ბატონი ნიკიფოროვი, რომელსაც დიდი ხანია აღარ შეხვედრია, მაგრამ ყოველთვის პატივს სცემდა და უჯერებ-

და კიდევ ყველაფერს. ეს კია, რატომღაც ძველი აზრების კაცად თვლიდა და ამიტომ გასაოცარი სიფიცხით შეუტია. ბატონი ნიკიფოროვი თითქმის არაფერში შედაგებია, მხოლოდ მზაკვრული იერით უსმენდა, თუმცა კი საუბრის საგანი მართლა აინტერესებდა. გაფიცხებული პრალინსკი, რომელსაც ეგონა, ცხარე კამათი გვაქვსო, იმაზე ზშირად ეწაფებოდა სასმელს, ვიდრე საჭირო იყო. ნიკიფოროვიც უმაღ ბოთლს დააგლებდა ხელს და სასმისს უვსებდა. ეს კი უკვე რატომღაც ძალიან სწყინდა პრალინსკის, მეტადრე, რომ მის გვერდით მჯდომი შიპულენკო, ვისაც იგი განსაკუთრებული ზიზლით უცქერდა, უფრო მეტიც, მისი გესლისა და ღვარძლის გამო კიდევ უფროთხოდა, მეტისმეტად ვერაგულად დუშდა და უფრო ზშირად იკრიჭებოდა, ვიდრე საჭირო იყო. „ესენი, მგონი, ლაწირაკად მთვლიან“, — თავში გაჰკრა ივან ილიჩს.

— არა, ბატონებო, დროა, რა ხანია უკვე დროა, — განაგრძობდა ეშნში შესული გენერალი, — კიდევ დაგვიგვიანდა. ჩემი აზრით, ჰუმანურობა, ხელქვეითებთან ჰუმანურობა უპირველესი საქმეა, არ უნდა დაუვიწყოთ, რომ ისინიც ადამიანები არიან. ჰუმანურობა ყოვლის მხსნელი და ყოვლის გადამრჩენია...

— ხი-ხი-ხი-ხი! — გაისმა სემიონ ივანოვიჩის სავარძლიდან.

— ვერ გამიგია, ასე რატომ გვიწყურებით, — თავზიანი ღიმილით შეეკამათა ბოლოს სტეფან ნიკიფოროვიჩი, — გამოგიტყდებით, ივან ილიჩ, და აქამდე ვერ გამიგია, თუ რას გვიხსნით. თქვენ ჰუმანურობას ანიჭებთ პირველ ადგილს. მაშასადამე, კაცთმოყვარეობას, არა?

— დიახ, თუნდაც კაცთმოყვარეობას. მე...

— მომითმინეთ ცოტა. რამდენადაც მესმის, საქმე მართო ეს როდი გახლავთ. კაცთმოყვარეობა ყოველთვის მართებს ადამიანს. რეფორმა კი მართო ამით არ ისაზღვრება. მან წამოჭრა

უმძრავი საკითხი, რაც გლუხობას, სასამართლოებს, მეურნეობას, მოიჯარადეებს, ზნეობას თუ... სხვასა და სხვას შეეხება. ასე რომ, ყველაფერმა ერთად შეიძლება წარმოქმნას, ასე ვთქვათ, დიდი მერყეობა. აი, რა გვაშინებს ჩვენ, და არა მარტო ჰუმანურობა...

— საქმე უფრო ღრმად გახლავთ, ბატონო ჩემო, დიახ, — ჩაურთო ბატონმა შიპულენკომ.

— დიახაც მესმის და ნურც ის გეწყინებათ, სემიონ ივანოვიჩ, თუ საგნების ღრმად ჩაწვდომაში არ ჩამოგრჩებით, — გესლიანად და მეტიანმეტად მკვახედ მიუგო ივან ილიჩმა, — ოღონდაც მაინც გაგბედავ და შეენიშნავ, სტეფან ნიკიფოროვიჩ, რომ ვერც თქვენ გამოვივთ...

— ვერ გაგიგვთ, ბატონო ჩემო.

— მე კი მწამს და მუდამ იმ აზრს ვადგავარ, რომ ჰუმანურობა და სწორედ ხელქვეითთან ჰუმანურობა, მოხელე იქნება იგი, მწერალი, ყმა თუ გლუხი, შეიძლება, ასე ვთქვათ, მოსალოდნელ რეფორმათა თუ საერთოდ განახლების ქვაკუთხედად გამოდგეს. რატომ? იმიტომ. აი, მაგალითისთვის სილოგიზმი: მე ჰუმანური ვარ, მაშასადამე, ხალხს ვუყვარვარ. მენდობიან, სწამთ ჩემი, მაშასადამე, ვუყვარვარ... თუმცა არა, მე მინდა ვთქვა, რომ თუ სწამთ, მაშასადამე, რეფორმასაც იწამებენ, ასე ვთქვათ, საქმის არსს ჩასწვდებიან, ასე ვთქვათ, ერთმანეთს ზნეობრივად გადაეხვევიან და მეგობრულად, საფუძვლიანად გადაწყვეტენ ყველაფერს. რა გაცინებთ, სემიონ ივანოვიჩ? გაუგებარია?

ბატონმა ნიკიფოროვმა უხმოდ აზიდა წარბები; გაკვირვებული ბრძანდებოდა.

— მე მგონი, ზედმეტი დავლიე, — გესლიანად ჩაურთო ბატონმა შიპულენკომ, — ამიტომაც ცოტა დავჩლუნგდი. ასე ვთქვათ, გონება დამიბნელდა, დიახ.

პრალინსკის შეაჟრჟოლა.

— ვერ გაუძლებთ, — უეცრად წარმოთქვა მცირეოდენი ჩაფიქრების შემდეგ ნიკიფოროვმა.

— როგორ თუ ვერ გავუძლებთ? — ჰკითხა ამ უეცარი და მოკლე შენიშვნით სახტად დარჩენილმა ივან ილიჩმა.

— დიახ, ვერ გავუძლებთ. — ნიკიფოროვმა აღარ ისურვა უფრო ვრცლად განემარტა.

— არა, ბატონო, ჩემს თავზე პასუხს მე ვაგებ. — ცოტა არ იყოს დაცინვით შეესიტყვა ივან ილიჩი.

იმავე წუთს საათმა თორმეტის ნახევარი ჩამოჰკრა.

— სტუმრობასაც თავისი დრო აქვს, — თქვა ბატონმა შიპულენკომ და ასადგომად წამოიწია. მაგრამ ბატონმა პრალინსკიმ დაასწრო, წამოდგა და ბუხარზე ჩამოდებული თავისი სიასამურის ქუდი აიღო. ნაწყენი იყურებოდა.

— მაშ, მოიფიქრებთ, სემიონ ივანიჩ? — უთხრა გაცილები-სას ნიკიფოროვმა.

— ბინაზე ბრძანებთ? მოვიფიქრებ, მოვიფიქრებ.

— თუ მოიფიქრებთ, მაშინვე მაცნობეთ.

— სულ საქმეებზე წუხხართ? — თავაზიანად და ოდნავ ლაქუცით შენიშნა პრალინსკიმ და ქუდი აათამაშა. ისე ეჩვენა, თითქოს მისი აქ ყოფნა აღარავის ახსოვდა.

ნიკიფოროვმა წარბები აზიდა და აღარაფერი თქვა, აქაო-და, სტუმრებს არ გაკაებთო. სემიონ ივანიჩის საჩქაროდ დაემშვიდობა.

„კი ბატონო... რახან უბრალო თავაზიანობის არაფერი გესმით... თქვენი ნებაა“, — გადაწყვიტა გუნებაში პრალინსკიმ და თითქმის დაუდევრად გაუწოდა ხელი ნიკიფოროვს.

შემოსასვლელში ძვირფას, მსუბუქ ქურქში რომ გაეხვია, რატომღაც თვალი აარიდა სემიონ ივანიჩის გაქუცულ ენოტს. ორივე კიბეზე დაეშვა.

— მგონი, გაგვინაწყენდა ბებერი, — ჩაულაპარაკა პრალინსკიმ დადუმებულ სემიონ ივანიჩს.

— არა მგონია, ვითომ რა მიზეზით? — მიუგო იმან დინჯად და ცივად.

„ყურმოჭრილი ყმა!“ — გაიღო გულში ივან ილიჩმა.

პარმალზე სემიონ ივანიჩს თავისი მარხილი მოპგვარეს, შიგ შეუხედავი ტრედანა ცხენი ება.

— ეს რა უბედურებაა! სად ეშმაკებში წაიყვანა ტრიფონმა ჩემი ეტლი! — შესძახა ივან ილიჩმა, როცა თავისი ეტლი ვერ დაინახა.

აქეთ ეცა, იქით ეცა, — ეტლი არა და არ ჩანდა. სტეფან ნიკიფოროვიჩის მსახურმა არაფერი იცოდა. ჰკითხეს სემიონ ივანიჩის მეეტლე ვარლამს, იმან უპასუხა, სულ აქ ტრიალებდა, ეტლიც აქ იდგა, ახლა კი სადღაც გაქრაო.

— უმსგავსობაა! — ბრძანა შიპულენკომ, — გნებავთ, მიგიყვანთ?

— ეს რა გათახსირებული ხალხია! — გაცოფებით შეჰყვირა პრალინსკიმ. — აკი მთხოვა მაგ წუპაკმა, ქორწილში გამიშვიო. აქ, პეტერბურგის მხარეს ვიღაც მაგისი ნათლიდედა თხოვდება თურმე, ჯანდაბას მისი თავი. სასტიკად აუჯერძალე, ფეხი არ მოიცვალო-მეთქი. სანაძღვოს ჩამოვალ, თუ იქ არ წაეთრია!

— მართლაც იქ წავიდა, — ჩაურთო ვარლამმა, — თქვა კი, ერთ წაშში აქ გაეჩნდებიო, ანუ დროზე მოვალო.

— აბა, აბა! თითქოს გული მიგრძნობდა! დამაცადოს ერთი!

— ერთი-ორჯერ პოლიციაში გააწკეპლინეთ, მაშინ ისწავლის ჭკუას, — თქვა სემიონ ივანიჩმა.

— მაგაზე ნუ წუხნართ, სემიონ ივანიჩ!

— თუ გნებავთ, მართლა მოგიყვანთ.

— ბედნიერად იმგზავრეთ, გმადლობ.

სემიონ ივანიჩი წავიდა. ივან ილიჩი ფეხით გაუყვა გზას. ძალიან გაბრაზებულ გუნებაზე იყო.

„ახლა კი მორჩა, ახლა მე ვიცი შენი ამბავი, არამზადავ! ჯიბრზე ფეხით წავალ, რომ შეგრცხვეს და შეგემინდეს! მოეთრევი და გაიგებ, ბატონი ფეხით წავიდაო... უნამუსო!“

პრალინსკის თავის დღეში ასე არაეინ ულანძღავს, მაგრამ გულზე გახეთქილი და თანაც შეზარხოშებული იყო. რაკი სმა არ უყვარდა, რაღაც ხუთი-ექვსი ჭიქა უკვე თავში აუვარდა. ისე კი მშვენიერი საღამო იდგა. ყინავდა, მაგრამ ქარი არ ქროდა და საოცარი სიწყნარე სუფევდა. ცა ვარსკვლავებს მოეჭვდა. სავსე მთვარე ნაზ ვერცხლისფერ შუქში ხვევდა მიდამოს. ფან ილიჩს ორმოცდაათიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ სულ დაავიწყდა თავისი გასაჭირი, ისე იმოქმედა ამ მშვენიერმა საღამომ. საოცრად სასიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. შექეიფიანებულ ადამიანს ხომ გუნება სწრაფად ეცვლება. უკაცრიელ ქუჩაში უშნო ხის სახლებიც კი მოეწონა.

„კარგია, ფეხით რომ წამოვედი, — ფიქრობდა გუნებაში, — ტრიფონისთვისაც კარგი გაკვეთილია და მეც ვისიამოვნე. რა ვუყოთ მერე? დიდ პროსპექტზე ხელად ვიშოვი მეეტლეს. მშვენიერი ღამეა! რა პატარა სახლებია აქ. ეტყობა, წვრილფეხა მოხელები ცხოვრობენ... ვაჭრებიც ალბათ... ოპოპო, სტეფან ნიკიფოროვიჩი! მერედა რა დამყაყებული ხალხია ეს ბებრუცუნები! დიახ, დიახ, ბებრუცუნები, თუმცა ჭკუას ვერ წაართმევ, სადი აზრი აქვთ, საგნების ფხიზელი, პრაქტიკული გაგება; მაგრამ დაბერდნენ, დაბერდნენ კია! აღარა აქვთ... მოიცა, რა ჰქვია! ერთი სიტყვით, რაღაც აკლიათ... ვერ გაუძლებთო! ნეტავ რა იგულისხმა? დაფიქრდა კიდევ ამის თქმისას. თუმცა მე კი სრულებით ვერ გამიგო. ან რა იყო გაუგებარი? უფრო ძნელია ვერ გაიგო, ვიდრე გაიგო. რაც მთავარია, გულთ მწამს. ჰუმანურობა... კაცთმოყვარეობა. ადამიანი თავის თავს დაუბრუნო... აღუდგინო საკუთარი ღირსება და მაშინ... მზა მასალით შეუდგე საქმეს. მგონი, ნათელია! დიახ, ბატონო! ნუ გაწყინებთ, თქვენო აღმატებულებავ, და სილოგიზმი აიღეთ: მაგალითად, შევხვდით ერთ მოხელეს, ღარიბს, დაბეჩავებულს. „ბა... ვინ ხარ?“ „მოხელე“. ძალიან კარგი, მოხელე. შემდეგ: „რა მოხელე ხარ?“ ესა და ეს. „მსახურობ?“ — „ვმსახურობ!“ „გინდა ბედნიერი იყო?“

— „მინდა“. „რა არის საჭირო ბედნიერებისთვის?“ ეს, ეს და ეს. „რატომ?“ იმიტომ... ჰოდა, ამ კაცს ჩემი ორი სიტყვიდან ესმის: ეს უკვე ჩემია, ასე ვთქვათ, უკვე გვაბი ბადეში, როგორც მინდა, ისე ვატრიალებ, ესე იგი მისივე სიკეთისთვის. დიდი წუპაკი ვინმეა ეს სემიონ ივანიჩი! ან რა წუპაკი სიფათი აქვს... პოლიციაში გააწკებლინეო, — განგებ მითხრა.

— არა, ძმაო, თუ გინდა, შენ გაწკებლე, მე ვერ გავწკებლაფ. ტრიფონს სიტყვით მოუვული, საყვედურებით მოვიყვან ჭკუაზე, მაშინ იგრძნობს. წკებლას რაც შეეხება, ჰმ... ეს საკითხი გადაუწყვეტელი რჩება, ჰმ... ემერანსთან ხომ არ შემეველო? ეს ოხერი წანწალები! — შესძახა მან, ფეხი რომ დაუცდა. — სატახტო ქალაქიც ამას ჰქვია! განათლებაც ამას ჰქვია! კაცი ფეხს მოიტეხ. ჰმ, უჰ, უჰ, როგორ მძულს ეს სემიონ ივანიჩი, დიდი წუპაკი სიფათი აქვს. ჩაიხითხითა, წელან რომ ვთქვი: ზნეობრივად გადაეხვევიან-მეთქი. დიხაც გადაეხვევიან, რა შენი საქმეა? ნუ გეშინია, შენ მაინც არ გადაეხვევი; გლეხს უფრო გადაეხვევი... გლეხი თუ შემხვდა, დაველაპარაკები კიდევ. თუმცა მთვრალი ვიყავი და იქნებ ისე ვერა ვთქვი. მგონი, ახლაც ისე ვერ ვამბობ... ჰმ. თავის დღეში აღარ დავლევ. იებედებ, იებედებ საღამოს და მეორე დღეს ნანობ. მერე რა, ხომ არ ვბანცალებ... თუმცა ყველა კაი არამზადაა!

ასე არეულად, უთავბოლოდ მსჯელობდა ივან ილიჩი და გზას მიჰყვებოდა. სუფთა ჰაერმა იმოქმედა და გუნება აუშალა. ხუთიოდე წუთის შემდეგ დამშვიდდებოდა და ძილი მოუნდებოდა. მაგრამ უცბად დიდი პროსპექტიდან თითქმის ორ ნაბიჯზე მუსიკის ხმა მოესმა. მიიხედ-მოიხედა. ქუჩის მეორე მხარეზე ერთ ძველ, ერთსართულიან გრძელ ხის სახლში დიდი ქეიფი იყო. ზუნუნებდა ვიოლინოები, წრიბინებდა კონტრაბასი, აჭყვიტინებდა ფლეიტა კადრილის მხიარულ ჰანგს. ფანჯრებთან მაყურებლები მიმდგარიყვნენ, მეტწილად დაბამბულთავსაფრიანი დედაკაცები და დარაბის ჭუჭრუტანებში იჭყიტებოდნენ, რამე

დავინახოთო. შიგ ალბათ დიდი მხიარულება სუფევდა. მოცეკვავეთა ფეხების ბრაგუნს მეორე მხარეს გაიგონებდი. ივან ილიჩმა შორიანლოს უბნის პოლიციელს მოჰკრა თვალი და მისკენ წვიდა.

— ეს ვისი სახლია, ძმაო? — ჰკითხა და ზუსტად იმდენზე გადაიღელა ძვირფასი ქურქი, რომ პოლიციელს კისერზე დაკიდებული საკმაოდ დიდი ორდენი დაენახა.

— მოხელე ფსელდონიმოვის გახლავთ, რეგისტრატორის, ბატონო, — მიუგო უბნის პოლიციელმა და წინ გაეჭიმა. ორდენი უმაღლესი შეამჩნია.

— ფსელდონიმოვის? ვაჰ! ფსელდონიმოვის... ვითომ რა? ცოლს თხოულობს?

— თხოულობს, თქვენო მაღალშობილებავ, ტიტულოვანი მრჩველის ქალს თხოულობს. გვარად მლეკოპიტაევისა... გამგებობაში მსახურობდა. ამ სახლს მზითვში აძლევს თავის ქალს.

— მაშ, ეს უკვე ფსელდონიმოვის სახლია და არა მლეკოპიტაევის?

— ფსელდონიმოვის, თქვენო მაღალშობილებავ. მლეკოპიტაევის იყო, ახლა ფსელდონიმოვის გახლავთ.

— ჰმ. იმიტომ გეკითხები, ძმაო, რომ მისი უფროსი ვარ. იმ უწყების გენერლის, სადაც ფსელდონიმოვი მსახურობს.

— ეგრე გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ. — პოლიციელი უფრო გაიჯგამა. ივან ილიჩი კი ჩაფიქრდა. რაღაცას იხსენებდა...

ჰო, ჰო, ფსელდონიმოვი მართლა მის უწყებაში მუშაობდა, სწორედ მისივე კანცელარიაში; იმ პატარა მოხელეთაგანი იყო, ვისი ჯამაგირი თვეში ათ მანეთს არ აღემატებოდა. პრალინსკიმ დიდი ხანი არაა, რაც კანცელარია ჩაიბარა. ამიტომ ყველა თავისი ხელქვეითი შეიძლება არც ხსომებოდა, მაგრამ ფსელდონიმოვი კი დაამახსოვრდა და ისიც მისი გვარის წყალობით. მაშინვე თვალში ეცა და დაინტერესდა ამ გვარის პატრონისთვის

კარგად შეეხედა. ახლა მოაგონდა, რომ ჯერ სულ ახალგაზრდა ბიჭი იყო, ჰქონდა გრძელი კებიანი ცხვირი, ღია ქერა ბურძგი თმა, გამჭლეული, ნაშიმშილევი სახე. ეცვა უბადრუკი ვიცმუნდირი და კიდევ უფრო სამარცხვინო შარვალი. გაახსენდა, მაშინვე რომ გაიფიქრა, რა იქნება, თუ მნით მეტი მივცეთ ამ საცოდავს, უქმეზე მაინც გამოძღესო? მაგრამ რახან ამ საცოდავს თავ-პირი ჩამოსტიროდა და გამოხედვაც უსიამო, ზიზღის მომგვრელი ჰქონდა, ეს კეთილი ზრახვა თავისთავად გაქრა და ფსელდონიმოვიც ჯილდოს გარეშე დარჩა. ჰოდა, კიდევაც გაუკვირდა, როცა ამ ფსელდონიმოვმა ერთი კვირის წინ თხოვნა შემოიტანა, ცოლს ვირთავო. ივან ილიის გაახსენდა, რომ რატომღაც ვერ მოიცალა ამ საქმის დაწვრილებით გასარჩევად და ქორწილის საქმე ზერელედ, სახელდახელოდ გადაწყდა. მაგრამ ის კი კარგად ახსოვდა, რომ ფსელდონიმოვი მზითვად ხის სახლს და ორმოც თუ მან ნაღდ ფულს იღებდა. ამ გარემოებამ მაშინაც გააოცა. ისიც ახსოვდა, რომ ფსელდონიმოვისა და მლეკოპიტაევის გვარების შეერთებაზე კიდევაც წაიხსუნჯა.

მოიგონა ეს ყველაფერი და უფრო მეტად ჩაფიქრდა. მოგეხსენებათ, რომ თავში ზოგჯერ უამრავი ფიქრი გაგირბენს თვალის დახამხამებაში რაღაც შეგრძნების სახით, რაც ადამიანისა და მით უმეტეს ლიტერატურის ენაზე ძნელად გადმოითარგმნება. მაგრამ მაინც შევეცდებით ჩვენი გმირის ეს შეგრძნება გადმოითარგმნოთ და მკითხველს თუნდაც ამ შეგრძნებათა არსი მივაწოდოთ, ასე ვთქვათ, ის, რაც მთავარია და თან სიმართლესაც ჰგავს. რამეთუ ჩვეულებრივ ენაზე გადმოითარგმნილი ჩვენი ბევრი შეგრძნება დაუჯერებელი შეიძლება მოეჩვენოს კაცს. ამიტომაც უჩინარნი რჩებიან ისინი ქვეყნისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ჩვენგანს აქვს. რაღა თქმა უნდა, პრალინსკის შეგრძნება და ფიქრები ცოტა არეული გახლდათ, თუმცა კარგად მოგეხსენებათ, რატომაც.

„ეჰ! კაცმა რომ თქვას, ლაპარაკში ვერაუინ გვაჯობებს,

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს, კაპიკია ჩვენი ფასი. აი, მაგალითად, თუნდაც ეს ფსელდონიმოვი ავიღოთ: კაცმა ჯვარი დაიწერა, ეკლესიიდან გულაჩქროლებული მოვიდა, იმედით, მოლოდინით აფორიაქებული... ეს მისი ცხოვრების უნეტარესი დღეა... ახლა სტუმრებს დაფუსფუსებს, ქეიფს მართავს — მართალია, უბრალოსა და ღარიბულს, სამაგიეროდ მხიარულსა და გულწრფელს. ნეტავ რა მოუვა, რომ გაიგოს, მე, მისი უფროსი, მისი ყველაზე დიდი უფროსი ამ წუთს მის სახლთან ვდგავარ და მუსიკას ვუსმენ! მართლა რა მოუვა, ჰა? არა, მართლა რა დაემართება, რომ უცებ ადგე და შევიდე? ჰმ... ცხადია, ჯერ დაფეთდება, დაბნეულობისგან ენა ჩაუვარდება. ჩემი მისვლა ხელს შეუშლის, იქნებ ყველაფერი ჩაუშალოს... დიახ, დიახ, სწორედ ასე მოხდება, ვინმე სხვა გენერალი რომ შევიდეს, მხოლოდ მე არა... საქმეც ისაა, ვინც გინდა, ჩემ გარდა...

დიახ, სტეფან ნიკიფოროვიჩ! წელან თქვენ ვერ გამიგეთ. მაგრამ აჰა, ბატონო, უტყუარი მაგალითიც.

დიახ, ბატონო, ჩვენ, ყველანი, ბევრს გავყვირით ჰუმანიზმზე, გმირობის ჩადენა კი არავის შეგვიძლია.

რა გმირობის? რა და ასეთის. აბა განსაჯეთ: საზოგადოების წევრების ახლანდელი დამოკიდებულების დროს ჩემი შესვლა, დიახ, დიახ, ჩემი შესვლა ღამის პირველ საათზე ჩემი ხელქვეითის, ათმანეთიანი რეგისტრატორის ქორწილზე ხომ არეულობას გამოიწვევს, ეს ხომ იდეათა შეტრიალებაა, პომპეის უკანასკნელი დღე, დომხალი! ამას ვერაფერს გამიგებს. სტეფან ნიკიფოროვიჩი მოკვდება და ვერ გაიგებს. აკი თქვა: ვერ გავუძლებთო. დიახ, თქვენ ვერ გაუძლებთ, იმიტომ, რომ დაბერდით, იმიტომ რომ დამბლადაცემულები ხართ, იმიტომ, რომ დამყადით ხალხი, მე კი გა-ეუ-ძლებ! მე გადააქცევ პომპეის უკანასკნელ დღეს ჩემი ხელქვეითებისთვის უნეტარეს დღედ, გაუგონარ საქციელს — ჩვეულებრივ, პატრიარქალურ, მაღალი ზნეობის საქმედ. როგორ? როგორ და ასე. აბა, ყური მიგდეთ...

დიახ... ვთქვათ და, შევედი: — ყველა სახტად რჩება, ცეკვები წყდება, დაფეთებული მიცქერიან, უკან-უკან იხვევენ. ასე, ბატონო, მაგრამ აქ ჩემს თავს ვაჩენ; პირდაპირ მივადგები შეშინებულ ფსელდონიმოვს და ალერსიანი ღიმილით უბრალოდ ვეპყვი: „ასეა და ასე-მეთქი საქმე, მის აღმატებულება სტეფან ნიკიფოროვიჩთან გახლდით, ვგონებ, იცი, აქ მეზობლად ცხოვრობს...“ შემდეგ ისე, ხუმრობით ვყვები ტრიფონის ამბავს. ტრიფონიდან იმაზე გადავდივარ, როგორ წამოვედი ფეხით: „ჰოდა, მუსიკა გავიგონე, პოლიციელს ვკითხე და შევიტყვეე, რომ ცოლს თხოულობ, ძმაო. ვიფიქრე, მოდი, ჩემს ხელქვეითთან შევალ, დავხედავ, ჩემი მოხელეები როგორ ილხენენ და... ქორწინდებიან. მე მგონი, არ გამაგდებ!“ გამაგდებო! როგორი მოსასმენია ხელქვეითისთვის. რის გაგდება, რა გაგდება! მგონი, ჭკუაზე შეცდება კაცი, ჯარასავით დატრიალდება, უმაღლეს საფარმელში ჩამსვამს, აღტაცებისგან აცახცახდება, პირველ წუთს გონზეც ვერ მოვა!..

განა რა უნდა იყოს ამ საქციელზე უბრალო და მოხდენილი! რისთვის შევედი? ეს სხვა საკითხია! ეს უკვე, ასე ვთქვათ, საქმის ზნეობრივი მხარეა. აქ მარხია ძაღლის თავი!

ჰმ... რაზე ვფიქრობდი? ჰოო!

რა თქმა უნდა, ყველაზე საპატიო სტუმართან დამსვამენ, ვინმე ტიტულოვანი მრჩველის თუ გადამდგარი შტაბსკაპიტნის გვერდით, მათ წითელცხვირა ნათესავთან... დიდებულად ჰყავს აღწერილი ეს თავისებური ხალხი გოგოლს. რასაკვირველია, პატარძალსაც გამაცნობენ. მეც შევაქებ, სტუმრებს გავამხნევებ. ვთხოვ, არ მოგერიდოთ, იმხიარულეთ, იცეკვეთ-მეთქი, ვოხუნჯობ, ვიცინი, მოკლედ — თავანიანად და საამურად ვიქცევი, როგორც ყოველთვის, თუ ჩემი თავის კმაყოფილი ვარ... ჰმ... საქმეც ისაა, რომ, მგონი, ცოტა კიდევ... არა, მთვრალი კი არა, ასე ვთქვათ...

...რასაკვირველია, ჯენტლმენის პირობაზე ყველას ისე

ვექცევი, როგორც ჩემს ტოლსა და სწორს, განსაკუთრებულ პა-
ტივს არ ვითხოვ... მაგრამ რაც შეეხება ზნეობრივ მხარეს, ეს
სხვა საქმეა: ისინი მიხვდებიან და დააფასებენ... ჩემი საქციელი
გაუღვიძებთ ყველა კეთილშობილურ გრძნობას... ჰოდა, დავრ-
ჩები ნახევარი საათი... ჰა, ერთი საათი. ცხადია, ვახშამდე წამ-
ოვალ. იცოცხლე, დაბზრიალდებიან, რას არ შეწვავენ და გა-
მოაცხობენ, წელში გადატყდებიან ხვეწნით, მე კი მხოლოდ ერთ
სასმისს დავლევ, დავლოცავ, ხოლო ვახშამზე უარს ვიტყვი.
საქმეები მაქვს-მეთქი, მოვიმიზეზებ. „საქმეებს“ რომ ვიტყვი, ყვე-
ლას სახე დაუგრძელდება და მოწიწება გადაეფინება. ეს ჩემგან
თავზიანი შესხენება იქნება, თუ რა სხვაობაა ჩვენ შორის. ცა
და დედამიწა. არა, კი არ მინდა ვაგრძნობინო, მაგრამ ხომ მაინც
საჭიროა... რაც უნდა თქვა, ზნეობრივადაც აუცილებელია, თუმცა
მაშინვე გავიღიმებ, გავიცინებ კიდევაც და ყველანი გამხნეველები-
ან... პატარძალსაც ისევე გავეზუმრები; ჰმ... იმასაც გადაუკრავ,
ზუსტად ცხრა თვის თავზე ნათლიად გესტუმრებით-მეთქი. ჰე-
ჰე! ის ალბათ ამ დროისთვის მოილოგინებს. ეგენი ხომ კურ-
დღელებით მრავლდებიან. ყველა გადაიხარხარებს, პატარძა-
ლი გაწითლდება. მე გრძნობით ვაკოცებ შუბლზე, დავლოცავ...
და მეორე დღეს ჩემი გმირობის ამბავი მთელ კანცელარიას მოე-
ფინება. მეორე დღეს კვლავ მკაცრი გავხდები, მეორე დღეს კვ-
ლავ მომთხოვნი ვიქნები, შეუბრალებელიც კი, მაგრამ ჩემი გუ-
ლის ამბავი უკვე ყველას ეცოდინება. გაიგებენ, ვინც და რაც
ვარ; „უფროსის კვალობაზე სასტიკია, როგორც ადამიანი კი
ანგელოზიო!“ და გავიმარჯვებ კიდევ. დიდი არაფერია, მაგრამ
ამ საქციელით, თქვენ რომ თავშიც არ მოგვთა, ეგენი უკვე ბადეში
გავხვიე, ეგენი უკვე ჩემები არიან, მე — მამა, ისინი — შვილე-
ბი... აბა, თუ ვაჟკაცი ხართ, მობრძანდით და ასე მოიქცით,
თქვენო აღმატებულებავ, სტეფან ნიკიფოროვიჩ...

... იცით კი, ან გესმით, რომ ფსელდონიძევი მერე თავის
შვილებს მოუყვება, თვით გენერალმა როგორ იქეფა მის ქორ-

წილში! მისი შვილები თავიანთ შვილებს მოუყვებიან, ისინი შვილოშვილებს და ასე წმიდათაწმიდა ანეკლოტად გავრცელდება ეს ამბავი, წარჩინებულმა მოხელემ და სახელმწიფო მოღვაწემ (იმხნისთვის კი ერთი ცვიქნები და მეორეც) როგორ გახადა ისინი ღირსად... მე ხომ ამით დაბეჩავებულს ზნეობრივად წელში გაემართავ, მე ხომ მას საკუთარი თავის რწმენას დაეუბრუნებ... ის ხომ თვეში ერთ თუმანს იღებს!.. მე რომ ხუთჯერ ან ათჯერ ასერივად მოვიქცე, საქვეყნოდ ცნობილი გავხდები... ყველას გულზე დაუქნატები. ამისთანა ცნობილი სახელით კი, ღმერთმა იცის, რას არ მოიხვეჭს კაცი!..“

ასე თუ ამდაგვარად მსჯელობდა ბატონი პრაღინსკი (ბატონებო, განა ამისთანებს იტყვის ადამიანი თავის გულში, მეტადრე ესოდენ უცნაურ გარემოებაში). ამ ფიქრებმა გაურბინა რაღაც ნახევარი წუთის განმავლობაში თავში და იქნებ მართლა ამ ოცნებებით დაკმაყოფილებულიყო, იქნებ მხოლოდ გულში შეერცხვინა სტეფან ნიკიფოროვიჩი, შემდეგ კი არხეინად წასულიყო შინ და მშვიდად დაეძინა. მერედა რა კარგად მოიქცეოდა! მაგრამ ვაი რომ, ეს მხოლოდ წუთი იყო, უცნაური წუთი.

თითქოს ჯიბრზე სწორედ იმ წუთს მოჩახჩახებულმა წარმოსახვამ უეცრად სტეფან ნიკიფოროვიჩისა და სემიონ ივანოვიჩის გაბღენძილი სახეები დაუხატა.

— ვერ გავუძლებთ! — გაიმეორა სტეფან ნიკიფოროვიჩმა და ქედმაღლურად გაიღიმა.

— ხი-ხი-ხი! — ბანი მისცა სემიონ ივანოვიჩმა ბილწზე ბილწი ღიმილით.

— აბა ვნახოთ, თუ ვერ გავუძლებთ! — გადაწყვეტით თქვა ივან ილიჩმა და სახეზე სისხლი მოაწვა. მერე წანწალიდან ჩამოვიდა, მტკიცედ გადაჭრა ქუჩა და თავისი ხელქვეითის, რევისტრატორ ფსელდონიმოვის სახლს მიაშურა.

იგი წერას აეტანა, მას ბედისწერა მიაქროლებდა. მხნედ

შევიდა ღია ჭიშკარში და ზიზღით ჰკრა ფეხი პატარა, გაბან-
ჯგვლულ ფინიას, რომელიც უფრო თავის გამოსაჩენად, ვიდრე
საქმისთვის, ჩახრინწული ყეფით შეუვარდა ფეხებში. გადახუ-
რულ პარმალამდე ფიცარნაგით მიადწია. შემდეგ აიარა დაძ-
ველებული კიბე და პაწაწკინტელა შესასვლელში ამოყო თავი.
იქ, სადღაც კუთხეში სანთლის ნამწვი თუ სანათი ბეუტაუდა,
მაგრამ ივან ილიჩმა მარცხენა კალოში მაინც ჩატუცა გასაციფე-
ბლად გადმოდგმულ გალანტირში. მან დაიხედა და დაინახა,
რომ იქ კიდევ ორი ლანგარი იდგა რაღაც ლაბიანი კერძით და
ორი ფორმაც, მგონი, ბლანმანჟეთი. გაჭყლუტილმა გალანტირმა,
ცოტა არ იყოს, შეაცბუნა და წამით თავში გაუელვა: ხომ არ
ჯობს გავიპარო? მაგრამ ეს აზრი მეტისმეტ ლაჩრობად მიიჩ-
ნია. იფიქრა, მაინც არავის დაუუნახავარ, ჩემზე ვერც ვერავინ
იფიქრებსო, საჩქაროდ გაწმინდა კვალის დასაფარავად კალო-
ში, ქეჩით აკრული კარი ხელით მონახა, შეაღო და პაწაწკინ-
ტელა დერეფანში აღმოჩნდა. მისი ერთი ნახევარი შინელებს,
ბეკეშებს, სალოფებს, კაპორებს, შარფებსა და კალოშებს
დაეკავებინა. მეორეში მუსიკოსები დასკუპულიყვნენ. ორი ვიო-
ლინო, ფლეიტა და კონტრაბასი — სულ ოთხი კაცი — რა თქმა
უნდა, ქუჩიდან მოყვანილი, შეუღებავ ხის მაგიდას მისხდომოდ-
ნენ, წინ ერთი ქონის სანთელი ედგათ და გამყინავად, თავაწ-
ყვეტით აწრიპინებდნენ კადრილის ბოლო ცეკვას. დარბაზის ღია
კარიდან, მტერის ბუღში, თამბაქოს კვამლსა და ოხშივარში
მოცეკვავენი მოჩანდნენ. იდგა ერთი ხორხოცი, ყიჟინა, ისმოდა
ქალების კვილი. კავალრები ისე აბრაგუნებდნენ ფეხებს, ცხ-
ენების ესკადრონი გვერდებოდა. იმ სოლოში ცეკვების გამრიგეს
ხმა ისმოდა, როგორც ჩანს, დიდი მოურიდებელი და წრეგადა-
სული კაცის: „კავალრები წინ, შენ დე დამ, ბალანსე!“ და სხვა.
ცოტა არ იყოს აღელვებულმა ივან ილიჩმა ქურქი და კალოშები
გაიძრო და ქუდით ხელში ოთახში შევიდა. უკვე განსჯის თავიც
არ ჰქონდა...

პირველ წუთში ვერავინ შეამჩნია: ცეკვა მთავრდებოდა და ყველა ამით იყო გართული. ივან ილიჩი დარეჰტიანებულივით იდგა, ამ დომხალში ვერაფერი გაერჩია. თვალწინ უკრთოდა მანდილოსანთა კაბები, პაპიროსგაჩრილი კავალრები... ვიღაც ქალბატონის ღია ცისფერი შარფი ცხვირის წვერზე მოხვდა. ამ ქალს გახელებული აღტაცებით მიჰყვა თმაგაჩეჩილი სტუდენტი და საკმაოდ მაგარი მუჯღუგუნე უთავაზა. თვალწინ გაუელვა ბოძივით აყუდებულმა რომელიღაც პოლკის ოფიცერმა. ბრაგუნ-ბრაგუნით ჩაუქროლა ვიღაცამ და არაბუნებრივი ხმით დასჭყვივლა: „ეჰჰეი, ფსელდონიმუშკა!“ ივან ილიჩს ფეხები ქვებებოდა: იატაკზე ალბათ სანთელი თუ წაესვათ. თუმცა ოთახი პატარა არ იყო, ოცდაათამდე სტუმარი იქნებოდა.

მაგრამ ერთი წუთის შემდეგ კადრილი დამთავრდა. დამთავრდა და თითქმის მაშინვე ის მოხდა, რაზეც წანწალზე ოცნებობდა. სტუმრებსა და მოცეკვავეებს შორის, რომლებმაც სულის მოთქმა და ოფლის მოწმენდა ვერ მოასწრეს, რაღაც უჩვეულო გუგუნე და ჩურჩული ატყდა. ყველას თვალი და ყველას მხერვა შემოსულმა სტუმარმა მიიპყრო. შემდეგ ნელ-ნელა უკან-უკან დაიხიეს. ვისაც კი ივან ილიჩი ჯერ ვერ შეემჩნია, იმას ტანსაცმელზე ექაჩებოდნენ და გონს მოჰყავდათ. ისინიც მოიხედავდნენ და მაშინვე სხვებთან ერთად უკან აწყდებოდნენ. ივან ილიჩი ზღურბლზე იდგა გაუნძრევლად. მასა და სტუმრებს შორის თანდათან დიდდებოდა მანძილი. ცარიელი სივრცე იატაკზე დაყრილი კანფეტების ქალღღებით, ბილეთებითა და პაპიროსის ნამწვევებით იყო მოფენილი. უცებ ამ ცარიელ სივრცეში გაუბედავად შემოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ვიცემუნდირი ეცვა, ბურძგი ქერა თმა და კწიანი ცხვირი ჰქონდა. ისე მობღუნებული მოდიოდა ბატონი პრალინსკისკენ და ისე შეჰყურებდა მოულოდნელ სტუმარს, როგორც ძაღლი თავის პატრონს, რომელიც წიხლის ჩასახელად ეძახის.

— გამარჯობა, ფსელდონიმოვ, ვერ მიცანი?... — უთხრა ივან

ილიჩმა და იმწამსვე იგრძნო, რა საშინლად უხერხულად გამოუვიდა ნათქვამი და რა დიდ სისულელეს სჩადიოდა ამ წუთს.

— თ-თ-თქვენიო აღმატებულებავ!.. — ამოიღულღულდა ფსელდონიმოვმა.

— მაშ, მაშ, ძმაო, სრულიად შემთხვევით შემოვიარე, თვითონაც მიხვდები ალბათ...

მაგრამ ფსელდონიმოს არაფრის მიხვედრის თავი არ ჰქონდა. თვალეზღაჳყეტილი, გაოგნებული იდგა.

— მე მგონი, არ გამაგდებ... ხომ იცი, სტუმარი ღვთისაა!.. — განაგრძო ივან ილიჩმა და იგრძნო, როგორ იწურება სირცხვილის ოფლში, გადიმება უნდა და ვერ ახერხებს, სტეფან ნიკიფოროვიჩისა და ტრიფონზე განუმრებაც გაუჭირდება ახლა და არც გამოუვა. არადა, ფსელდონიმოვი, თითქოს ჯიბრზე, ისევ გაშეშებული დგას და გამოლენჩებული შეჰყურებს. ივან ილიჩი შეტოკდა, მიხვდა, ცოტა კიდევ და რაღაც წარმოუდგენელი დომხალი მოხდება.

— ხელი თუ შეგიშალეთ... მე წავალ! — ძლივს ამოდერდა მან და ტუჩის მარჯვენა კუთხესთან რაღაც ძარღვი აუთამაშდა...

მაგრამ ფსელდონიმოვი უკვე გონს მოეგო...

— რას ბრძანებთ, თქვენიო აღმატებულებავ... როგორ გეკადრებათ... ესოდენი პატივი... — ლულღულღებდა და წელში ოთხად იკეცებოდა, — წყალობა დაგვდეთ და დაბრძანდით... — საბოლოოდ გონს მოსულ ფსელდონიმოს ორივე ხელი დივნისკენ გაეშვირა, საიდანაც ცეკვების დროს მაგიდა გაწიათ...

ივან ილიჩმა სული მოითქვა და დივანზე დაჯდა; ვიდაცამ საჩქაროდ მაგიდა მოუჩოჩა. პრალინსკიმ მიმოიხედა და ნახა, მის გარდა ყველა ფეხზე იდგა, ქალებიც კი. ეს ცუდის ნიშანი იყო. მაგრამ ახლა არც ამის თქმა და არც გამხნეება არ ივარგებდა. სტუმრები ისევ უკან-უკან იხევდნენ. წინ მხოლოდ წელში მოკაკული, გაოგნებული ფსელდონიმოვი ედგა, რომლის სახეს დიმილის ნატამალი არ ეტყობოდა. რაღა ბევრი გაუვარძელო,

ისეთი საძაგელი ვითარება შეიქნა და ჩვენი გმირი იმწუთს ისეთ-
მა საშინელმა განცდებმა შეიპყრო, მისი შემოჭრა მხოლოდ და
მხოლოდ პრინციპის გამო ხელქვეითის ოჯახში დასტურ დიდ
გმირობად ჩათვლებოდა. უცებ ფსელდონიმოს ვიღაც კაცი
ამოუდგა გვერდით და პრალინსკის თავი დაუკრა. ივან ილიჩმა
ენით აუწერელი სიხარული და ბედნიერება იგრძნო, როცა თავისი
კანცელარიის პალატის უფროსი აკიმ პეტროვიჩი ზუბიკოვი
იცნო, ვისაც, მართალია, კარგად არ იცნობდა, მაგრამ საქმიანი
და უენო მოხელე რომ იყო, ეს კი იცოდა. ბ-ნი პრალინსკი
სასწრაფოდ წამოდგა და აკიმ პეტროვიჩს ხელი გაუწოდა, დიახ,
დიახ, ხელი და არა ორი თითი. გენერალი აღტაცებამ მოიცვა.
ხსნა მოველინა, კაცი გადარჩა.

მართლაც ფსელდონიმოვი უკვე მეორე კი არა, ასე ვთქვათ
მესამე პირად იქცა. პრალინსკის ახლა შეეძლო პირდაპირ პა-
ლატის უფროსისთვის ეამბნა, რისი მოყოლაც სურდა და ამ
გასაჭირში ნაცნობად და ახლო ნაცნობადაც მიეჩნია. ფსელ-
დონიმოს კი თუნდაც სულ ნუ ამოელო ხმა და მხოლოდ მოწიწე-
ბით ეცახცახა. მაშასადამე, წესი და რიგი დაცული იქნებოდა.
ისე კი რაღაც მართლა უნდა ეამბნა; ივან ილიჩი გრძნობდა და
ხედავდა, რომ სტუმრები რაღაცას მოეღიან, რომ ორივე კარი
ოჯახის წევრებით გაიჭედა და ლამის შედახორას გადადიან მის
სანახავად და მოსასმენად. მაგრამ ეს ხეპრე პალატის უფროსი
რომ არ ჯდება, ეს კი ცუდია.

— რაღას უცდით! — ჩაილაპარაკა ივან ილიჩმა და უხერხ-
ულად მიუთითა თავის გვერდზე.

— რას ბრძანებთ... მე აქაც, ბატონო ჩემო... — აკიმ პეტრო-
ვიჩი სასწრაფოდ დაჯდა სკამზე, რომელიც ჯიუტად ფეხზე მდ-
გარმა ფსელდონიმოვმა ხელდახელ მიუსრიალა.

— წარმოიდგინეთ, რა ამბავი მოხდა, — მხოლოდ და მხ-
ოლოდ აკიმ პეტროვიჩის მისამართით თამამად დაიწყო ივან
ილიჩმა. თუქცა ხმა ოდნავ უკანკალებდა, სიტყვები გაჭიანურე-

ბითა და დაყოფით გამოსდიოდა, ა-ს ნაცვლად რატომღაც ე-ს გამოთქვამდა, მოკლედ, თვითონვე გრძნობდა, რომ იპრანჭებოდა, მაგრამ თავს ვეღარ მორუოდა; რაღაც გარეშე ძალა ამოქმედებდა. ამწუთას საოცრად ბევრს შეიგრძნობდა და ეს შეგრძნებები მტანჯველი იყო.

— წარმოიდგინეთ, ეს წუთია, სტეფან ნიკიფოროვიჩი ნიკიფოროვისგან მოვდივარ. ალბათ გსმენიათ, საიდუმლო მრჩეველი რომაა. ჰმ... იმ კომისიისა...

აკიმ პეტროვიჩი მოწიწებით გადმოიხარა წინ: აქაოდა, როგორ არ გვსმენიაო.

— ახლა შენ მეზობლად ცხოვრობს, — ზრდილობის გამო წაპით ფსელდონიმოვისკენ მიაბრუნა თავი ივან ილიჩმა, მაგრამ თვალბზე რომ შეატყო, ფსელდონიმოვისთვის ეს სულერთი იყო, უმალ ისევ მოტრიალდა.

— ბებერს მთელი სიცოცხლე აბოდებდა სახლის ყიდვა... ჰოდა, იყიდა კიდევ. ძალიან კოხტა სახლია. დიახ... თანაც დღეს მისი დაბადების დღე ყოფილა. თუმცა წინათ არასოდეს უზვიმია. გვიძალავდა და არ გვიმხელდა, ხარჯს ერიდებოდა, ხე-ხე! ახლა ახალმა სახლმა ისე გაახარა, მე და სემიონ ივანოვიჩი დაგვეპატიჟა. იცნობთ ალბათ შიპულენკოს.

აკიმ პეტროვიჩი ისევ გადმოიხარა და დიდი მოწიწებითაც გადმოიხარა! ივან ილიჩს ცოტა გულზე ეფონა. თორემ ლამის იყო იფიქრა, ხომ არ მიხვდა პალატის უფროსი, მისი აღმატებულებისთვის ამწუთას რომ ერთადერთი ხსნა იყო. ესღა აკლდა ახლა.

— ჰოდა, დავსხედით სამივე, შამპანური გამოიტანა, საქმეებზე ვიმუსაიფეთ... ხომ იცით, აქითურზე, იქითურზე... სხვადასხვა საკითხზე... კიდევ ვიკამათეთ... ხე-ხე!

აკიმ პეტროვიჩმა მოწიწებით ასწია წარბები.

— მაგრამ საქმე ეს არაა. ბოლოს გამოვეთხოვე, მოგეხსენებათ მოხუცის ამბავი, თავისი წესების კაცია, ადრე წვება,

გამოვედი... სადაა ჩემი ტრიფონი! შვეშფოთდი, ვიკითხე: „ტრიფონმა სად წაიყვანა-მეთქი ეტლი?“ თურმე იმ იმედით, დააგვიანდებო, ვილაც თავისი ნათლიდედის ქორწილზე წაბრძანებულა... ღმერთმა იცის მისი თავი. აქვე, პეტერბურგის მხარეს ყოფილა. ეტლიც თან წაუყვანია. — გენერალმა ზრდილობის გამო ისევ ახედა ფსელდონიმოვს. ისიც უმაღლ მოიბღუნდა, თუმცა ისე არა, როგორც გენერალს ეგებოდა. „ეს რა უსულგულო ვინმე ყოფილა“, — გაუელვა თავში.

— რასა ბრძანებთ! — მიატანა დიდად განცვიფრებულმა აკიმ პეტროვიჩმა. გაკვირვების ბუბუნი აღმოხდათ სხვებსაც.

— აბა, განსაჯეთ ჩემი მდგომარეობა... (ივან ილიჩმა ყველას მოავლო თვალი.) რა გზა მქონდა, ფეხით წამოვედი. ვიფიქრე, დიდ პროსპექტამდე მივალ და რომელიმე ვანკას ავიყვან-მეთქი... ხე-ხე!

— ხი-ხი-ხი! — მოწიწებით ჩაიხითხითა აკიმ პეტროვიჩმაც. ხალხში ისევ გუგუნი გაისმა, მაგრამ ამჯერად უფრო მხიარული. ამ დროს ლაწანით გასკდა კედელზე დაკიდებული ლამპის შუშა. ვილაც ფიცხლად ეცა გასასწორებლად. ფსელდონიმოვი შეკრთა და მკაცრად გახედა ლამპას. მაგრამ გენერალს არც კი შეუნიშნავს ეს და ყველა დაშშვიდდა.

— მივდივარ... შშვენიერი წყნარი ღამეა. უცებ მუსიკის ხმა და ბრაგაბრუგი მომესმა. სადღაც ცეკვავენ. პოლიციელს ვკითხე. იმან მითხრა, ფსელდონიმოვი ცოლს თხოულობსო. შენ თურმე, ძმაო, მთელ პეტერბურგის მხარეს პატიჟებ და მეჯლისებს მართავ, ჰა? ხა-ხა! — უცებ ისევ ფსელდონიმოვს მიუტრიალდა გენერალი.

— ხი-ხი-ხი! დიახ, ბატონო ჩემო... — გაეხმიანა აკიმ პეტროვიჩი. სტუმრები ისევ შეჩოჩქოლდნენ. მაგრამ ყველაზე სულელური ის იყო, რომ ფსელდონიმოვს არც ახლა გაუღიმიან, მხოლოდ თავი კი დახარა, თითქოს ხე ყოფილიყო. „ბრიყვია თუ რა არის! — გაიფიქრა ივან ილიჩმა. — ახლა უნდა გაეღიმა მაგ

მუტრუკს და ყველაფერი ჩინებულად იქნებოდა“. გული მოუთმენლობით აეესო. — ვიფიქრე, მოდი, ჩემს ხელქვეითთან შევალ. მართლა ხომ არ გამაგდებს... უნდა, არ უნდა, სტუმარი უნდა მიიღოს. შენთან უკაცრავად, ძმაო, თუ ხელი შეგიშალე რამეში, წავალ... მე ხომ სანახავად შემოვედი მხოლოდ...

ამასობაში ყველანი ნელ-ნელა ამოდრავდნენ. აკიმ პეტროვიჩი დათაფლული სახით იყურებოდა: აქაოდა, თქვენი აღმატებულება ხელს ვის შეუშლისო? სტუმრებს სითამამის პირველი ნიშნები დაეტყვოთ. თითქმის ყველა ქალი იჯდა, ეს კი უკვე კარგის მომასწავებელი იყო. უფრო გამბედავნი ცხვირსახოცებს ინთავებდნენ. გაქუცული ხავერდისკაბიანი მანდილოსანი განზრახ ხმამაღლა ელაპარაკებოდა ვიღაც ოფიცერს. მანაც ასევე ხმამაღლა მოინდომა ეპასუხა, მაგრამ რახან მართო ორნი იყვნენ ხმამაღლა მოლაპარაკენი, ვეღარ გაბედა. მამაკაცების მეტ წილს კანცელარიის მოხელენი და ორი-სამი სტუდენტი შეადგენდა. თან ახველებდნენ და თან ერთმანეთს ისე უყურებდნენ, თითქოს უბიძგებდნენ, მიდი, მიდი, ნუ გეშინია, გაბედეთ. ორ-ორი ნაბიჯიც კი გადადგეს აქეთ-იქით. თუმცა დიდი მორიდება არავის ეტყობოდა. ოღონდაც ავი და ბოროტი თვალით უყურებდნენ ამ ვაჟბატონს, აქ რომ შემოეხეტა და მზიარულება ჩაეშალათ. ოფიცერს შერცხვავ თავისი სულმოკლეობის და ნელ-ნელა მიუახლოვდა მაგიდას.

— გამიგონე, ძმაო, შენს სახელსა და მამის სახელს ვერ მეტყვი? — ჰკითხა ივან ილიჩმა ფსელდონიმოვს.

— პორფირი პეტროვიჩი, თქვენო აღმატებულებაჲ, — თითქოს ჯარში იყო, ისე გადმოქაჩა მან თვალები.

— ჰოდა, გამაცანი შენი ახალგაზრდა ცოლი, პორფირი პეტროვიჩი... მომიყვანე... და...

გენერალმა წამოდგომა დააპირა. მაგრამ ფსელდონიმოვი კისრისტეხით გავარდა სასტუმროსკენ. პატარძალი იქვე, კარში იდგა, მაგრამ როცა გაიგონა, ჩემზე ლაპარაკობენო, მაშინვე

დაიძალა. ერთი წუთის შემდეგ ფსელდონიმოვმა ხელჩაკიდებული გამოიყვანა იგი. აქეთ-იქიდან გზა დაუთმეს. ივან ილიჩი დიდი ამბით წამოდგა და ქალს თავაზიანად გაუღიმა.

— ფრიად მიხარია თქვენი გაცნობა, — უთხრა და დიდკაცურად დაუკრა თავი, — მეტადრე ამისთანა დღეს...

გენერალმა ცბიერად გაიღიმა. მანდილოსნები აღტაცებით შეჩოჩქოლდნენ.

— რა საუცხოოა! — თითქმის გასაგონად ჩაილაპარაკა ხვერდისკაბიანმა ქალმა.

პატარძალი მართლა შესაფერიის წყვილი აღმოჩნდა ფსელდონიმოვისთვის. ჩვიდმეტოილე წლის გამხდარი ქალი იყო, პატარა და ფერმკრთალ სახეს წვეტიანი ცხვირი უმშვენებდა. წვრილ თვალებს სწრაფად ასრიალებდა აქეთ-იქით, დარცხვენა არ ეტყობოდა, პირიქით, დაჟინებით და რაღაც ღვარძლითაც იმზირებოდა. ამკარა იყო, ფსელდონიმოვი სიტურფისთვის არ თხოულობდა. ეცვა ვარდისფერსარჩულიანი თეთრი მარმაშის კაბა, კაბიდან გამხდარი კისერი, გალუული ტანი და ტანმორჩილი ძვლები უჩანდა. გენერლის მისალმებაზე ხმაც არ გაუღია.

— ძალიან ლამაზი ცოლი კი გყოლია, — განაგრძო გენერალმა ხმადაბლა, თუმცა ისე, პატარძალსაც რომ გაეგონა. მაგრამ ფსელდონიმოვს არც ახლა დაუძრავს კრინტი და, ასე განსაჯეთ, არც შეტოკებულა. ივან ილიჩმა მის თვალებში რაღაც ცივი ფარული ნაპერწკალი შეამჩნია, უცნაური და მკენე. და მაინც, გენერალს უსათუოდ გრძნობიერება უნდა გაეღვიძებინა ამ კაცში. ის ხომ ამისთვის იყო მოსული.

„ფერი ფერსო, მადლი ღმერთსო! — გაიფიქრა გუნებაში. — თუმცაღა...“

გენერალი ისევ გამოელაპარაკა მის გვერდით დასკუპულ დედოფალს. მაგრამ „პო“ თუ „არას“ მეტი ვერაფერი წამოაცდენინა, ისიც ყველა კითხვაზე არც კი.

„დაირცხვინოს მაინც, მაშინ გავიხუმრებდი, — გაურბინა

ისევ გუნებაში, — თორემ აღარ ვიცი, რა ვქნა“. აკიმ პეტროვიჩსაც, თითქოს ჯიბრზე, პირში წყალი ჩაეგუებინა, მერე რა რომ თავისი სიბრიყვით, მაინც არ ეპატიებოდა.

— ბატონებო! იქნებ მართლა ჩაგიშალეთ მხიარულება? — ახლა ყველას მიმართა გენერალმა და იგრძნო, ხელისგულებიც რომ გაუოფლიანდა.

— ნუ წუხნართ, თქვენო აღმატებულებავ, ახლავე დავიწყებთ, ჯერჯერობით ვისვენებთ, — მიუგო ოფიცერმა. პატარძალმა კმაყოფილებით შეხედა ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ოფიცერს, რომელიღაც პოლკის მუნდირი რომ ეცვა. ფსელდონიძე იქვე იდგა, მთელი ტანით წინ გადმოხრილი. კუჩიანი ცხვირი ახლა უფრო მეტად დამჩნეოდა სახეზე. ისე იდგა და იმზირებოდა, ლაქია გეგონებოდა ქურქით ხელში, თავისი ბატონების დამშვიდობებას რომ ელის. ასე გაიფიქრა თავად ივან ილიჩმა, რომელმაც აღარ იცოდა, რა წყალში ჩაგარდნილიყო, თავს საოცრად უხერხულად გრძობდა, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა, თითქოს სადღაც ბნელში მოხვედრილიყო და იქიდან ვეღარ გამოეღწია.

უცებ სტუმრების ბრბო ორად გაიპო და დაბალი, ჩასუქებული, ხნიერი ქალი გამოატარეს. ეცვა უბრალოდ, თუმცა სიკოხტავისთვის მხრებზე დიდი შალი მოესხა, ყელთან ქინძისთავით შეკრული, და თავსაბურავიც წამოეცვა, რომლის ტარებას ნაჩვევი არ უნდა ყოფილიყო. ხელში პატარა მრგვალი ლანგარი ეკავა. ლანგარზე ეს წუთია გახსნილი შამპანურის საუსე ბოთლი და ორად ორი ჭიქა იდგა, მხოლოდ ორი სტუმრისთვის განკუთვნილი.

ხნიერი ქალი გენერალს ჯიქურ მიეახლა და თავი დაუკრა.

— ნუ დაგვძრახავთ, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ რახან გვიკადრეთ და ჩემი ვაჟიშვილის ქორწილზე გვეწვიეთ, წყალობა გამოიჩინეთ და ნეტე-დედოფალი დამილოცეთ. ნუ გვიოთაკილებთ, პატივი დაგვდეთ, ჩემო ბატონო.

ივან ილიჩს მისი მოსვლა ხსნად მოეჩვენა. ქალი ხნიერი არ აღმოჩნდა, ორმოცდახუთსა თუ ექვსზე მეტის არ იქნებოდა, მაგრამ ისეთი კეთილი, ღაჟღაჟა, გაშლილი, ჭეშმარიტად პირმრგვალი რუსული სახე ჰქონდა, ისე კეთილად იღიმებოდა, ისე უბრალოდ უკრავდა თავს, გენერალს თითქმის გულზე მოეშვა და იმედი მოეცა.

— მაშ თქვე-ენ დე-და ბრძანდებით თქვენი ვა-ჟის? — წამოიწია დივნიდან იგი.

— დედა გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ, — წაილულულა ფსელდონიმოვმა, გრძელი კისერი წამოსჭიმა და ცხვირი კიდევ უფრო წინ გამოსწია.

— ოჰო! ფრიად, ფრი-იად მოხარული ვარ თქვენი გაცნობით.

— მაშ ნუ გვითაკილებთ, თქვენო აღმატებულებავ.

— დიდი სიამოვნებით დავლევ.

ლანგარი მაგიდაზე დადგეს. ფსელდონიმოვი წინ გამოიჭრა და ღვინო დაასხა. კვლავ ზეზე მდგარმა ივან ილიჩმა სასმისი აიღო.

— მეტადრე, მეტადრე იმიტომ მიხარია ეს შემთხვევა... რომ შემიძლია... გამოუთქვა ჩემი... ერთი სიტყვით, როგორც უფროსი... გისურვებთ, ქალბატონო (იგი პატარძალს მიუბრუნდა) და შენც, ჩემო კარგო პორფირი — დიდსა და ხანგრძლივ ბედნიერებას.

გენერალმა გრძნობით დაცალა ეს უკვე მეშვიდე სასმისი ამ საღამოს. ფსელდონიმოვი დინჯად, კუშტადაც კი შესცქეროდა. გენერალს იგი უკვე მთელი არსებით სძულდა.

— თქვენც მიირთვით, აკიმ პეტროვიჩ, თქვენც დამილოცეთ შეილები, — ახლა პალატის უფროსს მიუბრუნდა ქალი. — თქვენ უფროსი ბრძანდებით, — ის თქვენი ხელქვეითი. ყურადღება მიმიქციეთ, როგორც დედა გთხოვთ. ამას იქითაც ნუ დაგვივიწყებთ. თქვენ გენაცვალეთ, აკიმ პეტროვიჩ, თქვენი კეთილი გულის ჭირიძე.

„რა საუცხოები არიან ეს რუსი ასაკოვანი ქალები! — გაიფიქრა ივან ილიჩმა. — ყველა არ გამოაცოცხლა! ამიტომაც მუდამ მიყვარდა ხალხი...“

ამ წუთს კიდევ ერთი ლანგარი შემოუმატა სუფრას მოახლელ ქალმა — მის ჯერ გაურეცხავ ჩითის კაბასა და ხაბარდას შარიშური გაჰქონდა. ვეებერთელა ლანგრისთვის ორი ხელი ძლივს შემოეწვდინა. ზედ უამრავი პატარა თუფში ქწყო ვაშლებით, კანფეტებით, მარმელადებით, კაკლითა თუ სხვა ნუგბართ სავსე. ეს ლანგარი აქამდე სასტუმროში იდგა ყველა სტუმრისა და მეტწილად მანდილოსანთა პირის ჩასატკბარუნებლად. ახლა კი მარტო გენერალს მორათვეს.

— ნუ დაგეძრახვთ ნუგბარზე, თქვენო აღმატებულებაჲ. მოგეხსენებათ, კეთილი გულით მორთმეულიო... — იმეორებდა და თავს უკრავდა მოხუცი ქალი.

— რას ბრძანებთ... — ივან ილიჩმა სიამოვნებითაც აიღო და თითებშუა გატენა ერთი კაკალი. გადაწვევტილი ჰქონდა სახელის მოხვეჭის ხათრით უკან არ დაეხია.

უეცრად პატარძალმა ჩაიხითხითა.

— რა იყო? — ღიმილით შეეკითხა ივან ილიჩი, რომელსაც სიცოცხლის ამ პატარა ნიშანმაც სიხარული მოჰგვარა.

— აი, ივან კოსტენკინიჩი მაცინებს, ბატონო ჩემო, — მიუგო ქალმა და თავი დახარა.

გენერალმა მართლა დაინახა ერთი ქერათმიანი ლამაზი ყმაწვილი, რომელიც დიუნის მეორე მხარეს სკამზე ჩამალულიყო და რაღაცას უჩურჩულებდა ფსელდონიმოვას. ყმაწვილი წამოდგა. ძალზე ახალგაზრდა და მორცხვი ჩანდა.

— „სიზმრების წიგნის“ ამბავს ვეუბნები, თქვენო აღმატებულებაჲ, — მობოდიშებით ჩაილაპარაკა მან.

— რა სიზმრების წიგნის? — მოწყალედ ჰკითხა ივან ილიჩმა.

— სიზმრების ახალი წიგნი გამოვიდა, ლიტერატურული.

ვეუბნებოდი, ბატონი პანაევი რომ დაგესიზმროს, მეორე დღეს გულისპირზე ყავას გადაისხამ-მეთქი.

„რა აჯამი ყოფილა“, — გაბრაზდა გულში ივან ილიჩი. ყმაწვილი უზომოდ გახარებული ჩანდა, ბატონ პანაევზე რომ მოჰყვა, თუმცა ყურებადღე კი გაწითლდა.

— დიახ, დიახ, გამიგონია... — გაეზმიანა მისი აღმატებულიება.

— არა, მაგაზე უკეთეს გეტყვით, — ზედ ყურთან ჩაულაპარაკა მეორე ხმამ. — ამბობენ, ახალი ლექსიკონი გამოვარო, ბატონი კრავესკი წერილებს დაწერსო, ალფერაკიცო. სამხილებელი ლიტერატურა იქნებაო...

ეს ხმა უკვე საკმაოდ მოურიდებელ ყმაწვილს ეკუთვნოდა, თეთრი ჟილეტი რომ ეცვა, ხელთათმანები ეკეთა და ქუდი ხელში ეჭირა. იგი არ ცეკვავდა, ყველას ქედმაღლურად უყურებდა, ვინაიდან სატირულ ჟურნალ „მუგუზხალის“ თანამშრომელი იყო. ამ ქორწილზე შემთხვევით ამოჰყო თავი. ფსელდონიმოს დაეპატიჟა, როგორც საპატიო სტუმარი. ის და ფსელდონიმოვი „შენობით“ ლაპარაკობდნენ. გასულ წელს ერთად ცხოვრობდნენ თურმე რომელიღაც გერმანელ ქალთან ნაქირავებ „კუთხეში“ და დიდი გასაჭირიც გადაეტანათ. თუმცა არაყს კი გემოზე ყლურწავდა და რამდენჯერმე მიაკითხა კიდევ ერთ პატარა ოთახს, საითაც ყველა სტუმარს უკვე გაეკვლია გზა.

— იცით, სასაცილო იმიტომაც არის, თქვენო აღმატებულიება, — აღტაცებით გააწყვეტინა უცებ ქერა ყმაწვილიმა, გულისპირის ამბავს რომ მოჰყვა, და ამის გამო თეთრჟილეტიანის სიძულვილით სავსე მზერა დაიმსახურა, — სასაცილო იმიტომ არის, რომ დამწერს მიაჩნია, ვითომ ბატონმა კრავესკიმ მართლწერა არ იცის და ჰგონია, „სამხილებელი ლიტერატურა“ „სამხილებულად“ უნდა დაიწეროსო.

საწყაღმა ბიჭმა ძლივს დააბოლოვა სიტყვა. თვალეზზე შეატყო, რომ გენერალმა დიდი ხანია უკვე იცის ეს ამბავი და

აღბათ იმიტომაც შეიშმუშნა ახლა. უზომოდ დარცხვენილი ბიჭი საჩქაროდ გაეცალა იქაურობას და დანარჩენი ხანი სულ დაღვრემილი იყო. სამაგიეროდ, „მუგუზლის“ უტიფარმა თანამშრომელმა უფრო ახლოს მიიწია გენერლისკენ და, მგონი, გვერდით დაჯდომაც დაუპირა. მისი ეს უტიფრობა ცოტა არ იყოს, ეხამუშა ბატონ პრალინსკის.

— ჰოო! ერთი ეს მითხარი, პორფირი, — დაიწყო მან, რაზე რომ ეთქვა, — სულ მინდოდა მეკითხა, რატომ გეძახიან ფსელდონიმოვს და არა ფსევდონიმოვს? შენ ხომ სინამდვილეში ფსევდონიმოვი იქნები.

— დანამდვილებით ვერაფერს მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, — მიუგო ფსელდონიმოვმა.

— აღბათ ჯერ კიდევ მაშინ, მამამისმა რომ დაიწყო სამსახური, შეცდომით ჩაუწერეს ასე საბუთებში და ესეც ფსელდონიმოვი დარჩა. ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე, ბატონო ჩემო, — ჩაურთო აკიმ პეტროვიჩმა.

— უთუოდ ვერე იქნება, — ფიცხად ჩამოართვა სიტყვა გენერალმა, — უ-თუ-ოდ. აბა თავად განსაჯეთ: ფსევდონიმოვი ხომ ლიტერატურულ სიტყვა „ფსევდონიმისგან“ წარმოსდგება, ფსელდონიმოვი კი არაფერსაც არ ნიშნავს.

— სიბრიყვე, ბატონო, — დაატანა აკიმ პეტროვიჩმა.

— როგორ თუ სიბრიყვე?

— რუსი ხალხის სიბრიყვე, ბატონო. სიბრიყვეთ ემლებათ ხოლმე ლიტერები და თავისებურად გამოთქვამენ. მაგალითად, ინვალიდის მაგივრად ნევალიდს ამბობენ, დიას.

— ოჰოჰო... — ნევალიდიო, ხე-ხე-ხე...

— მუმერსაც ამბობენ, თქვენო აღმატებულებავ, — წამოაყრანტალა ზორბა ოფიცერმა, რომელსაც თავის გამოჩენის სურვილი დიდი ხანია უღიტინებდა.

— მუმერი რაღას ნიშნავს?

— ნუმერს, თქვენო აღმატებულებავ.

— ჰოო, მუმერი ნუმერის ნაცვლად... დიახ, დიახ... ხე-ხე-ხე-ხე!... — ივან ილიჩი იძულებული იყო, ახლა ოფიცრის ხათრით ჩაეხითხითა.

ოფიცერმა ჰალსტუხი გაისწორა.

— კიდევ ხვედრითსაც ამბობენ, — ჩაერია ახლა „მუგუზნის“ თანამშრომელიც. მაგრამ მისმა აღმატებულებამ მას უკვე წაუყრუა. აბა ყველას ხათრით ხომ არ იხითხითებდა.

— ხვედრითო გვერდითის ნაცვლად, — არ ეშვებოდა უკვე გულმოსული „თანამშრომელი“.

ივან ილიჩმა გოროზად შეაფლო თვალი.

— აბა რას ჩააცვდი? — წაუჩურჩულა ფსელდონიმოვმა თანამშრომელს.

— ჩააცვდი კი არა, ვესაუბრები. განა საუბარიც არ შეიძლება? — შეეკამათა იგი ჩურჩულით, მაგრამ მაინც დადუმდა და დაბოლმილი გავიდა ოთახიდან.

თანამშრომელმა პირდაპირ იმ მიშხიდველ უკანა ოთახს მიაშურა, სადაც მოცეკვავე კაუალრებისთვის სადამოს დასაწყის-შივე ორნაირი არაყი, ქაშაყი, ხიზილალიანი პურის პაწია ნაჭრები და ეროვნული სარდაფიდან წამოღებული მაგარი ხერესი ეწყო პატარა მაგიდაზე, რომელსაც იაროსლავლური სუფრა ეფარა. გულზე გახეთქილს ის იყო, არაყი უნდა დაესხა, რომ უცებ ფსელდონიმოვის მეჯლისის საუკეთესო მოცეკვავე და კანკანერი, სამედ-იცინოს თმაგაჩეჩილი სტუდენტი შემოეარდა და ისიც არაყს ეცა.

— სადაცაა დაიწყებენ! — თქვა და საჩქაროდ გადაყლურწა არაყი. — მოდი და ნახე: სოლოს ხელებზე ვიცეკვებ, ვახშმის შემდეგ კი გაზედავ და თვზაურსაც ჩამოუვკლი. ქორწილს კიდევაც მოუხდება. ფსელდონიმოვისთვის, ასე ვთქვათ, მეგობრული ჟესტი იქნება... კაი ქალი ყოფილა ეს კლეოპატრა სემიონონა, მაგასთან არაფრის მოგერიდება.

— დამყაყებული ვიდაც ბრძანდება, — კუმტად მიუგო თანამშრომელმა და არაყი გადაკრა.

— ვინაა დამყაყებული?

— ვინა და ის, ვისაც მთელი პასტილა წინ დაუდგეს. მერწმუნე! დამყაყებული ვილაცაა.

— შენც იტყვი რაღა! — წაიბურტყუნა სტუდენტმა და როცა კადრილის მუსიკა გაიგონა, ოთახიდან გაეარდა.

თანამშრომელმა გულის გასამაგრებლად კიდევ ერთი ჭიქა დაისხა, გადაკრა და დასაყოლებელი მიატანა. ნამდვილ სახელმწიფო მრჩეველს ივან ილიჩს თავის სიცოცხლეში არ ჰყოლია „მუგუზლის“ თანამშრომლისთანა მძვინვარე და მოსისხლვე მტერი, მეტადრე იმის შემდეგ, რაც ორი ჭიქა არაფი დალია. ვაი, რომ გენერალს ამაზე წარმოდგენა არ ჰქონდა. არ იცოდა აგრეთვე ერთი დიდად მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომელმაც ესოდენ დიდი გავლენა იქონია სტუმრების შემდგომ დამოკიდებულებაზე მისი აღმატებულებისადმი. საქმე ის გახლავთ, რომ თუშცა თავაზიანად და დაწვრილებით ახსნა, რატომაც მობრძანდა ხელქვეითის ქორწილზე, სინამდვილეში ამ განმარტებამ ვერავინ დააკმაყოფილა, სტუმრები მაინც იშმუშნებოდნენ. მაგრამ უცებ სასწაულებრივი გარდაქმნა მოხდა: ყველა დაწყნარდა, ყველა გამხიარულდა და ყველა მზად იყო ისე ეხარზარა, ეკივლა და ეცეკვა, თითქოსდა მოულოდნელი სტუმარი იქ არც ყოფილიყო. ამის მიზეზი ვილაცის მიერ მოტანილი ცნობა იყო, სტუმარი ცოტა... შექეიფიანებული გახლავთო. მერე რა, რომ ერთი შეხედვით ეს დიდზე დიდ ცილისწამებას ჰგავდა, მაგრამ ჭორი თითქოს თანდათან გამართლდა და ყველასთვის ყველაფერი გასაგები გახდა. უფრო მეტიც, ყველამ საოცრად ლაღად იგრძნო თავი. სწორედ მაშინ დაიწყო კიდევ კადრილი, რასაც ვანშამი უნდა მოჰყოლოდა და რაზედაც ასე ეშურებოდა სამედიცინოს სტუდენტი.

ის იყო, ივან ილიჩს პატარძლისთვის რაღაც კლამბური უნდა ეთქვა, რათა ამით მაინც გამოეცოცხლებინა, რომ უცებ ზორბა ოფიცერი მოიჭრა და პატარძლის წინ ცალ მუხლზე დაე-

ცა. ქალიც მყისვე წამოხტა და მოცეკვავეთა რიგებში ჩასადგომად გაცქრიალდა. ოფიცერს ბოდიშიც არ მოუხდია, პატარძალს ზედაც არ შეუხედავს გენერლისთვის. გეგონებოდა, კიდეც გაუხარდა, თავი რომ იხსნაო.

„რას იზამ, თავისთავად მართალიც არის, — გაიფიქრა ივან ილიჩმა, — ვერც ზრდილობას მოსთხოვ ამ ხალხს“.

— ჰმ... შენ, ძმაო პორფირ, მე ნუ მომპერიდები, — მოუტრიალდა უცებ გენერალი ფსელდონიმოვს. — ეგების რამე საქმე გაქვს... ან თადარიგი უნდა დაიჭირო... ჩემი არ მოგეხათროს, გეთაყვა. — გულში კი გაიფიქრა: „ნეტავ ვიცოდე, რას დამდგომიხარ ყარაულოვით?“

გენერალს უკვე ჭირვით სძულდა ფსელდონიმოვი, სძულდა მისი გრძელი კისერი და მოშტერებული თვალები. მოკლედ, ყველაფერი სულ სზვანაირად, დიახ, სულ სზვანაირად დატრიალდა, თუმცა ივან ილიჩი ჯერ მაინც არ უტყდებოდა ამ ამბავში თავის თავს.

კადრილი დაიწყო.

— ხომ არ გვიბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ? — ჰკითხა აკიმ პეტროვიჩმა, რომელსაც მოწიწებით ეკავა ბოთლი და მისი აღმატებულების სასმისში ღვინის დასხმას აპირებდა.

— მე... აღარ ვიცი, რა ვთქვა... თუკი...

მაგრამ აკიმ პეტროვიჩი გაბრწყინებული სახით უკვე უსხამდა შამპანურს. მერე თავისთვისაც დაისხა თითქოსდა მალულად, თითქოსდა ქურდულად, წელში ლამის გადატეხილმა, ეს კია, მოწიწების ნიშნად თავის ჭიქას ერთი თითის დადება დააკლო. შშობიარე ქალივით კრუნჩხვები უვლიდა, თავის უფროსთან რომ იჯდა. რაზე უნდა ელაპარაკა? არადა, მოვალეც იყო მისი აღმატებულება გაერთო, რამეთუ ღმერთმა მისი ამფსონობის ღირსი გახადა, ხოლო შამპანურზე უკეთეს გასართობს რას ნახავდა. მის აღმატებულებასაც ეამა, რომ აკიმ პეტროვიჩმა

ღვინო დაუსხა — განა იმიტომ, ეს თბილი და მართლა საზიზღარი შამპანური შეესვა, უბრალოდ, სულიერი სიამოვნება იგრძნო.

„მოხუცს დაღევა უნდა, უჩემოდ კი ვერ გაუბედავს, — გაიფიქრა გენერალმა გუნებაში, — ხომ ვერ დავუშლი... სასაცილოც იქნება, საუსე ბოთლი წინ გვედგას და არ დავლიოთ“.

გენერალმა შამპანური მოსვა. უქმად ჯდომას უქმად შრომა სჯობიაო, მოგეხსენებათ.

— მე ხომ აქ, ასე ვთქვათ, შემთხვევით მოვხვდი, — დაიწყო მან მძიმე-მძიმედ, ხაზგასმით, — შესაძლოა ზოგს ჩემი ამ... შეკრებაზე მოსვლა.. ასე ვთქვათ, უკა-დრი-სად ეჩვენოს.

აკიმ პეტროვიჩი მოკრძალებული ცნობისმოყვარეობით უსმენდა.

— მაგრამ იმედია, თქვენ კი გამიგებთ, აქ რატომ მოვედი... მართლა და მართლა ღვინის სასმელად ხომ არ მოსულვარ. ხე-ხე!

აკიმ პეტროვიჩმა ერთი პირობა გადაწყვიტა, თვითონაც ჩაეხითხითა, მაგრამ რატომღაც ხმა ჩაუწყდა და სანუგეშო კვლავაც ვეღარაფერი თქვა.

— აქ იმიტომ მოვედი, რომ... ასე ვთქვათ, გავამხნეო... ასე ვთქვათ, ზნეობრივი მაგალითი მივცე, — განაგრძობდა ივან ილიჩი და თან გულში ბრაზობდა აკიმ პეტროვიჩის უტყუინობაზე. მაგრამ უეცრად თვითონაც დადუმდა, რადგან შეამჩნია, საწყალ აკიმ პეტროვიჩს ისე ჩაელუნა თავი, გეგონება, რამე დაეშავებინოს. გენერალი ამის დანახვამ ცოტა არ იყოს დააბნია და სასწრაფოდ ისევ მოწრუპა სასმელი. აკიმ პეტროვიჩმა კი კვლავ ბოთლს დასტაცა ხელი და ჭიქა შეუვსო, თითქოს ერთადერთი ხსნა ეს იყო მისთვის.

„ბევრი ვერაფერი სახსარი გაგაჩნია“, — გაივლო გულში ივან ილიჩმა და გოროზად შეავლო თვალი საწყალ აკიმ პეტროვიჩს. იმან კი გენერლის ეს გოროზი მხერა რომ იგრძნო, გადაწყვიტა არამც და არამც არც ხმა ამოეღო და არც თავი აქწია.

ორიოდე წუთს ასე ისხდნენ ერთმანეთის პირდაპირ. ეს ორი წუთი აკიმ პეტროვიჩისთვის მტანჯველი გამოდგა.

რამდენიმე სიტყვა მინდა აკიმ პეტროვიჩზეც მოგახსენოთ. ეს გახლდათ ერთი მორჩილი და თვინიერი კაცი, ძველ ყაიდაზე აღზრდილი, უფროსების შიშსა და კრძალვას ნაჩვევი, ამავე დროს ბუნებით კეთილი და, წარმოიდგინეთ, კეთილშობილიც. აკიმ პეტროვიჩი წარმოშობით პეტერბურგელი რუსი იყო, მისი მამა და მამის მამაც პეტერბურგში დაიბადნენ, პეტერბურგში დაიწვეს სამსახური და იქიდან ფეხი არ მოუცვლიათ. ისინი სრულიად განსხვავდებიან სხვა რუს კაცთაგან. თითქმის არაფერი იციან რუსეთის შესახებ და არც ადარდებთ ეს ამბავი. მათთვის ყველაფერი პეტერბურგითა და, რაც მთავარია, სამსახურით შემოფარგლულა. მათი ერთადერთი საზრუნავი კაპიკიანი პრეფერანსი, დუქანი და თვიური ხელფასია. არ იციან არც ერთი რუსული ადათი, არც ერთი რუსული სიმღერა „ლუჩინუშკას“ გარდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ არდნებზე უკრავენ. თუმცა პეტერბურგელი რუსის გამორჩევა ორი არსებითი, ურყევი ნიშნით შეგიძლიათ. პირველი ნიშანი ის გახლავთ, რომ უკლებლივ ყველა პეტერბურგელი რუსი „პეტერბურგსკი ვედომოსტის“ „აკადემიჩესკოე ვედომოსტის“ ეძახის. მეორე ასევე არსებით ნიშანს ის წარმოადგენს, რომ პეტერბურგელი რუსი თავის დღეში სიტყვა „საუზმეს“ არ იხმარს, უთუოდ „ფრიშტიკს“ იტყვის და „ფრი“ მარცვალზე გაუკეთებს მახვილს. აი, ამ ორი ძირითადი და განსხვავებული ნიშნით, თუ გნებავთ, მუდამ გამორჩეულ მათ. ერთი სიტყვით, ეს იმ თვინიერ ადამიანთა ტიპი გახლავთ, რომელიც ამ უკანასკნელი ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა საბოლოოდ. თუმცა აკიმ პეტროვიჩი არცთუ უჭკუო კაცი იყო. გენერალს რომ მისთვის რაიმე შესაფერისი ეკითხა, აკიმ პეტროვიჩი კიდევაც უპასუხებდა და კიდევაც მხარს აუბამდა საუბარში. მაგრამ ამისთანა კითხვებზე ხელქვეითს არც ეგებოდა პასუხი;

თუმცა აკიმ პეტროვიჩის ცნობისწადილი კლავდა, დაწვრილებით გაეგო მისი აღმატებულების ნამდვილი ზრახვანი...

ამასობაში ივან ილიჩს უფრო და უფრო ეძალებოდა ფიქრი, ათასნაირი რამ უტრიალებდა თავში. გულისყურდაკარგული მისდა შეუმჩნეველად წარამარა ყლურწავდა ღვინოს. აკიმ პეტროვიჩიც მაშინვე გულმოდგინედ უვსებდა ჭიქას. ორივე დუმდა. ივან ილიჩმა მოცეკვაუვებს დაუწყო ცქერა. ცეკვებმა რამდენადმე მიიქცია მისი ყურადღება, ერთმა ამბავმა კიდევ გააკვირვა...

მოცეკვავენი მართლა მხიარული სანახაუი იყვნენ. აქ ყველა გულწრფელად, თავის გასართობად და მოსაგიჟიანებლად ცეკვავდა. კარგი მოცეკვაუაო, ბევრზე ვერ იტყოდი, მაგრამ ეს უკანასკნელნიც ისე გულმოდგინედ აბრაგუნებდნენ ფეხებს, სხვებს ტოლს არ უდებდნენ. მოცეკვაუებში, პირველ ყოვლისა, ოფიცერი გამოირჩეოდა. განსაკუთრებით იქ, ანუ სოლო უნდა ეცეკვა. იმ დროს ისე გასაოცრად გადაიხრებოდა ერთ მხარეს ეს ბოძივით გაჯგომიული კაცი, გეგონებოდა, ეს-ესაა წაიქცევაო. მაგრამ ერთი ნაბიჯის შემდეგ ზუსტად ისეთივე კუთხით გადაქანდებოდა ახლა უკვე მეორე მხარეს. სახეზე ამ დროს დიდზე დიდი სიღინჯე ეხატა და ღრმად სწამდა, ყველა განცვიფრებული შემომყურებსო. ერთ კაგალერს მეორე ილეთზევე ჩასძინებოდა თავისი წყვილის გვერდით, რომელსაც კადრილამდე მოესწრო მაგრად გამობრუჟვა და ქალი იძულებული იყო, მართო ეცეკვა. ცისფერმარფიან მანდილოსანთან მოცეკვავე ახალგაზრდა რეგისტრატორი იმ სადამოს შესრულებულ ყველა ხუთივე კადრილის დროს სულ ერთსა და იმავე ოინს იმეორებდა: ჩამორჩებოდა თავის წყვილს, თითებში მოიმწყვდევდა ქალის შარფის წვერს და წყვილების შეცვლის დროს ბარე ოცჯერ მაინც ჩაკოცნიდა ხოლმე ამ წვერს. მისი წყვილი კი წინ მისრიალებდა და ვითომც ვერაფერს ამჩნევდა. სამედიცინოს სტუდენტი მართლაც ყირამალა დადგა ცეკვის დროს და დიდი აღფრთოვანების ყიჟინა და სიამოვნების წივილ-კივილი გამ-

ოიწვია. ერთი სიტყვით, ყველას ფრიად ლაღად ეჭირა თავი. შეჭიკჭიკებულ ივან ილიჩს ერთი პირობა ღიმილიც მოერია, მაგრამ ნელ-ნელა რაღაც მწარე ეჭვი შეეპარა გულში; რა თქმა უნდა, გენერალს ძალიან მოსწონდა სითამამეც და თავისუფალი თავდაჭერაც, გულში ნატრობდა კიდევ ამ სითამამეს, როცა დამფრთხალი სტუმრები უკან-უკან იხევდნენ. ახლა კი სითამამემ ზღვარსაც გადააჭარბა. მაგალითად, ერთმა ქალმა, ვისაც მეოთხე ხელიდან ნაყიდი გაქეპილი ლურჯი ხავერდის კაბა ეცვა, მეექვსე ილეთის შესრულებისას კაბა ქინძისთაყვებით აიკეცა, ისე რომ, გვერდებოდა, გრძელი შარვლით ცეკავსო. სწორედ ეს გახლდათ კლეოპატრა სემიონოვნა, ვისაც, მისი კავალრის — სამედიცინოს სტუდენტის თქმის არ იყოს, ყველაფერს ადვილად გაუბედავდი. სამედიცინოს სტუდენტზე ხომ ლაპარაკი ზედმეტი იყო. არა, თუ წელან ყველა უკან-უკან იხვედა, ახლა ნეტავ რა ძალამ გაათამამა ასე უცბად! ხომ თითქოს არაფერია, მაგრამ ეს გარდატეხა, ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანდა და რაღაცას მოასწავებდა.

ივან ილიჩის არსებობა თითქოს აღარც კი ახსოვდათ. რასაკვირველია, გენერალი პირველი ხარხარებდა და ტაშიც შემოჰკრა. აკიმ პეტროვიჩი ბანს აძლევდა და მოწიწებით ხითხითებდა, თუმცა, ეტყობა, მართლა სიამოვნებდა. რა იცოდა, თუ მისი აღმატებულების გულში ახალი ეჭვის ჭია იღვიძებდა.

— მშენიერად კი ცეკვაუთ, ყმაწვილო, — ნაძალადევად უთხრა ივან ილიჩმა სტუდენტს, რომელმაც კადრილის დამთავრების შემდეგ გვერდით ჩაუარა.

სტუდენტი მთელი ტანით შემოტრიალდა, დაიღრიჯა, სახე უზრდელად ლამის ცხვირთან მიუტანა მის აღმატებულებას და მამალივით მიაყვილა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ივან ილიჩი მაგიდიდან წამოდგა. მაგრამ სხვებმა კი ხარხარი ატეხეს, ისე ბუნებრივად გამოუვიდა ეს ყვირილი სტუდენტს და ისე მოულოდნელად დაღრიჯა სახე. ივან ილიჩი გაოგნებული იდგა. უეცრად ფსელ-

დონიშვილი მიუახლოვდა, თავი დაუკრა და ვახშამზე წამობრძანება სთხოვა. ფეხდაფეხ დედა მოსდევდა.

— თქვენო აღმატებულებავ, დედაშვილობას, პატფი დაგვადეთ, სიღარიბით ნუ დაგვიწუნებთ... — ეუბნებოდა იგი თავის დაკვრით.

— აღარ ვიცი მართლა... — დაიწყო ივან ილიჩმა, — მე ხომ იმიტომ არა... მე... მე უკვე წასვლა მინდოდა...

გენერალს მართლაც ქული ეჭირა ხელში. კიდევ მეტი: იქვე, იმ წამს, თავის თავს აღთქმა მისცა, არამც და არამც არ დაერჩებო... და მანც დარჩა. ერთი წუთის შემდეგ პირველი იგი მიუძღოდა სტუმრებს სუფრისკენ. ფსელდონიშვილი და დედამისი გზას უკვალავდნენ. გენერალი ყველაზე საპატიო ადგილას დასვეს და წინ კვლავ შამპანურის გაუხსნელი ბოთლი დაუდგეს. საუზმედ ქაშაყი და არაყი იყო. გენერალმა ხელი არყისკენ წაიღო, ვეება სასმისი გაივსო და გადაჰკრა. არაყი კი არასოდეს დაუღვია. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მაღალი მთიდან მოგორავს, მოგორავს, უნდა გაჩერდეს, უნდა რაღაცას მოეჭიდოს, მაგრამ ვერ ახერხებს.

მის თავს მართლაც უფრო და უფრო საოცარი ამბავი ხდებოდა. კიდევ მეტი: ეს ბედის დაცინვა იყო. ღმერთმა უწყის, რა დაემართა ამ ერთ საათში. აქ შემოსვლისას, ასე ეთქვათ, შხად იყო მთელი კაცობრიობა თუ ყველა თავისი ხელქვეითი გულში ჩაეკრა; მაგრამ არ გასულა ერთი საათი, რომ გამწარებულმა იგრძნო, თუ რა ჭირივით სძულს ფსელდონიშვილი, წყევლის მას, მის ცოლს, მის ქორწილსაც. კიდევ მეტი: ფსელდონიშვილის სახესა და თვალებში რა ხანია ამოიკითხა, რომ იმასაც სძულს, რომ ისე უყურებს, თითქოს უნდა უთხრას: „ჯანდაბას შენი თავი და ტანი! რა ჭირად გადამეკიდა, ეს წყეული!“

თუმცა ივან ილიჩი ახლაც, ამ სუფრაზეც კი, უმაღლეს მარჯვენას მოიჭრიდა, ვინემ არათუ სხვას, არამედ თავის თავს გულწრფელად გამოუტყდებოდა, მართლა ასე არისო. ჯერაც საამი-

სო ჟამს არ დაეკრა, ჯერაც მხოლოდ სულიერ ჭიდილში იყო. მაგრამ გული, გული კი... უკენესოდა! გული გარეთ, ჰაერზე გასვლას, მოსვენებას სთხოვდა. ივან ილიჩს ხომ მეტისმეტად კეთილი გული ჰქონდა.

განა არ იცოდა, რომ აქამდე უნდა წასულიყო კი არადა, გაქცეულიყო, რომ ყველაფერი სულ სხვანაირად შეტრიალდა, დიახ, დიახ, სულ სხვანაირად მოხდა, ვიდრე ოცნებებმა დაუსურათა.

„ნეტავ რატომ მოვედი? განა იმიტომ, მესვა და მეჭამა?“ — ეკითხებოდა თავის თავს და თან ქაშაყს მიირთმევდა. საკუთარ თავს თვითონვე გმობდა და საკუთარ გმირობას ზოგჯერ თვითონვე დასცინოდა. თავადაც ველარ გაეგო, მართლა რა ძალამ მოიყვანა აქ?

მაგრამ როგორ უნდა წასულიყო, თუკი საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა? „რას იტყვიან? ასე იტყვიან, უწესო ადგილებში დაეთრევაო. თუ არ დაუასრულე, მართლაც ასე გამოვა. რას იტყვის, მაგალითად (ამ ამბავს ხომ ხვალვე გაიგებს ყველა), სტეფან ნიკიფორიჩი, სემიონ ივანიჩი, რას იტყვიან კანცელარიებში, შემბელებთან, შუბინებთან? არა, ისე უნდა წავიდე, ყველა მიხვდეს და გაიგოს, რატომ მოვედი, ზნეობრივი მიზანი სამხეოზე გამოვიტანო... — არადა, ეს ამაღელვებელი წუთი ვერა და ვერ მოეხელთა. — პატოვსაც კი არ მცემენ. ნეტავ რა აცინებთ? ისე უტიფრად იქცვიან, თითქოს გული არ ჰქონდეთ... კი, კი, დიდი ხანია ეჭვი მქონდა, ახალგაზრდა თაობას გული არა აქვს-მეთქი! არა, უნდა დავრჩე, რაღაც უნდა დამიჯდეს... აქამდე ცეკვავენ, სუფრასთან კი ყველა ერთად შეიყრის თავს... ჩამოვადებ სიტყვას სხვადასხვა საკითხზე, რეფორმებზე, ვილაპარაკებ რუსეთის დიდებაზე... ყველას ადგაფრთოვანებ. დიახ! იქნებ კიდევ გამოვასწორო ყველაფერი... იქნებ ასეც ხდება ხოლმე სინამდვილეში. მაინც რა ვთქვა ისეთი, რომ ყურადღება მივიპყრო? რა ხერხი ვიხმარო? აღარ ვიცი, ვერაფერი მომიფიქრებია... ნეტავ

რა უნდათ, რას ითხოვენ?.. უყურე, იქ, მგონი, ხითხითებენ... ღმერთო ჩემო, ჩემზე ხომ არა! ან ნეტავ რა მინდა, აქ რისთვის ვარ, რად არ მივდივარ, რას ველი?..“ ასე ფიქრობდა ივან ილიჩი და აუტანელი სირცხვილის გრძნობა თანდათან გულს უფრო უწურავდა.

მაგრამ ვაი, რომ ყველაფერი ერთმანეთს წაეწყო.

სუფრასთან დაჯდომის ზუსტად ორი წუთის შემდეგ ერთ-მა ფიქრმა მოიცვა მთლიანად და შეზარა. ანაზღად იგრძნო, რომ უბედურად მთვრალია, წინანდელივით შეჭიკჭიკებული კი არადა, გაღვიძილი მთვრალი. ამის მიზეზი ერთი ჭიქა არაფი იყო, შამპანურს რომ დააყოლა და მაშინვე მოერია. მთელი არსებით გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ ეცლებოდა ძალა. რა თქმა უნდა, სითამამე კი მოემატა, მაგრამ შეგნებამ არ უღალატა და უყიჟინებდა: „არ ვარგა, არა, არც შეგფერის და არც გეკადრება!“ ცხადია, მთვრალის მერყევე ფიქრებს ერთ წერტილზე რა გააჩერებს. თვითონაც გრძნობდა, მის სულში რომ თითქოს ორი ძალა შესჭიდებოდა ერთმანეთს: ერთი ჩასძახოდა — თავი გამოიჩინე, გაიმარჯვე, დაბრკოლებები გადალახე, შენს მიზანს უთუოდ მიაღწევო. მეორე კი მწარედ ღრღნიდა და გულს უწიწკნიდა: „რას იტყვიან? რით დამთავრდება? ხვალ, ხვალ რა იქნება!..“

ადრევეც ყრუდ კარნახობდა გული, რომ სტუმრებს შორის უკვე ბევრი მტერი ჰყავს. „წელანაც მთვრალი ვიყავი და ალბათ იმიტომ“, — გაიფიქრა მწარე ეჭვით. მაგრამ თავზარი დაეცა, როცა უტყუარი ნიშნებით დარწმუნდა, სუფრაზე რომ მართლა მტრები ჰყავდა და ამაზე თვალის დახუჭვა აღარ შეიძლებოდა. „რატომ! რა დავაშავე!“ — ფიქრობდა იგი.

სუფრასთან მხოლოდ ოცდაათამდე სტუმარი იჯდა, მეტი ვერ დაეტია. სხვებს დაუდევრად ეჭირათ თავი, ბოროტი სითამამით გაჰყვიროდნენ, ხმამაღლა ყაყანებდნენ, სადღეგრძე-

ლოებს ნაადრევად იძახდნენ, მანდილოსნებს დასორსოლებულ პურს ესროდნენ. ერთი ჩია კაცი, გაქონილი სერთუკის ამარა, სუფრაზე დაჯდომისთანავე სკამიდან გადმოვარდა და ვახშმის დამთავრებამდე ძირს ეგდო. მეორემ სუფრაზე მოინდომა აძრომა და იქიდან სადღეგრძელოს თქმა, მაგრამ ოფიცერი კალთებში ჩააფრინდა და მისი უდროო აღტაცება დააცხრო. მიუხედავად იმისა, რომ მზარეულად ვილაც გენერლის ყმა მოეწვიათ, ვახშამი ფრიად მდაბიური გამოვიდა: იყო გალანტირი, კარტოფილებით შემოწყობილი ენა, კატლეტები მწვანე მუხუდოს მისაყოლებლით, ბატი და ბოლოს ბლანმანჟე; სასმელებიდან — ლუდი, არაყი და ხერესი. შამპანური მხოლოდ გენერალს მართვეს და ისიც თავის მხრივ აკიმ პეტროვიჩს გაუმასპინძლდა, რომელმაც ვახშამზე უკვე ვეღარ გაბედა თვითონ ეთავა შამპანურის დასხმა. სადღეგრძელოები სხვა სტუმრებს კავკასიური ღვინით ან, რაც მოხვდებოდათ, იმით უნდა შეესვათ. სუფრა რამდენიმე მაგიდისგან შედგებოდა, ასე განსაჯეთ, ბანქოს მაგიდაც კი მიედგათ. ევარა ნაირ-ნაირი სუფრები, მათ შორის იაროსლავეური ფერადი სუფრაც. ყოველ მანდილოსანს მამაკაცი ეჯდა გვერდით. ფსელდონიმოვის დედა სუფრასთან არ დამჯდარა, დაფუსფუსებდა და განკარგულეებს იძლეოდა. სამაგიეროდ, ერთი მავნე არსება მოეგლინა სუფრას, აქამდე რომ არ გამოჩენილა. ეცვა რალაც მოწითალო აბრეშუმის კაბა, ეხურა წოპწოპა ჩაჩი, ყბა კი ახვეული ჰქონდა. ეს თურმე პატარძლის დედა იყო, რომელიც ძლივს დაითანხმეს, ვახშამზე მაინც გამოსულიყო უკანა ოთახიდან. ფსელდონიმოვის დედასთან დიდი ქიშკი ჰქონია და აქამდე იმითომ არ გამოდიოდა. თუმცა ამაზე მერე იყოს. ეს მანდილოსანი გენერალს ღვარძლითა და დაცინვით უყურებდა, როგორც ჩანს, არც ნებავდა მისი გაცნობა. ივან ილიჩს მეტისმეტად საეჭვოდ ეჩვენა იგი. თუმცა მის გარდა ბევრი სხვაც საეჭვო ჩანდა და უნებლიე შიშსა და შფოთს უნერგავდა, თითქოსდა ერთმანეთ-

თან პირი შეეკრათ სწორედ ივან ილიჩის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეჩვენა, ხოლო ვაზშმის დამთავრებამდე ამაში საბოლოოდ დარწმუნდა. მაგალითად, ერთმა მაკნე წვეროსანმა ვაჭბატონმა, თურმე თავნება მხატვარმა, რამდენჯერმე შეხედა ივან ილიჩს, მერე მიტრიალდა და მეზობელს რაღაც გადაუჩურჩულა, რომელიც უკვე კარგა გამობრუქული ბრძანდებოდა. ეს ყმაწვილიც თურმე საღდაც სწავლობდა, მაგრამ ზოგიერთი ნიშნით ისიც საეჭვო ჩანდა. ავი რამ იყო მოსალოდნელი სამედიცინოს სტუდენტებისგანაც. თვით ოფიცერსაც მაინცდამაინც საიმედო პირი არ უჩანდა. მაგრამ ყველაზე მეტ სიძულვილს მაინც „მუგუზლის“ თანამშრომელი ამჟღავნებდა. უნდა გენახათ, რა ამბით გადათხლაშულიყო სკამზე, რა დიდგულად იშხირებოდა და თავისთვის ფრუტუნებდა! მართალია, სტუმრებიდან დიდ ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან „მუგუზალში“ რაღაც ოთხი ლექსი დაებეჭდა და ამიტომ ლიბერალად მოჰქონდა თავი, და არც გულზე ეხატებოდა, მაგრამ როცა ივან ილიჩის გვერდით პურის სორსალი დაუარდა, აშკარად მის მხარეს გამოსროლილი, ივან ილიჩი თავს დადებდა, რომ ამ სორსალის მსროლელი „მუგუზლის“ თანამშრომელი იყო.

აშკარა გახლდათ, რომ ეს ყველაფერი სავალალოდ მოქმედებდა გენერალზე.

ყველაზე მეტად იმის აღმოჩენამ შეაწუხა, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სიტყვების მკაფიო გამოთქმა უჭირს, რომ ბევრის თქმა უნდა, ოღონდ ენა არ ემორჩილება. შემდეგ შიგადაშიგ თითქოს გონიც ეკარგება, რაც მთავარია, ისეთ დროს ჩაიფრუტუნებს და გაიცინებს, როცა სასაცილო არაფერია. ამ განწყობამ მალე გაუარა კიდევ ერთი ჭიქა შამპანურის წყალობით, რომელიც ივან ილიჩმა დაისხა, მაგრამ დალევა არ უნდოდა, უცებ კი მისდა უნებურად გადაკრა. ამ ჭიქის შემდეგ ლამის ტირილი მოუწია, უცნაური გულჩვილობა მოერია:

ანაზღად ხელახლა შეუყვარდა ყველა — ფსელდონიმოვიც და „მუგუზნის“ თანამშრომელიც. მოუნდა ყველას გადახვეოდა, ყველაფერი დაევიწყებინა და ყველას შეერიგებოდა. კიდევ მეტიც: დაუფარავად ეამბნა მათთვის, რა კეთილი და კარგი კაცია, რა დიდებული ნიჭისა და უნარის პატრონი, რარიგ გამოადგება იგი მამულს, რა ხუმარა ვინმეა, რა მარჯვედ სჩვევია ქალთა გამხიარულება, რაც მთავარია, რაოდენ მოწინავე აზრების მატარებელი, რა ჰუმანური გული აქვს, როგორ უნდა, ყველას, სულ პატარა კაცსაც დაუახლოვდეს. ბოლოს კი გულდიად მოჰყვეს, თუ რამ მოიყვანა დაუპატიჟებლად ფსელდონიმოვთან, რამ დააღვინა ორი ბოთლი შამპანური და თავისი მოსვლით რად გააბედნიერა ეს კაცი.

„თავიდათავი სიმართლეა, წმიდათაწმიდა სიმართლე და გულდიაობა! მხოლოდ გულდიაობით მოვთოკავ ამათ. ვიცი, რომ ჩემსას იწამებენ; ახლა მტრული თვალით მიცქერეიან, მაგრამ როცა ყველაფერს ვეტყვი, უძალ მოვიგებ მათ გულს. ყველა შეავსებს სასმისს და ჩემს სადღევრებლოს შესვამს. დარწმუნებული ვარ, ოფიცერი თავის სასმისს დეზზე დაიმსხვრევს. ურიგო არ იქნება, ვაშაც დასძახონ! ჰაერში რომ ამისროლონ, როგორც ჰუსარებს სჩვევიათ, უარს არ ვიტყვოდი, კიდევაც ძალიან გამიხარდება, პატარძალს შუბლზე ვეამბოროები: სანდომიანი ქალია. აკიმ პეტროვიჩიც მშვენიერი ადამიანია. რა თქმა უნდა, ფსელდონიმოვი შემდეგში გამოსწორდება. რა ვუყვით მერე, თუ, ასე ვთქვათ, დიდკაცური პეწი აკლია... მართალია, ახალ თაობას გულისხმიერება არ გააჩნია. მაგრამ... მე ვიტყვი მაგათ რუსეთის თანამედროვე მოწოდებაზე ევროპის სხვა სახელმწიფოთა შორის, ვახსენებ გლეხთა საკითხსაც და ყველას შევეყვარდები, დიდებულად დავიძვრენ თავს!..“

ეს დიახაც სასიამოვნო ოცნება იყო, მაგრამ ამ საამო იმედებში ჩაძირულმა ივან ილიჩმა, სამწუხაროდ, უეცრად კიდევ ერთი მოულოდნელი რამ შეამჩნია თავის თავს: თურმე ფურთხ-

ებაც სცოდნია. ყოველ შემთხვევაში ღორბლი მისდა უნებურად უცვიოდა პირიდან. ეს მაშინ შეამჩნია, როცა აკიმ პეტროვიჩს ლოყა დაუდობლა, ამ უკანასკნელს კი მოწიწებამ ნება არ მისცა მაშინვე მოეწმინდა ღორბლი. ივან ილიჩმა ხელსაწმენდი აიღო და უცვებ თავისი ხელით მოსწმინდა. მაგრამ მისივე საქციელი სულელური, გონიერულობას მოკლებული ეჩვენა, დადუმდა და თვითონვე გაუკვირდა, ეს რა ვქენიო. აკიმ პეტროვიჩიც, მართალია, ნასვამი იყო, მაგრამ დამდულრულივით იჯდა. გენერალმა მხოლოდ ახლა მოისაზრა, რომ ლამის თხუთმეტი წუთია, რაღაც ძალიან საგულისხმო თემაზე ელაპარაკება, მაგრამ აკიმ პეტროვიჩი თითქოს არათუ დარცხვენით, რაღაც შიშითაც კი უსმენდა. ფსელდონიმოვსაც, ერთი სკამის იქით რომ იჯდა, კისერი წამოეგრძელებინა, თავი გვერდზე გადაეხარა და ღმეჭით აყურადებდა, გეგონებოდა, მართლა დადარაჯებული იყო. ივან ილიჩმა სტუმრებს გადახედა და დაინახა, რომ ბევრს მისკენ მოუპყრია თვალი და ხარხარებს. მაგრამ საკვირველი ის იყო, ამის კი არ შერცხვა, პირიქით, ერთხელ კიდევ დაეწაფა სასმისს და უცვებ რაც შეიძლება ხმამაღლა დაიწყო:

— ეს წუთია ვეუბნებოდი აკიმ პეტროვიჩს, ბატონებო, რომ რუსეთი... დიახ, სწორედ რუსეთი... ერთი სიტყვით, გესმით ალბათ, რი-სი თქმაც მინდა... რომ რუსეთი, ჩემი ღრმა რწმენით, ჰუ-ჰუმანურობის ხანას განიცდის...

— ჰუ-ჰუმანურობისა! — გაისმა სუფრის მეორე თავში.

— ჰუ-ჰუ!

— ჰე-ჰე!

გენერალი წამით შეჩერდა. ფსელდონიმოვი წამოდგა და სტუმრებს თვალი გადაავლო, აბა ვინ დაიყვირაო? აკიმ პეტროვიჩი ქურდულად აქნევდა თავს საყვედურის ნიშნად. გენერალმა ეს ყველაფერი მშვენიერად დაინახა და გული ჩასწყდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— დიახ, ჰუმანურობის ხანას! — ჯიუტად განაგრძო მან.
— წელან... დიახ, სწორედ წელან ვეუბნებოდი სტეფან ნი-კი-ფოროვიჩს... დიახ... რომ, ასე ვთქვათ, საგანთა განახლება...

— თქვენო აღმატებულებავ! — შეაწყვეტინა ვილაცამ სუფრის ბოლოდან.

— რას მიბრძანებთ? — მიუგო ივან ილიჩმა და შეეცადა ამის მთქმელი დაენახა.

— არაფერს, თქვენო აღმატებულებავ, წამომცდა მხოლოდ, განაგრძეთ! გა-ნა-გრძეთ-მეთქი! — გაისმა ისევ ის ხმა.

ივან ილიჩი უსიამოდ შეიშმუნა.

— ასე ვთქვათ, ამ საგანთა განახლება...

— თქვენო აღმატებულებავ! — დაიძახა ისევ ვილაცამ.

— რა გნებავთ?

— თქვენი გამარჯვება!

ეს კი ველარ მოითმინა გენერალმა, სიტყვა გაწვევითა და წესის დამრღვევისა და შეურაცხყოფელისკენ მიაბრუნა თავი. ეს იყო თითქმის პირტიტველა მოწაფე ბიჭი, უკვე ძალზე მთვრალი. რა ხანია ღრიალებდა და ჭიქა და ორი თუფშიც მიემსხვრია, აქაოდა, ქორწილში ასე იციანო. როცა გენერალი მისკენ მიტრიალდა, ოფიცერი მკაცრად ტუქსავდა მყვირალას.

— რა იყო, რა გაღრიალებს? აქედან უნდა გაგაგდოს კაც-მა!

— თქვენზე არა, თქვენო აღმატებულებავ, თქვენზე არა! განაგრძეთ! — ყვიროდა სკაშზე გადათხლამული შექქიფიანებული მოწაფე, — განაგრძეთ, მე გისმენთ და ძა-ლიანაც, ძა-ლიანაც კმაყოფილი ვარ თქვენი! მა-საწონია, მა-საწონი.

— მთვრალია ეს ლაწირაკი! — ჩაიჩურჩულა ფსელდონი-მოგმა.

— ვხედავ, რომ მთვრალია, ოღონდაც...

— ეს წუთია ერთი სასაცილო ანეკდოტი მოგყვები, თქვენო აღმატებულებავ! — ჩაერია ოფიცერი, — ჩვენ ერთი პორუჩიკი

გვყავდა და ზუსტად ასე ელაპარაკებოდა უფროსებს; ჰოდა, ესეც ახლა იმას ჰბაძავს. უფროსის ყოველ სიტყვაზე მა-საწონი, მა-საწონიაო, აყოლებდა! ჯერ ერთი წლის წინ გააგდეს ამის გულისთვის სამსახურიდან.

— ვინ, რომელი პორუჩიკი?

— ჩვენს პოლკში იყო, თქვენო აღმატებულებაჲ, პირდაპირ შეშლილი გახლდათ ამ სიტყვაზე. ჯერ დაუყვავეს, ჭკუაში ჩავაგდებთო, მერე კი საკანში ჩააყუდეს... უფროსი რომ მა-მაშვილურად არიგებდა, ის მა-საწონია, მა-საწონიაო, იძახდა. არადა, მამაცი ოფიცერი იყო, კარგა მაღალი. დააპირეს სამართალში მიეცათ, მაგრამ ნახეს, რომ შეშლილი იყო.

— მაშასადამე... ტუტუცი ყოფილა. ტუტუცობისთვის კი ეს მეტისმეტია... მე, მაგალითად, ვაპატიებდი...

— მედიცინამაც დაამოწმა, თქვენო აღმატებულებაჲ.

— როგორ! გა-გაკვეთს?

— რას ბრძანებთ, კაცი ცოცხალი გახლდათ.

სტუმრებმა ერთხმად გადაიხარხარეს, თუმცა მანამდე დინჯად ეკავათ თავი. გენერალი გაცოფდა.

— ბატონებო, ბატონებო! — შეჰყვირა და ამჯერად ენაც აღარ დაბმია, — ნუ გგონიათ, იმის გარჩევა არ შემემდლოს, რომ ცოცხალს არაუინ გაკვეთს. მე მეგონა, შეიშალა და ცოცხალი აღარ იყო... ანუ მოკვდა... ესე იგი, მინდა ვთქვა... რომ თქვენ არ გიყვარვართ... არადა, მე ყველა მიყვარხართ... დიახ, პორ... პორფირიც მიყვარს... ვიცი, რომ ამის თქმით თავს ვიმცირებ...

ამ დროს ვეებერთელა დორბლი პირიდან გამოუხტა გენერალს და სუფრის გამოსაჩენ ადგილზე დაეცა. ფსელდონი-მოვი უმაღლ ხელსახოცით ეცა გასაწმენდად. ამ უკანასკნელმა მარცხმა საბოლოოდ გაანადგურა გენერალი.

— ბატონებო, ეს უკვე მეტისმეტია! — სასოწარკვეთით შესძახა მან.

— მთვრალია, თქვენო აღმატებულებავ, — ჩაუჩურჩულა ისევ ფსელდონიმოვმა.

— მე ვხედავ, პორფირი, რომ თქვენ... ყველა... დიახ! მე ვამბობ, რომ იმედი მაქვს... დიახ, მე გთხოვთ მითხრათ: რით დავიმცირე თავი?

ფან ილიჩი ლამის ტიროდა.

— რას ბრძანებთ, თქვენო აღმატებულებავ!

— პორფირი, მე შენ გეუბნები... თქვი, მე თუ მოვედი... დიახ... დიახ, ქორწილზე, მიზანიც მქონდა. მსურდა სულით ამემალღებინეთ... მე მსურდა ყველას გეგრძნოთ. მე თქვენ მოგმართავთ: ძალიან დავმცირდი თქვენს თვალში თუ არა?

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. საქმეც სწორედ ის იყო, რომ ამისთანა პირდაპირ კითხვას სამარისებური სიჩუმით შეხვდნენ. „ღმერთო, რა იქნებოდა, ახლა მაინც დაეძახათ ვაშა!“ — გაუელვა თავში მის აღმატებულებას. მაგრამ სტუმრები მხოლოდ ერთმანეთს უყურებდნენ. აკიმ პეტროვიჩი ცოცხალ-მკვდარი იჯდა. შიშით ენაჩაგარდნილი ფსელდონიმოვი გულში ამ მეხდამცემ კითხვას იმეორებდა, რომელიც დიდი ხანია თავში უტრიალებდა.

„ხვალ რა დღეს დამაყრიან ამისთვის?“

უკვე კარგა მაგრად გალეშილი „მუეუხლის“ თანამშრომელი, აქამდე მოჟამული და დადუმებული რომ იჯდა, უცებ პირდაპირ გენერალს მიუბრუნდა და თვალების ბრიალით მთელი საზოგადოების სახელით მეხივით დასჭექა:

— დიახაც, ბატონო ჩემო, დიახაც დაიმცირეთ თავი! დიახ, ბატონო ჩემო, დამყაყებული აზრების კაცი ბრძანდებით... დამყაყებულის!

— გონს მოდით, ყმაწვილო! თუ იცით, ასე ვთქვათ, ვის ელაპარაკებით! — გაშმაგებით უყვირა გენერალმა და ხელახლა წამოიჭრა ადგილიდან.

— ვის და თქვენ, ბატონო ჩემო, და მეორეც, მე ყმაწვილი

არ გახლავართ... აქ თავმოსაწონებლად და სახელის მოსახვეჭად მობრძანდით.

— ეს რას ჰგავს, ფსელდონიმოვ! — შესძახა გენერალმა.

ზეზე წამომხტარი ფსელდონიმოვი ზარდაცემული გაშეშებულიყო ერთ ადგილზე. აღარ იცოდა, არ ექნა. სტუმრებსაც ენა ჩავარდნოდით. მხატვარი და მოწაფე ტაშს უკრავდნენ და ვაშა, ვაშაო, იძახდნენ.

თანამშრომელი კვლავ გაცოფებით ყვიროდა:

— დიახ, ჰუმანურობით დატრაბახება გნებავდათ და იმიტომ მობრძანდით! ყველას ჩაუშხამეთ მხიარულება. ყლურწავთ შამპანურს და იმას არ ფიქრობთ, რა ძვირი გახლავთ შამპანური იმ მოხელის ჯიბისთვის, ვინც თვეში ათ მანეთს იღებს. ვეჭვობ, რომ თქვენც იმ უფროსთაგანი უნდა იყოთ, რომელთაც თავიანთი ხელქვეითების ყმაწვილი ცოლები დიახაც გემრიელ ლუკმად მიაჩნიათ... დიახ, დიახ!

— ფსელდონიმოვ, ფსელდონიმოვ! — ყვიროდა გენერალი და მისკენ იწვიდდა ხელებს. „მუგუზლის“ თანამშრომლის ყოველი სიტყვა ხანჯლად ესობოდა გულზე.

— ახლავე, თქვენო აღმატებულებაჲ, თუ შეიძლება, ნუ შეწუხდებით! — მთელი ძალით მიაძახა ფსელდონიმოვმა. თანამშრომელს ეცა, ქეჩოში ხელი დაავლო და სუფრიდან გამოათრია. საკვირველიც იყო, რამ მისცა ასეთი ძალა ამ ჩია ფსელდონიმოვს. მაგრამ თანამშრომელი მთვრალი ბრძანდებოდა, ფსელდონიმოვს კი წვეთი ღვინო არ დაელია. შემდეგ რამდენიმე მუჯღუგუნიც მიაყოლა ზურგში და გარეთ გაავლო.

— ყველა არამზადები ხართ! ხვალვე ყველას „მუგუზალში“ გამოგატყენებთ!.. — ღრიალებდა თანამშრომელი.

ყველანი ადგილიდან წამოხტნენ.

— თქვენო აღმატებულებაჲ, თქვენო აღმატებულებაჲ! დაწყნარდით, თქვენო აღმატებულებაჲ! — ეხვეოდნენ გენერალს ფსელდონიმოვი, მისი დედა და რამდენიმე სტუმარი.

— არა და არა! — ყვიროდა გენერალი, — მიწასთან გამ-
ასწორეს... მე... მე, ასე ვთქვათ, პატივი მინდოდა მეცა. სანაცუ-
ლოდ კი რა, რა მივიღე!

გენერალი თითქმის უგონოდ დაეშვა სკამზე, მკლავები მაგ-
იდაზე დააწყო და თავი პირდაპირ ბლანმანჟეს თეფშში ჩარგო.
თუ რა თავზარი დაეცა ყველას, მგონი, აღწერა საჭირო აღარ-
ცაა. წუთით და გენერალი ისევ წამოდგა, ალბათ წასვლა უნ-
დოდა, მაგრამ წაბანცალდა, სკამის ფეხს წამოეღო, იატაკზე
ზღართან მიადინა და ხვრინვა ამოუშვა.

ასე ემართება ხოლმე ადამიანს, რომელიც სმას არაა ნაჩვევი
და შემთხვევით დათვრება. უკანასკნელ წუთამდე, უკანასკნელ
წამამდე არ ღალატობს გონი, მერე კი უეცრივ მოცელილივით
ეცემა. გენერალი უგონოდ იწვა იატაკზე. ფსელდონიმოვს თმა-
ში წაველო ხელები და გაშეშებულიყო. სტუმრები საჩქაროდ
დაიფანტნენ. ყველა თავისებურად ხსნიდა მომხდარ ამბავს.
დაახლოებით ნაშუალამევის საში საათი იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ უსიამო ამბის გარეშეც ფსელდონი-
მოვს არც ისე კარგად ჰქონდა საქმე, როგორც კაცს შეიძლება
ჰგონებოდა. სანამ გენერალი იატაკზეა გაშხლართული, ხოლო
ფსელდონიმოვი თავზე ადგას და სასოწარკვეთილი თმას იგ-
ლეჯს, შევწყვიტოთ ჩვენი ამბის მსვლელობა და რამდენიმე სი-
ტყვა ვთქვათ თავად პორფირი პეტროვიჩ ფსელდონიმოვზე.

ქორწინებამდე ჯერ ერთი თვით ადრე კაცი უიმედოდ იღუ-
პებოდა. იგი გუბერნიიდან იყო ჩამოსული, სადაც ერთ დროს
მამამისი მსახურობდა და სადაც ციხეში დაასრულა სიცოცხ-
ლე. ჯვრისწერამდე ხუთი თვით ადრე პეტერბურგში უსახს-
როდ დარჩენილმა ფსელდონიმომ, როგორც იყო, იშოვა ათ-
მანეთიანი ადგილი და კაცი ხელახლა დაიბადა. მაგრამ მალე
ისევ დაჯაბნა ცხოვრებამ. ამქვეყნად ფსელდონიმოვს დედის მეტი
არავინ ჰყავდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ დედამაც დატოვა

გუბერნია. დედა-შვილს სიცივითა და შიმშილით სძვრებოდა სული პეტერბურგში. ბევრჯერ ყოფილა ისეთი დღეები, როცა ფსელდონიმოვი წყლის დასალეკად თავისი ფეხით წასულა ფონტანკაზე. სამსახურში მოწყობის შემდეგ დედამ და შვილმა საცხოვრებელი კუთხე გაჭირვებით დაიქირავეს. დედამ მრეცხაობას მიჰყო ხელი, შვილი კი მთელი ოთხი თვე კაპიკს კაპიკზე ადებდა, რომ ჩექმა და შინელი ეყიდა. ვინ მოთვლის, რამდენი დამცირება გადაუტანია კანცელარიაში, რამდენჯერ უკითხავთ მისთვის უფროსებს, აბანოში თუ იყავიო? ხმაც გაუვრცელეს, ფსელდონიმოვს ვიცმუნდირის საყელოში ბაღლინჯოები ჰყავს დაბუდებულიო! მაგრამ ეს შესახედად თვინიერი და წყნარი კაცი მაგარი ხასიათის გამოდგა. განათლებით ვერ დაიკვებინდა და არც მისი ლაპარაკი გაუგია ვინმეს. ვერც იმას ვიტყვი დანამდვილებით, რამეზე თუ ფიქრობდა ან ოცნებობდა ოდესმე. სამაგიეროდ რაღაც ქვეშეცნეული, ანგარიშშიუცემელი სწრაფვა გაუჩნდა, ამ გაჭირვებულ ყოფიდან თავი დაედწია და გზას სწეოდა. ჭიანჭველას ჰგავდა თავისი სიჯიუტით: ჭიანჭველას თუ ბუდეს დაუნგრევ, იმავე წუთს შეუდგება ახალი ბუდის შენებას. დაუნგრევ მეორედ — მეორედაც ააშენებს და ასე იქნება გაუთავებლად. ფსელდონიმოვიც მუყაითი და მეოჯახე კაცი იყო. შუბლზე ეწერა, რომ თავისას აუცილებლად მიაღწევდა, ბუდეს მოიწყობდა და შავი დღისთვის ფულსაც გადაინახავდა. ამქვეყნად მხოლოდ დედას უყვარდა, ამ მტკიცე ნების, მშრომელ, გამრჯე და ამავე დროს კეთილი გულის დედაკაცს და იქნებ ასე ეჯახირათ დაქირავებულ კუთხეში ბარე ხუთი-ექვსი წელი, მდგომარეობის გამოკეთებამდე, რომ ბედის განგებით გადამდგარ ტიტულოვან მრჩეველ მლეკოპიტაევს არ გადაჰყროდნენ. მლეკოპიტაევი ყოფილი ხაზინადარი იყო და ოდესღაც გუბერნიაში მუშაობდა, ახლა კი პეტერბურგში გადმოსახლებულიყო თავისი ოჯახით. ფსელდონიმოვს იცნობდა და ოდესღაც მამამისისგან რაღაცით დავალებული იყო. მართალია, დიდი შეძლე-

ბა არ ჰქონდა, მაგრამ ცოტა ფული მაინც ებადა, თუმცა რამდენი, ეს არც მისმა ცოლმა იცოდა, არც უფროსმა ქალმა, არც ნათესაებმა და არც არავინ ამქვეყნად. მლეკობიტავეს ორი ქალი ჰყავდა, იყო უჭმური და ახირებული კაცი, ლოთი, შინაურების სულთამხუთავი და თანაც ავადმყოფი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა თავისი ერთ-ერთი ქალი ფსელდონიძისთვის მიეთხოვებინა: აქაოდა, მამამისი კარგი კაცი იყო და შვილიც კარგი იქნება, ვიცო. მლეკობიტავეს მუდამ თავისი გაჰქონდა. თუ რაღაცას აიხირებდა, გაიტანდა კიდევაც. მართლაც რომ მეტისმეტად ხუმტურიანი კაცი იყო. მეტწილად საგარძელში იჯდა ხოლმე, რაღაც ავადმყოფობის გამო ფეხები წართმეოდა. მაგრამ ეს როდი უშლიდა ხელს არაფი ესვა. მთელი დღეები ლოთობდა და ილანძღებოდა. ბოროტი იყო და უსათუოდ ვინმე უნდა ეწვალეზინა. საამისოდ რამდენიმე შორეული ნათესავი ქალი შემოიკვდლა სახლში: თავისი ავადმყოფი და კაპასი და, კიდევ ორი ცოლისდა, ისინიც ავები და ენაჭარტალები, შემდეგ ერთი თავისი მოხუცი მამიდა, რაღაც შემთხვევის გამო ნეკნჩამტვრეული. კიდევ ერთი გარუსებული გერმანელი ქალი, რომელიც „ათას ერთი ღამის ზღაპრებს“ ოსტატურად უყვებოდა და ართობდა. მისი ლუკმის შემყურე გაუბედურებული ქალების მასხრად აგდება და ყოველ წუთს ლანძღვა-გინება დიდ სიამოვნებას ჰკვირდა, მიუხედავად ამისა, ვერც ერთი ქალი, ცოლის ჩათვლით, რომელსაც თავისი დღე და მოსწრება კბილები სტკიოდა, სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა. მლეკობიტავეი ერთმანეთს აჩხუბებდა მათ, ჭკორებსა და შუღლს თესავდა და, როცა ისინი ერთმანეთს ღამის თმით დაითრევდნენ, სიცილით კვდებოდა და სიხარულით ცას ეწეოდა. მისი უფროსი ქალი, ვიღაც ოფიცერზე გათხოვილი, მთელი ათი წელი გაჭირვებული ცხოვრების მერე რომ დაქვრივდა და მამასთან დაბრუნდა თავისი სამი ჭიანი შვილით, მლეკობიტავემა დიდად გაიხარა. მართალია, შვილიშვილები ჭირივით სძულდა, მაგრამ რახან

მათი ჩამოსახლებით ყოველდღიური ცდებისთვის მეტი გასაქანი მიეცა, ფრიად კმაყოფილი გახლდათ. როკაპი ქალებისა და სნეული ბავშვების მთელი ეს ხროვა, თავის სულთამხუთავთან ერთად, პეტერბურგის მხარეზე ერთ პატარა ხის სახლში შეეყუყულიყო, ნახევრად მშვირები ეყარნენ, ვინაიდან ძუნწი მოხუცი კაპიკობით იძლეოდა საჭმლისთვის ფულს, თუმცა არაფზე ფული არ ენანებოდა; აკლდათ ძილიც, იმიტომ, რომ ბერიკაცს უძილობა სჭირდა და გართობას ითხოვდა. მოკლედ, ყველანი შუა დღეში იყვნენ და დაბადების დღეს იწყევლიდნენ. სწორედ ამ დროს დაადგა თვალი მღვკობიბაემა ფსელდონიმოს. დიდად გააკვირვა მისმა გრძელმა ცხვირმა და მორჩილმა იერმა. მისი გალეული და შეუხედავი უმცროსი ქალი იმხანად ჩვიდმეტის გახდა. ოდესღაც გერმანულ სკოლაში დადიოდა, მაგრამ ანბანის მეტი იქ ვერაფერი ისწავლა. შემდეგ შინ იზრდებოდა, უფეხო და ლოთი მამის ზედამხედველობის ქვეშ, ვისი წყალობითაც მათ ოჯახში აყალმაყალი, ჭორები, ენატანიობა და ცილისწამება არ ილეოდა. ის ერთი გაწრიპული გოგო იყო, სისხლნაკლული და სურავანდიანი. ამხანაგ-მეგობრები არასოდეს ჰყოლია, არც ჭკუა მიეცა ღმერთს. გათხოვება რა ხანია ნატვრად გადაქცეოდა. ხალხში მისი ხმა არავის გაეგონა, შინ კი, დედისა და მამის მუქთამჭამლებთან ავი და ანჩხლი იყო. მეტადრე არაფერი ერჩივნა დისშვილების ჩქმეტასა და ცემა-ტყეპას, მუდამ აბეზღებდა, თუკი შაქარს ან პურს მოიპარავდნენ და ამიტომაც მასა და მის უფროს დას გაუთავებელი ჩხუბი და კინკლაობა ჰქონდათ. ბერიკაცმა თვითონ შესთავაზა ფსელდონიმოს თავისი ქალი ცოლად. ხომ ასე გაჭირვებული იყო, ფსელდონიმომ მაინც დაფიქრების დრო ითხოვა. დედა-შვილი დიდხანს ბჭობდა; მაგრამ პატარძალს მზითვში სახლი მოჰყვებოდა, მართალია, ერთსართულიანი ხის უბადრუკი სახლი, მაგრამ მაინც ხომ რაღაც ღირდა. გარდა ამისა, ორმოც თუმანსაც აძლევდნენ. ამდენ ფულს კი აბა როდის იშოვიდა! „თუ იცი, რატომ

შემომყავს სიძე? — ღრიალებდა ლოთი და უჯიათი ოჯახის მამა, — ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამდენმა დედაკაცებმა თავი მომაბეზრეთ და მინდა მაგ ფსელდონიმოვმაც ჩემს დუდუკზე იცეკვოს, რამეთუ მისი მწყალობელი ვარ. მეორე მიზეზი ისაა, რომ არ გინდათ მისი შემოსვლა და ბრახით სკდებით. ამიტომაც თქვენს ჯიბრზე შემომყავს. ჩემი სიტყვაა სიტყვაა! შენ კი, პორფირკა, იცოდე, ცოლად რომ ითხოვ, კარგად მიბეგვე; დაბადებიდანვე ცხრა ეშმაკი უზის გვამში. გამოუყარე ეგ ეშმაკები და იმათგან ყაფარჯენს გაუიკეთებ...“

ფსელდონიმოვი არაფერს ამბობდა, მაგრამ გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. დედა-შვილი ჯვრისწერამდე შემოიყვანეს ოჯახში, დაბანეს, თავით ფეხამდე შემოსეს, ქორწილის ფული მისცეს. ბერიკაცი დედა-შვილს წყალობდა, ალბათ იმიტომ, რომ მთელ ოჯახს ჭირივით სძულდა. ფსელდონიმოვის დედა იმდენად მოეწონა ბერიკაცს, მასთან თავს იკავებდა და არ გესლავდა. თუმცა თვითონ ფსელდონიმოვს კი ქორწინებამდე ერთი კვირით ადრე თავის თვალწინ კაზაკური აცეკვა. „ახლა კი გეყოფა, მხოლოდ იმის ნახვა მინდოდა, თავს ხომ არ გაგივიდა ჩემთან“, — უთხრა კაზაკურის დამთავრების შემდეგ. ქორწილის ფული ძალიან ცოტა მისცა და ყველა თავისი ნათესავნაცნობი დაპატიჟა. ფსელდონიმოვის მხრიდან მარტოოდენ „მუგუნლის“ თანამშრომელი და საპატიო სტუმარი აკიმ პეტროვიჩი იყვნენ. ფსელდონიმოვმა ძალიან კარგად იცოდა, პატარძალს რომ ეზიზღებოდა და ოფიცრის ცოლობაზე ოცნებობდა, მაგრამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა. ასე იყო დედასთან შეთანხმებული. ქორწილის დღეს დილიდან დაწყებული საღამომდე ბერიკაცი უმსგავსოდ იგინებოდა და უბედურად სვამდა. შინაურები უკანა ოთახებში შეყუყულიყვნენ და იქ იხუთებოდნენ. წინა ოთახებში მეჯლისი და ვახშამი უნდა გამართულიყო. როცა არყით გალემილმა ბერიკაცმა, როგორც იქნა, ლამის თერთმეტ საათზე დაიძინა, მთელი ის დღე თავის მძახალზე

გასისინებულმა პატარძლის დედამ გადაწყვიტა რისხვა წყალობით შეეცვალა და მეჯლისსა და ვახშამზე გამოსულიყო. ივან ილიჩის მობრძანებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქალბატონი მლეკობიტაევა შეცბა, განაწყენდა და ლანძღვა დაიწყო, თუ გენერალი გყავდათ დაპატიჟებული, რატომ არ გამაფრთხილეთო. ბევრი უმტკიცეს, თვითონ მოვიდა დაუპატიჟებლადო, მაგრამ ისეთი უტვინო იყო, ვერა და ვერ დააჯერეს. საჭირო გახდა შამპანურის ყიდვა. ფსელდონიმოვის დედას მხოლოდ ერთი ვერცხლის მანეთიანი აღმოაჩნდა, ვაჟს კაპიკი არ ჰქონდა, ისევ როკაპ დედაბერ მლეკობიტაევას უნდა შეხვეწონდნენ, ჯერ ერთი და მერე მეორე ბოთლი შამპანურის ფული მოეცა. განუძარტეს, რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას მომავალი სამსახურებრივი დაწინაურებისთვის, სინდის-ნამუსში ჩააგდეს. ბოლოს დედაბერმა თავისი ჯიბიდან მისცა ფული, სამაგიეროდ, ისეთი ძმრითა და ნაღვლით შეზავებული ფიალა შეასვა ფსელდონიმოვს, ვინ მოთვლის, რამდენჯერ შევარდა იგი იმ ოთახში, სადაც საქორწინო სარეცელი იყო გაშლილი, უხმოდ იგლეჯდა თმას და უღონო ბრაზით აცახცახებული დაემხობოდა ხოლმე სამოთხის ნეტარებისთვის განკუთვნილ სარეცელზე. დიახ! რა იცოდა გენერალმა, რა ძვირად დაუჯდა ფსელდონიმოვს მისთვის მორთმეული ორი ბოთლი შამპანური. ჰოდა, წარმოიდგინეთ ფსელდონიმოვის სასოწარკვეთა, როცა ივან ილიჩის ამბავი ასე მოულოდნელად დამთავრდა. მთელი ღამე ისევ დავიდარაბა ელოდა, მთელი ღამე, ვინ იცის, ჟინიანი პატარძლის წუწუნის და ტირილის, მისი უტვინო სანათესავოს საყვედურები უნდა ესმინა, არადა, ისედაც თავი სტკიოდა, ისედაც თვალთ უბნელდებოდა. თან გენერალს დახმარება სჭირდებოდა, ღამის სამ საათზე მისთვის ან ექიმში უნდა მოეყვანა, ან ეტლი ემოვა და შინ წაეყვანა. დიახ, უთუოდ ეტლი, ვინაიდან უბრალო ოთხთვალათი ხომ არ შეიძლებოდა მართლა და მართლა ამისთანა პიროვნების და ისიც ამისთანა დღეში მყოფის შინ გადაყვანა.

მაგრამ ან ეტლისთვის საიდან ეშოვა ფული? მლეკოპიტაევის გაცოფებულმა ცოლმა, აქაოდა, გენერალმა ზედაც არ შემომხედა და ორი სიტყვაც არ გაიმეტა ჩემთვის ვანშაშვო, განაცხადა, კაპიკი აღარ დამრჩაო. იქნებ მართლაც არ დარჩა ფული. მაშ, სად იშოვოს? რა წყალში ჩაყარდეს? დიახაც, რომ თმის საგლეჯად ჰქონდა საქმე.

ამასობაში ივან ილიჩი დროებით იქვე, სასადილოში მდგარ პატარა ტყავის დივანზე დააწვინეს. სანამ სუფრას აალაგებდნენ და მაგიდებს დაშლიდნენ, ფსელდონიმოვმა ყველას ჩამოუარა ფულის სასესხებლად, მსახურებსაც კი სთხოვა, მაგრამ ფული არავის აღმოაჩნდა. აკიმ პეტროვიჩსაც კი შეჰკადრა, რომელიც ყველაზე ბოლოს დარჩენილიყო. მაგრამ ეს კეთილი კაცი ფულის სესხებაზე ისე გაოგნდა და დაფრთხა, რადაც სისულელეები წამოროშა.

— სხვა დროს სიამოვნებით, ახლა კი... უკაცრავად, მაგრამ... — წაილულულა, ქუდს ხელი დაავლო და ოთახიდან სასწრაფოდ გავარდა. მხოლოდ სიზმრების წიგნზე მოლაპარაკე კეთილი ყმაწვილი გამოადგა კიდევ ფსელდონიმოვს, თუმცა სულ ტყუილად კი გაისარჯა. იგი გვიანობამდე დარჩა და ფსელდონიმოვის გასაჭირი ერთგულად გაიზიარა. ბოლოს ფსელდონიმოვმა, დედამისმა და ამ ყმაწვილმა მოითათბირეს, რომ ექიმის მაგიერად ისევ ეტლი დაეჭირავენინათ და ავადმყოფი შინ წაყვანათ, მანამდე კი შინაური საშუალებანი ეხმარათ: საფეთქლებსა და შუბლზე ცივი ტილო დაედოთ, კეფაზე კი ყინული და სხვა რამე. ეს უკვე ფსელდონიმოვის დედამ ითავა. ყმაწვილი ეტლის საშოვნელად გაქანდა. რახან ეს ამბავი პეტერბურგის მხარეზე ხდებოდა, ასეთ დროს კი იქ მეეტლეებს ვერავინ ნახავდა, კარგა შორს წავიდა და მეეტლეები გააღვიძა. შეიქნა ვაჭრობა. პირველად ხუთი მანეთი სთხოვეს, ძალიან გვიან არისო. ბოლოს სამზე შეთანხმდნენ. დამის ოთხი საათი

იქნებოდა, როცა ყმაწვილმა დაქირავებული ეტლი ფსელდონი-
მოეთა სახლს მოაყენა. მაგრამ იქ უკვე შეეცვალათ გადაწ-
ყვეტილება. ჯერ ისევ გონიხდილი ივან ილიჩი ისე ცუდად
გამხდარიყო, ისე კვნესოდა და ბორგავდა, მისი შინ წაყვანა
შეუძლებელი და სახიფათოც კი იქნებოდა. „ვინ იცის, კიდევ
რა შეემთხვევა გზაში?“ — იძახდა სულმთლად დამფრთხალი
ფსელდონი მოვი. რა უნდა ექნათ? ავადმყოფი რომ აქ დაეტოვე-
ბინათ, სად დაეწვინათ? აი, რა იყო ისევ თავსამტვრევი. მთელ
სახლში მხოლოდ ორი საწოლი იდგა: ერთ უზარმაზარ ორსა-
წოლიან ლოგინზე ბებერ მლეკოპიტაევსა და მის ცოლს ეძინათ
ხოლმე, ახალნაყიდი მეორე კაკლის ხის ორსაწოლიანი ლოგ-
ინი ნეფე-დედოფლისთვის იყო განკუთვნილი. დანარჩენი ბინა-
დარნი, უფრო სწორად, ბინადარი ქალები იატაკზე ეყარნენ,
აშშორებულ და ამყრალებულ ბუმბულის ლეიბებზე, ანუ ყოვ-
ლად სამარცხვინოზე, და არც ისინი ჰქონდათ სამყოფი. მაშ
ავადმყოფი სად დაეწვინათ? ბუმბულის ლეიბი კიდევ მონინაზე-
ბოდა — გაჭირვების შემთხვევაში ვიდაცას გამოაცლიდნენ,
მაგრამ სად და რაზე დაეგოთ? რახან დარბაზი მოცილებული
იყო ჯალაბის სამყოფელს და თანაც ცალკე გასასვლელი ჰქონ-
და, ჯობდა იქ გაეშალათ. ოღონდ რაზე გაეშალათ? ნუთუ სკა-
მებზე? მაგრამ სკამებზე, მოგეხსენებათ, მხოლოდ შაბათ-კვი-
რას შინ მოსულ გიმნაზიელებს უშლიან ლოგინს, ივან ილი-
ჩისთანა კაცისთვის კი ასეთი რამ დიდი უპატივცემლობა იქნე-
ბოდა. რას იტყოდა, როცა მეორე დღეს გაიდვიძებდა და ნახავ-
და, სკამებზე დამაწვინესო? ფსელდონი მოვს ამის გაგონებაც
არ სურდა. გზა ერთი იყო: საქორწინო სარეცელზე გადაყ-
ვანათ. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს საქორწინო სარეცელი
სასადილოს გვერდით პაწაწკინტელა ოთახში იდგა. ლოგინზე
ორსაწოლიანი ახალი ლეიბი ეგო, სუფთა თეთრეული ეფარა.
ოთხი ვარდისფერი ბალიშისთვის ფურჩალით გაწყობილი მარ-
მაშის საპირეები ჩამოეცვათ. ვარდისფერი ატლასის საბანი

ლამაზად იყო ნაკერი. ზემოთ ოქროს რგოლი ეკიდა და იქიდან მარმაშის ფარდები ეშვებოდა. ერთი სიტყვით, დიანაც, საკადრისად იყო მორთული. თითქმის ყველა სტუმარმა მოინახულა საწოლი და ყველამ ძალიან შეაქო. პატარძალს, მართალია, ჭირივით სძულდა ფსელდონიმოვი, მაგრამ იმ საღამოს რამდენჯერმე მალულად შეირბინა და დაათვალიერა იქაურობა. ჰოდა, სულ ცოფები ყარა, როცა გაიგო, მის საქორწინო სარეცელზე, ვინ იცის, რა ჭირით დაავადებული კაცი გადმოყავდათ! პატარძლის დედიკო თავის შვილს გამოეხარჩლა, იჩხუბა და დაემუქრა, ხვალვე ქმარს ვეტყვიო. მაგრამ ფსელდონიმოვმა თავისი გაიტანა: ივან ილიჩი საქორწინო სარეცელზე გადააბრძანეს, ნეფე-დედოფალს კი დარბაზში სკამებზე გაუშალეს ლოგინი. პატარძალი სლუკუნებდა, ლამის ყველა დაჩქმიტა, მაგრამ ურჩობა მაინც ვერ გაბედა: კარგად იცოდა მამამისის ყავარჯნის ძალა და ის ამბავიც, რომ მისი მამიკო ხვალ უთუოდ მოითხოვდა რაღაც-რაღაცების დაწვრილებით ანგარიშს. მის სანუგეშოდ დარბაზში ვარდისფერი საბანი და მარმაშიანი ბალიშები გადმოიტანეს. სწორედ ამ დროს მოიყვანა ყმაწვილმა ეტლი. მაგრამ, როცა გაიგო ეტლი საჭირო აღარააო, გაბრაზდა. ფული თავისი ჯიბიდან უნდა მიეცა, თვითონ კი თავის დღეში ორშაურიანიც არ უჭყაოდა, არც ფსელდონიმოვს გააჩნდა კაპიკი. ერთი პირობა მეეტლის სინდისში ჩაგდება სცადა. მაგრამ იმან აღიაქოთი ატეხა და დარაბებს მუშტები დაუშინა. ზუსტად არ ვიცი, რით დამთავრდა ეს ამბავი. თუ არ ვცდები, ყმაწვილი ამ ეტლით პესკიზე გაემართა, მეოთხე როჟდესტვენსკაიას ქუჩაზე, სადაც მისი ნაცნობი სტუდენტი თავის ახლობლებთან დამეს ათევადა, იმ იმედით, გავადვიებ და ვცდი, იქნებ ფული ჰქონდესო? დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა ნეფე-დედოფალი მართოდ ჩაკეტეს დარბაზში. გენერლის საწოლთან ფსელდონიმოვის დედა დარჩა, ძირს გაგებულ პატარა ნოხზე მოიკუნტა და ქურქი წაიფარა. მა-

გრამ ძილი არ დასცალდა; წარამარა ზეზე უნდა წამომხტარიყო. ივან ილიჩს კუჭი აშლოდა. ფსელდონიმოვის დედა ვაჟკაცური გულის, დიდსულოვანი ქალი იყო. თავისი ხელით გახადა გენერალს ტანსაცმელი, მთელი ღამე, როგორც საკუთარ შვილს, ისე დასტრიალებდა თავს. საწოლიდან პატარა დერეფანში წინ და უკან დაჰქონდა საჭირო ჭურჭელი, მაგრამ იმ ღამის ვაი-ვაგლახი ამით არ დამთავრებულა.

არ გასულა ათი წუთი, რაც ნეფე-დედოფალი დარბაზში ჩაკეტეს, რომ შემზარავმა იქაურობა კვიელმა შეძრა. ეს გააყე-ბული ხმა სულ არ ჰგავდა სიხარულის კვიელს. შემდეგ გაისმა ხრიგინი, ჭახანი, თითქოს სკამები წაიქცაო. წუთიც და ბნელი დარბაზი შეშინებული და მოვიშიშიე ქალებით გაიჭვდა. რა ეცკათ და როგორ გამოიყურებოდნენ, ამის აღწერა არ შეი-ძლება. ესენი იყვნენ: პატარძლის დედა, უფროსი და, თავისი სნეული ბავშვები რომ მიეყარა, სამი დეიდა, მათ შორის ნეკნ-ჩამტვრეულიც, იქ გაჩნდა მზარეული ქალი, მოცუხცუხდა მეზღაპრე გერმანელი ქალი, ვისთვისაც ერთადერთი ავლა-დიდე-ბა, ბუმბულის ლეიბი გამოეცლიათ ძალით ნეფე-პატარ-ძლისთვის დასაგებად, რადგან მთელ სახლში ამაზე უკეთესი ლეიბი არავის ჰქონდა. ეს დარბაისელი, გამჭრიახი არსებანი უკვე თხუთმეტი წუთია სამზარეულოდან დერეფანში ფეხაკრე-ფით გამოსულიყვნენ და დიდზე დიდი ცნობისწადილით აყურადებდნენ დარბაზის კარს. ამასობაში ვიღაცამ ჰაიპარად აანთო სანთელი. სურათი მართლაც მოულონელი აღმოჩნდა. განიერი ბუმბულის ლეიბის ქვეშ შემდგარ სკამებს ორი ადამი-ანის სიმძიმისთვის ვერ გაემლო, გაცურებულებო და ლეიბი იატაკზე დავარდნილიყო. ამჯერად გულის სიღრმემდე შეუ-რაცხყოფილი პატარძალი გაანჩხლებით სლუკუნებდა. ცოცხ-ალ-მკვდარი ფსელდონიმოვი ავ საქმეზე წასწრებულ დამნა-შავესავით იდგა. თავის მართლება არც უცდია. იყო ერთი ვიშ-

ვიში და წივილ-კივილი. ხმაურზე ფსელდონიმოვის დედამაც მოიბრინა, მაგრამ პატარძლის დედიკომ ამჯერად ყველას აჯობა. ჯერ სიძეს უცნაური და მეტწილად უსამართლო საყვედურები დააყარა: „ამის მერე რა ქმარი ხარ, გეთაყვა? ეს რა სირცხვილი გვაჭამე, ქმრად როგორ ივარგებ?“ და სხვადასხვა. შემდეგ თავის ქალიშვილს ხელი დაავლო, თავისთან წაიყვანა და პასუხისმგებლობაც მრისხანე ქმრის წინაშე თვითონ იკისრა. დანარჩენები თავის ქნევითა და ვიშვიშით უკან მიჰყვენენ. ფსელდონიმოვთან მარტო დედა დარჩა. მაგრამ როცა დედამ ნუგეშისცემა დაუწყო, ვაჟმა ოთახიდან ისიც გააგდო.

ფსელდონიმოვს სანუგეშოდ როდი სცხელოდა. ტახტამდე მილასლასდა და, როგორც იყო, ფეხშიშველი და საცვლების ამარა ჩამოჯდა მოღუშული. ტვინი ერეოდა. შიგადაშიგ ანგარიშიუცემლად მოაულებდა ხოლმე დარბაზს თვალს, სადაც ცოტა ხნის წინ გახელებით როკავდნენ სტუმრები და საიდანაც თამბაქოს კვამლი ჯერ კიდევ არ გასულიყო, დათხერილ იატაკზე კვლავ ეყარა პაპიროსის ნამწვავები და კანფეტის ქაღალდები. გადაყირავებული სკამები და ანგრეული საქორწინო სარეცელი უტკბეს მიწიურ ოცნებათა ამოებაზე ლაღადებდა. ასე დაჰყო თითქმის ერთი საათი. თავში სულ ბნელი ფიქრები უტრიალებდა. მაგალითად, რა მოელის ხვალ სამსახურში? მწარე გრძნობა უკარნახებდა, რომ სამსახური აუცილებლად უნდა შეიცვალოს, ძველ ადგილზე ვერაფრით ვერ დარჩება ამ საღამოს მომხდარი ამბების წყალობით. აგონდებოდა მლეკოპიტაევიც, რომელიც ხვალ ალბათ ისევ აცეკვებს კაზაკურს მისი მორჩილების გამოსაცდელად. ისიც მოისაზრა, რომ მლეკოპიტაევა, მართალია, ხუთი თუმანი მისცა ქორწილისთვის, რაც მთლიანად დაიხარჯა, მაგრამ მზითვის ორმოცი თუმნის მიცემა ჯერ არ უფიქრია და კრინტიც არ დაუძრავს ამაზე. არც სახლი იყო მის სახელზე მთლიანად გაფორმებული. აფიქრებდა ცოლის ამბავიც, რომელმაც მისი ცხოვრების ყვე-

ლაზე დიდი გასაჭირის ხანს მიატოვა. არც ის მაღალი ოფიცერი გამოჰპარვია, მისი ცოლის წინ ცალ მუხლზე რომ იჩოქებდა. ფიქრობდა იმ ცხრა ეშმაკზე, მშობლისეე მოწმობით მის ცოლს რომ ჰყავდა გვაშში ჩამძვრალი, და ყვარჯენზეც, რომლითაც უნდა განედევნა ისინი... რა თქმა უნდა, ფსელდონიმოვს ბევრის ატანა და მოთმენა შეეძლო, მაგრამ ბედი ისეთ მოულოდნელ წკიპურტებს სთავაზობდა, ადამიანს საკუთარ ძალაში დააეჭვებდა.

მწარე იყო ფსელდონიმოვის ფიქრები. ამასობაში სანთლის ნამწვი თითქმის მიიღია. მისი მოციმციმე შუქი ფსელდონიმოვს გვერდიდან სცემდა და კედელზე უზარმაზარ ჩრდილად აჩენდა წაგრძელებულ კისერს, კეხიან ცხვირს და ბუბგა თმას შუბლსა და კეფაზე. ბოლოს, როცა ალიონის სიგრილემ დაჰკრა, სულით და ხორციით გაყინული წამოდგა ადგილიდან, ძლივს მიათრია ტანი სკამებს შუა დაგდებულ ლეებადდე, მუხლებით აფოფხდა ქვეშაგებზე და ისე მიეგდო, რომ არც ლოგინი გაუსწორებია, არც სანთელი ჩაუქრია და არც ბალიში ამოუღვია თავქვეშ. მალე მკვდარივით ჩაეძინა. ალბათ ასე სძინავთ ხოლმე მსჯავრდადებულთ, რომელთაც მეორე დღეს საჯარო დასჯა ელით.

ასეთივე და შეიძლება უფრო ტანჯული ღამე გაათია ბატონმა პრალინსკიმ ბედუკუდმართი ფსელდონიმოვის საქორწინო სარეცელზე! თავის ტკივილი, გულის რევა თუ მისთანა უსიამო ამბები წამით არ აძლევდა სულის მოთქმის საშუალებას. ეს იყო ჯოჯოხეთური წამება. როცა ხანდახან გონს მოვიდოდა, ისეთი საშინელი და საზიზღარი სურათები გაუელვებდა თვალწინ, ერჩივნა კიდევ, გონს არ მოსულიყო. თავში კვლავ დომხალივით ერეოდა ყველაფერი. მაგალითად, იცოდა, რომ თავს ფსელდონიმოვის დედა დასტრიალებდა, ჩაესმოდა მისი მშვიდი დარიგება: „მოითმინე, გენაცვალე, მოითმინე, დედაშ-

ვილობას, მოითმინე და მალე მოგეშვება“, მაგრამ თუ რატომ იყო ეს ქალი მის გვერდით, ვერა და ვერ გაერკვია. სულ რაღაც საშინელება ელანდებოდა: ყველაზე ხშირად სემიონ ივანიჩი ედგა თვალწინ, მაგრამ როცა კარგად დააკვირდებოდა, სემიონ ივანიჩის ნაცვლად ფსელდონიმოვის ცხვირს ხედავდა. ელანდებოდა მხატვარი, ოფიცერი, ყბააკრული დედაბერი. ყველაზე მეტად მის ყურადღებას ზემოთ დაკიდებული ოქროს რგოლი იტაცებდა, რომელიც ფარდები იყო გაყრილი. სანთლის ნამწვის მბრუნებელი უქუთუხე შუქზე ნათლად ხედავდა ამ რგოლს და თავის თავს გონებაში ეკითხებოდა: რისთვისაა საჭირო, აქ რატომ არის ან რას ნიშნავსო? რამდენჯერმე ჰკითხა მოხუც ქალსაც, მაგრამ უტყობა, გასაგებად ვერ უთხრა სათქმელი და ვერც ის მიუხვდა ნათქვამს. ბოლოს გათენებისას ტკივილებმა უკლო და მაგრად ჩაეძინა. დაახლოებით ერთი საათი ეძინა. გამოელვოდა თითქმის სრულ გონზე. ეს კია, თავი აუტანლად სტკიოდა, პირი გამწარებოდა და ენაც დაბუჟებოდა. გენერალმა თავი წამოსწია, მიმოიხედა და ჩაფიქრდა. დარაბების ჭუჭყურუტანებიდან ალიონის ცრიატი სინათლე ვიწრო ზოლებად შემოჭრილიყო და კედელზე ციმციმებდა. შვიდი საათი იქნებოდა. ივან ილიჩს უეცრად გაახსენდა ყველაფერი, რაც იმ საღამოს გადახდა თავს; გაახსენდა ვანშამი, მისი მარცხით დამთავრებული გემირობა, სუფრაზე ნათქვამი სიტყვა. თვალწინ წარმოუდგა საშინელი სიცხადით, რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას, რას იტყოდნენ და იფიქრებდნენ მასზე. როცა მიიხედ-მოიხედა და დაინახა, როგორ წაებილწა და რას დაემსგავსებინა თავისი ხელქვეითის საქორწინო სარეცელი — საშინელი სირცხვილის გრძობამ ისე გაუწურა გული, რომ შეჰყვირა, პირზე ხელები აიფარა და სასოწარკვეთით ჩაემხო ბალიშში. წუთიც და ფეხზე იყო. იქვე სკამზე კოხტად ელაგა მისი გაწმენდილი ტანსაცმელი. გენერალმა ჰაიპარად ჩაიცვა. თან აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს რაღაცის ეშინაო. მეორე სკამზე მისი ქურქი და ქუდი ეწყო,

ქედში კი ყვითელი ხელთათმანები მოჩანდა. ივან ილიჩს უჩუმრად უნდოდა გაპარვა. მაგრამ უცებ კარი გაიღო და თიხის ტაშტითა და ხელსაბანით ფსელდონიმოვის დედა შემოვიდა. მხარზე პირსახოცი ეკიდა. ქალმა ხელსაბანი ძირს დადგა და პირდაპირ უთხრა, პირი უთუოდ უნდა დაიბანო.

— დედაშვილობას, დაუბანლობა არ იქნება...

გენერალმა იგრძნო, რომ ამქვეყნად მხოლოდ ამ ერთადერთი არსების, ამ მოხუცი ქალის შეიძლება არ შერცხვენოდა და არ შეშინებოდა. მან პირი დაიბანა. ცხოვრების მძიმე წუთებში, როცა სინდისის ქენჯნა შემოუტევედა, არაერთხელ გახსენებია იმდილანდელი გაღვიძება, ეს თიხის თასი და ცივი წყლით სავსე ქაშანურის ხელსაბანი, სადაც ყინულები ისევ ცურავდა, გახსენებია ვარდისფერ ქალაღღში შეხვეული თხუთმეტკაპიკიანი მომრგვალო საპონი ზედ ამოტვიფრული რაღაც ასოებით. ალბათ, ნეფე-პატარძლისთვის ნაყიდი, პირველად რომ მან იხმარა, და მის წინ მდგარი მოხუცი ქალი, მარცხენა მხარზე გადაკიდებული პირსახოცით. ცივმა წყალმა გამოაცოცხლა გენერალი, პირი შეიხოცა, მერე დასტაცა ხელი ქუდს, ფსელდონიმოვის დედის მოწოდებული ქურქი მხრებზე მოიგდო და ოთახიდან ისე გავარდა, მადლობაც არ უთქვამს თავისი მოძველებილთვის. გაიარა დერეფანი, მერე სამზარეულო, სადაც უკვე კნაოდა კატა და ქვეშაგებიდან თავწამოწეული მზარეული ქალი ხარბი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა, გამოვიდა ეზოში და იმწუთას ჩავლილი ეტლისკენ გაქანდა. სუსხიანი დილა იყო, ცივი მოყვითალო ნისლი ჯერ კიდევ ფარავდა სახლებსა თუ სხვა საგნებს. გენერალმა საყელო აიწია. ასე ეგონა, ყველა მე მიყურებს, ყველამ იცის ჩემი ამბავი და ყველა მცნობსო...

რვა დღე არ გამოსულა ბატონი პრალინსკი სახლიდან და რვა დღე არ გამოცხადებულა სამსახურში, ისე მძიმედ გახდა ავად, მაგრამ უფრო სულიერად, ვიდრე ხორციელად. ამ რვა დღეში ისეთი ჯოჯოხეთი გამოიარა, იმ ქვეყნად უთუოდ ჩაეთვ-

ლებოდა. ხანდახან იქამდეც მიდიოდა, ბერად აღკვეცას ფიქრობდა. დიახ, ნამდვილად ფიქრობდა. ამ დროს წარმოსახვა ფრიად და ფრიად გაიზარდა. თვალწინ დაუდგებოდა ღია კუბო, განმარტოებული სენაკი, ტყეები და მღვიმეები, ესმოდა ჩუმი გალობა მიწისქვეშა თაღებში, მაგრამ გამოფხიზლების უმაღლესობა, რომ ეს ყველაფერი საშინელი აბდაუბდა იყო და საოცრად რცხვენოდა ამ აბდაუბდის. მერე სინდისის ქენჯნა შემოუტყვდა. მერე ისევ სირცხვილი დაეუფლებოდა, შანთივით დაღაუდა და ტკივილს უმწვაუებდა. ლამის კრუნჩხვა მოსდიოდა, როცა წარმოიდგენდა, რას იტყვიან ან იფიქრებენ, კანცელარიაში რომ შევა, რა ჩურჩული ატყდება, იგი რომ ჩაივლის, ალბათ სულ ასე იქნება ერთი წლის, ათი წლის თუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. მის თავზე მომხდარი ეს ანეკდოტი შთამომავლობასაც გადაეცემა. ხანდახან ისეთი სულმოკლეობა დაეუფლებოდა, მზად იყო იმავე წუთს სეიმონ ივანოვიჩთან წასულიყო და პატიება და მეგობრობა ეთხოვა მისთვის. თავის თავს ყველაფერში კიცხავდა: საკუთარი საქციელისთვის გამართლება ვერ მოენახა და რცხვენოდა კიდევ ამის.

დროდადრო იმასაც ფიქრობდა, სამსახურს თავს დაჟანგებ, განუმარტოვდები და კაცობრიობის ბედნიერებას შევწირავ სიცოცხლესო. ყოველ შემთხვევაში, ნაცნობთა წრე უნდა გამოიცვალოს, თანაც ისე, რომ თავი აღარავის გაახსენოს. შემდეგ ესეც აბდაუბდად მიიჩნდა და ფიქრობდა, თუ ხელქვეითებს დიდი სიმკაცრით მოექცევა, კიდევ შეიძლება ყველაფერი გამოასწოროს. მაშინ ისევ მოეცემოდა იმედი და მხნეობა უბრუნდებოდა. ბოლოს, მთელი რვა დღის წამებისა და ტანჯვის შემდეგ, იგრძნო, რომ გაურკვეველობის ატანა აღარ შეეძლო და ერთ მშვენიერ დღეს კანცელარიაში გადაწყვიტა წასვლა.

შინ ყოფნისას ათასჯერ მაინც წარმოიდგინა ის სურათი, როგორ შევიდოდა თავის კანცელარიაში, და გული ეწურებოდა. თავზარდაცემული რწმუნდებოდა, რომ უთუოდ გაიგონებ-

და ორაზროვან ჩურჩულს, დაინახავდა ორაზროვან სახეებს, ღვარძლიან ღიმილს. მაგრამ რარიგ გაცდა, როცა ამის მსგავსი არაფერი მომხდარა. გენერალს მოწიწებით შეხვდნენ, მოწიწებით მიესალმნენ, ყველა დინჯად იყურებოდა, ყველა საქმით იყო გართული. გული სიხარულით აევსო, როცა თავის კაბინეტს მიაღწია.

ბატონი პრალინსკი მაშინვე ჩაუჯდა საქმეებს, მოისმინა რამდენიმე მოხსენება და განმარტება, გამოიტანა რამდენიმე გადაწყვეტილება. გრძნობდა, რომ ასე ჭკვიანურად არასოდეს უმსჯელია და ასეთი გონივრული გადაწყვეტილებანი არასოდეს გამოუტანია. ხედავდა, რომ ყველა კმაყოფილი იყო, ყველა მოწიწებით უცქერდა, ყველა პატივისცემით ექცეოდა. ყველაზე ეჭვიანი თვალის კი ვერაფერს შეამჩნევდა. საქმე დიდებულად მიდიოდა.

ბოლოს აკიმ პეტროვიჩიც ეახლა რაღაც ქაღალდებით. მის შემოსვლაზე ივან ილიჩს გულმა ოდნავ რეჩხი უყო, თუმცა მხოლოდ წამით. ჩაუჯდა აკიმ პეტროვიჩის შემოტანილ საქმეებს, მედიდურად ელაპარაკა, მიუთითა, რა გაეკეთებინა, ისიც აუხსნა, როგორ. ოღონდ ეს კი შეამჩნია, რომ აკიმ პეტროვიჩს თითქოს თვალს ვერ უსწორებს, უფრო სწორად, აკიმ პეტროვიჩი გაურბის მის მხერას.

მაგრამ აგერ აკიმ პეტროვიჩმა მოათავა თავისი საქმე და ქაღალდების აკრეფა დაიწყო.

— კიდევ ერთი თხოვნა გახლავთ შემოსული, — თქვა მან მეტიხმეტი თავშეკავებით, — მოხელე ფსელდონიმოვი დეპარტამენტში გადაყვანას ითხოვს... მისი აღმატებულება სემიონ ივანიჩი ადგილს შეჰპირებია. გთხოვთ წყალობა მოიღოთ და დაეხმაროთ, თქვენო აღმატებულებაჲ.

— ოჰო, მაშ გადადის, — გენერალს თითქოს დიდი ლოდი მოსწყდა გულიდან და აკიმ პეტროვიჩს შეხვდა. წამიერად მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდა.

— მერედა რა, ჩემი მხრივ... შევეცდები, — ბრძანა მან, — დავეხმარები.

აკიმ პეტროვიჩის უნდოდა საჩქაროდ გასცლოდა იქაურობას. მაგრამ გენერალი უცებ კეთილშობილმა გულისთქმამ გაიტაცა და გადაწვიტა ეს საქმე საბოლოოდ მოეთავებინა. როგორც ჩანს, კვლავ ზემთაგონებამ გაიტაცა.

— გადაეცით ფსელღონიმოვს, — დაიწყო მან და აკიმ პეტროვიჩის მრავლისმეტყველად შეხედა, — გადაეცით, რომ ცუდს მაინც არ ვუსურვებ, დიახ, არ ვუსურვებ!.. პირიქით, მზად ვარ ყველაფერი დავიფიწო, დიახ, დიახ, დავიფიწო...

ივან ილიჩს უცებ სიტყვა გაუწყდა და განცვიფრებით მი-აჩერდა აკიმ პეტროვიჩს. მისი საქციელი ეუცნაურა. ეს გონიერი კაცი დიდი ბრიყვი ვინმე გამოდგა. იმის ნაცვლად, გენერლისთვის ბოლომდე მოესმინა, უცებ სულელივით გაწითლდა, გამომშვიდობების ნიშნად თავის კანტურს მოჰყვა, რაც უზრდელობაც კი იყო, და კარისკენ უკან-უკან დაიხია. სახეზე ეწერა, რარიგ ნატრობდა ამწუთს მიწა გასკდომოდა, უფრო სწორად, უცებ თავის მაგიდასთან გაჩენილიყო. მარტო დარჩენილი გენერალი დაბნეული წამოდგა სკამიდან, სარკეში ჩაიხედა, მაგრამ თავისი სახე ვერ დაინახა.

— არა, მხოლოდ სიმკაცრე, სიმკაცრე და სიმკაცრე უშველის საქმეს! — თავისდა უნებურად ჩურჩულებდა იგი. მაგრამ უცებ სისხლი მოაწვა სახეზე. ისე შერცხვა და ისე დაუძძიმდა გული, ამ რვა დღის განმავლობაში ყველაზე აუტანელ წუთებშიც მსგავსი რამ არ უგრძნია. „ვერა, ვერ გავუძელ!“ წამოსცდა თავისთვის და უღონოდ დაემუა სკამზე.

ბატონი პროხარჩინი

უსტინია ფეოდოროვნას ბინის ყველაზე ბნელსა და მიყუჩებულ კუთხეში ცხოვრობდა სემიონ ივანოვიჩი პროხარჩინი. ხნიერი, კეთილგონიერი კაცი იყო, სასმელს არ ეტანებოდა. რადგან ბატონ პროხარჩინს პატარა ჩინი ჰქონდა და ჯამაგირსაც თავისი სამსახურებრივი ნიჭის მიხედვით იღებდა, უსტინია ფეოდოროვნას არაფრით შეეძლო თვეში ბინის ქირად ხუთ მანეთზე მეტი გამოერთმია. ზოგი ამბობდა, ქალს ამ შემთხვევაში თავისი საკუთარი ანგარიში აქვსო, მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ბატონი პროხარჩინი თითქოსდა ყველა თავისი ავად მახსენებლის ჯიბრზე დიასახლისს ყველასგან გამორჩეული ჰყავდა, ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით. უნდა ითქვას, რომ ყავისა და სახსნილო საჭმლის მოყვარულსა და მარხვის გაჭირვებით შემნახავ უსტინია ფეოდოროვნას, ფრიად პატივსაცემსა და ზორბა ქალს, კიდევ რამდენიმე მღვმური ჰყავდა, რომლებიც ორჯერ მეტ ბინის ქირასაც უხდიდნენ, მაგრამ პროხარჩინისთანა უწყინარი როდი იყვნენ, პირიქით, უკლებლივ „მავნებ მქირდავნი“ გახლდნენ მისი დედაკაცური ბუნების, უძწეობის. ამის გამო დიახაც მცირდებოდნენ ქალის თვალში, ასე რომ, ბინის ქირას თუ არ გადაიხდიდნენ, არათუ თავის სახლში გააჩერებდა, თვალთ დანახვასაც კი არ მოისურვებდა. სემიონ ივანოვიჩი ყველასგან გამორჩეული შეიქნა მას შემდეგ, რაც ვოლკოვის სასაფლაოს მიაბარეს მაგარი სასმელების მოტრფიალე სამსახურიდან გადამდგარი ან, უკეთ რომ ვთქვათ, გამოგდებული ერთი კაცი. მიუხედავად იმისა, რომ სასმელების მოტრფიალე და გამოგდებული მოხელე თვალდაღლავეებული დადიოდა, როგორც თვითონ ამბობდა, თავისი ვაჟკაცობის წყალობით, და ცალფეხაც იყო, მისივე სიტყვით, ამავე მიზეზით, მან მაინც შეძლო დაემსახურებინა და ესარგებლა უსტინია ფეოდოროვნას იმ კეთილგანწყობით, როგორიც ამ ქალს

შეძლო გამოეჩინა. ალბათ კიდევ დიდხანს გაძლებდა, როგორც მისი ყველაზე მეტად ერთგული დამქაში და მესუფრია, რომ ბოლოს სამარცხვინოდ არ გალოთებულებო და სმას არ გადაჰყოლოდა. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ პესკიზე მოხდა, როცა უსტინია ფეოდოროვნას მხოლოდ სამი მდგმური ჰყავდა, რომელთაგანაც ახალ ბინაში გადასვლისას, სადაც უფრო გაშალა ფრთები და ათიოდე ახალი მდგმური დაიყენა, სამიდან მხოლოდ ერთი — ბატონი პროხარჩინი დაიტოვა.

ვინ იცის, თვით ბატონი პროხარჩინს ჰქონდა თუ არა თანდაყოლილი ნაკლოვანებანი, თუმცა არც მისი ამხანაგები იყვნენ ამისგან დაზღვეული — მაგრამ ეს კია, ორთავე მხარის ურთიერთობა თავიდანვე ცუდად წარიმართა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უსტინია ფეოდოროვნას ახალი მდგმურები, ყველანი უკლებლივ, ღვიძლი ძმებზეთ ექცეოდნენ ერთმანეთს; ზოგიერთები ერთად მსახურობდნენ; ყველანი რიგრიგობით ყოველი თავის პირველ რიცხვში აგებდნენ ერთმანეთთან მთელ თავის ჯამაგირს ბანქოში; მხიარულ გუნებაზე რომ იყვნენ, უყვარდათ ერთად დროს ტარება, როგორც თვითონ ამბობდნენ, ცხოვრების მჩქეფარე წუთებით ტკობა; ზოგჯერ მაღალ მატერიებზე ლაპარაკობდნენ, მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე ხშირად კამათით მთავრდებოდა, მაგრამ რაკი მათი წრიდან ცრურწმენები განდევნილი იყო, ურთიერთთანხმობა არასოდეს დარღვეულა. მდგმურებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მარკ ივანოვიჩი — ჭკვიანი და ნაკითხი კაცი, კიდევ ერთი მდგმური ოპლევანიევი, შემდეგ პრუპოლოვენკო — ისიც თავმდაბალი და კარგი ადამიანი; მერე ზინოვი პროკოფიევიჩი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული აუცილებლად მაღალ საზოგადოებაში შეედგა ფეხი; ბოლოს სახაზინო ქალაღდების გადამწერი ოკვანოვი, თავის დროზე რომ კინაღამ დიასახლისის გული არ წაართვა სემიონ ივანოვიჩს, შემდეგ მეორე ასეთივე გადამწერი სუდბინი; კანტარიოვი-რაზნოჩინელი და კიდევ

სხვები. მაგრამ სემიონ ივანოვიჩი თითქოს არც ერთთან არ ამხანაგობდა. რა თქმა უნდა, მისთვის ცუდი არავის სურდა, მით უმეტეს, რომ თავიდანვე სამართლიანად მოექცნენ პროხარჩინს და მარკ ივანოვიჩს დაუჯერეს, კარგი და წყნარი ადამიანია და, თუმცა მაღალ საზოგადოებას არ ეკუთვნის, სიტყვის პატრონია, მლიქვნელობა არ უყვარსო. რა თქმა უნდა, უნაკლო როდია და, თუ ოდესმე დაისჯება, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი წარმოსახვის უნარი არ გააჩნია. კიდევ მეტი: თუმც საკუთარ წარმოსახვას მოკლებულია, ბატონი პროხარჩინი არც თვალტანადობითა და მიხრა-მოხრით გააოცებდა ვისმე და თვალს ვერ დაუყენებდა (დამცინავი ადამიანები ხშირად ამის გამოც სასაცილოდ იგდებენ ხოლმე კაცს), მაგრამ მის ტანადობასაც არაუფრო ახივებია, ამასთან მარკ ივანოვიჩმა, როგორც ჭკვიანმა კაცმა, თავს იდო სემიონ ივანოვიჩის დაცვა და დიახაც მოსწრებულად და მაღალფარდოვნად განაცხადა, პროხარჩინი ხანში შესული, დარბაისელი კაცია და ელგეების დრო კარგა ხანია მოჭამაო. ჰოდა, თუ სემიონ ივანოვიჩი ხალხს ვერ ეგუებოდა, ამაში მხოლოდ და მხოლოდ თვითონ იყო დამნაშავე.

პირველი, რასაც ყურადღება მიაქცევს, სემიონ ივანოვიჩის წუწურაქობა იყო. ეს თვისება თავიდანვე შენიშნეს და დაიხსომეს, რადგან სემიონ ივანოვიჩი არაფრის გულისთვის, თუნდაც მცირე ხნითაც კი, არავის ათხოვებდა ხოლმე თავის ჩაიდანს; ამ საკითხში მეტისმეტად უსამართლო იყო, რადგან თვითონ ჩაის თითქმის არ სვამდა და, თუ საჭიროების დროს დალევდა ხოლმე, მინდვრის ყვავილებისა და სხვადასხვა სამკურნალო ბალახის სასიამოვნო ნაყენს მიირთმევდა. ეს ყვავილები და ბალახები მას ყოველთვის ბლომად ჰქონდა შემონახული. თუმცა ჭამითაც ისე არ ჭამდა, როგორც ჩვეულებრივად ჭამენ ხოლმე სხვა მდგმურები. მაგალითად, არასოდეს მისცემდა თავს უფლებას ერთბაშად შეეჭამა სადილი, რომელსაც უსტინია ფე-

ოღოროვნა მის ამხანაგებს მიართმევდა ხოლმე. სადილი ათი შაური ღირდა. სემიონ ივანოვიჩი ხარჯაუდა ოცდახუთ კაპიკს და ამაზე მეტს არასოდეს იმეტებდა, ამიტომ ხან ხორციან ღვე-ზელს მიირთმევდა შჩისთან ერთად, ხან კი მხოლოდ ძროხის ხორცს; უფრო ხშირად კი არც შჩის და არც ძროხის ხორცს ეკარებოდა და მარტო ცოტაოდენი პურით, ხაზვით, ხაჭოთი, მჟავე კიტრითა და სხვა ასეთებით კმაყოფილდებოდა, რაც გაცილებით იაფი უჯდებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა შიმშილი მეტიმეტად შეაწუხებდა, ისევ სადილის ნახევარს მიუბრუნდებოდა...

იქ ბიოგრაფი უნდა გამოტყდეს, რომ არაფრის გულისთვის ილაპარაკებდა ასეთ უმნიშვნელო, მდაბალ და, ასე ვთქვათ, საჭოჭმანო, უფრო მეტიც, მაღალფარდოვანი სტილის ზოგიერთი მოყვარულისთვის საწყენ წვრილმანებზე, ყველა ეს წვრილმანი რომ არ მოწმობდეს ჩვენი გმირის ხასიათში გაბატონებულ ერთ მთავარ თავისებურებაზე, რამეთუ ბატონი პროხარჩინი არც ისე დარიბი იყო, როგორც ზოგჯერ თვითონ ირწმუნებოდა, რომ სასმელ-საჭმელი მოეკლო და კარგად არ დანაყრებულყო. მაგრამ ჭამა-სმაზე მაინც თავს იკავებდა, არც რცხვენოდა და არც ხალხის ლაპარაკის ეშინოდა მხოლოდ და მხოლოდ თავისი უცნაური და ახირებული ხასიათის გამო, რაც მის სიძუნწესა და ზედმეტ სიფრთხილეს მიეწერებოდა, თუმცა ეს გაცილებით ნათელი გახდება შემდგომ.

ჩვენ არ გვინდა მკითხველს თავი მოვაბეზროთ სემიონ ივანოვიჩის ყველა უცნაურობის აღწერით და ამიტომ არათუ გვინდა გამოვტოვოთ მკითხველისთვის საინტერესო და ძალიან სასაცილო აღწერა მისი ტანსაცმლისა, არამედ, თუ არა უსტინია ფეოდოროვნას ჩვენება, კრინტსაც არ დავძრავდით იმაზე, რომ სემიონ ივანოვიჩს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ვერ გაეებდა გასარეცხად მიეცა საცვალი ანდა, თუ გაბედავდა, ისე იშვიათად, რომ ამ ხანში შეიძლება სრულიად დაგვი-

წყებოდა, საცვალი ეცვა თუ არა. დიასახლისის ჩვენებით კი: „სემიონ ივანოვიჩი, ღმერთმა აცხონოს მისი სული, ოცი წლის განმავლობაში ალბობდა მისი ბინის კუთხეს და იმდენად ურცხვი იყო, რომ ამქვეყნიური ცხოვრების დროს არათუ მუდამ და დაჟინებით უარყოფდა წინდების, ცხვირსახოცებისა თუ სხვა ასეთი საგნების ხმარებას, არამედ თვით უსტინია ფეოდოროვნას საკუთარი თვალით დაუნახავს დაფლეთილი თეჯირიდან, რომ ზოგჯერ იმ საცოდავს თავისი თეთრი სხეულის დასაფარავიც კი არაფერი გააჩნდა“. ასეთი მითქმა-მოთქმა მისი სიკვდილის შემდეგ გავრცელდა. მაგრამ ცოცხალი რომ იყო, ვერაფრით ითმენდა, მიუხედავად სასიამოვნო ამხანაგური დამოკიდებულებისა, ვინმეს ცხვირი შეეყო მის კუნჭულში — თუნდაც დაფლეთილი თეჯირიდან. იგი იყო ჯიუტი, სიტყვაძვირი, რომელსაც არ უყვარდა უაზროდ ლაქლაქი. არავითარი მრჩევლები არ უყვარდა, მეტიჩრებსაც არ სწყალობდა და ყოველთვის მაშინვე უსაყვედურებდა მქირდავსა და არამკითხე მრჩეველს. „მრჩეველი კი არა, ლაწირაკი და ქარაფშუტა ხარ, დიახ; საკუთარ ჯიბეში ჩაიხედე, ბატონო, და უკეთ იანგარიშე, რამდენი ძაფი დასჭირდა შენს ფეხსახვევებს, დიახ, დიახ“. უბრალო კაცი იყო და ყველას შენობით მიმართავდა. იმასაც ვერ იტანდა, როცა ვინმე ჩააცოდებოდა და ხუმრობით დაუწყებდა გამოკითხვას, სკივრში რა გიდევსო. სკივრი საწოლქვეშ ედგა და თვალისჩინივით უფროთხილდებოდა; თუმცა ყველამ იცოდა, რომ შიგ ძველი ჭინჭების, ორი-სამი წყვილი დაფლეთილი ჩექმისა და სხვა ხარახურის მეტი არაფერი ედო, პროხარჩინი დიდად აფასებდა ამ თავის მოძრავ ქონებას და ერთხელ მდგმურებმა ყურიც კი მოჰკერეს, უკმაყოფილებას რომ გამოთქვამდა ძველი, თუმცა საკმაოდ გამძლე ბოქლომის გამო და სურდა შეეცვალა რაღაც განსაკუთრებულით, გერმანულით, რომელსაც სხვადასხვა საიდუმლო ზამბარა ჰქონდა. მაგრამ როცა ერთხელ ზინოვი პროკოფიევიჩმა ახალგაზრდული სიბრიყვით

გამოთქვა მეტად უხამსი და უტიფარი აზრი, თითქოს სემიონ ივანოვიჩი იმ თავის სკივრში ქონებას აგროვებს, შთამომავლობას რომ დაუტოვოსო, ყველანი განაცვიფრა იმ ამბავმა, რაც ზინოვი პროკოფიევიჩის წარმოთქმულმა აზრმა გამოიწვია. პირველ ყოვლისა, ბატონმა პროხარჩინმა ერთბაშად ვერც კი მოძებნა საკადრისი პასუხი ასე პირდაპირ და ურცხვად გამოთქმულ მოსაზრებაზე. კარგა ხანს აფრქვევდა უაზრო სიტყვებს და ბოლოს ძლივს მიხვდნენ, რომ სემიონ ივანოვიჩი პირველ ყოვლისა ზინოვი პროკოფიევიჩს მის მიერ ოდესღაც წუწურაქობით ჩადენილ საქმეს აყვედრიდა; შემდეგ გაიგეს, თითქოს სემიონ ივანოვიჩი უწინასწარმეტყველებდა ზინოვი პროკოფიევიჩს, რომ ვერასოდეს მოხვდებოდა მაღალ საზოგადოებაში და მკერავი, ვისი ფულიც მართებდა, უეჭველად მიბეგავდა იმისთვის, რომ ეს ურცხვი ლაწირაკი ამდენი ხანია არ უხდიდა ვალს. დაბოლოს ესეც დაუმატა: „პუსართა იუნკერი გინდა გახდე, მაგრამ ვერ მოგართვეს, ჩაფლავდები, შე ლაწირაკო, შენა, და როდესაც შენს ამბავს გაიგებენ, როგორც ცხვირმოუხოცველს, მწერლად გაგანწესებენ; აი რა მოგოვა, შე ლაწირაკო, შენა!“ მერე სემიონ ივანოვიჩი დამშვიდდა, ხუთიოდე საათი იწვა, შემდეგ კი თითქოს ისევ ძველი გაიხსენა და ჯერ თავისთვის, მერმე კი ზინოვი პროკოფიევიჩისკენ მიბრუნებულმა, ისევ შერცხვენა და ძრახვა დაუწყო, რამაც საყოველთაო განცვიფრება გამოიწვია, მაგრამ საქმე ამით როდი დამთავრდა. საღამო ჟამს, როცა მარკ ივანოვიჩმა და მდგმურმა პრეპოლოვენკომ ჩაის დალევა გადაწყვიტეს და ოკეანოვი მიიპატიჟეს, სემიონ ივანოვიჩი საწოლიდან ადგა, განგებ მიუჯდა მათ, ოცი თუ თხუთმეტი კაპიკი ჩამოვიდა და, ვითომ ჩაის დალევა მომინდაო, დიდი ამბით დაიწყო იმის ახსნა, რომ ღარიბი კაცია და საიდან უნდა შეაგროვოს და შეინახოს. ამ საუბარში ბატონი პროხარჩინი გამოტყდა, რაკი ეს სიტყვამ მოიტანა, რომ ძალიან უჭირს, რომ ჯერ კიდევ გუშინწინ უნდოდა იმ თავხედს

მანეთს დასესხებოდა და ახლა კი აღარ სთხოვს, რათა იმ ლაწირაკმა ამით არ დაიტრაბახოსო. აი, რა დღეში ვარ, რადგან ისეთი მცირე ჯამაგირი მაქვს, საჭმლის ფულადაც არ მყოფნისო. ბოლოს დაუმატა, ამისთანა ღარიბი კი, როგორსაც მხედავთ, ყოველთვიურად რძალს ხუთ-ხუთ მანეთს ვუგზავნი ტვერში და იმ ჩემს რძალს ტვერში ხუთ მანეთს რომ არ ვუგზავნიდე, შიშვით მოკვდებოდა, ის კი რომ მომკვდარიყო, დიდი ხანია ახალ ტანსაცმელს შევიკვრავდიო... სემიონ ივანოვიჩი კიდევ დიდხანს და გრძლად ლაპარაკობდა ღარიბ კაცზე, ფულზე, რძალზე და მსმენელებისთვის რომ შეეგონებინა, სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა. ბოლოს აირია და გაჩუმდა და მხოლოდ სამი დღის შემდეგ, როცა ყველამ თავი დაანება და ყველას დაავიწყდა ეს ამბავი, დაუმატა ამის მსგავსი რაღაც: როცა ზინოვი პროკოფიევიჩის ჰუსარად ჩარიცხავენ, ფეხს მოსჭრიან, იმ თავზედს იმას, და ნამდვილი ფეხის ნაცვლად ხისას ჩამოაცვამენ, მაშინ ზინოვი პროკოფიევიჩი მოვა მასთან და ეტყვის: „ერთი ნატყერი პური მიწყალობე, კეთილო ადამიანო, სემიონ ივანოვიჩ!“ ჰოდა, მაშინ სემიონ ივანოვიჩი პურს არ მისცემს იმ უტიფარ კაცს და ზედაც არ შეხედავს. აი, ასე მოხდება.

ყველაფერი ეს, მეტად საინტერესოდ და ამასთან სასეიროდ მოიჩვენა ყველას. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დიასახლისის ყველა მდგმურმა პირი შეკრა, რათა შემდგომი გამოკვლევა მოეხდინათ და მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო გადაწყვიტეს, ერთად და საბოლოოდ შეეტიათ სემიონ ივანოვიჩისთვის. და რადგან ბატონ პროხორჩინსაც ამ უკანასკნელ დროს, ესე იგი, მას შემდეგ, რაც ხალხში მოუხდა ცხოვრება, ალბათ, რაღაც საკუთარი ფარული მიზეზების გამო, მეტისმეტად შეუყვარდა ყველაფრის გამოკითხვა და გამოძიება, ორთავ მტრული მხ-

არის ურთიერთობა იწყებოდა ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, სრულიად ძალდაუტანებლად — თითქოს შემთხვევით და თავისთავად. ურთიერთობის გასაბმელად სემიონ ივანოვიჩს ყოველთვის ჰქონდა შემონახული თავისი განსაკუთრებული, საკმაოდ ეშმაკური და ფრიად უცნაური ხერხი, რომელსაც მკითხველი უკვე ნაწილობრივ იცნობს! სწორედ მაშინ წამოდგებოდა ლოგინიდან, როცა ჩვეულებრივად ჩაის სმის დრო იყო და, თუ დაინახავდა, სხვებს თავი ერთად შეეყარათ და ამ სასმლის მირთმევას აპირებდნენ, თავმდაბალი, ჭკვიანი, ალერსიანი კაცივით მივიდოდა მათთან, ჩამოვიდოდა თავის კანონიერ წილად ოც კაპიკს და განაცხადებდა, მეც მსურს ჩაის სმაში მივიღო მონაწილეობაო. მაშინ ახალგაზრდობა შეთანხმებულად ერთმანეთს თვალს ჩაუკრავდა და ზრდილობიან, დარბაისლურ საუბარს იწყებდა. შემდეგ რომელიმე, სხვებზე უფრო ენაკვიმატი ადამიანი, თითქოსდა აქაც არაფერიაო, იწყებდა ახალი ამბების მოყოლას, თანაც მეტად ცრუსა და სიმართლეს მოკლებულს. თითქოს დღეს ვიღაცას გაეგონოს, რომ მისმა მაღალკეთილშობილებამ უთხრა თვით დემიდ ვასილიევიჩს, ჩემი აზრით, ცოლიანი მოხელენი უცოლოებზე დარბაისლურად „გამოიყურებიან“ და მათი წინ წაწევა სჯობს, რადგან უფრო მორჩილნი არიან და ქორწინების შემდეგ უფრო ნიჭიერნიც ხდებიანო. და ამიტომ იგი, ამ ამბის მთხრობელი, თავი რომ გამოიჩინოს, ჩქარობს, რაც შეიძლება მალე შეირთოს რომელიღაც ფევრონია პროკოფიევნა. ან, მაგალითად, იტყოდნენ, თითქოს მათი ძმების უმრავლესობას ხშირად აკლია დარბაისლური აღზრდა და დახვეწილი მიხრა-მოხრა, რაც ქალებს არ მოსწონთ და რის გამოც გადაწყვეტილია ჯამაგიერის ნაწილი ჩამოაკლონ და შეგროვილი თანხით მოაწყონ ისეთი დარბაზი, სადაც მათ შეასწავლიან ცეკვას, კეთილშობილ მიმოხრას, თავაზიანობას, უფროსებისადმი პატივისცემას, შეიძენენ ხასიათის სიმტკიცეს, ეზიარებიან მაღლიერებას და სხვადასხვაგვარ სა-

სიამოვნო ქცევას. იმასაც იტყოდნენ, ყველა მოხელემ, ღრმა მოხუცებმაც კი, იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ განათლებული გახდნენ, ყველა საგანში რაღაც გამოცდა უნდა ჩააბარონ. ამის წყალობითო, განაგრძობდა მთხრობელი, ყველაფერი გამოაშკარავდება და ზოგიერთ ვაჟბატონს შეეტყობა, რა ბიჭიც ბრძანდებაო, — ერთი სიტყვით, ათასნაირ ასეთ და ამის მსგავს სისულელეს ჩმახავდნენ. ყველანი ვითომ მაშინვე იჯერებდნენ ამ ამბავს, მსჯელობდნენ, ბჭობდნენ, ფიქრობდნენ. ზოგიერთი კი მოიწყენდა, თავს აქნევდა და რჩევას კითხულობდა, რა ექნა, თუ ასეთი რამ მასაც დაატყდებოდა თავს? რა თქმა უნდა, პროხარჩინზე ბევრად უფრო ნაკლებ გულუბრყვილო და მორჩილ ადამიანსაც კი დააბნევდა ეს საერთო ხმები. გარდა ამისა, ყველა ნიშნის მიხედვით შეუცდომლად შეიძლება დავადგინოთ, რომ სემიონ ივანოვიჩი მეტისმეტ სიჩლუნგესა და უნიჭობას იჩენდა მისი გონებისთვის ყოველგვარი უჩვეულო აზრის მიმართ და, როცა რაიმე ახალ ამბავს გაიგებდა, ჯერ თითქოს უნდა გადაედგა იგი და გადაეხარშა, აზრი მოექმბნა, ტვინი ეჭვფილთა და ბოლოს შეიძლება ჩასწვდომოდა მას, თუცა მაშინაც სრულიად განსაკუთრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხერხით... ამგვარად სემიონ ივანოვიჩმა უეცრად გამოავლინა სხვადასხვა საინტერესო, აქამდე შენიღბული თვისება... ჰოდა, დაიწყო მითქმა-მოთქმა და ბოლოს ყოველივე ამან, ათასნაირი დამატებით, კანცელარიამდე მიაღწია. ეფექტს ისიც უწყობდა ხელს, რომ ბატონ პროხარჩინს, ვისაც დიდი ხანია სულ ერთნაირი იერით იცნობდნენ, უეცრად გამომეტყველება შეეცვალა: მოუსვენრობა დაეტყო, გამოხედვა მშმიშარა, გაუბედავი და ცოტა არ იყოს ეჭვიანიც გაუხდა, ფეხაკრეფით დადიოდა, კრთომა და ყურის გდება დაიწყო. ყველა ამ თავის ახალ თვისებასთან ერთად შეუყვარდა ჭეშმარიტების ძიება. ჭეშმარიტებისადმი სიყვარულმა იქამდე მიიყვანა, რომ ორიოდეჯერ გაბედა, თვით დემიდ ვასილიევიჩისთვის ეკითხა, რამდენად სწორი იყო ამბე-

ბი, რომლებსაც დღეში ათობით იგებდა. და თუ ჩვენ აქ ვდუმვართ სემიონ ივანოვიჩის ამ საქციელით გამოწვეულ შედეგებზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გულით ვუფროთხილდებით მის სახელს. ამგვარად გადაწვევტეს, რომ კაცთმოძულე გახდა და საზოგადოებრივ ზრდილობას არად აგდებსო. მერე ისიც თქვეს, თითქოს ბევრი რამ ფანტასტიკური სწვევიაო. და არცთუ დიდად შემცდარან, რადგან მრავალჯერ შენიშნეს, რომ სემიონ ივანოვიჩი ზოგჯერ გამოყვეყნებული, გაუნძრევლად იჯდა ერთ ადგილას პირდაღებული და კალამაწეული. ამ დროს იგი გონიერი არსების ჩრდილს უფრო ჰგავდა, ვიდრე თვით გონიერ არსებას. ხშირად ესეც ხდებოდა, რომ რომელიმე უნებლიეთ თვალეგაშტერებული ვაჟბატონი უეცრად მის უცაბედ, ამღვრეულ და რაღაცის მაძებარ მზერას შეამჩნევდა, შეკრთებოდა, შეშინდებოდა და მაშინვე საჭირო ქაღალდზე ან მელანს დააღვენთებდა, ანდა სრულიად უმაქნის სიტყვას დაწერდა. სემიონ ივანოვიჩის უხამსი საქციელი აკრთობდა და შეურაცხყოფდა ჭეშმარიტად კეთილშობილ ადამიანებს... ბოლოს, ერთ მშვენიერ დილას, მას შემდეგ, რაც კანცელარიაში ხმა დაირხა, თითქოს სემიონ ივანოვიჩი ღერეფანში შეხვდა თვით დემიდ ვასილიევიჩს და თავისი უცნაური შესახედლობით ისე შეაკრთო, კაცმა უკანაც კი დაიხიაო, უკვე ეჭვი არავის ეპარებოდა ბატონი პროხარჩინის აზრების ფანტასტიკურ მიმართულებაში... ამ ხმამ ბოლოს თვით სემიონ ივანოვიჩამდე მიადღია. ეს რომ გაიგონა, მაშინვე ადგა, ღერეფანში გავიდა, საკუთარი ხელით ჩამოხსნა შინელი, ჩაიცვა, გარეთ გავიდა და გაურკვეველი დროით სადღაც გადაიკარგა. შეეშინდა, თუ რაღაც სხვამ მიიზიდა მისი გონება, — არ ვიცით, მხოლოდ ეს კია, რომ არც სახლში და არც კანცელარიაში რამდენიმე ხანს აღარ გამოჩენილა...

ჩვენ სემიონ ივანოვიჩის ბედის ახსნას პირდაპირ მისი ფანტასტიკური მიმართულებით არ დავიწყებთ. მაგრამ განა შეგ-

ვიძლია არ მოვახსენოთ მკითხველს, რომ ჩვენი გმირი, კაცი უბრალო და მორჩილი, ვიდრე ხალხში მოხვდებოდა, ცხოვრობდა თავისთვის კარჩაკეტილად, იყო ჩუმი და თითქოს საიდუმლოებით მოცული, რამეთუ პესკიზე თავისი უკანასკნელი ცხოვრების ჟამს თეჯირს უკან იწვა საწოლზე, დუძდა და თითქმის არავის ეკარებოდა. ორივე მისი ძველი თანამცხოვრები მასავით ატარებდა წუთისოფელს. ორთავენი თითქოს ასეთივე საიდუმლოებით მოცულნი იყვნენ და თხუთმეტი წელიწადი თეჯირს უკან წოლაში გაატარეს. პატრიარქალურ სიმშვიდეში ერთმანეთის მიყოლებით გადიოდა ნეტარი, მთვლეპარე დღეები და საათები და რადგან გარშემო ყველაფერი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა, არც სემიონ ივანოვიჩს და არც უსტინია ფეოდოროვნას აღარ ახსოვდათ, როდის შეჰყარა ისინი ბედმა. „არ ვიცი, ათი, თხუთმეტი ან იქნებ ოცდახუთი წელიწადი იყოს, — ეუბნებოდა ქალი ზოგჯერ თავის ახალ მდგმურებს, — რაც ჩემთან დაბინავდა, ღმერთმა აცხონოს“. და ამიტომ ბუნებრივია, რომ საზოგადოებას უჩვევი ჩვენი გმირი გაცოცხლებული დარჩა და არ ესიამოვნა, როცა სწორედ ერთი წლის წინ ეს დარბაისეული და თავმდაბალი ადამიანი უეცრად თავისი ახალი მეზობლებისა და ამხანაგების, ათიოდე ხმაურიანი და მოუსვენარი ახალგაზრდა ბიჭის წრეში აღმოჩნდა.

სემიონ ივანოვიჩის გაუჩინარებამ დიდი შემფოთება გამოიწვია მობინადრეთა შორის. ჯერ მარტო იმიტომ, რომ იგი დიასახლისის რჩეული გახლდათ. თანაც პასპორტი, დიასახლისის რომ ჰქონდა ჩაბარებული, სადღაც გადაკარგულიყო. უსტინია ფეოდოროვნა, როგორც ყოველ ასეთ კრიტიკულ შემთხვევაში, გაცეცხლდა, ორი დღე და ღამე აგინებდა და ლანძღავდა მდგმურებს, მოთქვამდა, მდგმური წიწილასავით დამიშინეს, იმავე „მაგნე მქირდავებმა“ დამიღუპესო, მესამე დღეს კი ყველანი გარეთ გაყარა, მოძებნეთ და, რაღაც უნდა დაგიჯდეთ, მკვდარი ან ცოცხალი მომგვარეთო. საღამოს პირველი

მოვიდა გადამწყვერი სუდბინი და განაცხადა, გაქცეული ძველ-მანების ბაზარში ვნახე, სხვაგანაც კუდში ვდიე, გვერდითაც ვედექი, მაგრამ გამოლაპარაკება ვერ გავუბედე, ახლოსაც კი ვიყავი მისგან, როცა კრიოიზე სახლს ცეცხლი წაეკიდაო. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდნენ ოკეანოვი და რაზნოჩინელი კანტარევი. მათაც სიტყვასიტყვით იგივე გაიმეორეს; ჩვენც ახლოს ვიდექით, სულ რაღაც ათიოდე ნაბიჯზე, მაგრამ ვერც ჩვენ გავბედეთ გამოლაპარაკება, ისე კი ორთავემ შევნიშნეთ, რომ სემიონ ივანოვიჩი ლოთ მათხოვარს დაჰყვებოდაო. ბოლოს, როცა ყველა მდგმურმა შეიყარა თავი, გადაწყვიტეს, პროხარჩინი ალბათ სადმე ახლოსაა და მალე მოვარო, მაგრამ ადრეც ყველამ ვიცოდით, ლოთ მათხოვართან რომ დადიოდაო. ლოთ მათხოვარს, ხელიდან წასულ კაცს, შფოთისთავსა და მლიქვნელს, ალბათ რაღაცით მოეხიბლა სემიონ ივანოვიჩი. სემიონ ივანოვიჩის დაკარგვამდე სწორედ ერთი კვირით ადრე მობრძანდა და თან თავისი ამხანაგი რემნევი მოიყვანა. ცოტა ხანს აქ იცხოვრა, მოჰყვა, რომ სიმართლისთვის ვიტანჯები, წინათ სხვადასხვა მაზრაში ვმსახურობდი, ერთხელ რევიზორი დაგვეცა თავსო, მე და ჩემი წრე სიმართლისთვის დავისაჯეთო. მერე პეტერბურგში ჩამოვედი, პორფირი გრიგორიევიჩს დავუჩოქე და მისი თხოვნით ერთ-ერთ კანცელარიაში მიმიღეს, მაგრამ ბედი არ მწყალობდა, აქედანაც დამითხოვეს, შემდეგ ეს კანცელარიაც გააუქმეს და სხვა სახელით აღადგინეს; მოხელეთა ახალ შტაბში აღარ მიმიღეს სამსახურისადმი სრულიად უპარგისობის და სხვა გარეშე საქმისადმი დიდი ნიჭის, თან სიმართლისმოყვარეობისა და მტრების ხრიკების გამოო. ამბის მოყოლა რომ გაათავა, რომლის დროსაც ბატონი ზიმოვეიკინი წამდაუწუმ ლოშნიდა თავის შუბლშეკრულ და გაუპარსავ მეგობარ რემნევს, რიგრიგობით მდაბლად დაუკრა თავი ყველას, ვინც კი ამ დროს ოთახში იყო, მათ შორის მოსამსახურე ქალს ავლოტიასაც, ყველას მწყალობლები უწოდა და დაუმატა, უდ-

ირსი, აბეზარი, თახსირი, თავაშვებული და სულელი კაცი ვარო. ყოველივე ამის გამო პატიებაც ითხოვა, ერთი უბედური და უბრალო ადამიანი გახლავართო. რაკი მფარველობა მოითხოვა, ბატონი ზიმოვეიკინი, რომელიც ხუმარა კაცი გამოდგა, მეტისმეტად გამხიარულდა, უსტინია ფეოდოროვნას ხელები დაუკონა, მიუხედავად იმისა, რომ ქალი თავმდაბლად უმტკიცებდა, ერთი უბრალო ქალი ვარ, აზნაური არ გეგონო. დაბოლოს დაჰპირდა მთელ საზოგადოებას, საღამოთი გიჩვენებთ შესანიშნავ სახასიათო ცეკვასო. მაგრამ მეორე დღესვე მისი საქმე ცუდად დამთავრდა. არ ვიცი, სახასიათო ცეკვა მეტისმეტად სახასიათო გამოდგა, თუ, უსტინია ფეოდოროვნას სიტყვით რომ ვთქვათ, „შემარცხვინა და თავლაფი დამასხა, მე კი თვით იაროსლავე ილიჩს ვიცნობ და რომ მინდოდეს, უკვე დიდი ხანია ობეროფიცრის ცოლი გავხდებოდი“, — ეს კია, რომ ზიმოვეიკინი იძულებული გახდა, იქიდან წაბრძანებულიყო. წავიდა, მერე ისევ დაბრუნდა, კვლავ უპატიოდ გააძევეს, შემდეგ სემიონ ივანოვიჩის ნდობა და სიყვარული მოიპოვა. სხვათა შორის, ახალი შარვალი ააცალა და ბოლოს ისევ სემიონ ივანოვიჩის სახით მოვევლინა იქაურობას.

როგორც კი დიასახლისმა შეიტყო, სემიონ ივანოვიჩი ცოცხალია, კარგადაა და პასპორტი უკვე საძებნელი აღარ არისო, გულს მოეშვა და მოსასვენებლად გავიდა. ამ დროს ზოგიერთმა მდგმურმა გადაწყვიტა დიდი ამბით შეჰკებებოდა ლტოლვილს: რაზა გააფუჭეს, დაკარგულის საწოლს თეჯირი მოაშორეს, ოდნავ აშაღეს ლოგინი, აიღეს და ჩვენთვის ცნობილი სკივრი ლოგინზე ფერხთით დადგეს, საწოლზე კი დააწვინეს რძალი, ესე იგი თოჯინა, რომელიც დიასახლისის ძველი თავსაფრის, ჩაჩისა და სალოფიდან გააკეთეს და ისე დაამსგავსეს რძალს, რომ ადამიანი მართლაც ადვილად მოტყუვდებოდა. მუშაობა რომ დაამთავრეს, სემიონ ივანოვიჩის მოსვლას დაელოდნენ, უნდოდათ, მოვიდოდა თუ არა, ეუწყები-

ნათ მისთვის, მაზრიდან რძალი გეწვია და თეჯირს უკან გელო-
დება ის საბრალო, ისაო. მაგრამ ელოდნენ, ელოდნენ, ელოდ-
ნენ-ელოდნენ... ამ ლოდინში მარკ ივანოვიჩმა უკვე ნახევარი
თვის ჯამაგირი წააგო მდგმურებთან, პრეპოლოვენკოსა და კან-
ტარევთან; ოკეანოს კი წაგების გამო ცხვირი დაუსიეს და
გაუწითლეს ბანქოს ქაღალდით; მოსამსახურე ავდოტიამ თითქ-
მის გამოიძინა და ორჯერ დააპირა ადგომა, შეშის მოტანა და
ღუმლის დანთება, ზინოვი პროკოფიევიჩი კი თავით ფეხამდე
გაიწუწა, რადგან წამდაუწუმ გარეთ გარბოდა, სემიონ ივანოვი-
ჩი ხომ არ მოდისო; მაგრამ არაფერაც არ მოსულა — არც
სემიონ ივანოვიჩი და არც ლოთი მათხოვარი. ბოლოს ყველა
დაწვა და, ყოველი შემთხვევისთვის, რძალი თეჯირს უკან და-
ტოვებს; მხოლოდ ოთხ საათზე მოისმა ჭიშკარზე ბრახუნი. თანაც
ისეთი მაგარი ბრახუნი, რომ მომლოდინეებს სრულიად
აუნაზღაურდათ გარჯა. აბრახუნებდა ის, სწორედ სემიონ
ივანოვიჩი, ბატონი პროხარჩინი. მაგრამ ისეთ დღეში იყო, რომ
ყველა გოცდა და რძალი აღარავის გახსენებია. დაკარგული
უგრძნობლად დაბრუნდა. შინ შემოიყვანა, უკეთ, კი არ შემოიყ-
ვანა, მხარზე გადაკიდებული შემოიტანა გაწუწულმა, სიცვიით
აკანკალებულმა, ჩამოხეულ-ჩამოფლეთილმა ღამის მეეტლემ.
ღიასახლისის შეკითხვაზე, ასე სად დათვრა ეს უბედურიო,
მეეტლემ უპასუხა: მთვრალი არ გახლავთ, წვეთიც არა აქვს
დალეული, ამას მართალს მოგახსენებთ, ოღონდაც არ ვიცი
ჭკუადაბნელებულია, არ ვიცი გამოშტერებულია თუ დამბლა-
დაცემულიო. უკეთ რომ დაჰკვირვებოდნენ, ღუმელს მიაყუდეს
და მართლაც დარწმუნდნენ: არც მთვრალი იყო, არც დამბლა-
დაცემული, სულ სხვა რაღაც ამბავი იყო მის თავს, რადგან
სემიონ ივანოვიჩი ენას ვერ აბრუნებდა, თითქოს სახე ემანჭე-
ბოდა და მხოლოდ თვალებს აფახულებდა. გაცოცებით მისჩერე-
ბოდა ღამის სამოსში გამოწყობილ ხან ერთსა და ხან მეორე
მდგმურს. შემდეგ მეეტლეს დაუწყეს გამოკითხვა, საიდან წამ-

ოიყვანო? „საიდან და, — უპასუხა მან, — კოლომნიდან. მხიარული მოქიფენი ეხვია გარს. ვერ გეტყვით, ვინ იყვნენ, ჯანდაბას მათი თავი, ბატონები თუ მდაბიონი. ჰოდა, აი, ამ სახით ჩამაბარეს, არ ვიცი, ჩხუბი მოუვიდა თუ კრუნჩხვამ მოუარა. ღმერთმა უწყის, რა მოხდა, ისე კი მხიარული, კარგი ბატონები იყვნენ!“... სემიონ ივანოვიჩი აიყვანეს, ზორბა მხრებზე გაიდვეს და საწოლზე დააწვინეს. მაგრამ როცა დაწოლისას ფეხი თოჯინასა და სანუკვარ სკივრს წამოჰკრა, შემზარავად შეჰყვირა, ოთხზე დადგა, აკანკალებულმა, სადამდეც მისწვდა, საწოლს ხელები შემოხვია და დაფეთებული, მაგრამ საოცრად მტკიცე მხერით ყველა იქ მყოფთ თითქოს ამცნობდა, რომ უძალ თავს მოიკლაფდა, ვიდრე თავისი უბადრუკი ქონების თუნდაც მესამედს სხვას დაუთმობდა...

სემიონ ივანოვიჩი ორ თუ სამ დღეს იწვა თეჯირს ამოფარებული, ქვეყნიერებასა და ყოველგვარ მღელვარებას მოწყვეტილი. როგორც ხდება ხოლმე, მეორე დღეს უკვე ყველამ დაივიწყა; დრო თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. საათი საათს, დღე დღეს ცვლიდა. ავადმყოფის დამძიმებულ, გახურებულ თავს ნახევრად ძილი და ნახევრად ბოდვა დაეუფლა; მაგრამ მშვიდად იწვა, არც კენესოდა და არც არაფერს უჩიოდა, პირიქით, გაყუჩებული იყო, დუმდა და ითმენდა, საწოლს ისე მიჰკვროდა, როგორც მიეკრობა მიწას კურდღელი, მონადირეთა ხმას რომ გაიგონებს. ზოგჯერ ბინაში ხანგრძლივი, სევდისმომგვრელი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველანი სამსახურში იყვნენ წასული და გამოღვიძებულ სემიონ ივანოვიჩს შეეძლო, რამდენიც სურდა, გაექარვებინა მოწოლილი სვედა. აყურადებდა ხმაურს, რომელიც ახლოდან, სამზარეულოდან მოისმოდა, სადაც დიასახლისი ფუსფუსებდა, ანდა მოსამსახურე ავლოტიას გაცვეთილი ფეხსაცმლის ფრატუნს, როცა იგი ოხვრითა და კრუსუნით ალაგებდა, გვიდა და ასუფთავებდა ყველა კუთხეს. ასე გადიოდა მთვლემარე, ზანტი

და მოსაწყენი საათები, ისეთივე მოსაბეზრებელი, როგორც სამზარეულოში მაგიდიდან ვარცლში თანაბარი ხმაურით ჩამდინარე წყალი. ბოლოს მდგმურები ბრუნდებოდნენ, რიგრიგობით ანდა ჯგუფ-ჯგუფად და სემიონ ივანოვიჩის ნება-ნება შექმნილი მოესმინა, როგორ აძაგებდნენ ისინი ამინდს, ითხოვდნენ საჭმელს, ხმაურობდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ, ილანძვებოდნენ, ერთმანეთს ელაქუცებოდნენ, ბანქოს თამაშობდნენ და ჩაის დალევას წინ ფინჯნებს აწკარუნებდნენ. სემიონ ივანოვიჩი ანგარიშმიუცემლად წამოდგომასა და კანონის მიხედვით სხვებთან ერთად ჩაის დალევას დააპირებდა, მაგრამ ისევ ძილი მოერეოდა და ისე ეგონა, თითქოს უკვე დიდი ხანია მაგიდას უზის, ჩაის შეექცევა და ბაასობს, რომ ზინოვი პროკოფიევიჩმა დრო იხელთა და საუბარში ჩაურთო რაღაც ამბავი რძლებსა და სხვადასხვა კარგი ადამიანის მათდამი ზნეობრივ დამოკიდებულებასზე. სემიონ ივანოვიჩის მაშინვე სურდა მისთვის აეხსნა და ეპასუხა, მაგრამ დანარჩენების მიერ წარმოთქმულმა ფრაზამ „არაერთხელ შემჩნეულია“, მყისვე პირზე შეაყინა პასუხი, ისე რომ სემიონ ივანოვიჩმა იმაზე უკეთესი ვერაფერი მოიგონა, კვლავ ოცნებებს მისცემოდა, წარმოიდგინა, თითქოს დღეს პირველი რიცხვია და მანეთიანებს იღებს თავის კანცელარიაში. ქაღალდი იქვე, კიბეზე გახსნა, მიიხედ-მოიხედა, რაც შეიძლება სწრაფად გაყო შუაზე მიღებული კანონიერი საზღაური და ჩექმის ყელში დამალა, შემდეგ აქვე, კიბეზე, გადაწყვიტა — აინუნშიც არ ჩაუგდია ის ამბავი, რომ ძილში თავის საწოლზე მოქმედებდა — როგორც კი შინ მივიდოდა, მაშინვე გადაეხადა დიასახლისისთვის საჭმელ-სასმლისა და ბინის ქირა, შემდეგ ცოტა აუცილებელი რამ ეყიდა და ზოგიერთისთვის, ვითომდა წინასწარ განზრახვის გარეშე, უცაბედად გაეგებინებინა, თითქოს ჯამაგირი დაუქვითეს, აღარაფერი დარჩა და ახლა რძალსაც ველარაფერს გაუგზავნის. ამასთან სურდა აქვე რძლის გამო მწუხარება გამოეთქვა, ხვალაც და ზეგაც მასზე ბევ-

რი ელაპარაკა და ათიოდე დღის შემდეგაც სხვათა შორის, გაკვრით ეთქვა იმ ქალის სიღარიბეზე, რათა ამხანაგებს არ დაეიწყებოდათ ეს ამბავი. ეს რომ გადაწყვიტა, დაინახა, ანდრეი ეფიმოვიჩი, სწორედ ის დაბალი, მუდამ მღუპარე მელოტი კაცი, რომელსაც კანცელარიაში სამი ოთახი ამორებდა სემიონ ივანოვიჩის და მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში ხმაც არ გაუცია მისთვის, აქვე, კიბეზე დგას, თავის ვერცხლის მანეთიანებს ითვლის, თავს აქნევს და ამბობს: „ფულია, ბატონო! თუ ფული არა გაქვს, არც ფაფა გექნება — ამატებს ამასაც მკაცრად, კიბეზე ჩადის და უკვე პარმალზე გასული ასკენის, — მე კი, ბატონო ჩემო, შვიდი მყავს, შვიდი“. ამ სიტყვებით მელოტმა კაცმა, რომელიც ალბათ აგრეთვე ვერ ამჩნევდა, რომ აჩრდილოდით მოქმედებდა და არა ცხადში, ერთ არშინსა და გოჯზე ასწია ხელი იატაკიდან, მერე თანდათან დაბლა დაუშვა და ჩაიბუზღუნა, უფროსი უკვე გიმნაზიაში დადისო; შემდეგ აღშფოთებით შეხედა სემიონ ივანოვიჩს, თითქოს სწორედ ბატონი პროხარჩინის ბრალი იყო, რომ შვიდი ჰყავდა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, შინელი შეიბერტყა, მარცხნივ გაუხვია და მიიმალა. სემიონ ივანოვიჩს ძალიან შეეშინდა, და თუმცა საესეებით დარწმუნებული იყო თავის უცოდველობაში ერთ ჭურჭეშე შვიდეულის არასასიამოვნო თავშეყრის გამო, სინამდვილეში მაინც ისე გამოდიოდა, ვითომ სწორედ სემიონ ივანოვიჩს მიუძღოდა ბრალი. ჰოდა, შეშინებული გაიქცა, რადგან მოეჩვენა, თითქოს მელოტი კაცი დაბრუნდა, სადაცაა დაეწევა, რომ ჯიბეები დაუჩხრიკოს და მთელი საზღაური წაართვას, ისევ იმ თავის შვიდეულის გამო და მტკიცედ უარყოფს ყოველგვარი რძლების რაიმე შესაძლებელ დამოკიდებულებას სემიონ ივანოვიჩისადმი. ბატონი პროხარჩინი უკან მოუხედავად გარბოდა, სული ეხუთებოდა... მის გვერდით მრავალი ადამიანი მირბოდა და ყველა თავისი მოკლე ფრაკების უკანა ჯიბეებში საზღაურს აჩხარუნებდა; ბოლოს ყველა გაიქცა, აგრიალდა

სახანძრო საყვირები და ხალხის ტალღამ თითქმის მხრებით მიიყვანა იგი იმ ხანძრამდე, რომელსაც ლოთ მათხოვართან ერთად უკანასკნელად ესწრებოდა. ლოთი, — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბატონი ზიმოვეიკინი — უკვე იქ იყო, სემიონ ივანოვიჩს შეეგება. მყის დატრიალდა, ხელი ჩასჭიდა და შუაგულ ხალხში შეიყვანა. ისევე, როგორც მაშინ, ცხადში, მის გარშემო გუგუნებდა და ხმაურობდა აუარება ხალხი, რომელსაც გაეჭვდა მთელი ფონტანკა ორივე ხიდს შორის და ყველა ახლომახლო ქუჩები და შესახვევები; სულ ისე, როგორც მაშინ, ხალხმა ლოთ მათხოვართან ერთად სემიონ ივანოვიჩიც მესერს იქით გაიტანა და ჩაჭვდა შეშით გამოტენილ უზარმაზარ ეზოში, რომელიც ძველმანების ბაზრიდან თუ გარშემო მდებარე სახლებსა და სამიკიტნოებიდან თავშეყრილ მაყურებელს აეესო. სემიონ ივანოვიჩი მაშინდელივით ხედავდა ყველაფერს და მაშინდელივით განიცდიდა; ბოღვითა და ციებ-ცხელებით არეულ ტვინში უელავდა და უკრთოდა სხვადასხვა უცნაური სახე. ზოგიერთი გაიხსენა კიდევ. ერთ-ერთი ის ვეება, ერთი საყენის სიმადლე და ერთი არშინის სიგრძე ულვაშიანი წარმოსადგეი ვაჟბატონი იყო, ხანძრის დროს რომ ზურგს უკან ედგა სემიონ ივანოვიჩს და წაუთაქა კიდევ, როცა ჩვენმა გმირმა აღტაცების მსგავსი რაღაც იგრძნო და ფეხები დააბაკუნა, თითქოს ამით სურდა ტაში დაეკრა სახანძრო რაზმის ყოჩაღი ბიჭებისთვის, რომელთაც მშვენიერად ხედავდა თავის მადლობიდან. მეორე კი სწორედ ის ბრგე ბიჭი იყო, ქვემოდან რომ მჯიღი ამოჰკრა, რათა მეორე ღობეზე შეესვა, როცა სემიონ ივანოვიჩმა თითქმის გადაწყვიტა მესერზე გადაძვრალიყო და ვიღაც გადაერჩინა. იმ ბუასილიანი მოხუცის სახემაც გაუელვა, რაღაც ძონძემორტყმული ბამბის დაფლეთილი ხალათი რომ ეცვა. მოხუცი ჯერ კიდევ ხანძრის დაწყებამდე მდგმურებს ორცხობილასა და თამბაქოს საყიდლად გაეგზავნათ დუქანში, ახლა კი სარძევეთა და ჩარეჟიანით ხელში მიაარღვევდა ხალხს, რათა მიედწია სახლამდე,

სადაც ცოლ-შვილი და ლეიბქვეშ ამოდებული ოცდაათი მანეთი და ათი შაური ეწვოდა. მაგრამ ყველაზე ცხადად ხედავდა იმ ღარიბ, ცოდვილ დედაკაცს, არაერთხელ რომ ელანდებოდა ავადმყოფობის დროს, — ახლაც სწორედ ისე ხედავდა, როგორც მაშინ — ზურგზე ნაქსოვ ტომარამოგდებულს, ძონძებში გამოხვეულს, ფეხზე ქალამანწამოცმულს, ჯოხით ხელში. ქალი მეხანძრეებსა და ხალხზე ხმაძაღლა გაჰკიოდა, ჯოხს და ხელებს აქნევდა და გაიძახოდა: ღვიძლმა შვილებმა გამომაგდეს და ორი თითო შაურიანიც დამეკარგაო. შვილები და შაურიანები, შაურიანები და შვილები — წამდაუწუმ იმეორებდა იმდენად უაზროდ, რომ ხალხმა ვერაფერი გაუგო და ბოლოს ზურგი შეაქციეს. მაგრამ ქალი ვერ ისვენებდა, გაუჩერებლად კიოდა, ღმუროდა, ხელებს აქნევდა. თითქოს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა არც ხანძარს, სადაც იგი ხალხის ტალღას შემოეგდო, არც ადამიანებს, მის გარშემო რომ ტრიალებდნენ, არც სხვის უბედურებას და არც მუგუზობებსა და ნაპერწკლებს, თავზე რომ ეყრებოდა იქვე მდგომ ადამიანებს. ბოლოს ბატონმა პროხარჩინმა იგრძნო, რომ შიშმა აიტანა, რადგან ამკარად ხედავდა, ეს ტყუილუბრალოდ არ ხდება და ასე იოლად არ ჩამივლისო. და მართლაც იქვე, მის ახლოს შეშებზე შემძვრალიყო გლეხი, რომელსაც გაგლეჯილი, უქამრო ხედატანი ეცვა და წვერ-ულვაში შეტრუსვოდა. ის სემიონ ივანოვიჩის წინააღმდეგ აქეზებდა მთელ ხალხს. ხალხი მატულობდა, გლეხი კი ყვირილს განაგრძობდა. თავზარდაცემულ ბატონ პროხარჩინს უეცრად გაახსენდა, რომ ეს სწორედ ის მეექვსე იყო, რომელიც ხუთი წლის წინ არაადამიანურად მოატყუა, ვიდრე ფულს მისცემდა, ჭიშკარში სტუცა თავი და ისე მოუსვა, თითქოს შიშველი ფეხებით გაგარვარებულ ქვაფენილზე გარბოდა. გულგახეთქილ პროხარჩინს სურდა ეთქვა რაღაც, ეყვირა, მაგრამ ხმა უწყვდებოდა, გრძნობდა, გააფთრებული ბრბო ჭრელი გველივით ეხვეოდა, აწვებოდა, ახრჩობდა. თავს საოცარი ძალა

დაატანა და გააღვიძა. ამ დროს დაინახა, რომ ყველაფერი იწვის, იწვის მთელი მისი კუთხე, თეჯირი, მთელი ბინა უსტინია ფეოდოროვნასა და ყველა მის მდგმურთან ერთად, იწვის მისი საწოლი, ბალიში, საბანი, სკივრი და ბოლოს მისი ფასდაუდებელი ლეები. სემიონ ივანოვიჩი ფეხზე წამოხტა, ლეებს ხელი წამოავლო და გაიქცა. მაგრამ დიასახლისის ოთახში, სადაც ასე უბოდიშოდ შეირბინა ჩვენმა ფეხშიშველა და პერანგისამარა გმირმა, ხელი სტაცეს, შეკერეს და დიდი ამბით ისევ შეიტანეს თეჯირს უკან, რომელიც სრულებით არ იწვოდა, ცეცხლი თეჯირს კი არა, სემიონ ივანოვიჩის ტვინს ეკიდა თურმე, და საწოლზე დააწვინეს. მსგავსად იმისა, როგორც ჩააწვენს ხოლმე სამგზავრო ყუთში ჩამოფლეთილი წვერგაუპარსავი და გოროზი მეარღნე-მსახიობი თავის კლოუნს, რომელმაც იბობოქრა, ყველას სცემა, ეშმაკს სული მიჰყიდა და ახლა კი მომავალ წარმოდგენამდე უნდა განისვენოს სკივრში ეშმაკს, ზანგებს, ტაკიმასხარას, მამზელ კატერინასა და მის ბედნიერ საყვარელ — სამაზრო პოლიციის უფროს კაპიტანთან ერთად.

ყველანი მყისვე სემიონ ივანოვიჩს შემოეხვივნენ. დიდმა და პატარამ მის საწოლთან მოიყარა თავი და ავადმყოფს დააშტერდნენ. ყველა რაღაცას მოელოდა. ამასობაში ავადმყოფი გამოფხიზლდა, მაგრამ შერცხვა თუ სხვა რამემ შეაწუხა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, საბანს დაექანა, ალბათ სურდა თანამგრძნობთა ყურადღებას დამალვოდა. ბოლოს მარკ ივანოვიჩმა პირველმა დაარღვია სიჩუმე. მან ტკბილად დაუწყო ლაპარაკი სემიონ ივანოვიჩს. უთხრა, უნდა დამშვიდდეთ, ავადმყოფობა ცუდია და სამარცხვინო, ასე მხოლოდ პატარა ბავშვები იქცევიან, უნდა გამოჯანმრთელდეთ და სამსახურში წახვიდეთ. ეს შეგონება მარკ ივანოვიჩმა ხუმრობით დაამთავრა, რომ ავადმყოფებს ჯერჯერობით ჯამაგირს არ უნიშნავენ და, რადგან მტკიცედ იცის, რომ ჩინებიც არ ემატებათ, მისი აზრით, ასეთი მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. ერთი

სიტყვით, ეტყობოდათ, რომ ყველას მართლა ებრალებოდა სემიონ ივანოვიჩი და გულით თანაუგრძნობდნენ. მაგრამ სემიონ ივანოვიჩი საოცრად უზრდელად განაგრძობდა წოლას, ხმას არ იღებდა და სულ უფრო და უფრო ეხვეოდა საბანში. მარკ ივანოვიჩმა თავი დამარცხებულად არ ცნო, გული გაიმაგრა და ისევ ტკბილად დაუწყო საუბარი სემიონ ივანოვიჩს, რადგან იცოდა, რომ აუადმყოფ კაცს ასე უნდა მოქცეოდა. სემიონ ივანოვიჩს კი არაფრის გაგება არ სურდა, პირიქით, უნდობლად რაღაც ჩაიბუზღუნა და უცბად ისე მტრულად მიიხედ-მოიხედა, კაცს ეგონებოდა, სურს ყველა თავისი თანამგრძნობი მოსპოს და გაანადგუროსო. ახლა კი გაჩუმება აღარ შეიძლებოდა: მარკ ივანოვიჩმა ვეღარ შეიკავა თავი და დაინახა რა, კაცს გადაქყვითა ჯიუტად თავისაზე მდგარიყო, გაჯაურდა და პირდაპირ და ყოველგვარი ტკბილი მოიარების გარეშე განუცხადა, რომ დროა ადგეს, ეყოფა გორაობა. დღისითა და ღამით ხანძარზე, რძალზე, ლოთებზე, ბოქლომებზე, სკივრებსა და, ეშმაკმა დალახვროს, კიდევ ვინ იცის, რაზე — ყვირილი სისულელეა, უზრდელობაა და შეურაცხყოფელია ადამიანისთვის, რადგან თუ თვით სემიონ ივანოვიჩს ძილი არ სურს, სხვებს დააცალოს. და ბოლოს დაუმატა: ეს ყველაფერი კარგად დაიხსომეო. მარკ ივანოვიჩის სიტყვამ შთაბეჭდილება მოახდინა, სემიონ ივანოვიჩი მაშინვე მიუბრუნდა ორატორს და მტკიცედ, თუმცა ჯერ ისევ სუსტი, ჩახლენილი ხმით განუცხადა: „ხმა ჩაიწყვითე, შე ლაწირაკო, შენა! ამო მოუბარო! ენაბილწო! ყვეყნო! თავადი მყავხარ, ჰა? გესმის, რაშია საქმე?“ ეს რომ გაიგონა, მარკ ივანოვიჩი აფეთქდა, მაგრამ რაკი მიხვდა, აუადმყოფ კაცთან ჰქონდა საქმე, დიდსულოვნად აპატია, პირიქით, სცადა შეერცხვინა, მაგრამ ხმა ჩაუწყდა, რადგან სემიონ ივანოვიჩმა მაშინვე მიახალა, სასაცილოდ თავს არავის აუაგდებინებ, მიუხედავად იმისა, რომ მარკ ივანოვიჩმა ლექსი შეთხზაო. ორწუთიანი სიჩუმე ჩამოვარდა, ბოლოს მარკ ივანოვიჩი გონს მოეგო

და პირდაპირ, გასაგებად და საკმაოდ მჭევრმეტყველურად განუცხადა სემიონ ივანოვიჩს: უნდა იცოდე, რომ კეთილშობილ ადამიანთა შორის იმყოფებიო, და „ისიც უნდა გესმოდეს, მოწყალე ბატონო, როგორ ეპყრობიან პატრიარქულ პიროვნებას“. საჭიროების შემთხვევაში მარკ ივანოვიჩმა იცოდა მჭევრმეტყველური ლაპარაკი და თავისი მსმენელების შეგონება. თავის მხრივ სემიონ ივანოვიჩი, ალბათ ჩვეული მღუმარების გამო, ლაპარაკობდა და მოქმედებდა უფრო ნაწყვეტ-ნაწყვეტად. გარდა ამისა, როცა, მაგალითად, გრძელი წინადადების წარმოთქმა სჭირდებოდა, ამ წინადადებაში ჩაღრმავების კვალდაკვალ, ყოველი სიტყვა თითქოს შობდა მეორე სიტყვას, მეორე თავის წარმოშობისთანავე მესამეს, მესამე — მეოთხეს და ასე შემდეგ, ასე რომ, პირი ვესებოდა, ყელში რაღაც უღიბინებდა და ბოლოს დაგუბებული სიტყვები საოცარი ხატოვანი უწესრიგობით სწყდებოდნენ მის ბაგეებს. აი, რატომ იყო, რომ სემიონ ივანოვიჩი, ეს ჭკვიანი კაცი, ზოგჯერ საშინელ სისულელებს რომაედა: „სტყუი, — გაიძახოდა იგი ახლა, — შე მოქიფე ახალგაზრდავ, შენა! მაგრამ გუდას რომ მოიკიდებ და სამათხოვროდ იწანწალებ, მაშინ ნახავ; შენ ხომ თავისუფალი მოაზროვნე ხარ, თახსირი ხარ; აი ესეც შენ, მელექსე!“

— ნუთუ კიდევ ბოდავთ, სემიონ ივანოვიჩ?

— ყური მიგდე, — უპასუხა სემიონ ივანოვიჩმა, — ბოდავს სულელი, ლოთი ბოდავს, ძალღი ბოდავს, ბრძენი კი კეთილგონიერებას ემსახურება! გესმის, შენა, საქმე არ იცი, შე მაწანწალა, შე მწიგნობარო, შენა! ჰოდა, ისე დაიწვები, ვერც კი გაიგებ, თავი როგორ მოგეწვება, დიახ, გაიგე ახლა?

— დიახ... ესე იგი... ესე იგი ამას როგორ ამბობთ, სემიონ ივანოვიჩ, თავი მოგეწვებაო?..

მარკ ივანოვიჩმა ვერც კი დაამთავრა, რადგან ყველამ დაინახა, რომ სემიონ ივანოვიჩი ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო და ბოდავდა; მაგრამ დიასახლისმა ვერ მოითმინა და

მაშინვე შენიშნა, კრივიზზე მდებარე სახლი ქაჩალი გოგოს გამო დაიწვა, იქ ქაჩალი გოგო ცხოვრობდა, სანთელი დაანთო და საკუჭნაოს წაუკიდა. მე კი ასეთი რამ არ დამემართება, ჩემს ბინაში ყველაფერი რიგზე იქნებაო.

— სემიონ ივანოვიჩ! — დაიღრიალა განრისხებულმა ზინოვი პროკოფიევიჩმა და დიასახლისს სიტყვა გააწყვეტინა. — სემიონ ივანოვიჩ, შე ასეთო და ისეთო, შე ჩამორჩენილო, უბირო კაცო, რა ვქნათ ახლა, გეხუმროთ განა იმ თქვენს რძალზე თუ ცეკვის გამოცდებზე?

— იცი, რა გითხრა, — უპასუხა თავის კეთილისმყოფელზე საბოლოოდ გამწყრალმა ჩვენმა გმირმა, უკანასკნელი ძაღლონე მოიკრიბა და ლოგინიდან წამოიწია, — ვინაა შენი მასხარა? თვითონ ხარ მასხარა, ძაღლია მასხარა, შე მართლა მასხარავ, მე კი, ჩემო ბატონო, შენი ბრძანებით მასხარა არ გავხდები, გესმის, ლაწირაკო, შენი მსახური არ გახლავარ, ბატონო!

სემიონ ივანოვიჩს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ ეყო და ლოგინზე დაეცა. გულშემატკივრები გაოცებული დარჩნენ და პირი დააღეს, რადგან მიხვდნენ, რაც მის თავს იყო, და არ იცოდნენ, რა მოემოქმედათ; უცბად საშხარეულოს კარი აჭრიალდა, გაიღო და ლოთმა მეგობარმა, — ანუ სხვაგვარად ბატონმა ზიმოვეიკინმა, — მოკრძალებით შემოჰყო თავი. მან ჩვეულებსამებრ ფრთხილად დაეწოსა იქაურობა. თითქოს მოელოდნენო, ყველამ ერთბაშად დაუქნია ხელი, რომ ჩქარა შემოსულიყო. მეტისმეტად გახარებული ზიმოვეიკინი, შინელის გაუხდელად, აჩქარებითა და სრული მზადყოფნით მივიდა სემიონ ივანოვიჩის საწოლთან.

ჩანდა, ზიმოვეიკინს სიფხიზლესა და ჯაფაში გაეტარებინა ის ღამე. მარჯვენა ლოყაზე რაღაც ჰქონდა მიკრული; შესუპებულები ქუთუთოები დაჩირქებულ თვალებს დაენამა; ფრაკი და დანარჩენი ტანსაცმელიც ჩამოჰგლეჯოდა, მასთან სამოსის

მთელი მარცხენა მხარისთვის თითქოს რაღაც საძაგელი ლაფი შეესხათ. ილღის ქვეშ ვილაცის ვიოლინო ამოედო, რომელიც სადღაც მიჰქონდა გასაყიდად. როგორც ჩანს, არც შემცდარან, საშველად რომ უხმეს, რადგან გაიგო თუ არა, საქმე რაშიც იყო, ამ აურზაურის ამტენ სემიონ ივანოვიჩის მიუბრუნდა და უპირატესობის მქონე ადამიანივით, რომელმაც გარდა ამ თავისი უპირატესობისა, რაღაც ხერხიც იცის, უთხრა: „რა იყო, სენკა? ადექი! რას სჩადი, სენკა, ბრძენო პროხარჩინ, კეთილგონიერებას უხმე! თორემ თავზედობა თუ დაიწყე, ლოგინიდან ფეხით ჩამოგათრევ, კმარა თავის აგდება“. ასეთმა მოკლე, მაგრამ ძლიერმა სიტყვამ გააოცა დამსწრენი; ამაზე მეტად გაოცდნენ, როცა დაინახეს, რომ სემიონ ივანოვიჩმა გაიგონა თუ არა ეს ყველაფერი და ამ პიროვნებას შეხედა, ისე დაიბნა, შეცბუნდა და შეკრთა, რომ მხოლოდ ძლივძლივობით გამოსცრა, თანაც ჩურჩულით: „შე უბედურო, შენა, გასწი აქედან, — თქვა მან, — შე უბედურო და ქურდო! გესმის? კიკო ხარ, კიკო!“

— არა, ჩემო ძმაო, — გაბმით უპასუხა ზიმოვეიკინმა, რომელიც იხტიბარს არ იტყებდა, — ცუდია, ჩემო ბრძენო ძმაო, პროხარჩინო, პროხარჩინელო კაცო! — განაგრძობდა ზიმოვეიკინი სემიონ ივანოვიჩის კილოთი და სიამოვნებით აცეცებდა თვალებს. — ნუ ყოყლოჩინობ! დამშვიდდი, სენია, დამშვიდდი, თორემ დაგაბეზლებ, ყველაფერს, ყველაფერს ვიტყვი, ჩემო ძმაო, გესმის?

მგონი, სემიონ ივანოვიჩმა ყველაფერი გაიგო, რადგან ბოლო სიტყვები რომ მოისმინა, შეკრთა და უცბად დაბნეულად დაიწყო აქეთ-იქით ცქერა. შთაბეჭდილებით კმაყოფილ ზიმოვეიკინს სურდა განეგრძო, მაგრამ მარკ ივანოვიჩმა მაშინვე შეაწყვეტინა და როცა სემიონ ივანოვიჩი გაჩუმდა, დაწყნარდა და თითქმის სრულიად დამშვიდდა, დიდხანს და თავაზიანად დაუწყო მშფოთვარეს შეგონება, რომ „ისეთი აზრების გამოთქმა, როგორიც მას ახლა თავში უტრიალებს, ჯერ ერთი, უსარგე-

ბლოა და მეორეც, არათუ უსარგებლო, მაენეც, და ბოლოს იმდენად მაენე არა, რამდენად სრულიად უზნეო; და ამის მიზეზი ისაა, რომ სემიონ ივანოვიჩი აცდუნებს დანარჩენებს და ცუდ მაგალითს აძლევს მათ“. ყველანი ელოდნენ, რომ ასეთი სიტყვა კეთილგონივრულ შედეგს გამოიღებდა. მით უმეტეს, რომ ახლა სემიონ ივანოვიჩი სრულიად დამშვიდებული იყო და თავშეკავებულად პასუხობდა. ძმურად მიმართეს, ჰკითხეს, ასე რამ შეგაშინაო? სემიონ ივანოვიჩმა უპასუხა, მაგრამ ნართაულად. მას შეესიტყვენ; სემიონ ივანოვიჩმაც თავის მხრივ უპასუხა. თითო-თითოჯერ კიდევ შეეპასუხნენ ერთმანეთს, შემდეგ კი ყველანი ჩაერვივნენ, რადგან ლაპარაკი ისეთ საოცარ და უცნაურ საგანზე ჩამოვარდა, არც ერთმა არ იცოდა, რა ეთქვა და როგორ ეთქვა. კამათმა ბოლოს თავშეუკავებელი ხასიათი მიიღო, მოუთმენლობამ ყვირილი გამოიწვია, ყვირილმა — ცრემლებიც კი. ბოლოს გაცოფებულმა მარკ ივანოვიჩმა უკან დაიხია. მან განაცხადა — ასეთი კერკეტი კაცი არასოდეს მინახავსო. ოპლევანიევმა გადააფურთხა, ოკეანოს შეეშინდა, ზინოვი პროკოფიევის თვალზე ცრემლი მოადგა, უსტინია ფეოდოროვნამ კი მოთქმა გააბა: „კვდება ჩემი მდგმური, გაგიჟდა, უპასპორტოდ კვდება ეგ უბედური, ახლა ვეღარ იტყვის, სად აქვს და მე საცოდავს აქეთ-იქით თრევით სულს ამომხდიან.“ ერთი სიტყვით, ბოლოს ყველასთვის აშკარა შეიქნა, რომ რაც დათესეს, იმაზე ათასჯერ მეტი მოიძვეს. ნიადაგი ნოციერი აღმოჩნდა და სემიონ ივანოვიჩმა თავი ისახელა მათ წრეში და გვარიანადაც ისახელა. გაჩუმდნენ, რადგან დაინახეს რა, სემიონ ივანოვიჩი ყოველივე ამან შეაცბუნა და შეაკრთო, თვით თანამგრძობნიც შეცბნენ...

— როგორ! — დაიღრიალა მარკ ივანოვიჩმა, — ნეტავ რამ შეგაშინათ? რამ გაგაგიჟათ ასე? თქვენზე ვინ ფიქრობს, ბატონო? ან კი გაქვთ შიშის უფლება? ვინა ხართ? რა ხართ? ნული და არარაობა, აი რა ხართ! რას ატეხეთ აურზაური?

რახან ქუჩაში დედაკაცი გასრისეს, განა თქვენც გაგსრესენ? რომელიმე ლოთმა ჯიბეს თუ ვერ მოუარა, განა თქვენც კალთას მოგაჭრიან? სახლი თუ დაიწვა, განა თქვენც თავი მოგქვებათ? ასე ხომ არ გგონიათ, ბატონო? მართლა ხომ არ გგონიათ ასე?

— ბრიყვი ხარ, ბრიყვი! — ბუტბუტებდა სემიონ ივანოვიჩი, — ცხვირი რომ მოგაჭამონ, პურს ისე ჩაატან, ვერც კი შეამჩნევ...

— ყვეეჩი ვარ, დაე ვიყო ყვეეჩი, — ვვიროდა მარკ ივანოვიჩი, რომელიც სემიონ ივანოვიჩის სიტყვებს ვერ ჩასწვდა, — იქნებ ვარ კიდევ ყვეეჩი! მაგრამ მე ხომ გამოცდა არა მაქვს ჩასაბარებელი, არც ცოლს ვირთავ, არც ცეკვის სწავლა მჭირდება; სკამი, რომელზედაც ვზივარ, არ ჩამიტყდება, ჩემო ბატონო. რაო, ბატონო, ადგილი არ გვეყო? იატაკი ფეხქვეშ გვენგრევა?

— ვითომ რაო, შენ შეეგეკითხებიან? დახურავენ და მორჩა.

— არა. რას დახურავენ?! კიდევ რა მოხდა, ა?

— ლოთი ხომ ჩამოაგდეს...

— ჩამოაგდეს, მაგრამ ის ხომ ლოთია, ჩვენ კი ადამიანები ვართ.

— ადამიანები. ის კი დგას, დგას და აღარაა...

— არა! კი მაგრამ, ვინ დგას?

— ვინა და კანცელარია... კან-ცე-ლა-რია!!!

— კანცელარია ხომ საჭიროა, თქვე ღვთის გლახავ, თქვენა?

— საჭიროა, ჰო! დღესაც საჭიროა, ხვალაც, ზევ კი როგორმე საჭირო აღარ იქნება. აი, ამას წინათ მითხრეს...

— მთელი წლის ჯამაგირს ხომ მოგცემენ! თომა ხართ, ურწმუნო თომა! ხანშიშესულობის გამო სხვა ადგილას დაგდებენ პატვის...

— ჯამაგირი? ჯამაგირი დაეხარჯე, ქურდები მოვლენ,

ფულს წაიღებენ; მე კი რძალი მყავს, რძალი, გესმის? რძალი!
კოჭო...

— რძალი! კაცი ხართ...

— კაცი; მე კაცი ვარ, შენ კი ნაკითხი, სულელი, გესმის, კოჭო, კოჭი ხარ, აი რა! მე შენსავით არ ვმასხრობ, არა! ერთი ისეთი ადგილია, აიღებს და მოსპობს ადგილს. დემიდიც, დემიდ ვასილიევიჩიც ამბობს, მოისპობა ადგილი...

— ეჰ, დემიდ, დემიდ! შე უზნეო, აკი...

— ჰოდა, მორჩა, უადგილოდ დარჩები; მერე უყარე კაკალი...

— ბოლოს და ბოლოს, ან სტყუით, ანდა სულ გაგიჟდით! უბრალოდ გვითხარით, თუ ასეა. გამოტყდით! ამაში სამარცხვინო არაფერია! გაგიჟდი, ძმაო, ხომ?

— გაგიჟდა! ჭკუაზე შეიშალა! — გაისმა ირგვლივ და ყველანი სასოწარკვეთილებით ხელებს იმტკერევენ, დიასახლისი კი უკვე ორთავე ხელით ჩაფრენოდა მარკ ივანოვიჩს, ეშინოდა, სემიონ ივანოვიჩი არ გაგლიჯოსო. — წარმართი ხარ, შე წარმართო სულო, შენა, ბრძენი ხარ, სენია! — ევედრებოდა ზიმოვეიკინი. — უწყინარი, ლამაზი, თავაზიანი! უბრალო, სათნო!.. გესმის? ყველაფერი სათნოებით მოგდის; თავზე ხელაღებული და სულელი კი მე ვარ, მე, მათხოვარი; აი, კეთილმა ადამიანმა არ მიმატოვა; პატვი მცა; მისი და დიასახლისის მადლობელი ვარ; ხომ ხედავ, მდაბლად თავს ვუკრავ, დიახ, დიახ. ვალს ვიხდი, ვალს, დიასახლისო! — ამ დროს ზიმოვეიკინმა მართლაც რაღაც მეტისმეტი ღირსებით ყველას მდაბლად თავი დაუკრა. ამის შემდეგ სემიონ ივანოვიჩმა ისევ მოინდომა ლაპარაკი, მაგრამ არ დაანებეს. ყველა ევედრებოდა, არწმუნებდა და ბოლოს იმას მიაღწიეს, რომ სემიონ ივანოვიჩს შერცხვა და სუსტი ხმით მოინდომა თავისი აზრი გამოეთქვა.

— ჰოდა, ძალიან კარგი, — თქვა მან, — რომ ლამაზიც

ვეოფილვარ, მშვიდიც, მასთან სათნოც, ერთგულიც და საიმე-
ლოც; სისხლის, იცი, სისხლის უკანასკნელ წვეთს, გესმის,
ლაწირაკო, კიკო... დაე დარჩეს ადგილი; მე ხომ დარიბი ვარ;
მაგრამ რომ ადგებიან, კიკო შენა, — და წაიღებენ, ახლა გაჩუმი
და მისმინე, რომ ადგებიან და... წაიღებენ, მორჩა... არის და
აღარაა, ჩემო ძმაო... გესმის? მე კი, ძმაო, გუდააკიდებულმა
უნდა ვიარო, გესმის?

— სენკა! — აღრიალდა გაშმაგებული ზიმოვეიკინი და
თანაც ისეთი ხმით, რომ ამჯერად ამტყდარი ხმაური დაფარა.
— თავისუფლად მოაზროვნე ხარ! ახლავე დაგასმენ! ვინ ხარ?
რა ხარ? შფოთისთავი, შე ჩერჩეტო, შენა! შფოთისთავსა და
სულელს, გესმის, გაგაგდებენ, ვინა ხარ?!

— სწორედ ეგ არის და...

— რა არის?! აბა რა უნდა უყო ამას...

— ვინ ამას?..

— აგერ ეს თავისუფალი კაცია, მეც თავისუფალი ვარ;
მაგრამ რომ წვეხარ, წვეხარ... აი...

— რა აი?

— თავისუფალი მოაზროვნე ხდები...

— თა-ვი-სუ-ფა-ლი მო-აზ-როვ-ნე! თავისუფალი
მოაზროვნე თვითონ ხარ, სენკა!..

— სდექ!.. — დაიძახა ბატონმა პროხარჩინმა, ხელი ჩაიქნია
და ატეხილი აურზაური ჩააზმო. — გაიგე, გაიგე, ბრიყვო: მშ-
ვიდი ვარ, დღეს ვარ მშვიდი, ხვალ ვარ მშვიდი, ზეგ კი აღარ
ვიქნები მშვიდი, ტლანქად მოვიქცევი, ქამრის ბალთას გდრუხავ
და მერე ნახე თავისუფალი მოაზროვნე!..

— ბოლოს და ბოლოს, რა ამბავში ხართ? — დაიგრვინა
მარკ ივანოვიჩმა, წამოხტა სკამიდან, რომელზედაც დასასვენე-
ბლად ჩამოჯდა, საწოლს მივარდა და აღშფოთებულმა, გაცოფე-
ბულმა, სიბრაზისა და წყენისაგან აკანკალებულმა სემიონ
ივანოვიჩის მიმართა, — რა ამბავში ხართ? ბრიყვო! დატაკო!

რაო, თქვენს მეტი აღარავინ არის ამ ქვეყანაზე? ეს ქვეყანა მართო თქვენთვის ხომ არ გაუჩენიათ? ნაპოლეონი ხომ არ ბრძანდებით? ვინ ხართ? ნაპოლეონი, ჰა? ნაპოლეონი ხართ, თუ არა? ბრძანეთ, ბატონო, ბრძანეთ, ნაპოლეონი ხართ თუ არა?..

მაგრამ ბატონ პროხარჩინს აღარ უპასუხია. ის კი არა, თითქოს შერცხვა. რომ ნაპოლეონია, ან შეეშინდა თავს ელო ასეთი პასუხისმგებლობა, არა, მას აღარ შეეძლო აღარც დავა და აღარც საქმეზე ლაპარაკი... ამას ავადმყოფური კრიზისი მოჰყვა. უეცრად აღგზნებული ნაცრისფერი თვალებიდან კურცხალი გადმოჰყარა. გამდნარი, გაძვალტყავებული ხელები სახეზე აიფარა, საწოლზე წამოიწია და სლუკუნ-სლუკუნით დაიწყო ლაპარაკი, რომ სრულიად ღარიბი, უბედური, უბრალო, კაცია, სულელი და გაუნათლებელი. ამიტომ კეთილმა ადამიანებმა უნდა აპატიონ, შეინახონ, დაიფარონ, აჭამონ, ასვან და ამ უბედურების ჟამს არ მიატოვონ. ღმერთმა უწყის, კიდევ რას არ მოთქვამდა სემიონ ივანოვიჩი. მოთქმის დროს შემზარავი შიშით აცეცებდა თვალებს, თითქოს ელოდა, საცაა ჭერი ჩამოიქცევა ანდა იატაკი ჩაინგრევაო. ყველას შეეცოდა საბრალო და ყველას გული მოუღბა. დიასახლისმა, სოფლის დედაბერივით რომ ქვითინებდა და თავის უპატრონობაზე მოთქვამდა, თავისი ხელით ჩააწვინა ავადმყოფი ლოჯინში. მარკ ივანოვიჩიც, რომელმაც დაინახა, ნაპოლეონის ხსენება სრულიად უსარგებლო იყო, მაშინვე მოღბა და ისიც სხვებს მიეშველა. დანარჩენებმა, თავის მხრივაც რომ რაიმე გაეკეთებინათ, თქვეს, ჟოლოს ნაყენი დავაღვებინოთო, იმწამსვე ყველაფერს შველის, თანაც ავადმყოფს ესაიმოვნებაო; მაგრამ ზიმოვეკინმა ეს წინადადება მყისვე უარყო, ასეთ დროს რაიმე ნაყენი სჯობს, თუნდაც გვირილის, რომ შეახუროსო. რაც შეეხება ზინოვი პროკოფიევიჩს, მისთვის ჩვეული გულკეთილობით ქვითინებდა და ცრემლს აფრქვევდა, ნანობდა, სემიონ ივანოვიჩს სხვადასხ-

ვა მოგონილი ამბით რატომ ვაშინებდიო. ხოლო ავადმყოფის უკანასკნელი სიტყვის მნიშვნელობას რომ ჩასწვდა, ღარიბი ვარ და მაჭამეთ რამეო, მაშინვე შეუდგა ხელმოწერით ფულის შეგროვებას ჯერჯერობით მხოლოდ უსტინია ფეოლოროვნას მდგმურებს შორის. ყველა ოხრადა და ვიშვიშებდა, ყველა წუხდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვირდით, ასე რამ შეაშინა ეს კაციო? მესმის, დიდ ადგილზე ემსახურა, ცოლი, ბავშვები ჰყოლოდა, ანდა რაიმე საქმისთვის პასუხისმგებაში მიეცათ; თორემ ერთი უბედური კაცია, გერმანული ბოქლომით დაკეტილი ერთი სკიფრი გააჩნია, ოცი წელიწადია თეჯირს უკან წევს, დუმს; არც სიხარული და არც მწუხარება არ უნახავს, ძუნწობდა და წუწურაქობდა და უცბად ვიღაცის უხამსი, სულელური სიტყვების შემდეგ ტვინი გადმოუტრიალდა, შიშმა შეიპყრო, ამქვეყნად გაჭირდა ცხოვრებაო... ის კი არ უფიქრია, რომ ყველას უჭირს!... ეს რომ ეფიქრა, — ამბობდა შემდეგში ოკეანოვი, — ყველას უჭირსო, თავს გაუფრთხილდებოდა, სისულელეებს არ აჰყვებოდა და ცხოვრებას საითაც საჭიროა, როგორმე იქით წარმართავდა. მთელი დღე მხოლოდ სემიონ ივანოვიჩზე ლაპარაკობდნენ. აკითხავდნენ, როგორ ხარო, ანუგეშებდნენ, მაგრამ საღამოთი უკვე ნუგეშის თავი არ ჰქონდა ბატონ პროხარჩინს, სიცხემ აუწია, ბოდავდა, გონება დაკარგა, კინაღამ ექიმი არ მოიყვანეს. მდგმურები შეთანხმდნენ და ერთმანეთს სიტყვა მისცეს, მთელი ღამე რიგრიგობით თავს დასდგომოდნენ და მოველოთ სემიონ ივანოვიჩისთვის და, თუ რამ მოხდებოდა, სხვები მაშინვე გაეღვიძებინათ. იმ მიზნით, რომ არ დასძინებოდათ, ბანქოს ჩაუსხდნენ, ავადმყოფი კი ლოთ მეგობარს ჩააბარეს, რომელიც მთელ დღეს მასთან დარჩა და ღამის გათევაც კი ითხოვა. რადგან უფულოდ თამაშობდნენ და ეს მეტისმეტად უნეტერესო იყო, მალე მოიწყინეს. თამაშს თავი დაანებეს, შემდეგ რაღაცაზე კამათი დაიწყო, ახმაურდნენ და ბოლოს თავ-თავიანთ კუთხეს მიაშურეს, სადაც კიდევ დიდხანს

ჩხუბობდნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. და რადგან ამან ყველანი გააგულისა, მორიგეობა აღარ მოინდომეს და დაიძინეს. მალე ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, როგორც ცარიელ სარდაფშია ხოლმე, მით უმეტეს, რომ საშინლად ციოდა. ყველაზე ბოლოს ოკეანომა დაიძინა. „არ ვიცი, — ამბობდა ის შემდეგ. — ცხადად თუ სიზმარში, გარიჟრაჟზე მომეჩვენა, თითქოს ჩემ გვერდით ორი კაცი ლაპარაკობდა“. ოკეანოვი ამბობდა, ზიმოვეკინი ვიცანიო. ზიმოვეკინმა მის გვერდით მწოლიარე ძველი მეგობარი რემნევი გააღვიძა და დიდხანს ჩურჩულებდნენ: შემდეგ ზიმოვეკინი გავიდა. ოკეანოს მოესმა, როგორ ცდილობდა იგი გასაღებით გაეღო სამზარეულოს კარი. გასაღები კი, — როგორც შემდეგში დიასახლისი ირწმუნებოდა, — თავიქვეშ მუდო და სწორედ იმ ღამეს დაიკარგაო. ბოლოს, — განაგრძობდა ისევ ოკეანოვი, — მომესმა, თითქოს ავადმყოფთან შევიდნენ თეჯირს უკან და სანთელი აანთეს. ამის მეტი არაფერი ვიცი, თვალები დამეხუჭა, გაღვიძებით კი ყველასთან ერთად გამეღვიძა, როცა ყველანი უკლებლო წამოცვიდნენ ლოგინებიდან, რადგან თეჯირს უკნიდან ისეთი ყვირილი მოისმა, მკვდარსაც კი ფეხზე წამოაყენებდაო. — ამ დროს ბევრს ისე მოეჩვენა, თითქოს სანთელი, თეჯირს უკან რომ ენთო, ჩაქრა. ატყდა ალიაქოთი, ყველას შეეშინდა, როგორც იყვნენ, ყველა ისე გაცვივდა იქით, საითაც ყვირილი მოისმა. მაგრამ თეჯირს უკან ფაციფუცი, ყვირილი, გინება და ჩხუბი ატყდა. ამ დროს სინათლე რომ აანთეს, დაინახეს, ზიმოვეკინი და რემნევი ეჩხუბებოდნენ ერთმანეთს, ორთავენი იგინებოდნენ და რაღაცაში ამტყუნებდნენ ურთიერთს; როგორც კი სინათლე მიანათეს, ერთმა დაიყვირა: „მე კი არა, აი ამ ყაჩაღმა!“ მეორემ კი, სწორედ ზიმოვეკინმა, დაიძახა: „ხელი არ მახლოთ, უდანაშაულო ვარ; თუ გინდ ახლავე დავიფიცებ!“ არც ერთს ადამიანის ფერი არ ედო; მაგრამ პირველ წუთებში მათთვის ვიღას ეცალა; ავადმყოფი თავის ძველ ადგილას, თეჯირს უკან აღარ იყო. მოჩხუ-

ბრები გააშველეს, საწოლს მოაცილეს და დაინახეს, რომ ბატონი პროხარჩინი საწოლქვეშ ეგდო, ალბათ სრულიად უგონოდ, ჩაფარდნის დროს საბანი და ბალიშიც თან ჩაეთრია, ასე რომ ლოგინზე მხოლოდ ცარიელი, ძველი, გაქონილი ლეიბი იყო (ზეწარი არასოდეს უხმარია). სემიონ ივანოვიჩი ამოათრიეს, ლეიბზე დადეს, მაგრამ მაშინვე შეატყვევს, დიდი დავიდარაბა საჭირო აღარ იყო, კვდებოდა; ხელები უცივდებოდა და თვითონაც ძლივს ედგა პირში სული. თავზე დაადგნენ: ის ჯერ კიდევ ოდნავ ცახცახებდა და მთელი სხეულით თრთოდა, რაღაცა სწადდა გაეკეთებინა ხელებით, ენას ვეღარ აბრუნებდა, თვალებს კი ისე ახამხამებდა, როგორც ახამხამებს ხოლმე თბილი, ცოცხალი თავი, რომელიც ჯალათმა ეს-ეს არის ნაჯახით ტანს მოაშორა.

ბოლოს თანდათან დამშვიდდა; შეწყდა სულთმობრძავის თრთოლვა და კრუნჩხვებიც; ბატონმა პროხარჩინმა ფეხი გაჭიმა და თავის კეთილ საქმეებსა და ცოდვებს გამოუდგა. რაღაცის შეეშინდა სემიონ ივანოვიჩს თუ სიზმარი ნახა ასეთი, როგორც შემდეგში რემწევი ირწმუნებოდა, ან სხვა რამ ცოდვა დატრიალდა — არავინ იცის; საქმე ის იყო, რომ ახლა თუნდაც ეკზეკუტორი მოსულიყო მის ბინაში და თავისუფალი აზროვნების, ჩხუბისთავობისა და ლოთობისთვის პირადად აბშიდი გამოეცხადებინა სემიონ ივანოვიჩისთვის, თუნდაც მისი რძლის სახით მეორე კარიდან შემოსულიყო მათხოვარი ჭორიკანა დედაკაცი, თუნდაც თვით სემიონ ივანოვიჩი ორასი მანეთით დაესაჩუქრებინათ, დაბოლოს, სახლს ცეცხლი წაჰკიდებოდა და სემიონ ივანოვიჩსაც მოსდებოდა, შეიძლება თითიც არ გაენძრია ასეთი ამბების გაგებისას. ვიდრე პირველმა გოცებამ გაიარა, ვიდრე დამსწრეთ ენა ამოიდგეს, სხვადასხვა აზრისა და ეჭვის გამოთქმა დაიწყო და აურზაური ატეხეს, ვიდრე უსტინია ფეოდოროვნა საწოლქვემოდან სკივრს ექაჩებოდა, აჩქარებით ბალიშისა და ლეიბის ქვეშ ხელებს აფათურებდა და

სემიონ ივანოვიჩის ჩექმაშიც იქექებოდა, ვიდრე რუმნევის და ზიმოვეიკინის დაკითხვას აწარმოებდნენ, მდგმურმა ოკეანოვმა, აქამდე რომ არცთუ დიდი ჭკუის პატრონ, წყნარ და ჩუმ მდგმურად ითვლებოდა, უეცრად მხნეობა მოიკრიბა, თავისი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, ქუდს წამოავლო ხელი და ამტყდარ ხმაურში ბინიდან გაძვრა. როცა უთავობამ და არეულობამ უკანასკნელ წერტილს მიაღწია აქამდე მშვიდ, ახლა კი აფორიაქებულ ბინაში, კარი გაიღო და უეცრად მეზივით თავს დაეცათ ჯერ კეთილშობილური გარეგნობის ვაჟბატონი, მკაცრი, მაგრამ უკმაყოფილო სახით, მას უკან მოჰყვა იაროსლავ ილიჩი, იაროსლავ ილიჩს მოსდევდა მთელი მისი მრევლი და ყველა, ვინც ამ დროს საჭიროა. ყველაზე ბოლოს კი — დარცხვენილი ოკეანოვი. მკაცრი, მაგრამ კეთილშობილური გარეგნობის ვაჟბატონი პირდაპირ სემიონ ივანოვიჩთან მივიდა, მაჯა გაუსინჯა, დაიღრიჯა, მხრები აიჩეჩა და განაცხადა ყოვლად ცნობილი ამბავი, სახელდობრ, რომ განსვენებული უკვე მკვდარია და დაუმატა, ამ დღეებში ასეთი რამ დაემართა ერთ საპატიო, დიდ ბატონს, რომელიც ასევე ძილში მიიცვალაო. შემდეგ კეთილშობილური გარეგნობის, მაგრამ უკმაყოფილო სახის მქონე ვაჟბატონი საწოლს მოშორდა, თქვა, ტყუილად შეგიწუხებთ იგართო, და წავიდა, მისი ადგილი მაშინვე იაროსლავ ილიჩმა დაიკავა (ამასობაში რუმნევი და ზიმოვეიკინი ჩააბარეს, ვისაც ჯერ არს). იაროსლავ ილიჩმა გამოჰკითხა ზოგიერთებს, მარჯვედ დაეუფლა სკიერს, რომლის გახსნასაც დიასახლისი უკვე ცდილობდა, ჩექმა ძველ ადგილას დააწყო, თანაც თქვა, გაცვეთილი და სრულიად უვარგისიაო. ბალიში უკან მოატანინა, ოკეანოვი მიიხმო, სკიერის გასაღები მოსთხოვა, რომელიც ლოთი მეგობრის ჯიბეში აღმოჩნდა და დიდის ამბით, იმათი თანდასწრებით, ვინც საჭირო იყო, გახსნა სემიონ ივანოვიჩის ავლადიდება. ყველაფერი ადგილზე აღმოჩნდა: ორი ჩვარი, ერთი წყვილი წინდა, პატარა თავსახვევი, ძველი შლა-

პა, რამდენიმე ღილი, ძველი ლანჩები და ჩექმის ყელეები, — ერთი სიტყვით, ყოველგვარი ხარახურა და ნაყარნუყარი, რომელსაც დაძველებული საქონლის სუნი ასდიოდა; მხოლოდ გერმანული კლიტე ვარგოდა. დაუძახეს ოკეანოს, მკაცრად დაჰკითხეს, მაგრამ ოკეანოვი მზად იყო ხატზე დაეფიცა. ბალიში მოითხოვეს, კარგად გასინჯეს: ძალზე ჭუჭყიანი იყო, თორემ სხვა მხრივ საესებით ჰგავდა ბალიშს. ლეიბს მიადგნენ, აწევა მოინდომეს, მაგრამ შეჩერდნენ, დაფიქრდნენ, უეცრად, სრულიად მოულოდნელად, რაღაც მძიმე საგანი წკრიალით გაგორდა იატაკზე. დაიკუნინენ, ხელები მოაფათურეს და ქაღალდში გახვეული შეკვრა იპოვეს, ქაღალდი გახსნეს და შიგ გახვეული ათიოდე მანეთიანი ნახეს. „ოჰოჰო!“ — თქვა იაროსლავ ილიჩმა და თან ლეიბის გახეულ ადგილზე მიათითა, საიდანაც ძუა და ბამბა მოჩანდა. გახეული ადგილი გასინჯეს და დარწმუნდნენ, ეს-ეს არის დანით იყო ნახევარ არმინზე გაჭრილი; ხელი შეყვეს და გამოიღეს, ალბათ, ფაციფუცში ჩარჩენილი დანა, რომლითაც ლეიბი გაეჭრა. იაროსლავ ილიჩმა ვერ მოასწრო გაჭრილი ადგილიდან დანა გამოეღო და კიდევ ეთქვა: „ოჰოჰო!“ რომ მაშინვე მეორე შეკვრა გადმოვარდა, — მას კი ორი ათათშურიანი მოჰყვა, შემდეგ ხუთშურიანი, რაღაც ხურდები და ძველებური ვეება შაურიანი. ყველაფერი ეს მყისვე აკრიფეს. აქვე იფიქრეს, რომ სჯობდა, ლეიბი მთლიანად გაერღვიათ მაკრატლით და მაკრატელი მოითხოვეს...

ამასობაში მთლად მიღებული ქონის სანთლის შუქი მეთვალყურისთვის მეტად საინტერესო სცენას ანათებდა. უცნაურ ტანსაცმელში გამოწყობილ ათიოდე დაუვარცხნელ, გაუპარსავ, პირდაუბანელ, გამოუძინებელ მდგმურს იმ სახით, როგორიც იყვნენ დამძინების წინ, თავი მოეყარა საწოლთან. ზოგი მეტისმეტად გაფითრებულიყო, ზოგს შუბლი გაოფლიანებოდა, ზოგს აციებდა, ზოგს აცხელებდა. მთლად გამოთაყვანებული დიასახლისი ჩუმად იდგა, ხელები დაეკრიფა და იაროსლავ

ილიჩის წყალობას ელოდა. ღუძლიდან შეშინებული ცნობის-
მოყვარეობით იცქირებოდნენ მოსამსახურე ავღოტია და დი-
ასახლისის საყვარელი კატა; გარშემო ეყარა დაგლეჯილი და
დამსხვრეული თევჯირის ნაწილები; თავახდილ სკივრს მთელი
თავისი უბადრუკი შიგნეული გამოეფინა. აქვე ეგდო ლეიბიდან
გადმოცვენილი ბამბის ნაგლეჯებით დაფარული საბანი და ბალ-
იში, ხოლო ხის სამფეხა მაგიდაზე ბრჭყვიალი გაჰქონდა ვერ-
ცხლისა და სხვადასხვა მონეტების გროვას, რომელიც თანდა-
თან იზრდებოდა. მხოლოდ სემიონ ივანოვიჩმა შეინარჩუნა გულ-
გრილობა. ის მშვიდად იწვა საწოლზე და გეგონებოდათ,
სრულებით ვერ გრძნობდა თავის გადატაკებასო. როცა
მაკრატელი მოიტანეს და იაროსლავ ილიჩის თანაშემწემ, ურ-
როსის საამებლად, ცოტა არ იყოს, მოუთმენლად ასწია ლეი-
ბი, რათა მისი პატრონისთვის გამოეცლია იგი, სემიონ ივანო-
ვიჩმა, ზრდილობის გამო, ჯერ პატარა ადგილი დაუთმო, მერე
კი გვერდზე გადაგორდა და მძებნელებს ზურგი შეაქცია; მე-
ორე ბიძგის შემდეგ გულდაღმა დაწვა, ბოლოს კიდევ გაიწია
და, რადგან საწოლს უკანასკნელი გვერდითი ფიცარი აკლდა,
უეცრად, სრულიად მოულოდნელად, თავქვე ჩავარდა შიგ. ახლა
საწოლიდან მოჩანდა მხოლოდ მისი ორი გამვალტყავებული,
გამხდარი, გალურჯებული ფეხი, დამწვარ ხის ორ ტოტს რომ
ჰკავდა. რადგან ბატონმა პროხარჩინმა ამ დილით უკვე ორ-
ჯერ ჩაჰყო თავი საწოლქვეშ, ხალხს ეჭვი შეეპარა და ზინოვი
პროკოფიევიჩის მეთაურობით ისინიც შეძვრნენ, რათა ენახათ,
ხომ არაფერია იქაც დამალულიო. მაგრამ მძებნელებმა მხ-
ოლოდ ამაოდ მიარტყეს ერთმანეთს შუბლები. ხოლო როცა
იაროსლავ ილიჩმა შეუყვირა და უბრძანა, ახლავე ამოეყვანათ
სემიონ ივანოვიჩი ბილწი ადგილიდან, ორი უკეთილგონიერესი
პიროვნება ორთავ ხელით ჩაეჭიდა ცალ-ცალ ფეხში მიცვალე-
ბულს, მოულოდნელი კაპიტალისტი საწოლს ქვემოდან ამო-
ათრიეს და ზედ გარდიგარდმო დადეს. ამასობაში ირგვლივ ძუ-

ებისა და ბამბის ნაგლეჯების კორიანტელი დადგა, ვერცხლის გროვა უფრო და უფრო იზრდებოდა და — ღმერთო ჩემო! რას არ ნახავდა აქ კაცი... კეთილშობილ მანეთიანებს, დარბაის-ლურ მანეთნახვერიანებს, ლამაზ ათშაურიან მონეტებს, მდაბიურ ხუთშაურიანებს, აბაზიანებს, მოხუცი დედაბრის ნაქონ ორ-შაურიანებს და ვერცხლის შაურიანებს — კონტად და წესი-ერად გახვეულს ცალ-ცალკე ქაღალდებში. იშვიათი რამეებიც იყო: რაღაც ორი ჟეტონი, ერთი ნაპოლეონდორი, ერთი ცუნობი, მაგრამ მეტად იშვიათი პატარა მონეტა... ზოგიერთი მანეთიანიც ასევე უძველეს დროს ეკუთვნოდა; იყო ელისაბედის დროინდელი გაცვეთილი მონეტები, გერმანული ჯვრიანი ფულები, პეტრესა და ეკატერინეს დროს მოჭრილებიც; იყო, მაგალითად, სრულიად გაქეჩილი, მაგრამ ამჟამად მეტად იშვიათი ძველი სამშაურიანები, საყურეებად რომ დაეხვრიტათ, მაგრამ კანონით დაწესებული ყველა წერტილი შერჩენოდათ, იყო სპილენძის ფულიც ოღონდ უკვე გამწვანებული და დაჟანგული... ერთი წითელი ქაღალდიც აღმოჩნდა, მაგრამ მხოლოდ ერთი — მეტი არა. ბოლოს, როცა ლეების ანატომია დამთავრდა, მისი პირი მრავალჯერ დაფერთხეს და გაიგეს რომ აღარაფერი წკრიალებდა, ფული მთლიანად მაგიდაზე დადეს და დათვლას შეუდგნენ. ერთი შეხედვით კაცი ადვილად შეიძლება მოტყუებულიყო და ეფიქრა, მილიონიაო! მაგრამ მილიონი არ იყო, თუმცა თანხა მეტისმეტად დიდი აღმოჩნდა, — ზუსტად ორი ათას ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი მანეთი და ათი შაური, ხოლო გუშინ ზინოვი პროკოფიევიჩს რომ ხელმოწერა ჩაეტარებინა, შეიძლება სულაც ორი ათას ხუთასი მანეთი ყოფილიყო ასიგნაციებით. ფული წაიდეს, მიცვალებულის სკივრი დალუქეს, დიასახლისის ჩივილი მოისმინეს და უთხრეს, სად და როდის უნდა წარედგინა ცნობა გარდაცვლილის ვალის თაობაზე. ვისაც საჭირო იყო, ხელწერილი ჩამოართვეს, რძალიც ახსენეს, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ, რომ რძალი, ასე

ვთქვათ, მითი იყო, ესე იგი სემიონ ივანოვიჩის წარმოსახვის ნაკლოვანების შედეგი, რასაც, როგორც გამოკითხვით გაიგეს, მრავალჯერ უსაყვედურებდნენ განსვენებულს, მაშინ მიატოვეს ეს იდეა, როგორც უსარგებლო, მავნე და ბატონ პროხარჩინის კეთილი სახელის შემბლაღავი; საქმე ამით დამთავრდა. როცა პირველმა შიშმა გაიარა, როცა მოისაზრეს და გაიგეს, ვინც იყო მიცვალებული, დაშვიდდნენ, მიჩუმიდნენ და რაღაც უნდობლობით დაუწყეს ერთმანეთს ცქერა. ზოგმა მეტად ახლოს მიიტანა გულთან სემიონ ივანოვიჩის საქციელი და თითქოს ეწყინათ კიდევც... თურმე რა კაპიტალი შეუგროვებია ამ კაცს! მარკ ივანოვიჩმა სიმშვიდე შეინარჩუნა, არ დაიბნა და დაიწყო ამის ახსნა, თუ რამ შეაკრთო და შეაშინა ასე უეცრად სემიონ ივანოვიჩი; მაგრამ უკვე ყურს არავინ უგდებდა. ზინოვი პროკოფიევიჩი რატომღაც მეტისმეტად ჩაფიქრებული იყო, ოკეანოვმა ცოტა გადაჰკრა, დანარჩენები მოიკუნტნენ, პატარა კაცუნა კანტარიოვი, ცხვირი ბელურას ნისკარტს რომ მიუგავდა, საღამოთი სხვა ბინაზე გადავიდა. წასვლის წინ გულმოდგინედ დაგმანა ყველა თავისი სკივრი, შეკრა ფუთები და ცივად აუხსნა ცნობისმოყვარეებს, მძიმე დრო და აქ ცხოვრება ძვირი მიჯდებაო. დიასახლისი კი გაუჩერებლად გაჰკიოდა და წყველიდა სემიონ ივანოვიჩს, ჩემისთანა უპატრონო ქალს აწყენინაო. ჰკითხეს მარკ ივანოვიჩს, განსვენებული ფულს რატომ ლომბარდში არ ინახავდაო? — ჭკუა არ ეყო, — უპასუხა მარკ ივანოვიჩმა.

— თქვენც კაი ბრიყვი ყოფილხართ, — ჩაულაპარაკა ოკეანოვმა დიასახლისს, — ოცი წელი თქვენთან იდგა კაცი ერთმა წკიპურტმა წააქცია, თქვენ კი ამ დროს შჩის ხარშავდით და ვერ მოიცალეთ!.. ეჰ!..

— ეჰ, ის საცოდავი, ისა! — განაგრძობდა დიასახლისი, — ლომბარდი რად უნდოდა! ცოტა რამ რომ მოეცა ჩემთვის და ეთქვა: მიიღე, უსტინიუშკა, აი ეს წყალობა, შეძინახე, ვიდრე

ამ მიწაზე დავიარებო, — ღმერთი გამიწყერეს, ვაჭმევდი, ვასმევდი, მოუუვლიდი. აჰ, ის ურცხვი, მატყუარა ისა! მომატყუა მე უბედური!...

ისევ სემიონ ივანოვიჩის ლოგინთან მივიდნენ. ახლა როგორც წესი და რიგია, ისე იწვა, ეცვა თავისი საუკეთესო, თუმცა ერთადერთი ტანსაცმელი. გაყინული ნიკაპი, ცოტა არ იყოს, უხეიროდ შეკრულ ჰალსტუხში ჩაეძალა. იყო გაბანილი და თმადავარცხნილი, თუმცა გაუპარსავი, იმიტომ, რომ სამართებელი არაუის აღმოაჩნდა: ერთადერთი, რომელიც ზინოვი პროკოფიევიჩის საკუთრებას შეადგენდა, ჯერ კიდევ შარშან დაბლაგვდა და ხელსაყრელ ფასში გაყიდეს ძველმანების ბაზარში; დანარჩენები კი სადალაქოში დადიოდნენ. ოთახის დალაგება ჯერ ვერ მოესწროთ. დამსხვრეული თეჯირი ისევ ისე იატაკზე ეგდო და სემიონ ივანოვიჩის განმარტოებული კუთხე გაეშიშვლებინა, თითქოსდა იმის ნიშნად, რომ სიკვდილი ფრდას ხდის ყველა ჩვენს საიდუმლოებას, ინტრიგებსა და ხრიკებს. ლეიბის შიგანიც გროვა-გროვად ეყარა ირგვლივ. მთელ ამ ასე ერთბაშად გაცვივებულ კუთხეს პოეტი ადვილად შეადარებდა „მეოჯახე“ მერცხლის დანგრეულ ბუდეს: ქარიშხალს ყველაფერი დაუმსხვრევია და დაუგლეჯია, ბარტყებიც მოუკლავს დედასთან ერთად და მათ გარშემო მიმოუფანტავს ბუმბულის, ფრთებისა და ბამბისგან ნახელავი თბილი საწოლი. თუმცა სემიონ ივანოვიჩი უფრო ბებერ, თავკერძა და ქურდ ბედურასავით გამოიყურებოდა. დადუმებული იწვა, თითქოს სულგანაბული, ვითომ დამნაშავეც კი არ იყო, ვითომ თვითონ არ მოეწყო ოინი, რომ უსირცხვილოდ, უნამუსოდ და უზრდელად მოეტყუებინა კეთილი ადამიანები. მას უკვე აღარ ესმოდა დაობლებული და განაწყენებული დიასახლისის მოთქმა და ტირილი. პირიქით, გამოცდილი და გაქნილი კაპიტალისტივით, კუბოშიც კი რომ არ სურს წუთითაც უსაქმოდ იწვეს, თითქოს რაღაც სპეკულაციურ ანგარიშზე ფიქრს მოეცვა. სახეზე რაღაც ღრმა აზრი

აღბეჭდვოდა, ტუჩები ისე მრავლისმეტყველად მოეკუმა, რომ კაცი ვერ წარმოიდგენდა, სიცოცხლეში თუ სემიონ ივანოვიჩს ასეთი გამომეტყველება შეიძლება ჰქონოდა. თითქოს დადინჯებულიყო კიდეც. მარჯვენა თვალი ეშმაკურად მოეჭუტა, გეგონებოდათ, რაღაც სურდა ეთქვა, რაღაც მეტად საჭირო ამბავი ეუწყებინა, აეხსნა, თანაც ახლავე, სასწრაფოდ, დროს დაუკარგავად, იმიტომ რომ ბევრი საქმე ჰქონდა და არ ეცალა. თითქოს ისმოდა: „აბა, რას სჩადი, გეყოფა, გესმის, შე სულელო დედაკაცო, შენა! ნუ ფშლუკუნებ! გამოფხიზლდი, გეთაყვა, გესმის, გამოფხიზლდი! მე მოგკვდი, ახლა საჭირო აღარ არის; რაც მართალია, მართალია! კარგია ასე წოლა... მე, ესე იგი, გესმის, იმაზე არ ვამბობ; შე კიკო, შე კიკო! დედაკაცო, უნდა გაიგო; აი მე მოგკვდი; მაგრამ ვთქვათ და, ასე არ იყოს, ვთქვათ და არ მოგკვდი — ვთქვათ და ავდგე, მაშინ რა იქნება, ჰა?!“

საზოგადოებრივი მოთხოვნა

მე რომანისტი ვარ და მგონი, ერთი „ისტორია“ გამოვიგონე. რატომ ვწერ, „მგონი“-მეთქი, ხომ ნამდვილად ვიცი, რომ შევთხზე, მაგრამ გამუდმებით მეჩვენება, რომ ეს სადღაც და ოდესღაც მოხდა, სახელდობრ — სწორედ შობის წინა დღეს, რომელიღაც უზარმაზარ ქალაქსა და საშინელ ყინვაში.

მეჩვენება, რომ სარდაფში ბიჭუნა იყო, ჯერ კიდევ ძალიან პატარა, ექვსიოდე წლის ან უფრო პატარაც. ამ ბიჭმა დილით ნესტიანსა და ცივ სარდაფში გაიღვიძა. რაღაც ხალათი ეცვა და კანკალებდა. მისი სუნთქვა თეთრ ორთქლად იქცეოდა, და ის, კუთხეში სკოვრზე მჯდომი, მოწყენილობისგან განგებ უშვებდა ამ ორთქლს პირიდან და მისი ცქერით ერთობოდა. მას ძალზე უნდოდა ეჭამა. დილიდან რამდენჯერმე მივიდა ტახტთან, სადაც ბლინით თხელ საფენზე და თაყვქვმ ბალიშის მაგივრად რაღაც ბოხჩით ავადმყოფი დედა იწვა. როგორ აღმოჩნდა იგი აქ? ალბათ, თავის ბიჭთან ერთად უცხო ქალაქიდან ჩამოვიდა და მოულოდნელად ავად გახდა. სახლის პატრონი ჯერ კიდევ ორი დღის წინ დააკავა პოლიციამ; მდგმურები დაიფანტნენ, უქმეს წინა საღამოა, ერთადერთი დარჩენილი მოქირავე კი უკვე რამდენიმე დღე იყო გაღებული იწვა, ისე, რომ დღესასწაულისთვის არც დაუცდია. ოთახის მეორე კუთხეში რევმატიზმისაგან კენესოდა ვიღაც ოთხმოცი წლის დედაბერი, რომელიც სადღაც და ოდესღაც ძიძად იყო, ახლა კი მარტოობაში ლეკდა სულს, ოხრაუდა, ბუზღუნებდა და ბიჭს ისე უდრუნდა, რომ მას უკვე იქით გახედვისაც ეშინოდა. სადღაც წინკარში წყურვილი მოიკლა, ქერქებს კი ვერსად მიაგნო და უკვე მეათედ მაინც სცადა დედის გაღვიძება. ბოლოს სიბნელეში შიშმა აიტანა: დიდი ხანია მოსაღამოვდა, ცეცხლი კი არავის დაუნთია. დედას ხელი მოუსვა სახეზე და გაუკვირდა, რომ იგი არც განძრეულა და კედელივით გაცივებულიყო. „აქ ძალიან

ცივა“, — გაიფიქრა მან, ცოტა ხანს მოიცადა, ხელი უნებურად მიცვალებულის მხარზე დარჩა, შემდეგ თითებზე დაიბერა გასათბობად, ტახტზე ხელის ცეცებით თავისი პატარა ქუდი მოჩხრიკა და ნელა გავიდა სარდაფიდან. გარეთ აქამდეც გავიღოდა, მაგრამ ზემოთ, კიბეზე, დიდი ძაღლის ემინოდა, მთელი დღე მუზობლების კარებთან რომ ღმუოდა. ქოფაკი აღარსად იყო და ისიც სწრაფად გავიდა ქუჩაში.

ღმერთო, რა ქალაქია! მსგავსი არასოდეს არაფერი უნახავს. იქ, საიდანაც ჩამოვიდა, ღამდამობით, საშინელი წყვდიადია, მთელ ქუჩას მხოლოდ ერთი ფარანი ანათებს. ხის დაბალი ქოხები დარაბებით იკეტება; ოდნავ დაბინდება და - ქუჩებიც ცარიელდება, ყველა სახლში იყუჩება, მთელი ღამე მაწანწალა ძაღლები ყმუიან და ყეფენ, ასობით და ათასობით. მაგრამ სამაგიეროდ იქ თბილოდა და აჭმევდნენ კიდეც, აქ კი — ღმერთო, ნეტავ დანაყრდეს! რა გრგვინვა და რახრახია ირგვლივ, სინათლე და ხალხი, ცხენები და კარეტები, და ყინვა, ყინვა! გაყინული ორთქლი ასდის ქანცგაწყვეტილ ცხენებს, მათ მხურვალე დრუნჩებს; ფხვიერ თოვლში ქვებზე ნალები წკრიბალებენ, ყველა ხელს იკვრევენება, და ღმერთო, როგორ შია, ერთი ლუკმა მაინც რომ ჰქონდეს და უცებ თითებიც ატკივდა. გვერდზე წესრიგის დამცველმა ჩაუარა და ბიჭი რომ არ შეეძინა, ზურგი შეაქცია.

აი, ისევ ქუჩა, — ოჰ, როგორი ფართოა! აქ ალბათ ნამდვილად გაგსრესენ; გაჰყვირიან, მიდი-მოდიან, მირბიან, სინათლე კი, სინათლე! ეს რაღაა? უჰ, რამხელა შუშაა, შუშის მიღმა კი — ოთახი, ხოლო ოთახში ხე ჭერს სწვდება; ეს ნაძვის ხეა, ნაძვის ხეზე კი უამრავი სანთელია, უამრავი ოქროს ქალაღი და ვაშლი, იქვე გარშემო კი თოჯინები, პატარა ცხენები; ოთახში ბავშვები დარბიან, მორთულ-მოკაზმულები, გაკრიალებულნი, იცინიან და თამაშობენ, და ჭამენ, და სვამენ რაღაცას. აი, ამ გოგონამ ბიჭთან ცეკვა დაიწყო, რა კარგი

გოგოა! აი მუსიკაც, მინაშიც კი ატანს. გოცებული შეჰყურებს ბიჭი, ეცინება კიდეც, მას კი უკვე ფეხის თითებიც სტკივა, ხელეზზე კი მთლად გაუწითლდა, ვეღარ ხრის და განძრევაც კი ტკივილს აყენებს. და უცებ გაახსენდა ბიჭს, რომ თითები ასე სტკივა, წამოიტირა და გაიქცა, და აი ისევ ხელავს ოთახს, სხვა შუშის მიღმა, აქაც ხეებია, მაგიდაზე კი - ღვეზელები, ყოველგვარი — ნუშის, წითელი, ყვითელი, და იქ ოთხი მდიდარი ბატონი ზის, ხოლო სტუმრებს ღვეზელს სთავაზობენ, კარიც წამდაუწუმ იღება, მათთან ქუჩიდან ბევრი ბატონი შედის. ბიჭი მიიპარა, უცებ გააღო კარი და შევიდა. უჰ, როგორ უყვირეს და მოუღერეს! ერთი ქალბატონი სასწრაფოდ მივიდა მასთან, ხელში კაპიკიანი შეაჩეხა და ქუჩის კარი გაუღო. როგორ შეეშინდა! კაპიკიანი მაშინვე გაუვარდა და საფეხურებზე დაიწკრიალა: მან ვერ შეძლო თავისი წითელი თითები მოეხარა და მონეტა დაეჭირა. ბიჭუნა გამოიქცა და სწრაფად განაგრძო გზა, სად მიდიოდა, თვითონაც არ იცოდა. ისევ ტირილი უნდა, მაგრამ ეშინია, და მირბის, მირბის და ხელებს იორთქლავს. დარდი და შიში ეძალება, იმიტომ, რომ ისევ მართო დარჩა, და უცებ, ღმერთო! ეს რაღაა? ხალხი შეგროვილა და გოცებულნი იყურებიან: ფანჯარაში შუშის მიღმა სამი თოჯინაა, პატარები, წითელსა და მწვანე კაბებში გამოწყობილნი და მთლად ცოცხლებივით! ვიღაც მოხუცი ზის და თითქოს დიდ ვიოლინოზე უკრავს, ორი სხვა იქვე დგას და პატარა ვიოლინოებზე უკრავენ, და ტაქტში არხევენ თავებს, და ერთმანეთს შეჰყურებენ, და ტუჩებს ამოძრავებენ, ლაპარაკობენ, თითქოს ლაპარაკობენ, — ოღონდ შუშის გამო არაფერი ისმის. ბიჭს ისინი ჯერ ცოცხლები ეგონა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ თოჯინები იყვნენ, — უცებ გაეცინა. ასეთი თოჯინები არასოდეს ენახა და არც იცოდა, ასეთებიც თუ არსებობდა! ტირილი უნდა, მაგრამ ეს თოჯინები ძალიან სასაცილონი არიან. უცებ მოეჩვენა, რომ უკნიდან ვიღაც ხალათზე წაეპოტინა: დიდი

ბოროტი ბიჭი იდგა გვერდით და უცებ თავში სთხლიმა, ქუდი მოგლიჯა და წიხლი ამოარტყა. ბიჭი მიწაზე გაგორდა, ვილაცამ დაიყვირა, ის გაირინდა, წამოხტა და უკანმოუხედავად გაიქცა, და უცებ თვითონაც ვერ მიხვდა, სად ამოჰყო თავი, ღობის ძირას, უცხო ეზოში, — შეშის უკან ჩამოჯდა: „აქ ვერ მომაგნებენ, ბნელა კიდეც“.

ჩამოჯდა და მოიბუზა, შიშისაგან სულშეგუბებული და უცებ, მოულოდნელად ძალზე კარგად იგრძნო თავი: ხელ-ფეხის ტკივილი გაუქრა და ისე დაცხა, როგორც ბუხარზე; მთელი ტანით აცახცახდა: ოჰ, მას ხომ ჩაეძინა! რა კარგია აქ ძილი: „ცოტა ხანს ვიჯდები და ისევ თოჯინებს მოვინახულებ, — გაიფიქრა ბიჭმა და მათ გახსენებაზე ჩაეცინა, — მთლად ცოცხლებივით არიან!..“ და უცებ დედის სიმღერა მოესმა. „დედა, მე მძინავს, ოჰ, რა კარგია აქ ძილი!“

— წავიდეთ ჩემთან ნაძვის ხეზე, ბიჭუნა, — წყნარი ხმით ჩასჩურჩულა ვილაცამ.

მას ჯერ დედა ეგონა, მაგრამ არა, ის არ არის; ვერ ხედავს, ვინ დაუძახა, სიბნელეში ვილაც დაიხარა მისკენ და მოეხვია, მან კი მისკენ გაიწოდა ხელი და... და უეცრად, — ოჰ, რა სინათლეა! ოჰ, როგორი ნახვის ხეა! ეს ნაძვის ხეც არ არის, ასეთი ხეები ჯერ არც უნახავს! სად არის ახლა: ყველაფერი ბრწყინავს, ყველაფერი კაშკაშებს და ირგვლივ სულ თოჯინებია, — მაგრამ არა, ესენი სულ ბიჭუნები და გოგონები არიან, მხოლოდ ისეთი ნათელი, მის გვერდით ბზრიალებენ, დაფრინავენ, ყველა მას კოცნის, თან დაჰყავთ, და ისიც დაფრინავს, და ხედავს: უყურებს დედა და სიხარულით იცინის.

— დედა! დედა! ოჰ, რა კარგია აქ, დედა! — ყვირის ბიჭუნა და ისევ ბავშვებს კოცნის, და უნდა სასწრაფოდ უამბოს მათ იმ თოჯინებზე შუშის მიღმა. — ვინ ხართ თქვენ, ბიჭებო? ვინ ხართ, გოგონებო? — კითხულობს იგი, სიცილითა და სიყვარულით.

— ეს „ქრისტეს ნაძვის ხეა“, — პასუხობენ ისინი. — ქრისტეს ამ დღეს ყოველთვის აქვს ნაძვის ხე პატარა ბავშვებისთვის, რომლებსაც თავიანთი ნაძვის ხე არ გააჩნიათ... — და შეიტყო მან, რომ ეს ბიჭუნები და გოგონები მისნაირი ბავშვები იყვნენ, მაგრამ ზოგი ჯერ კიდევ თავიანთ კალათებში გაიყინა, როდესაც ისინი პეტერბურგელ ჩინოვნიკებს მიუგდეს კარებთან, სხვები ძიძებს ჩააკვდნენ ხელში, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრებში, ზოგს მესამე კლასის ვაგონებში სიმყრალისგან შეეხუთა სული, და ახლა ყველანი აქ არიან, ანგელოზებივით, ყველანი ქრისტესთან, და ისიც მათ შორისაა, მათკენ იწვდის ხელებს, ლოცავს მათ და მათ ცოდვილ დედებს... ამ ბავშვების დედები კი იქვე დგანან, გვერდით, და ტირიან; ყველა ცნობს თავის ბიჭსა და გოგონას, ისინი კი მათთან მიფრინავენ და კოცნიან, თავიანთი პატარა ხელებით წმენდენ ცრემლებს და ევედრებიან არ იტვირონ, რადგან ისინი აქ ძალზე კარგად გრძნობენ თავს...

ქვემოთ კი, დილით, მეფხოვეებმა შეშის უკან გაყინული ბიჭუნას გვაში იპოვეს, მოძებნეს დედამისიც... იგი მასზე აღრე მოკვდა; ისინი ცაში უფალთან შეხვდნენ ერთმანეთს.

და მაინც, რატომ შევთხზე ასეთი ისტორია, რომელიც არ ესადაგება ჩვეულებრივ გონივრულ დღიურს, და თანაც მწერლისას? არადა ნამდვილ მოვლენებზე ვაპირებდი მოთხრობების შექმნას! მაგრამ სწორედ ისაა საქმე, გამუდმებით მეჩვენება და მეზმანება, რომ მართლა შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, — ანუ ის, რაც სარდაფში და შუშის მიღმა მოხდა, ხოლო იქ ქრისტეს ნაძვის ხის შესახებ — არც ვიცი, როგორ გითხრათ, შეიძლებოდა მომხდარიყო თუ არა? რომანისტიც ხომ იმიტომ ვარ, რომ გამოვიგონო.

უკვე გამოვიდა:

ტომი 1 — ერნესტ ჰემინგუეი

ტომი 2 — შტეფან ცვაიგი

ტომი 3 — პრლსპერ მერიმე

სარჩევი

თვინიერი	3
უზვანო ანეკდოტი	49
ბატონი პროსარჩინი	114
საშობაო მოთხრობა	153

„მსოფლიოს რჩეული მოთხრობები“

ტომი 4

ჟურნალ „რეიტინგის“ ბიბლიოთეკა

„მსოფლიოს რჩეული მოთხრობები“

მალე გამოვა:

ტომი 5 — რიუნოსკე აკუტაგავა

ტომი 6 — ჯეკ ლონდონი

ტომი 7 — ჰერბერტ უელსი

ჟურნალ „რეიტინგის“ ბიბლიოთეკა

© გამომცემლობა პალიტრა L, 2012